

დავის ალტერნატიული
გადაწყვეტა



ALTERNATIVE DISPUTE
RESOLUTION

წელიწადეული
Yearbook

2012

წ ე ლ ი ნ ი ს ღ ე უ ლ ი

2012

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
NATIONAL CENTER FOR ALTERNATIVE DISPUTE RESOLUTION

Alternative Dispute Resolution

Yearbook

2012

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი

დავის ალტერნატიული გადაწყვეტა

წელწიეულ

2012



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი

ირაკლი ბურდული (სრული პროფ., თსუ)

Chief Editor

Irakli Burduli (Full Prof., TSU)

აღმასრულებელი რედაქტორი

გიორგი ცერცვაძე (ასოც. პროფ., თსუ)

Executive Editor

Giorgi Tsertsvadze (Assoc. Prof., TSU)

სარედაქციო კოლეგია:

ნათია ჩიტაშვილი (ასისტ. პროფ., თსუ)

ლევან ჯანაშია (ასისტ. პროფ., თსუ)

Editorial Board:

Natia Chitashvili (Assis. Prof., TSU)

Levan Janashia (Assis. Prof., TSU)

წელიწადეულის გამოცემა ამერიკელი ხალხის გულისხმიერების შედეგად და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი.

ჟურნალში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ისა და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

Publication of the yearbook is enabled by the generous support of the American people through the United States Agency for International Development (USAID).

The contents are the responsibility of the authors and do not necessarily reflect the views of USAID or the United States Government.



მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი



ს ა რ ჩ ე ვ ი

ქეთევან ირემაშვილი <i>მედიაციის ინტეგრირება სამართლის სკოლის სასწავლო პროგრამაში</i>	7
KETEVAN IREMASHVILI <i>INTEGRATING MEDIATION IN A LAW SCHOOL CURRICULUM</i>	18
ბარბარე ოქროპირიძე <i>მედიაცია – სიხლე თანამედროვე ქართულ სამართალში და მისი განვითარების პერსპექტივა საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე</i>	26
BARBARE OKROPIRIDZE <i>MEDIATION – NOVELTY IN MODERN GEORGIAN JUSTICE AND DEVELOPMENT PERSPECTIVES BASED UPON INTERNATIONAL PRACTICE</i>	55
სიმონ ტაკაშვილი <i>სანოტარო მედიაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების ტენდენციები საქართველოში</i> . . .	77
SIMON TAKASHVILI <i>NOTARY MEDIATION DEVELOPMENT AND IMPROVEMENT TRENDS IN GEORGIA</i>	93
CHRISTOF BERLIN <i>ALTERNATIVE DISPUTE RESOLUTION IN B2C-CONFLICTS (CONSUMER ADR) - THE EXPERIENCE OF THE GERMAN CONCILIATION BODY FOR PUBLIC TRANSPORT (SÖP)</i>	105
ქრისტოფ ბერლინი <i>ღავის მოგვარების ალტერნატიული მეთოდი მენარმეებისა და მომხმარებლების კონფლიქტში</i>	108
KIMBERLEE K. KOVACH <i>NEW WINE REQUIRES NEW WINESKINS: TRANSFORMING LAWYER ETHICS FOR EFFECTIVE REPRESENTATION IN A NON-ADVERSARIAL APPROACH TO PROBLEM SOLVING: MEDIATION</i>	111
კიმბერლი კ. კოვაჩი <i>ახალი ღვინო საჭიროებს ახალ ღვინის ჭურჭელს: (ტიკი - რომელიც დამზადებულია ცხველის ტყავისგან): იურისტის ეთიკის ბარდაქმნა, რათა მან შეჯიბრებითობის გამორიცხვით შეძლოს პრობლემის გადაჭრა: მედიაცია (მედიატორობა)</i>	139
KIMBERLEE K. KOVACH <i>LAWYER ETHICS IN MEDIATION: TIME FOR A REQUIREMENT OF GOOD FAITH WESTLAW LAWPRAC INDEX AMS ARBITRATION, MEDIATION, SETTLEMENT OR OTHER FORMS OF ALTERNATIVE DISPUTE RESOLUTION</i>	174

კიმბარლი კოვაკი	
<i>ადვოკატთა ეთიკა მედიატიაში: კეთილსინდისიერების საჭიროება</i> <i>(კეთილსინდისიერების მოთხოვნის დრო)</i>	180
MICHAEL TSUR, SHAI MELCER	
<i>THE GLOBAL MEDIATOR - BIRTH OF A CONCEPT</i>	188
მაიკლ ცური, შაი მელცერი	
<i>გლობალური მედიატორი – კონცეფციის დაბადება</i>	200
MICHAEL TSUR	
<i>THE ART OF WRITING A MEDIATION AGREEMENT: AN INSTRUCTIONAL MANUAL</i>	216
მაიკლ ცური	
<i>მედიაციის შეთანხმების აქტის შედგენის ხელოვნება: სახელმძღვანელო ინსტრუქციები</i> ...	222

მედიაციის ინტეგრირება სამართლის სკოლის სასწავლო პროგრამაში**

1. შესავალი

რა როლს შეასრულებს მედიაციის ინსტიტუტი საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში და რამდენად იქცევა ის იურისტების პროფესიული კულტურის განუყოფელ ნაწილად, რთულად განსაჯვრეგია. კანონში განხორციელებული ცვლილებების პრაქტიკაში დანერგვისათვის არაერთი ღონისძიების გატარებაა საჭირო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიაციის შესახებ განათლების გავრცელება, ერთი მხრივ, პროცესში ჩართული პრაქტიკოსების წვრთნისა და, მეორე მხრივ, მომხმარებლისთვის (საზოგადოებისათვის) სწორი გზავნილების¹ მიწოდების გზით.

თანამედროვე პირობებში მედიაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა განსაკუთრებულად აქტუალური გახდა იურისტების წრეში. ერთი შეხედვით, ასეთი ინტერესი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში² შეტანილმა ცვლილებებმა გამოიწვია. აღნიშნული ცვლილებებით ცალკეული ტიპის საქმეზე მედიაცია დავის სასამართლოში განხილვის სავალდებულო წინაპირობად იქცა. თუმცა, „არასავალდებულო“ მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმი, აღნიშნული ცვლილებების შეტანამდეც გამოიყენებოდა. სსსკ-ის ახალი რეგულირებით მკაფიოდ გამოიკვეთა მედიაციის მნიშვნელობა და უპირატესობა დავის განხილვის პროცესში.

წინამდებარე სტატია ეხმიანება სამართლის სკოლაში მედიაციის სწავლების პრობლემას. აღნიშნული საკითხი სტატიაში განიხილება იურიდიული განათლების მიზნებისა და იურიდიული პროფესიის არსის განსაზღვრის პარალელურად.

2. მედიაცია როგორც დავის გადაწყვეტის საშუალება

მედიაცია დავის გადაწყვეტის ეფექტური და ინოვაციური მექანიზმია. ის მოიაზრებს მოდავე მხრეებს შორის მოლაპარაკებას მესამე, ნეიტრალური მონაწილის მეშვეობით. მხარეთა

* განსაკუთრებული მადლობა ჩემს მასწავლებელს, რიჩარდ ელ როს, რომელმაც წამახალისა, როგორც სტუდენტი და სამუდამოდ შთამაგონა, როგორც მასწავლებელი.

** წინამდებარე სტატია ემყარება ავტორის მიერ 2009-2010 წლებში ვაშინგტონის უნივერსიტეტში (სიეტლი, აშშ) კლინიკური იურიდიული განათლების თემაზე ჩატარებულ კვლევას. კვლევა განხორციელდა კარნეგის ფონდის სტიპენდიის ფარგლებში ევრაზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეროვნული (აშშ-ს) საბჭოს მხარდაჭერით. კვლევაში დაფიქსირებული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ წარმოადგენს არც ნიუ იორკის კარნეგის კორპორაციისა და არც საბჭოს შეხედულებებს.

¹ დღესდღეობით საქართველოში მედიაციის სახელწოდებით მოქმედებს არაერთი ინსტიტუტი, რომლის საქმიანობაც მნიშვნელოვნად ემიჯნება მედიაციის კლასიკურ პრინციპებს. აღნიშნულის მაგალითად გამოდგება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული სამედიცინო მედიაციის სამსახური, რომელიც ერთდროულად ითავსებს სამედიცინო სფეროში წარმოშობილი დავების რეგულირებისა და გადაწყვეტის ფუნქციებს (იხ. 28/12/2011 ცვლილებების პაკეტი №5665-რს საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ). სამედიცინო მედიაციის სამსახურის საქმიანობის შესწავლა წინამდებარე სტატიის მიზანი არ არის და დამოუკიდებელი კვლევის საგანია. თუმცა, მომხმარებლის განათლების თვალსაზრისით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების მიერ მედიაციის ინსტიტუტის არაერთგვაროვანმა აღქმამ თავისთავად არასწორი გავლენა შეიძლება იქონიოს მის მოლოდინზე.

² იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXI¹ თავი - „სასამართლო მედიაცია“.

შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება შეთანხმების მიღწევას ისახავს მიზნად.³ უმთავრესი, რაც მედიაციას გამოარჩევს, გადაწყვეტილების მიღების ვალდებულების მხარეებისთვის დაკისრებაა. სწორედ ამიტომ მედიატორი წარმოდგება პროცესის და არა საქმის ფაქტობრივი გარემოებების ექსპერტად. მედიატორი სტრატეგიულად იყენებს მოლაპარაკების პროცესის მართვის მრავალფეროვან მეთოდებს მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის მიზნით.

მედიაციის პროცესი მონაწილეთაგან შემოქმედებით ხედვას მოითხოვს. მხარეთა წარმომადგენლებს უნდა შესწევდეთ უნარი, სწორად შეაფასონ მედიაციის პროცესის დანიშნულება, არ შეიზღუდონ პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატივების განხილვისას. როდესაც მხარეთა წარმომადგენლებს უჭირთ ასეთი მოქნილობის გამოვლენა, მედიატორი თავად „აიძულებს“ მათ, იფიქრონ შემოქმედებითად, მუქარებისა და სავარაუდო შედეგების გათვალისწინებისგან თავისუფლად. მედიატორი ოსტატურად იყენებს პროცესის მართვის სადავეებს, როდესაც მხარეები ხისტი პოზიციებიდან ნამდვილი ინტერესების გამოვლენისკენ მიჰყავს.⁴ აღნიშნული მიზანმიმართულად ხორციელდება როგორც მხარეებთან ინდივიდუალურ საუბრებში, ასევე საერთო განხილვის დროს.

იურისტები (ადვოკატები) მედიაციაში სხვადასხვა ფორმით მონაწილეობენ. უმთავრესად იურისტი მხარეთა წარმომადგენლად ერთვება მედიაციის პროცესში. თუმცა არ არის გამორიცხული იურისტმა მედიატორის სავარძელიც მოიგოს. ორივე შემთხვევაში გასათვალისწინებელია არაერთი დადებითი და უარყოფითი ფაქტორი, რომლებიც განსხვავებულად აისახება მედიაციის პროცესზე.

მედიაციაში წარმომადგენლად ჩართვისათვის ადვოკატს სწორად უნდა ჰქონდეს გააზრებული მედიაციის მნიშვნელობა - როგორც მისი პროცესის, ისე შინაარსის. მედიაციის პროცესი ადვოკატის მხრიდან კლიენტის მინიმალურ ინფორმირებას მოითხოვს დავის გადაწყვეტის ალტერნატივების შესახებ. ხარისხიანი კონსულტაცია თავისთავად გულისხმობს კლიენტისათვის მედიაციის თაობაზე არა მხოლოდ მინიშნებას, არამედ მისი გამოყენების უპირატესობების დეტალურად განხილვას. დავის გადაწყვეტის ალტერნატივების შეფასებისას ადვოკატი უნდა მოქმედებდეს მარწმუნებლის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე.⁵ კლიენტის დარწმუნების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეთიკის ნორმების დაცვას ენიჭება.⁶

ადვოკატის მონაწილეობა მედიაციაში თავისთავად სასარგებლოა კლიენტისათვის. მოდავე მხარე სარგებლობს ადვოკატის მომსახურებით და საკუთარი ინტერესის დაკმაყოფილების უკეთეს პერპექტივას იძენს, ვიდრე ამას მარტო შეძლებდა. ამის მიუხედავად, გასათვალისწინებელია ადვოკატის მონაწილეობასთან დაკავშირებული ის სირთულეები, რაც, იურისტების პროფესიული კულტურის გათვალისწინებით, შესაძლოა დამაბრკოლებელი გახდეს მედიაციის პროცესის ეფექტური წარმართვისთვის. ტრადიციულად, ადვოკატებს კლიენტის სასამართლოში წარმომადგენლობის უნარები უფრო კარგად (ან რიგ შემთხვევაში მხოლოდ) აქვთ გამომუშავებული. დავის გადაწყვეტის მათი პროფესიული ხედვაც უმეტეს შემთხვევაში შეჯიბრებითობის პრინციპზეა დაფუძნებული. აღნიშნული კი მედიაციის პროცესის არასწორად წარმართვის საფრთხეს ქმნის. მართალია, პროცესის მართვა მედიატორის ფუნქციაა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ადვოკატების აღქმა და დამოკიდებულება პროცესის მიმართ. ამიტომ, მედიაციის პროცესში ჩართვამდე მნიშვნელოვანია როგორც კლიენტის, ისე ადვოკატის შემზადება მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის, „არატრადიციული“ პროცესისთვის. მედიაციაში წარმომადგენლობისათვის ადვოკატს არსებითად განსხვავებული უნარების გამოყენება სჭირდება. აღნიშნული კი განსაკუთრებულად გამოიხატება მეორე მხარესთან ინტენსიურ თანამშრომლობასა და კონსტრუქციულ საუბარში.

³ Uniform Mediation Act, Section 2 (1).

⁴ Fisher R., Ury W., Getting to Yes – Negotiating Agreement Without Giving In, 1992, Penguin Books, 151.

⁵ Garner B., (Editor), Black's Law Dictionary, Eighth Edition, Thomson West, 2004, 1315.

⁶ საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 3, მუხლი 5.

ადვოკატის მედიატორის როლში წარმოდგენა ცალსახად ინოვაციური ხედვაა. ადვოკატების არსი ერთი მხარის სასარგებლოდ მოქმედებაში გამოიხატება. კლიენტის საუკეთესო ინტერესში მოქმედება ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებული ფიქსირებული ურთიერთობის უმთავრესი პრინციპია. ასეთი ფუნქციის შესასრულებლად ადვოკატს ინტენსიურად უხდება მისი კლიენტის საქმის ძლიერი მხარეებით მანიპულირება⁷ და სუსტი მხარეების „მარკეტინგულად შეფუთვა“. მედიატორის როლში მყოფ ადვოკატს არათუ საქმეზე ცალმხრივი ორიენტირების შესაძლებლობა ეზღუდება, არამედ გადანყვეტილების მიღების უფლებაც ერთმევა. მაგალითად, მოსამართლის როლში მყოფი ყოფილი ადვოკატი ბევრად უფრო მარტივად შეიძლება ადაპტირდეს ახალ პროფესიულ ფუნქციასთან, ვიდრე ადვოკატი-მედიატორი. პირველ შემთხვევაში მოსამართლეს ეხმარება ადვოკატის გამოცდილება, რომელიც, კლიენტის ინტერესზე ცალმხრივი ფოკუსირების პარალელურად, მეორე მხარის პოზიციების შესწავლასაც მოიცავს. საკუთარი კლიენტის საქმის ძლიერი და სუსტი მხარეების სრულყოფილი ანალიზი წარმოუდგენელია მეორე მხარის პოზიციის ასეთივე შეფასების გარეშე. შესაბამისად, ადვოკატის გამოცდილების მქონე მოსამართლეს უხდება გარდასახვა პრობლემის ცალმხრივიდან ორმხრივ რაკურსში განჭვრეტის თვალსაზრით.

ადვოკატი-მედიატორის შემთხვევაში კი იურისტს არა მხოლოდ გარდასახვა, არამედ პროფესიული უნარების არსებითად განსხვავებული გამოყენება მოეთხოვება. უმთავრესი სირთულე, რაც იურისტს ასეთ დროს შეიძლება შეხვდეს, მისი „პასიური“ პოზიციაა, რომელიც გადანყვეტილების მიღების უფლების შეზღუდვით გამოიხატება. გადანყვეტილების მიღება იურისტის ერთ-ერთი უმთავრესი პროფესიული უნარია.⁸ სწორედ ამ უნარის დათრგუნვისა და რიგი ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენების გააქტიურების ხარჯზე მიიღწევა ეფექტური მედიატორი იურისტის მხრიდან.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მედიატორის ინსტიტუტის მიმართ არსებული მოლოდინის დაზუსტებაც. ზოგადად მიიჩნევა, რომ ინტერესთა კონფლიქტის დაძლევის პროცესში ერთი მხარე აუცილებლად გამარჯვებულის, მეორე კი – დამარცხებულის პოზიციაში უნდა აღმოჩნდეს. ასეთი მენტალობის პროპაგანდა ხდება სპორტით, მედიასაშუალებებით⁹ და მისთ. კონფლიქტი თავისთავად ნეგატიური მოვლენაა და მასში მონაწილე სუბიექტებიც შესაბამისად რეაგირებენ: ან თავს არიდებენ მას, ანდა უკიდურესად დაპირისპირებული ფორმით ერთგებიან მის განხილვაში.¹⁰ ასეთსავე თარგზუა მორგებული სამართლებრივი სისტემისგან მომხმარებლის მოლოდინიც. კლიენტი ადვოკატისგან საკუთარი ინტერესების სადარაჯოზე ყოფნასა და მის დასაცავად „ბრძოლას“ მოელოდა. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია კლიენტისათვის სათანადოდ განმარტება, რომ მის საუკეთესო ინტერესში მოქმედება შეჯიბრებითობის დათმობით არ იზღუდება.

3. იურისტის (ადვოკატის) პროფესიის არსი

იურისტის პროფესია იმ პროფესიათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა წარმომადგენლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელება თავისთავად გულისხმობს გავლენას ცალკეულ პირთა მომავალზე.¹¹ სწორედ ამიტომ მორალური სტანდარტები იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების მიმართ განსაკუთრებულად მაღალია.¹²

⁷ Fisher R., Ury W., Getting to Yes – Negotiating Agreement Without Giving. In: 1992, Penguin Books, 23

⁸ Blasi G., What Lawyers Know: Lawyering Expertise, Cognitive Science, and the Functions of Theory, 45 J. Legal Educ. 313 (1995), 44; Edited by Hurder A., Bloch F., Brooks S., Kay S., Clinical Anthology Readings for Live-Client Clinics, Anderson Publishing Co. Cincinnati, Ohio, 1997.

⁹ Kovach K., Mediation in a Nutshell, 2nd Edition, West, 2010, 4

¹⁰ იქვე, 3.

¹¹ იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები (სასწავლო მასალები), ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა, 2009, 9.

¹² იქვე, 10.

ზოგადად, იურისტის პროფესიისადმი წაყენებული მოთხოვნები თავად პროფესიის არსიდან გამომდინარეობს. ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა მიიჩნევა ფიდელიტარ ურთიერთობად,¹³ სადაც შედარებით „გამოუცდელი“ მხარე (ამ შემთხვევაში კლიენტი) საკუთარი ინტერესების დაცვას მიანდობს უფრო „გამოცდილ“ და შესაბამისი ცოდნის მქონე ადვოკატს. იურიდიული პროფესია რეგულირებად პროფესიათა რიცხვს მიეკუთვნება. იურისტს პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად ლიცენზია ესაჭიროება.¹⁴

1980 წელს კერი მენკელ მიდლუმ ამერიკის შეერთებულ შტატებში დასვა შეკითხვა: რა შეადგენდა იურისტის პროფესიის არსს? კითხვაზე პასუხის გაცემას თავად ავტორი შეეცადა და საამისოდ რამდენიმე კრიტერიუმი დაასახელა. კერძოდ: პირველი და უმთავრესი, რაც იურისტის საქმიანობას გამოარჩევს, გადანყვეტილების მიღების აუცილებლობაა. ამასთან ერთად, იურისტი ერთგვარად წარმოდგება, როგორც მრჩეველი, დამცველი, „მეგობარი“, „გამომძიებელი“, ფაქტობრივი გარემოებების სწორად გამოყენების ოსტატი, სამუშაო პროცესის ეფექტურად დაგეგმვისა და მართვის უნარის მქონე პროფესიონალი.¹⁵

აშშ-ში იურისტის პროფესიის არსის განსაზღვრის შესახებ წამოჭრილმა დისკუსიებმა საბოლოოდ იურისტის პროფესიული უნარ-ჩვევების ვრცელი ნუსხა ერთ მარტივად მაჩვენებლამდე დაიყვანა. იმის მიუხედავად, ვინ არის კლიენტი და მისი პრობლემის გადანყვეტის რა შესაძლებლობებია ხელმისაწვდომი კონკრეტულ დროსა თუ ადგილას, იურისტის უმთავრეს როლს კლიენტისთვის პრობლემის სასურველი და ეფექტური გადანყვეტა განსაზღვრავს.¹⁶

კლიენტის სამართლებრივ პრობლემაზე ორიენტირებისა და მისი ეფექტურად გადანყვეტის პროცესში იურისტს არაერთი უნარის ფლობა და გამოყენება მოეთხოვება. კერძოდ: სწრაფად, კრიტიკულად და ანალიტიკურად აზროვნება; კლიენტთან კომუნიკაციის სწორი სტრატეგიის შერჩევა; პრობლემის გადანყვეტის ალტერნატივების ზუსტად შეფასება; კოლეგიალობის პრინციპის, პროფესიის მიმართ მოქმედი ეთიკური ნორმებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა და სხვ.

იურისტის პროფესიული უნარების ჩამონათვალი ყოველთვის პირობითი და არასრულყოფილია. წარმოუდგენელია ზუსტად განისაზღვროს მოქმედებათა ჯაჭვი, რომელსაც იურისტი სხვადასხვა ტიპის დავებზე მუშაობისას ცვალებად გარემოში ახორციელებს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ იურისტის უნარ-ჩვევები მჭიდროდაა გადაბმული ისეთ „ზოგად“ უნარებთან, რომელთა ფლობაც სხვა პროფესიის წარმომადგენლებსაც მოეთხოვებათ. მაგალითად, საპროცესო ხელოვნების დაუფლებისას სამართლის სკოლებში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ე.წ. „პრეზენტაციის“ უნარის განვითარებაზე (სხვადასხვა ფოკუსით მეტყველებასა და შესტიკულაციაზე), რომელიც, თავის მხრივ, არანაკლებ აქტუალურია, მაგალითად, ტელე-რადიოჟურნალისტის, პედაგოგის და სხვა პროფესიის წარმომადგენლისათვის. ასევე, კლიენტის პრობლემის გადანყვეტისას შედეგთან დაკავშირებული რისკის „ტარებით“ იურისტის საქმიანობა დიდად ემსგავსება ექიმის მიერ პაციენტის მკურნალობის პროცესის მართვას.

თუმცა, არსებობს ისეთი პროფესიული უნარებიც, რომლებიც უშუალოდ იურიდიული აზროვნების სფეროში ვითარდება. ასეთს მიეკუთვნება, მაგალითად, სამართლის ნორმის ინტერპრეტაციის უნარი.

¹³ *Garner B.*, (Editor), *Black's Law Dictionary*, Eighth Edition, Thomson West, 2004, 658

¹⁴ *Moliterno J., Lederer F.*, *An Introduction to Law, Law Study, and The Lawyer's Role*, Second Edition, Carolina Academic Press, 2004, 26.

¹⁵ *Blasi G.*, *What Lawyers Know: Lawyering Expertise, Cognitive Science, and the Functions of Theory*, 45 *J. Legal Educ.* 313 (1995), 44; Edited by *Hurder A., Bloch F., Brooks S., Kay S.*, *Clinical Anthology Readings for Live-Client Clinics*, Anderson Publishing Co. Cincinnati, Ohio, 1997.

¹⁶ იქვე, 44.

4. სამართლის სკოლის მისია

ხარისხზე ორიენტირებული იურიდიული განათლების მიწოდება სტუდენტების ბაზრის მოთხოვნების შესატყვისად მომზადებას გულისხმობს. საამისოდ სამართლის სკოლებს მკაფიოდ უნდა ჰქონდეთ ჩამოყალიბებული, ერთი მხრივ, სასწავლო მიზნები და, მეორე მხრივ, სწავლების მეთოდები. იურიდიული განათლების მიზნის სწორად განსაზღვრისათვის სასურველია, სამართლის სკოლებმა მჭიდროდ ითანამშრომლონ პრაქტიკოს იურისტებთან. ნაყოფიერი დიალოგი იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებსა და სამართლის პროფესორებს შორის სამართლის სკოლის სასწავლო პროგრამების დახვეწის საწინდარია.

ინტერესი იურიდიული პროფესიისადმი საქართველოში დიდია. გაცხოველებული კონკურენციის პირობებში გასათვალისწინებელია ბაზრის მოთხოვნა შესაბამისი პროფესიული უნარების მქონე იურისტებზე. იღებენ რა მომავალი იურისტების მომზადების ვალდებულებას, უმაღლესი იურიდიული განათლების მიმწოდებელი დაწესებულებები იმთავითვე დიდი გამოწვევის წინაშე დგანან.

იურისტის პროფესიული უნარები დროთა განმავლობაში ყალიბდება. მათი შექმნის პროცესი ჯერ კიდევ სამართლის სკოლაში სწავლამდე იწყება, ყველაზე ინტენსიურ ხასიათს სამართლის სკოლაში სწავლის დროს იძენს და პროფესიული მოღვაწეობის მთელ პერიოდში გრძელდება.¹⁷ ამდენად, იურისტის პროფესიული უნარების განვითარება ხანგრძლივი და ინტენსიური სწავლის შედეგია და მხოლოდ სამართლის სკოლას არ უკავშირდება. თუმცა, უდავოდ დიდია სამართლის სკოლის როლი, რადგან სწორედ აქ ხდება იურიდიული აზროვნების ფორმირება და პროფესიული თვითმყოფადობის შეთვისება.¹⁸

ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით სამართლის სკოლების ორიენტირი უახლოეს პერიოდში პროფესიული უნარების სწავლებაზე შეჩერდა. პრაქტიკული უნარების სწავლების კონცეფციის სწორი შეფასებისთვის მართებულია, დაზუსტდეს, რომ აღნიშნული „თეორიული“ ცოდნის მიწოდებას არ უგულვებელყოფს. პირიქით, ცალკეული პროფესიული უნარის სწავლა-განვითარების გზაზე აუცილებელია თეორიისა და პრაქტიკის თანაზომიერი და თანადროული სინთეზი. სამართლის სკოლაში უნდა ისწავლებოდეს, როგორ ხდება მიღებული ცოდნის პრაქტიკაში განსხვავება და რა გავლენას ახდენს დავის გადაწყვეტის ერთგვაროვანი პრაქტიკა სამართლის განვითარებაზე.¹⁹

სქელტანიანი კანონებისა და მათი კომენტარების გაცნობის პროცესში სამართლის სკოლამ სტუდენტებს უნდა ასწავლოს უმთავრესი – იფიქრონ, როგორც იურისტებმა. აღნიშნული კი, თავის მხრივ, გულისხმობს კონკრეტული სამართლებრივი დებულების ყველა შესაძლო ინტერპრეტაციისა და ფაქტების შეფასების შედეგზე გავლენის გათვალისწინებას.²⁰

იურისტის ინტელექტუალური მუშაობის რთული პროცესი პირობითად რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს:

პირველ ეტაპზე იურისტი ახდენს სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიკაციას. კლიენტისაგან მიღებული მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ინფორმაციიდან მან უნდა გამოარჩიოს სამართლებრივად აქტუალური ფაქტობრივი გარემოებები. იურისტმა უნდა დააზუსტოს კლიენტის ინტერესი.²¹

¹⁷ *Stuckey R., and Others, Best Practices For Legal Education, First Edition, 2007, vii.*

¹⁸ *Sullivan W., Colby A., Wegner J., Bon L., Shulman L., Educating Lawyers, The Carnegie Foundation for The Advancement of Teaching, 2007, 2.*

¹⁹ *Moliterno J., Lederer F., An Introduction to Law, Law Study, and The Lawyer's Role, Second Edition, Carolina Academic Press, 2004, 201.*

²⁰ იქვე, 179.

²¹ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც გამოცდილი ადვოკატიც კი მოგვიანებით იგებს კლიენტის ნამდვილი ინტერესის არსს. აღნიშნულის განხორციელების ალბათობა დიდია მედიაციაში. მედიაცია უზრუნველყოფს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ადამიანები საუბრობენ და უსმენენ ერთმანეთს. შესაბამისად, არა მხოლოდ ადვოკატებმა, არამედ მხარეებმაც კი შეიძლება განსხვავებულად

აღნიშნულ ეტაპზე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იურისტის მიერ ისეთი უნარების ფლობა და ეფექტურად გამოყენება, როგორცაა კომუნიკაცია და ფაქტების შეგროვება. ამასთანავე, აქტუალურია საკუთარი პროფესიული უპირატესობის (განათლება, გამოცდილება, წარმატებული საქმეები, შესაძლოა, აკადემიური ხარისხიც) დემონსტრირება კლიენტის ნდობისა და კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.

ასეთი მიზნების განხორციელებისათვის სამართლის სკოლებში უნდა ისწავლებოდეს ფაქტობრივ გარემოებათა იდენტიფიკაციისა და შეგროვების სტრატეგია. აღნიშნულის ეფექტურად განხორციელება შესაძლებელია როგორც კლინიკურ, ისე არაკლინიკურ სამუშაო ფორმატში, მაგალითად, კაზუსებზე მუშაობის ტექნიკის გამომუშავების პროცესში. თუმცა, ცალსახაა კლინიკის როლი კლიენტთან კომუნიკაციის უნარის განვითარების თვალსაზრისით. იქ, სადაც, „ცოცხალი“ კლიენტების ნაკლებობაა, სასურველია, როლური გათამაშების, ე.წ. სიმულაციის გამოყენება ნამდვილი კლიენტის ჩასანაცვლებლად.²²

მეორე ეტაპზე იურისტი აწარმოებს გამოსაყენებელი სამართლის იდენტიფიკაციას. კერძოდ, ეძებს და იკვლევს, რომელი სამართლებრივი ნორმები მიესადაგება კონკრეტულ საქმეს და რა შედეგის მომტანი იქნება მათი გამოყენება კლიენტისათვის.

აღნიშნულ სტადიაზე საჭიროა იურისტის მიერ სამართლის ნორმის განმარტების უნარის ფლობა და ეფექტური გამოყენება. საერთო სამართლის ქვეყნების პრაქტიკასთან მიხედვით ტენდენციის გათვალისწინებით, ქართულ სამართლის სკოლებში აქტუალური ხდება ერთგვაროვანი პრაქტიკის შემეცნება. სტუდენტები უნდა სწავლობდნენ, როგორ მოიძიონ მათთვის საჭირო საკანონმდებლო დებულებები და სასამართლო გადაწყვეტილებები. სტუდენტები უნდა მიეჩვიონ ნორმატიული მასალის სათანადო ანალიზს. სტუდენტების კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარება სამართლის სკოლის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა და მისი რეალიზაციისათვის არაერთი სასწავლო მეთოდი უნდა გამოიყენებოდეს კომბინირებულად. ასეთი მიზნის მიღწევას ემსახურება, მაგალითად, სამართლის ნორმების კრიტიკული ანალიზი საჯაროდ, ლექციის ან სემინარის ფარგლებში. ასევე ეფექტურია „ჯვარედინი“ როლური გათამაშების ტექნიკის გამოყენება, როდესაც ერთსა და იმავე საქმეზე სტუდენტი სხვადასხვა როლს ასრულებს.

დასკვნით ეტაპზე იურისტი სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმალურ გზებს სახაზს და აცნობს კლიენტს. ამ სტადიაზე მნიშვნელოვანია კლიენტის სრულყოფილი ინფორმირება დავის გადაწყვეტის ალტერნატივების შესახებ.

აღნიშნულ სტადიაზე იურისტს მოეთხოვება საქმის გარემოებების შეფასების შედეგზე გავლენის განსაზღვრის (ანალიზის) უნარის გამოყენება. ეს კი, თავის მხრივ, საჭიროებს საქმის ძლიერი და სუსტი მხარეების ობიექტურად შეფასებას. კლიენტთან კომუნიკაციის ტექნიკა დასკვნით სტადიაზე „საგანმანათლებლო“ სახეს იძენს. იურისტმა მარტივად და გასაგებად უნდა ახსნას, პრობლემის გადაწყვეტის რა ალტერნატივები არსებობს და როგორ შესაძლო შედეგებს უნდა ელოდეს კლიენტი.²³ საბოლოოდ არჩევანს კლიენტი აკეთებს.

სამართლის სკოლები საჭირო დროსა და ყურადღებას უნდა უთმობდნენ დავის გადაწყვეტის ალტერნატივების სწავლებას. სამართლის სკოლებმა თავად უნდა შეარჩიონ დავის გა-

დინახონ საკუთარი ინტერესები. მხარეებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების თვალსაზრისით, მედიაციის მიზნები მიღწეულად ითვლება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქმე მორიგებით არ სრულდება. ასეთ შემთხვევაში, მთავარია, რომ მხარეებს საკუთარი ინტერესების გამოხატვისა და გამორკვევის შესაძლებლობა მიეცათ.

²² მაგალითად, აღნიშნული მიზნის მისაღწევად შესაძლებელია მსახიობის (პროფესიონალის ან სტუდენტის) რესურსის გამოყენება.

²³ ადვოკატის მიერ კლიენტის სრულყოფილი ინფორმირება გარკვეულწილად პრევენციულ ხასიათსაც ატარებს. პროფესიული ვალდებულებების კეთილსინდისიერად შერულების გზით ადვოკატი თავს იცავს კლიენტის „სავარაუდო“ პრეტენზიისგან.

დანყვეტის მექანიზმების სწავლებისას გონივრული ბალანსის კრიტერიუმი. მაგალითად, სასამართლო პროცესის პირველადი შემეცნებისას სასარგებლო იქნება დავის გადანყვეტის სხვა საშუალებების დასახელება.²⁴ ხოლო, თავის მხრივ, ცალკეული საგნის (მაგალითად, სამოქალაქო პროცესის) სწავლება ინტერაქტიულად მოხდება, თუკი სალექციო კომპონენტს შეუერთდება საპროცესო უნარების სწავლების ელემენტი.

ამასთან, იურისტი მოქმედებს იმ ეთიკური ნორმების ჩარჩოში, რაც დადგენილია მისი პროფესიისთვის.²⁵ ამიტომაც პრაქტიკული უნარების გამომუშავების პარალელურად მნიშვნელოვანია, სამართლის სკოლამ საკმარისი ყურადღება დაუთმოს პროფესიული ეთიკის საკითხების სწავლებას.

5. მედიაციის სწავლება სამართლის სკოლაში

უნარებზე დამყარებული სწავლება სამართლის სკოლაში სხვადასხვა ფორმატში შეიძლება განხორციელდეს. აღნიშნული მიიღწევა „ტრადიციულ ლექციაზეც“, უნარების არჩევით სპეცკურსშიც და ყველაზე უკეთესად კლინიკურ პროგრამაში. შეუძლებელია სამართლის სკოლამ სტუდენტებს ყველა პროფესიული უნარი თანაბარი წარმატებით განუვითაროს, მაგრამ ის აუცილებლად უნდა წარმოაჩინდეს პროფესიული უნარების მნიშვნელობას და მაქსიმალურად ამზადებდეს სტუდენტებს არჩეული პროფესიისთვის.²⁶

მედიაციის სწავლებაც სხვადასხვა გზით შეიძლება განხორციელდეს. სწავლების მეთოდების ეფექტური კომბინირებისას მედიაციასთან დაკავშირებული უნარების განვითარება კლინიკურ და არაკლინიკურ კლასებში წარმატებულად მიიღწევა. ამ მხრივ გადამწყვეტია პროფესორის როლი. პედაგოგის მოლოდინი და მოტივაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სტუდენტის სწავლის ხარისხზე. მაღალი, მაგრამ რეალისტური მოლოდინი სტუდენტების წარმატებებში გამოიხატება და პირიქით.²⁷

მედიაციის სასწავლო პროგრამების შემუშავებისას მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს მედიატორის უნარზე ორიენტირებული სწავლება მედიაციაში წარმომადგენლობაზე ორიენტირებული სწავლებისაგან. თავისთავად მედიატორის უნარის განვითარება სამართლის სკოლის პირდაპირ ამოცანას არ შეადგენს. სამართლის სკოლა სტუდენტებს იურიდიული პრაქტიკისათვის ამზადებს. მედიატორის საქმიანობა კი იურიდიულ საქმიანობად არ განიხილება. მაგრამ სასწავლო მიზნებისათვის გასათვალისწინებელია ის უპირატესობებიც, რაც სწორედ სტუდენტის მედიატორად წვრთნას უკავშირდება (მაგალითად, თავისუფალი აზროვნების განვითარება).

საზოგადოებაში მედიაციის შესახებ განათლების გავრცელების თვალსაზრისით სასარგებლო იქნება პრაქტიკული სამართლის²⁸ პროგრამის გამოყენება. სათანადო მომზადების შემთხვევაში სტუდენტის რესურსი ეფექტურად შეიძლება იქნეს გამოყენებული მომხმარებლებში მედიაციის შესახებ სწორი გზავნილების მიწოდებისთვის.

მედიაციასთან დაკავშირებული უნარების განვითარება (როგორც მედიატორის, ისე წარმომადგენლის) ყველაზე უკეთ კლინიკურ ფორმატში მიიღწევა. თანამედროვე პირობებში

²⁴ როგორც, მაგალითად, „ხარისხიანი“ კონსულტირების დროს.

²⁵ *Molitero J., Lederer F., An Introduction to Law, Law Study, and The Lawyer's Role, Second Edition, Carolina Academic Press, 2004, 201.*

²⁶ *Hess G., Friedland S., Schwartz M., Sparrow S., Techniques for Teaching Law 2., 2011, California Academic Press, 203.*

²⁷ *Schwartz M., Sparrow S., Hess G., Teaching Law by Design – Engaging Students from the Syllabus to the Final Exam, 2009, California Academic Press, 14.*

²⁸ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე პრაქტიკული სამართლის კლინიკა 2007 წელს დაარსდა ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივის მხარდაჭერით. ეს იყო ამერიკის იურისტთა ასოციაციის დაფინანსებით საქართველოში ამოქმედებული ერთ-ერთი პირველი კლინიკური პროგრამა, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს.

იურიდიული კლინიკა პროფესიულ უნარებზე ორიენტირებული სწავლების უალტერნატივო ფორმაა,²⁹ რადგან თეორიული და პრაქტიკული სწავლების შერწყმა არსად ისე ეფექტურად არ ხორციელდება, როგორც იურიდიულ კლინიკაში.³⁰

6. კლინიკური იურიდიული განათლების კონცეფცია

დიალოგი პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების მნიშვნელობის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1930-იან წლებში დაიწყო. ამ დიალოგის ნამონწყება და იურიდიული განათლების სფეროში ახალი იდეების განვითარება პროფესორ ჯერომ ფრანკის სახელს უკავშირდება.³¹ ფრანკის ხედვა სამართლის სკოლების მიერ სამედიცინო სკოლების გამოცდილების გაზიარებას ეფუძნებოდა.³² მისი აზრით, სამართლის სკოლის სივრცეში უნდა შექმნილიყო ინსტიტუციონალური რგოლი, რომელიც, სამედიცინო კლინიკების მსგავსად, სტუდენტებს პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას მისცემდა. ჯერომ ფრანკის კონცეფცია, რომელიც დღემდე უცვლელად გამოიყენება იურიდიული კლინიკების მუშაობაში, რამდენიმე ძირითად პრინციპს ემყარება:

- კლინიკა უნდა ჩამოყალიბდეს სამართლის სკოლის ბაზაზე;
- კლინიკის კადრები უნდა იყვნენ „ყოფილი“ პრაქტიკოსები (იურისტები/ადვოკატები), რომელთაც წლების განმავლობაში შეიძინეს კლიენტთან ურთიერთობისა და მათ საქმეებზე მუშაობის საკმარისი გამოცდილება;
- სტუდენტებს უნდა ჰყავდეთ ზედამხედველები, რომლებიც კლიენტთან მათი ურთიერთობის ინტენსიურ დაკვირვებასა და შეფასებას განახორცილებენ;
- კლინიკის სტუდენტებმა შესაძლოა გასწიონ უფასო იურიდიული მომსახურებაც კლინიკის კლიენტებით უზრუნველყოფისა და პროფესიულ ღირებულებათა შეთვისების მიზნით.³³

ჯერომ ფრანკის იდეებმა იურიდიული განათლების სრულყოფის შესახებ შემდგომი განვითარება 1992 წლის ე.წ. „მაკრეიტის ანგარიში“³⁴ პოვა. 1989 წელს ამერიკის იურისტთა ასოციაციის ინიციატივით მომზადდა კვლევა აშშ-ის სამართლის სკოლებში პროფესიული უნარების სწავლების შესამოწმებლად. კვლევას ხელმძღვანელობდა რობერტ მაკრეიტი,³⁵ რის გამოც კვლევის შედეგად მომზადებულ ანგარიშს ხშირად მისი სახელით მოიხსენიებენ. აღნიშნულმა კვლევამ ცხადყო, რომ აშშ-ში სამართლის სკოლების უმთავრეს ამოცანად პროფესიული უნარებისა და ღირებულებების სწავლება უნდა ქცეულიყო.³⁶

მეოცე საუკუნის დასასრულს ამერიკის სამართლის სკოლებში დაინერგა სწავლების ახალი, პრაქტიკულ უნარებზე ორიენტირებული, მეთოდები. ასეთი წინსვლა კლინიკური იურიდიული განათლების კონცეფციას დაუკავშირდა.³⁷

²⁹ *Chavkin D.*, *Clinical Legal Education, A Textbook for Law School Clinical Programs*, Anderson Publishing Co. Cincinnati, Ohio, 2002, 15.

³⁰ *Shalleck A.*, *Clinical Contexts: Theory and Practice in Law and Supervision*, 21 N.Y.U. Rev. L. & Soc. Change, Vol. 21:1, 109-82 (1993-1994), 29; Edited *Hurder A., Bloch F., Brooks S., Kay S.*, *Clinical Anthology Readings for Live-Client Clinics*, Anderson Publishing Co. Cincinnati, Ohio, 1997.

³¹ Ed. *Hurder A., Bloch F., Brooks S., Kay S.*, *Clinical Anthology Readings for Live-Client Clinics*, Anderson Publishing Co. Cincinnati, Ohio, 1997, 1.

³² *Frank J.*, *Why not a Clinical Lawyer-School?*, 81 U. PA. L. Rev. 907 (1933), 3; Edited by *Hurder A., Bloch F., Brooks S., Kay S.*, *Clinical Anthology Readings for Live-Client Clinics*, Anderson Publishing Co. Cincinnati, Ohio, 1997.

³³ იქვე, 4.

³⁴ MacCrate Task Force Report, 1992.

³⁵ 1987-88 წლებში ამერიკის იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი, იურიდიულ ფორმა Sullivan & Cromwell-ის უფროსი ადვოკატი, ამერიკის იურისტთა ასოციაციის საპატიო წევრად მფლობელი.

³⁶ *Chavkin D.*, *Clinical Legal Education, A Textbook for Law School Clinical Programs*, Anderson Publishing Co. Cincinnati, Ohio, 2002, 2-3.

³⁷ *Amsterdam A.*, *Clinical Legal Education – A 21st Century Perspective*, 34 J. Legal Educ. 612 (1984),9; Edited by *Hurder A., Bloch F., Brooks S., Kay S.*, *Clinical Anthology Readings for Live-Client Clinics*, Anderson Publishing Co. Cincinnati, Ohio, 1997.

იურიდიული კლინიკა თავისი არსით სამართლის სკოლის ბაზაზე მოქმედი „იურიდიული ფირმაა“, რომელიც გარკვეული სოციალური ჯგუფის სასარგებლოდ და სამართლის პროფესორის ზედამხედველობით იურიდიულ მომსახურებას ეწევა.

იურიდიულ კლინიკაში ზედამხედველობას ახორციელებს სამართლის პროფესორი, რომელიც პრაქტიკოს ადვოკატად მუშაობის საკმარის გამოცდილებას ფლობს. ზედამხედველობა გამოიხატება კლინიკის სტუდენტების მიერ კლიენტებისათვის იურიდიული მომსახურების განწევის პროცესის უწყვეტ დაკვირვებასა და მართვაში. სამართლის პროფესორის ზედამხედველობის ფაქტორი განაპირობებს როგორც განუყოფელი იურიდიული მომსახურების, ისე სტუდენტებისათვის სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას.

„ცოცხალ“ კლიენტებთან მუშაობის პარალელურად, სოციალურად დაუცველი ფენებისათვის იურიდიული მომსახურების განწევის პროცესში სტუდენტები შეითვისებენ პროფესიულ ღირებულებებს. უფასო იურიდიული მომსახურების განწევა – პროფესიული ღირებულებების ფორმირების გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია.³⁸

7. მედიაციის კლინიკის დაფუძნებასთან დაკავშირებული საკითხები

მედიაციის კლინიკის დაარსებისას გასათვალისწინებელია ქართული სინამდვილისთვის დამახასიათებელი არაერთი ფაქტორი, რაც, ზოგადად, კლინიკური იურიდიული განათლების პრობლემებს უკავშირდება.

პირველი და უმთავრესია კლინიკური კომპონენტის ადგილის განსაზღვრა სასწავლო პროგრამაში (საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში). სასამართლოში მხარის წარმომადგენლად ჩართვისათვის საქართველოს კანონმდებლობა განათლების შესაბამის საფეხურთან დაკავშირებულ მოთხოვნას არ ითვალისწინებს. აღნიშნულის წინაპირობად ადვოკატის ლიცენზირებაა გათვალისწინებული. ასეთ პირობებში სავსებით დასაშვებია, სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამის დამთავრების შემდეგ „სტუდენტი“ მხარის წარმომადგენელი ჩაერთოს სასამართლო პროცესში.³⁹ ასეთი პრაქტიკა თავისთავად განაპირობებს კლინიკური პროგრამების ინტეგრირების აუცილებლობას საბაკალავრო პროგრამაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი კლინიკური კომპონენტი მხოლოდ სამაგისტრო პროგრამაში იქნება შეთავაზებული, ფაქტობრივად, სტუდენტები საჭირო მომზადების გარეშე დარჩებიან: ისე დაასრულებენ სასწავლო პროცესს სამართლის სკოლაში, რომ არ ექნებათ საქმეზე მუშაობის ცოდნა და გამოცდილება.

კლინიკური სასწავლო კომპონენტის ინტეგრირება საბაკალავრო პროგრამაში მით უფრო აუცილებელია, თუ სამართლის სკოლას ცალკე სასწავლო კურსებად არ აქვს გათვალისწინებული ისეთი სასწავლო კურსები, როგორცაა, მაგალითად, იურიდიული ეთიკა, იურიდიული მართლწერა ან სხვ. ასეთ პირობებში იურიდიული კლინიკა შესაძლოა ერთადერთი წყარო აღმოჩნდეს სტუდენტებისათვის აღნიშნული საკითხების შესასწავლად. თავის მხრივ, დასახელებული სასწავლო კურსების არსებობის პირობებში გონივრული თანაფარდობის განსაზღვრაა საჭირო კლინიკურ და არაკლინიკურ პროგრამებში ინტეგრირებულ საკითხებს შორის. სამართლის სკოლამ უნდა უზრუნველყოს, რომ ასეთ დროს სასწავლო საკითხები და მასალა არ განმეორდეს.

მეორე საკითხი კლინიკის ფორმის განსაზღვრას უკავშირდება. განასხვავებენ ე.წ. „შიდა“ და „გარე“ კლინიკებს, რომლებიც სამართლის სკოლისგან სივრცობრივად მოწყვეტილია.

პირველ შემთხვევაში კლინიკის ადმინისტრირება უფრო მარტივად და ეფექტურად შეიძლება განხორციელდეს. სამართლის სკოლის პროფესურა ადგილზევე აწარმოებს სასწავლო

³⁸ Stuckey R, and Others, Best Practices for Legal Education, First Edition, 2007, 190.

³⁹ იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31.12.1997), მუხლი 440. შეად. საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“ (20/06/2001), მუხლი 11; შეად. ასევე საქართველოს კანონი „უმადლეის განათლების შესახებ“ (21/12/2004), მუხლი 46 (2-„ა“).

პროცესის მონიტორინგს. შესაბამისად, შედარებით სწრაფად ხდება როგორც სწავლების პროცესში გამოკვეთილი პრობლემების იდენტიფიკაცია, ისე მათი აღმოფხვრა და პროცესის მსვლელობის გაუმჯობესება. სამაგიეროდ, „შიდა“ კლინიკა ყოველთვის დგას კლიენტების მიზიდვის პრობლემის წინაშე. ასეთ პირობებში რთულია რომელიმე იურიდიული ფირმის ან არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლობაზე დათანხმება, რადგან ისინი თავად ეწვეიან უფასო იურიდიულ მომსახურებას.⁴⁰

„გარე“ კლინიკა მდიდარია კლიენტებით, მაგრამ მონყვეტილია სამართლის სკოლას. ეფექტური ზედამხედველობის განხორციელების მიზნით სტუდენტის საქმიანობა ადგილზე უნდა მართოს პროფესიონალმა, რომელიც კლინიკურ პროფესორთან ინტენსიურ კავშირში იქნება. კრედიტის მინიჭება სწორედ კლინიკური პროფესორის უფლებამოსილებაა. შესაბამისად, მას საკმარისი საფუძველი უნდა ჰქონდეს სტუდენტის შესაფასებლად.

სასწავლო მიზნებისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით სამართლის სკოლაში მედიაციის კლინიკა სხვადასხვა ფორმით შეიძლება ამუშავდეს. სასწავლო მიზნის განსაზღვრის შედეგად კლინიკის აქცენტი შეიძლება გაკეთდეს მედიაციაში მხარის წარმომადგენლობის, მედიატორის ან ამ ორივე უნარის ერთდროულად განვითარებაზე. რესურსების გადახედვა მოიცავს როგორც ადამიანური, ისე ტექნიკური, სამართლის სკოლაში არსებული ურთიერთობებისა თუ პარტნიორების რესურსის გათვალისწინებას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მედიაციის კლინიკის რამდენიმე მოდელი შეიძლება განიხილებოდეს:

„შიდა“ მედიაციის კლინიკა: იმ სამართლის სკოლებში, სადაც „შიდა“ კლინიკების მართვის გამოცდილება არსებობს, მარტივად შეიძლება აქცენტის შეცვლა, „ტრადიციული წარმომადგენლობის“ ნაცვლად, მედიაციაში წარმომადგენლობის უნარის განვითარების კუთხით. ისეთ გარემოში, რომელიც კლიენტთა უწყვეტი ნაკადით მარაგდება, კლინიკურ პროფესორს აქვს ფუფუნება, მარკეტინგისა და PR აქტივობებით დაკავების ნაცვლად, მთელი დრო სტუდენტთა უნარებზე მუშაობას დაუთმოს.

იმ სამართლის სკოლებში, სადაც „შიდა“ კლინიკური პროგრამების მართვის მწირი პრაქტიკაა, ან ასეთი საერთოდ არ არსებობს, გონივრულია თავდაპირველი სახით სიმულაციებზე დაფუძნებული შიდა კლინიკური პროგრამის ამუშავება. მდიდარი სასწავლო ღირებულების გამო სიმულაციებს ხშირად „ცოცხალი“ კლიენტების კლინიკაშიც იყენებენ. სიმულაციის პროცესში შეიძლება მრავალფეროვანი ადამიანური რესურსის გამოყენება. მაგალითად: სტუდენტის, პროფესორის, მსახიობის, უნივერსიტეტის კადრების და ა.შ.

თანამედროვე პირობებში მედიაცია, როგორც ცალკე სასწავლო კურსი, უმრავლეს სამართლის სკოლაში არ ისწავლება. ასეთ პირობებში უპრიანია, მედიაციის კლინიკაში დაშვების წინაპირობად გათვალისწინებულ იქნეს და სტუდენტებს შეეთავაზოს იურისტის პროფესიული უნარების ზოგადი კურსი ან მედიაციის სპეცკურსი. ამგვარად, უზრუნველყოფილი იქნება მედიაციის კლინიკაში დაშვებული სტუდენტების სათანადო მომზადება პრაქტიკული დავალებების შესასრულებლად.

⁴⁰ აღნიშნულის გათვალისწინებით უპრიანია იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რომლებიც თავად არ ეწვეიან უფასო იურიდიულ დახმარებას და მხოლოდ სხვა ტიპის, მაგალითად, ფსიქოლოგის კონსულტაციით შემოიფარგლებიან. ასეთი გაცვლა იურიდიულ კლინიკასა და არასამთავრობო ორგანიზაციას შორის დაემყარება თანამშრომლობისა და არა კონკურენციის პრინციპს.

8. დასკვნა

ლიბერალურ, ზოგად განათლებასა და ტექნიკურ, პროფესიულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ სწავლებას შორის გონივრული თანაფარდობის⁴¹ განსაზღვრისას სამართლის სკოლები საკუთარ სტრატეგიას ირჩევენ. მაგრამ, გასათვალისწინებელია ის მინიმალური მოთხოვნები, რომლებიც ყველა სამართლის სკოლამ უპირობოდ უნდა დააკმაყოფილოს. სამართლის სკოლა სტუდენტზე უნდა იყოს ორიენტირებული. სტუდენტის ინტერესი კი იურიდიული პრაქტიკის მოთხოვნებისადმი მზადყოფნაა.⁴² ამასთან, სტუდენტების მოთხოვნილებები და მოტივაცია სამართლის სკოლაში მათი პროგრესირების კვალდაკვალ იზრდება.⁴³

სამართლის სკოლის პროგრამაში მედიაციის სასწავლო კურსების ინტეგრირება უკეთეს მომზადებას ნიშნავს იურიდიულ პროფესიაში წარმატების მისაღწევად. კონფლიქტის მოგვარების ხელოვნების დაუფლებით სტუდენტები გაიფართოებენ პრობლემის ცალმხრივად ხედვის თვალსაწიერს და სხვადასხვა ტიპის წინააღმდეგობას შემზადებული შეხვედებიან პროფესიულ ასპარეზზე.

⁴¹ *Stuckey R., and Others, Best Practices For Legal Education, First Edition, 2007, 4.*

⁴² *Hess G., Friedland S., Schwartz M., Sparrow S., Techniques for Teaching Law 2., 2011, California Academic Press, 204.*

⁴³ *Schwartz M., Sparrow S., Hess G., Teaching Law by Design – Engaging Students from the Syllabus to the Final Exam, 2009, California Academic Press, 66.*

INTEGRATING MEDIATION IN A LAW SCHOOL CURRICULUM

1. Introduction

Recent discussions around mediation have become popular among lawyers. On the one hand such an increased interest towards mediation is stipulated by changes made to the Civil Procedure Code of Georgia.¹ According to the amendments, court annexed mediation has been introduced and several types of cases are initially required to undergo mediation. On the other hand, mediation, as an alternative dispute resolution mode, had been in use outside the court system for a while. But initiated changes within the Code after all highlighted the importance and advantages of mediation in dispute resolution process.

It is hardly predictable what role will mediation play in the legal system of Georgia and whether it will become an integral part of lawyers' professional culture. It is essential to launch various projects for the implementation of new regulations. Educating people is the most important objective whether this is training for legal professionals involved in the process or educating society through sending correct messages to consumers.²

The article addresses the issues of teaching mediation in law school. The problem is being discussed in parallel with defining the goals of legal education and the scope of legal profession.

2. Mediation as a Mode of Dispute Resolution

Mediation is an effective and innovative mode of dispute resolution. It provides conflicting parties with the opportunity of involving the third neutral party in the process. Increased communication is aimed at achieving agreement between parties.³ The first and most important characteristic of mediation is “empowering” parties with the decision-making authority, meaning that parties are “content experts” and the mediator is a “process” expert. The mediator uses multiple methods of facilitation to lead the negotiation between parties to the final agreement.

Mediation requires an innovative approach. Lawyers have to acknowledge the value of mediation and not limit themselves in generating options for solution. When lawyers demonstrate the lack of flexibility (“lateral thinking” skills), it becomes a job of a mediator to get them think without using threats

* Special thanks to my teacher - Professor Richard L. Roe, who truly “empowered” me as a student and inspired my teaching forever.

The article is based on a Clinical Legal Education Research conducted by the author at the University of Washington (Seattle, USA) in 2009-2010. Research was supported by the Carnegie Research Fellowship Program, which is administered by the National Council for Eurasian and East European Research (NCEEER). The opinions expressed herein belong to the author and do not necessarily express the views of either the Carnegie Corporation of New York or NCEEER.

¹ See Civil Procedure Code of Georgia, Chapter XXI “Court Annexed Mediation”.

² Currently several institutions operate in Georgia that have been labeled as mediation but significantly differ from it. One of the examples is Medical Mediation Agency affiliated with the Ministry of Labor, Health and Social Affairs. The Agency serves at the same time as a regulatory and as a dispute resolution authority for disputes arising in a medical field. (See the 28/12/2011 package of changes - #5665 – Regarding amendments in various laws of Georgia). Studying issues of compliance of Medical Mediation with the principles of mediation is not a purpose of this article, but rather the object of further research. However, it is worth mentioning that improper awareness about mediation in consumers may negatively impact their expectations.

³ Uniform Mediation Act, Section 2 (1).

and predictions. Mediator as a steer-holder of the process leads parties from stuck positions to the underlying interests.⁴ This is being achieved at different levels: in caucus as well as in joint session.

Lawyers play different roles in Mediation. Basically a lawyer engages in the process as a party representative. But it is also common when lawyers serve as mediators. However, there are several advantages and disadvantages attached to both of these cases that differently affect the process.

The lawyer engaged in mediation must have developed thorough awareness about mediation – process and content. The lawyer has to inform the client about the alternatives of dispute resolution. Quality counseling means not only informing the client about the mediation but also explaining the advantages of the process. Evaluation of dispute resolution alternatives has to be conducted in the best interests of the client.⁵ The rules of professional ethic also play an important role during client “persuasion.”⁶

Lawyer representation is a benefit for a client. When using a lawyer’s legal service, a client is in the best position to achieve his/her goals rather than strive alone for this. On the other hand, lawyer representation may contain certain threats to the quality of the process. Traditionally lawyers are used to represent their clients in courts. That is why, they have better (or only) skills for the adversarial modes of dispute resolution. Although mediation is facilitated by the mediator, the correct approach of lawyer-representatives is also essential. Therefore, it is important for lawyers to prepare their clients, as well as themselves, for a “non-traditional” dispute resolution. In mediation lawyers have to transform to the format of intensive cooperation and constructive dialogue with the opposing party.

Serving as a mediator is extremely innovative for lawyers. Lawyers tend to develop a single-sided focus in case assessment as they strive for achieving the goals of their clients only. Acting in the best interest of a client is a key determiner of the essence of lawyer-client fiduciary relationship. In this process lawyers constantly manipulate with the strengths⁷ of a case and nicely wrap the weaknesses (. Lawyer-mediator has not only to stop using that single-sided approach towards the case, but also s/he has to give up the authority of decision-making. It may be easier for an attorney to transmit to the position of judge rather than a mediator. Despite the single-sided focus in case assessment lawyers evaluate the case from different perspectives. It is almost impossible to identify the client’s strengths and weaknesses without evaluating the same on the opposing party’s side. This is why a judge (former attorney) easily transmits from a “single-sided view” to a “both perspective view.”

Serving as a mediator requires not only a transition but an absolute change of using professional skills. The lawyer-mediator faces a difficulty of getting used to the “passive role” in dispute resolution process as s/he is neither a representative of a party, nor a decision-maker. Decision-making itself is a core legal skill.⁸ For excellence in facilitation lawyer-mediator has to repress the decision-making skill and develop a psychological approach.

It is important to identify the parties’ expectations from mediation. Legal systems with the dominant role of courts have been established on a right-wrong/win-lose paradigm. That is being advertised in sports, media.⁹ The conflict itself is a negative accident and parties respond to it accordingly: they either avoid conflicts or engage in an adversarial mode of its resolution.¹⁰ And the consumer’s expectation from the legal system is tailored to that exact concept. Clients expect their lawyers to be “barking dogs.” And this is where lawyers have to explain to their clients that acting in their best interests does not necessarily require or mean “barking.”

⁴ Fisher R., Ury W., *Getting to Yes – Negotiating Agreement Without Giving*. In: 1992, Penguin Books, 151.

⁵ Garner B., (Editor), *Black’s Law Dictionary*, Eighth Edition, Thomson West, 2004, 1315.

⁶ The Code of Professional Ethics for Georgian Bar, Article 3; Article 5.

⁷ Fisher R., Ury W., *Getting to Yes – Negotiating Agreement Without Giving* In, 1992, Penguin Books , 23.

⁸ Blasi G., *What Lawyers Know: Lawyering Expertise, Cognitive Science, and the Functions of Theory*, 45 J. Legal Educ. 313 (1995), 44; Edited by Hurder A., Bloch F., Brooks S., Kay S., *Clinical Anthology Readings For Live-Client Clinics*, Anderson Publishing Co. Cincinnati, Ohio, 1997.

⁹ Kovach K., *Mediation in a Nutshell*, 2nd Edition, West, 2010, 4.

¹⁰ Id., 3.

3. The Essence of Lawyering

Legal profession belongs to those professions the usage of which has a direct impact on people's lives.¹¹ This is why moral requirements have increased the importance in lawyering.¹²

The requirements towards legal professionals are conditioned by the scope of the profession. Lawyer-client relationship itself is a fiduciary relationship¹³ in which an inexperienced client relies on the competence and education of a lawyer. Legal profession is a regulated profession. Lawyers get licensed before they practice law.¹⁴

In 1980, in the United States, Carrie Menkel-Meadow asked a rhetorical question: What does lawyering mean? The author attempted to answer this complicated question and suggested considering the following criteria: First and foremost, what distinguishes the legal profession from other professions is the necessity of decision-making. Along with this, a lawyer is an "advisor, fact developer, advocate, friend, investigator, and organizer."¹⁵

The debate over the scope of lawyering in the US narrowed the long list of professional skills to the fundamental principle of lawyering. No matter who the client is and what possible modes of dispute resolution are available in a particular place or time, a lawyer's job is to provide an effective and favorable problem-solving for a client.¹⁶

While dealing with a client's legal problem, a lawyer has to demonstrate an effective use of multiple professional skills. These are particularly: fast, critical and analytical thinking; using the right strategies in client communication; accurate assessment of possible alternatives to dispute resolution; applying the principles of collegiality, professional ethics and confidentiality protection and so forth.

The list of a lawyer's professional skills cannot be comprehensive or perfect. It is impossible to exactly determine those activities that lawyers conduct when dealing with different disputes in a rapidly changing time. Besides, lawyers need to possess some of the "non-lawyering" skills that are also important for other professionals. For example, when developing trial skills, law schools pay considerable attention to teaching presentation (with different focuses on speech and body language) skills, or those skills which are essential for TV or Radio journalists, teachers and other professionals. Bearing the risk of the outcome in a client's case management reflects similarities with the activities that doctors perform when managing the treatment of a patient. We can still identify those specific skills which are particularly characteristic of a legal professional only, e.g. legal interpretation skills.

4. The Mission of Law School

Quality oriented legal education means preparing students in accordance with the needs of labor market. For this purpose law schools must have clearly identified teaching goals and teaching techniques. The goals of legal education need to be determined in close cooperation with legal practitioners. A rich dialogue between law professors and legal professionals is a precondition for improving teaching programs.

¹¹ The Issues of Lawyer's Professional Ethics in Georgia, Teaching Materials, American Bar Association Rule of Law Initiative, 2009, 9.

¹² Id., 10.

¹³ *Garner B.*, (Editor), *Black's Law Dictionary*, Eighth Edition, Thomson West, 2004, 658.

¹⁴ *Moliterno J., Lederer F.*, *An Introduction to Law, Law Study, and the Lawyer's Role*, Second Edition, Carolina Academic Press, 2004, 26.

¹⁵ *Blasi G.*, What Lawyers Know: Lawyering Expertise, Cognitive Science, and the Functions of Theory, 45 *J. Legal Educ.* 313 (1995), 44; Edited by *Hurder A., Bloch F., Brooks S., Kay S.*, *Clinical Anthology Readings for Live-Client Clinics*, Anderson Publishing Co. Cincinnati, Ohio, 1997.

¹⁶ Id., 44.

The interest towards the legal profession has increased in Georgia. In terms of a wild competition among professionals, the demands of the market need to be considered. Law schools are initially facing a big challenge as they undertake the obligation to prepare students for the legal profession.

As scholars conclude, "The skills and values of competent and responsible lawyers are developed along a continuum that neither begins nor ends in law school, but starts before law school, reaches its most formative and intensive stage during the law school experience, and continues throughout the lawyer's professional career."¹⁷ However, the role of law school is significantly important in professional training of lawyers, as "it forms minds and shapes identities".¹⁸

In response to market demands teaching in law schools has lately been focused more on a skills-based approach. Skills-based teaching itself needs to be accurately evaluated: it does not avoid but rather assists teaching substantive law. This is why teachers agree that "law school years are aimed to assist students in developing their minds and skills, to teach them how to use their knowledge and powers to better understand the way theory becomes practice and practice may corrupt theory."¹⁹

When introducing thick statutes and their commentaries to students, teachers should remember to teach the basics – think like a lawyer concept. This means developing the skills of legal interpretation and assessment of facts and their outcomes.²⁰

The complex process of a lawyer's work can roughly be broken into several stages:

On the first stage a lawyer identifies the legal problem. S/he sorts the information received from the client in various categories and draws legally relevant facts from it. At this stage the lawyer identifies what a client's interest is.²¹

On this stage the lawyer has to demonstrate excellent communication and information (fact) gathering skills. Building trust in a client must be started from the very beginning. Responsible conduct and correct attitude, impartiality and humanity play an important role on this stage.

On the second stage a lawyer identifies the rules applicable for the case and the outcome of their application. The need of demonstrating effective legal interpretation skill arises at this stage. In terms of narrowing the differences between common law and continental law attitudes court decisions gained significant importance in law schools. Students need to learn how to research necessary statutes and court decisions as well as develop skills of legal interpretation. Critical and analytical thinking in students may be established in multiple ways; e.g. lectures and group seminars can be used for discussions around particular provisions of law. "Cross role-plays" when students shift their roles are also effective in that regard.

At the last stage the lawyer assesses the alternatives of dispute resolution and educates the client about advantages and disadvantages of each of them. At this time the lawyer needs to accurately evaluate strong and weak sides of the case. The lawyer's communication with a client transforms in an educational format. The lawyer explains what the client may expect from different modes of resolution.²² The client is the one who makes the choice.

Law schools should pay more attention to teaching ADR. Considerable balance needs to be maintained when teaching dispute resolution techniques. For example, when introducing a trial concept to

¹⁷ *Stuckey R., and Others*, Best Practices for Legal Education, First Edition, 2007, vii.

¹⁸ *William M. Sullivan, Anne Colby, Judith Welch Wegner, Lloyd Bond, Lee S. Shulman*, *Educating Lawyers*, The Carnegie Foundation for the Advancement of Teaching, 2007, 2.

¹⁹ *Id.*, 201.

²⁰ *Id.*, 179.

²¹ But it is also true that even well prepared lawyers may face situations when they learn clients' "real interests" later; e.g. this may certainly happen in mediation. One of the core values of mediation is creating a "unique" environment for people to feel asked and listened so that not only lawyers but even clients themselves learn their "real interests" differently. Even if disputing parties do not settle the case, the goals of mediation as a "communication facility" are met. Mediation still let them reveal their underlying motivations.

²² Quality counseling not only reflects the lawyer's professionalism but also serves a preventive function for lawyers, protecting them from "future" claims of their clients.

students ADR modes may also be nominated.²³ This will at least expand their view of dispute resolution and let them identify differences among them. When leading a litigation course, skills-based trial elements can be attached to it. This way theory and practice will move along hand in hand.

Along with all the above said, lawyers should perform their services within the boundaries of ethical standards set specifically for legal profession.²⁴ That is why, it is important to develop skills but also develop professional values, such as ethics.

5. Teaching Mediation in Law School

Skills-based learning can be implemented in law schools in various formats. This may be achieved through lectures, specific elective courses and, best of all, clinics. It is impossible to develop all the necessary skills on equal levels, but law schools must at least emphasize the need for developing those professional skills and prepare students for legal practice.²⁵

Mediation can be taught in different ways. When teaching techniques are combined properly, teaching of mediation may be successful in clinical and non-clinical classes. The role of a teacher is decisive. The motivation and expectation of teachers impact the quality of teaching. High, but realistic expectations of teachers are reflected in a student's progress and vice versa.²⁶

Designing mediation courses requires distinguishing the focus between the skills of a mediator and those of a lawyer-representative. Initially law schools are not interested in developing the skills of a mediator. Mediator's services are not considered as legal practice and law schools prepare their students for legal practice. But in terms of developing lateral thinking using that focus in teaching might be reasonable.

For consumer education purposes student resources can be effectively used through sending correct messages about mediation to society. Street Law Clinics may certainly serve this goal.²⁷

Skills necessary for mediation (both of a lawyer and a mediator) can be best developed in a clinical setting. Perhaps teachers debate less over the fact that "there are many things that students can only learn in a clinical environment and other things that students can learn so much better in a clinical setting"²⁸ because "nowhere is the intersection of legal theory and legal practice more intense than in supervising students."²⁹

6. The Concept of Clinical Legal Education

The dialogue about the importance of skills-based teaching in the US started in the 1930-ies. This stage and the following movement in American Legal Education is related to the name of Professor Jerome Frank.³⁰ His vision was based on utilizing the teaching example of medical schools in law schools.³¹ Frank

²³ Like in a "quality counseling".

²⁴ *Moliterno J., Lederer F.*, An Introduction to Law, Law Study, and the Lawyer's Role, Second Edition, Carolina Academic Press, 2004, 201.

²⁵ *Hess G., Friedland S., Schwartz M., Sparrow S.*, Techniques for Teaching Law 2., 2011, California Academic Press, 203.

²⁶ *Schwartz M., Sparrow S., Hess G.*, Teaching Law by Design – Engaging Students from the Syllabus to the Final Exam, California Academic Press, 2009, 14.

²⁷ Tbilisi State University Street Law Clinic was established in 2007 with the help of American Bar Association Rule of Law Program. This was one of the first clinical programs that ABA funded in Georgia.

²⁸ *Chavkin D.*, *Clinical Legal Education*, A Textbook For Law School Clinical Programs, Anderson Publishing Co. Cincinnati, Ohio, 2002, 15.

²⁹ *Shalleck A.*, Clinical Contexts: Theory and Practice in Law and Supervision, 21 N.Y.U. Rev. L. & Soc. Change, Vol. 21:1, p 109-82 (1993-1994), 29; Edited *Hurder A., Bloch F., Brooks S., Kay S.*, Clinical Anthology Readings for Live-Client Clinics, Anderson Publishing Co. Cincinnati, Ohio, 1997.

³⁰ Ed. by *Hurder A., Bloch F., Brooks S., Kay S.*, Clinical Anthology Readings for Live-Client Clinics, Anderson Publishing Co. Cincinnati, Ohio, 1997, 1.

suggested creating a space in a law school where students could gain practical experience. Frank's concept of legal clinic widely used in contemporary legal pedagogy was based on several principles:

- Legal clinic must be established on the base of Law School;
- Clinical faculty has to be composed of legal professionals (former practitioners) having enough experience with clients and cases;
- Students must provide legal consultations to the clients under the intensive supervision of clinical professors who will be assessing them in the end;
- Students may provide pro bono legal services in order to provide client flow and develop professional values as well.³²

Frank's ideas on improving American legal education were reflected in 1992 MacCrate Report.³³ American Bar Association initiated assessment of skills-based learning in American Law Schools. The assessment process was chaired by Robert MacCrate³⁴ and, therefore, the report is known by his name. The assessment proved the need for skills-based learning in American Law Schools.³⁵

By the end of the twentieth century new teaching techniques were introduced in American Law Schools. Such progress was related to the establishment of clinical legal education.³⁶

Legal clinic is a "semi-law firm" in a law school which operates under the supervision of clinical professor and for the service of various social groups (mostly under-represented clients).

Supervision in a legal clinic is conducted by a clinical professor (former practitioner) who has enough experience in lawyering. Supervision involves intensive management and monitoring of a student's performance. Formative assessment gains increased importance in clinical teaching. Supervision is a guarantee for the quality of both - teaching and services provided in a clinical setting.

When serving under-represented clients, students will develop their professional values. Pro bono legal aid is an integral part of a lawyer's professional values.³⁷

7. Issues Related to the Foundation of Mediation Clinic

The foundation of a Mediation Clinic is related to various problems in the Georgian reality that are crucial in clinical legal education.

The first and the most important question is the determination of the right place (Bachelor's or Master's Program) for a clinical program in a law school curriculum. According to the Georgian legislation graduates from a Bachelor's program may be involved in litigation. The precondition for legal representation is licensing. Law does not specify the level of education required for representation.³⁸ In these terms it can be said that law schools having their clinical components included in a Master's program

³¹ *Frank J.*, Why Not a Clinical Lawyer-School?, 81 U. PA. L. Rev. 907 (1933), 3; Edited by *Hurder A., Bloch F., Brooks S., Kay S.*, Clinical Anthology Readings for Live-Client Clinics, Anderson Publishing Co. Cincinnati, Ohio, 1997.

³² *Id.*, 4.

³³ MacCrate Task Force Report, 1992.

³⁴ Senior counsel with the law firm of Sullivan & Cromwell, an ABA Medal of Honor recipient, and the ABA President in 1987-88.

³⁵ *Chavkin D.*, Clinical Legal Education, A Textbook for Law School Clinical Programs, Anderson Publishing Co. Cincinnati, Ohio, 2002, p 2-3.

³⁶ *Amsterdam A.*, Clinical Legal Education – A 21st Century Perspective, 34 J. Legal Educ. 612 (1984), 9; Edited by *Hurder A., Bloch F., Brooks S., Kay S.*, Clinical Anthology Readings for Live-Client Clinics, Anderson Publishing Co. Cincinnati, Ohio, 1997.

³⁷ *Stuckey R., and Others*, Best Practices for Legal Education, First Edition, 2007, 190.

³⁸ See the Civil Procedure Code of Georgia, (Parliament Periodicals: 47-48, 31.12.1997), Article 440; compare with the Georgian Law on Advocates (20/06/2001), Article 11; compare also with the Georgian Law on Higher Education (21/12/2004), Article 46 (2-a).

may fail to prepare law students for legal profession. Students will graduate from a Bachelor's program without even being aware of a concept of a client and practical application of law.

Therefore, the need of incorporating clinical components in a Bachelor's program is vital. It becomes more essential in those law schools where some of the skills-based teaching courses are not introduced (e.g. legal writing, professional ethics and so forth). In these cases clinic will serve double goals of sharpening skills and delivering substantive knowledge. But in settings where law school curriculum contains those stand-alone skills-based courses and has a clinic at the same time, the law school must ensure teaching the same subjects on different levels.

The second important issue is choosing the right design for a clinic. Legal clinics are often distinguished as in-house clinics and externship models of experiential learning.

In-house clinic is easily manageable as it is based on a law school. Clinical professors monitor the learning process in a law school. Therefore, they quicker identify the need for changes and rapidly fill the gaps to improve the teaching process. On the other hand, in-house clinical programs face the challenge of attracting clients. There is a lack of will in law firms³⁹ to collaborate with law schools as well as in local NGOs⁴⁰ most of which conduct pro bono legal services themselves.

Internships are rich in clients but less effective in supervising. Externships require an intensive exchange of feedback between a legal practitioner and a clinical professor, as well as the exchange between students and a clinical professor. It is a challenging moment when a clinical professor has to award a credit but is not really able to conduct formative assessment.

Mediation Clinics can be set in various formats depending on teaching goals and resources available in law school. Looking at teaching goals means identifying the focus of a teacher: whether it is developing a skill of a mediator, a skill of representation in mediation, or both. Looking at the available resources means learning all types of resources that a law school has: human, technical, communication, partnership and so forth.

Considering all the above said, several types of mediation clinics can be adopted:

In-house mediation clinic: law schools having experience in running in-house clinical programs can easily transform their scope from "traditional representation" to "representation in mediation." When there is a sustainable flow of clients, clinical professors will have luxury to spend more time on skills training rather than marketing and PR.

However, in those law schools where there is poor or no experience in clinical management, simulation-based clinical setting will best suit the starting level of such management. Due to their rich teaching values, simulations are frequently used even in live-client clinics. When simulating, various resources can be used for role-plays: students, faculty, actors, campus and so forth.

Mediation as a stand-alone course is not yet integrated in most of the law school curriculums. Therefore, it will be helpful to let students gain substantive knowledge prior to their involvement in a clinical setting. This goal may be accomplished by adopting a general Lawyering Skills Course or a stand-alone mediation course and set a requirement for students to pass it before involving in a clinic. This will guarantee the level of preparation of students.

³⁹ See the Civil Procedure Code of Georgia, (Parlament Periodics: 47-48, 31.12.1997), Article 440; Compare with the Georgian Law on Advocates (20/06/2001), Article 11; Compare also with the Georgian Law on Higher Education (21/12/2004), Article 46 (2-a).

⁴⁰ This is why cooperation with non-governmental organizations is important. Those NGOs that don't provide pro bono legal aid but are focused on different tupe of services, (e.g. pro bono phsicological service), may well cooperate and not compete with lau schools.

8. Conclusion

It is not an easy task to “resolve the relative merits of a liberal, general education versus a technical, professional orientation for the practice of law”⁴¹ and each law school finds its own way leading to success. But there are minimum requirements or standards that all law schools have to comply with. A law school has to be oriented on students and their preparation for the practice of law.⁴² And it is a challenging part of objective as the needs of students are being rapidly modified as they progress in law school.⁴³

By adopting various mediation courses, a law school will better prepare its students for professional excellence. While developing dispute resolution skills, students will not only expand their single-sided view of a problem, but will also become capable of coping with difficulties along with their lawyering careers.

⁴¹ *Stuckey R., and Others*, Best Practices for Legal Education, First Edition, 2007, 4.

⁴² *Hess G., Friedland S., Schwartz M., Sparrow S.*, Techniques for Teaching Law 2., 2011, California Academic Press, 204.

⁴³ *Schwartz M., Sparrow S., Hess G.*, Teaching Law by Design – Engaging Students from the Syllabus to the Final Exam, 2009, California Academic Press, 66.

**მედიაცია – სიახლე თანამედროვე ქართულ სამართალში და მისი
განვითარების პერსპექტივა საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე**

1. მედიაციის არსი და როლი კონფლიქტების დარეგულირებაში

1.1. მედიაციის ისტორია

1.1.1. მედიაცია ძველ საბერძნეთში

საერთაშორისო მედიაციას, როგორც კონფლიქტების მართვის ერთ-ერთ მეთოდს, უფრო ხანგრძლივი პრაქტიკული ისტორია აქვს, ვიდრე თეორიული.¹ იგი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3000 წელს გამოიყენებოდა უძველეს ეგვიპტეში, ბაბილონსა და ასურეთში.²

მედიაციის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ძველი საბერძნეთის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას მოლაპარაკებების წარმოებისა და მედიაციის მეთოდების გამოყენების კუთხით.³

აღსანიშნავია, რომ ბრძოლა და დაპირისპირება ბერძნების ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა,⁴ მოლაპარაკებები და კომპრომისი დიდ როლს ასრულებდა მათ შიდა ურთიერთობაში.⁵ ისინი სარგებლობდნენ როგორც მედიაციით, ისე არბიტრაჟით.⁶ ბერძენი არბიტრების ძირითადი მიზანი იყო, მედიაციის ან მორიგების საშუალებით მოეგვარებინათ უთანხმოება,⁷ თუმცა წყაროები ზუსტად არ განსაზღვრავს, კონკრეტულად რა სახის დავების გადასაწყვეტად გამოიყენებოდა არბიტრაჟი ან მედიაცია.⁸ საინტერესოა, რომ არქაული ხანიდან გვიან ელინისტურ ხანამდე მოიპოვება მედიაციითა და არბიტრაჟით მოგვარებული სახელმწიფოთაშორისო დავების ორასამდე საქმე.⁹

სწორედ ძველი ბერძენი პოლიტიკოსების შუამდგომლობის საფუძველზე მშვიდობით დასრულდა მკვედონელებსა და ეტოლიელებს შორის არსებული დაპირისპირება პირველი მა-

¹ Kleiboer M., Understanding Success and Failure of International Mediation, Journal of Conflict Resolution, VOL. 40. No. 2, 1996, 360, <<http://www.engagingconflict.it/ec/wp-content/uploads/2012/06/Kleiboer-Understanding-Success-and-Failure-of-International-Mediation.pdf>>.

² Bühring-Uhle C., Kirchhoff L., Scherer G., Arbitration and Mediation in International Business, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn /the Netherlands, 2006, Chapter 6, 177.

³ Ager S.L., Roman Perspectives on Greek Diplomacy (*The conceptual clash: Greek diplomacy of compromise and Roman iustum bellum*), Diplomats and Diplomacy in the Roman World, Volume 304, BRILL, Leiden/Boston, 2009, 16-17, <<http://historiantigua.cl/wp-content/uploads/2011/07/Diplomats-and-Diplomacy-in-the-Roman-World.pdf>>.

⁴ Ager S.L., Arbitration in The Oxford Encyclopedia of Ancient Greece and Rome, Volume 1, Oxford University Press, New York, 2010, 151.

⁵ იქვე; იხ. ასევე, Ager S.L., Roman Perspectives on Greek Diplomacy (*The conceptual clash: Greek diplomacy of compromise and Roman iustum bellum*), Diplomats and Diplomacy in the Roman World, Volume 304, BRILL, Leiden/Boston, 2009, 15-17, <<http://historiantigua.cl/wp-content/uploads/2011/07/Diplomats-and-Diplomacy-in-the-Roman-World.pdf>>

⁶ Ager S.L., Arbitration in The Oxford Encyclopedia of Ancient Greece and Rome, Volume 1, Oxford University Press, New York, 2010, 151.

⁷ იქვე.

⁸ იქვე, 151-153.

⁹ იქვე, 152.

კედონის ომის დროს.¹⁰ აღსანიშნავია, რომ არსებული დავის მოსაგვარებლად მოლაპარაკებები ოთხი წელი გრძელდებოდა.¹¹

საინტერესოა, რომ ხშირად იყო შემთხვევები, როდესაც ბერძნები არ სარგებლობდნენ კონფლიქტების მოგვარების საკუთარი მეთოდით და უარს აცხადებდნენ მედიაციის გამოყენებაზე ან არბიტრის გადანყვეტილების შესრულებაზე.¹²

1.1.2. მედიაცია საქართველოში

დავის გადანყვეტის ისეთი ალტერნატიული საშუალება, როგორცაა მედიაცია, პოპულარობით სარგებლობდა XIX საუკუნის საქართველოშიც.¹³ ამ მხრივ, აღსანიშნავია ხევსურეთსა და სვანეთში არსებული სამედიატორო სასამართლოები, რომელთაც მუდმივი ხასიათი არ ჰქონდათ და მხარეთა საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, იმართებოდა.¹⁴ საქართველოს რეგიონებში, როგორცაა სვანეთი და ხევსურეთი, ყოველთვის განმსაზღვრელი იყო გვაროვნული ურთიერთობები.¹⁵ გვარს შიგნით წამოჭრილ დავებს, გვარის უფროსის სახით, თავად გვარი წყვეტდა და სწორედ გვარის უფროსი ასრულებდა მთავარი მომრიგებლის, შუამავლის – მედიატორის ფუნქციას.¹⁶

ხევსურეთში სამედიატორო სასამართლო – „რჯული“ – განიხილავდა მხოლოდ კერძო-სამართლებრივ დავებს.¹⁷ გასათვალისწინებელია, რომ „მკვლელობა, დაჭრა-დასახიჩრება, შეურანყოფა, კერძო ქონების დაზიანება და სხვ. კერძოსამართლებრივ დარღვევებს წარმოადგენდა(....) ამიტომ მათი განხილვა სამედიატორო სასამართლოს კომპეტენცია იყო“.¹⁸

რაც შეეხება სვანეთს, აქ სამედიატორო სასამართლოს „მორევს“ უწოდებდნენ და მას ექვემდებარებოდა ყველა საქმე, სისხლის სამართლის იქნებოდა თუ სამოქალაქო.¹⁹ მხარეთა შორის წინააღმდეგობის დასაძლევად სამედიატორო სასამართლოს გამოყენება მხარეთა ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული, ისინი თავად ირჩევდნენ მედიატორებს.²⁰ გასათვალისწინებელია, რომ „მორევს“ სვანეთის მოსახლეობა დიდი პატივით ეპყრობოდა და აფასებდა.²¹

¹⁰ Ager S.L., Roman Perspectives on Greek Diplomacy (*The conceptual clash: Greek diplomacy of compromise and Roman iustum bellum*), Diplomats and Diplomacy in the Roman World, Volume 304, BRILL, Leiden/Boston, 2009, 27, 29, <<http://historiantigua.cl/wp-content/uploads/2011/07/Diplomats-and-Diplomacy-in-the-Roman-World.pdf>>.

¹¹ Dmitriev S., The Greek Slogan of Freedom and Early Roman Politics in Greece, Oxford University Press, 2011, 147.

¹² Ager S.L., Roman Perspectives on Greek Diplomacy (*The conceptual clash: Greek diplomacy of compromise and Roman iustum bellum*), Diplomats and Diplomacy in the Roman World, Volume 304, BRILL, Leiden/Boston, 2009, 16, შემდგომი მითითებებით. <<http://historiantigua.cl/wp-content/uploads/2011/07/Diplomats-and-Diplomacy-in-the-Roman-World.pdf>> [Jun/2012].

¹³ *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადანყვეტის ალტერნატიული ფორმა, თსუ, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2010, 79.

¹⁴ *დავითაშვილი გ.*, სამედიატორო სასამართლო სვანეთში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2002, 4.

¹⁵ *დავითაშვილი გ.*, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2002, 4.

¹⁶ იქვე.

¹⁷ *დავითაშვილი გ.*, სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2001, 8-9.

¹⁸ იქვე, 8.

¹⁹ *წულუკიანი ა.*, სვანური ბჭე – სამედიატორო სასამართლო, ჟურნალი „სახელმწიფო და სამართალი“, 9/90, 1990, 60.

²⁰ *დავითაშვილი გ.*, სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2001, 5.

²¹ *წულუკიანი ა.*, სვანური ბჭე – სამედიატორო სასამართლო, ჟურნალი „სახელმწიფო და სამართალი“, 9/90, 1990, 63.

აღსანიშნავია, რომ როგორც სვანეთში, ისე ხევსურეთში ჩვეულებითი სამართლის ნორმების საფუძველზე რთული საქმეების განხილვას მხოლოდ საკუთარ „რჯულსა“ და „მორევს“ ანდობდნენ,²² მიუხედავად რუსეთის მმართველობის ყოველგვარი მცდელობისა, აეკრძალათ დავების საკუთარი წესით გადაწყვეტა.²³

1.1.3. თანამედროვე მედიაცია

მეოცე საუკუნის 70-80-იან წლებში მედიაცია სწრაფად განვითარდა ისეთი საერთო სამართლის ქვეყნებში, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები, ავსტრალია, კანადა, ინგლისი და უელსი.²⁴ მედიაცია აქტიურად გამოიყენება როგორც კერძო საქმეების წარმოებისას, ისე სასამართლოსთან არსებულ პროგრამებში.²⁵

აღსანიშნავია, რომ ავსტრალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს თანამედროვე მედიაციის განვითარებაში.²⁶

გასული საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ში შეიქმნა სამეზობლო სამართლის საპილოტო ცენტრები (Neighborhood Justice Centers).²⁷ ეს იყო ადგილობრივი, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა ძირითადი მიზანი საოჯახო, სამეზობლო და მცირე შესაძლებლობის მქონე პირებს შორის არსებული დავების გადაწყვეტა იყო.²⁸ დღესდღეობით სამეზობლო სამართლის საპილოტო ცენტრები აქტიურად საქმიანობენ ავსტრალიაშიც²⁹ და მათ მიერ მედიაცია გამოიყენება შრომითი, სამეზობლო, განათლების და სხვ. სფეროებში წამოჭრილი დავების მოგვარებისათვის.³⁰

თანამედროვე მედიაციის განვითარებას მიზნით, ზოგ ქვეყანაში მედიაცასთან დაკავშირებით შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა შეიქმნა. ამ მხრივ, 1990 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა, ერთ-ერთმა პირველმა მიიღო აქტი „სამოქალაქო სამართლის რეფორმის შესახებ“;³¹ რის საფუძველზეც ფედერალურ სასამართლოებს დაევალათ მონაწილეობა დავის ალტერნატიული მეთოდების გამოყენების პროცესში.³²

1991 წელს ავსტრალიის სახელმწიფომ მიიღო აქტი „სასამართლოების (მედიაცია და არბიტრაჟი) შესახებ“;³³ რომლის თანახმად საოჯახო და ფედერალურ სასამართლოებს მიენიჭათ უფლებამოსილება, დავის გადაწყვეტის პროცესში ჩაერთოთ მედიატორი (შუამავალი) ან არბიტრი. თავად ავსტრალიის კანონი „მედიაციის შესახებ“³⁴ კი ძალაში შევიდა 1997 წელს.

²² იხ. *დავითაშვილი გ.*, სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2001, 3; იხ. ასევე: *დავითაშვილი გ.*, სამედიატორო სასამართლო სვანეთში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2002, 3.

²³ *დავითაშვილი გ.*, სამედიატორო სასამართლო სვანეთში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2002, 3.

²⁴ *Alexander N.M.*, Global Trends in Mediation: Riding the Third Wave, Global trends in Mediation, Centrale für Mediation, Otto Schmidt Verlag DE, 2003, 7.

²⁵ იქვე.

²⁶ *Alexander N.M.*, International and Comparative Mediation: Legal Perspectives, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2009, 2.

²⁷ *Cooley J.W.*, The Mediator's Handbook: Advanced Practice Guide for Civil Litigation, National Institute for Trial Advocacy (U.S.), 2006, 2.

²⁸ История медиации, МЕДИАТОР, ВНЕСУДЕБНЫЕ ПРОЦЕДУРЫ - АЛЬТЕРНАТИВНОЕ УРЕГУЛИРОВАНИЕ СПОРОВ - ПРИМИРЕНИЕ СТОРОН, <http://mosmediator.narod.ru/istoriya_mediatcii/>

²⁹ იხ. <<http://www.neighbourhoodjustice.vic.gov.au/site/page.cfm?u=221>>.

³⁰ იქვე.

³¹ Civil Justice Reform Act of 1990 (U.S.). ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია: <<http://uscode.house.gov/download/pls/28C23.txt>>.

³² История медиации, МЕДИАТОР, ВНЕСУДЕБНЫЕ ПРОЦЕДУРЫ - АЛЬТЕРНАТИВНОЕ УРЕГУЛИРОВАНИЕ СПОРОВ - ПРИМИРЕНИЕ СТОРОН, <http://mosmediator.narod.ru/istoriya_mediatcii/>.

³³ Courts (Mediation and Arbitration) Act, 1991 (Australia).

³⁴ Mediation Act, 1997 (Australia). ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია: <<http://www.legislation.act.gov.au/a/1997 - 61/default.asp>>.

მედიაციასთან დაკავშირებით 1996 წელს დიდ ბრიტანეთში მიღებულ იქნა კანონი „არ-ბიტრაჟის შესახებ“, 1998 წელს კი, „სამოქალაქო საპროცესო წესები“.³⁵

თანამედროვე მედიაციის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს 2008 წლის ევროპის პარლამენტის დირექტივას „სამოქალაქო და კომერციულ საქმეებთან დაკავშირებით მედიაციის ზოგადი ასპექტების შესახებ“.³⁶ სწორედ აღნიშნული დირექტივის საფუძველზე ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებს დაევალოთ, გაეტარებინათ შესაბამისი საკანონმდებლო რეფორმები აღნიშნულ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.³⁷ აქვე გასათვალისწინებელია, რომ დირექტივა წევრ ქვეყნებს არ უნებს კონკრეტულ ჩარჩოებს, ისინი თავისუფალი არიან თავად აირჩიონ, თუ მედიაციის რომელ სახეობას გამოიყენებენ და რა სახის კანონს მიიღებენ მედიაციასთან დაკავშირებით.³⁸

1.2. მედიაციის ცნება და სახეები

1.2.1. მედიაციის ცნება

მედიაცია დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი მეთოდია, რომელიც ხშირად იწოდება, როგორც „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა“.³⁹ აღსანიშნავია, რომ დავის გადაწყვეტის ცნობილ ალტერნატიულ მეთოდებს წარმოადგენს ასევე მორიგება და არბიტრაჟი, რომელიც უცხო არ არის საქართველოს პრეცედენტული სამართლისათვის.

მედიაციის განმარტება მოიცავს როგორც მედიაციის ზოგადი განმარტებას, ისე თავად მისი წარმოების პროცესის აღწერას.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა მედიაციის შესახებ პირდაპირ მიუთითებს მედიაციის პროცესის წარმოებაზე მხარეთა თანხმობის შემდეგ. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-1 მუხლში მოცემული მედიაციის განმარტება:⁴⁰ „მოსამართლე, რომელიც უძღვება საქმის წარმოებას მხარეთა თანხმობის შემდეგ, ნიშნავს მესამე პირს, რომელიც მოუსმენს მათ და დაიცავს მხარეთა ინტერესებს, რათა დაეხმაროს მათ შორის ნამოჭრილი დავების გადაწყვეტაში“.⁴¹

³⁵ The Civil Procedure Rules, 1998 (UK), ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია: <<http://www.legislation.gov.uk/ukxi/1998/3132/contents/made>>.

³⁶ Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council of 21 May 2008 on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, Official Journal of the European Union, 24.5.2008, L136/6, <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:136:0003:0008:En:PDF>>.

³⁷ იქვე, Article 12(1).

³⁸ *Herbert W.A., De Palo G., Baker A.V., Anthimos A., Tereshchenko N., Judin M.*, International Commercial Mediation, The International Lawyer – a Quarterly Publication of the ABA/ Section of International Law, Published in cooperation with SMU Dedman School of Law. VOL. 5, NO. 1, Spring/2011,112. <http://www.americanbar.org/content/dam/aba/publications/international_lawyer/til_45_1/commercial_mediation.authcheckdam.pdf>.

³⁹ *Butler V.F.*, Mediation: Essentials and Expectations, Dorrance Publishing Co., Inc., Pittsburgh, Pennsylvania, Apr 5, 2004, 2.

⁴⁰ Code de Procédure Civile, 1973; ინგლისური თარგმანი იხ. Code of Civil Procedure, Book I, Title VI^{bis}, Art. 131. - 1. <https://docs.google.com/viewer?a=v&q=cache:LQM2clykiU4J:www.legifrance.gouv.fr/content/download/1962/13735/version/3/file/Code_39.pdf+http://www.legifrance.gouv.fr/content/download/1962/13735/version/3/file/Code_39.pdf&hl=ka&gl=ge&pid=bl&srcid=ADGEE5jumjnkNlp8gltBB5LnMINTDnbgDDlj-3ZFzT263SRDnnOCZ3hmAvkixTBHrozVKgg92Uw0bUGz8cPKEAkb3Lx9BWXF9f0BdhISUoNLPE7EFHzcrgtTjD5ijjMHyt3sp14R4i&sig=AHIEtbTveGhG_Ag9nS0P8Lps2C9nCIQzUw> [Jun/2012].

⁴¹ იქვე; ორიგინალში: „A judge seized of litigation may, after having obtained the consent of the parties, appoint a third person who will hear them and confront their points of view to help them resolve the dispute dividing them“.

საინტერესოა ასევე ევროპის კავშირის მიერ 2008 წელს მიღებული დირექტივა „სამოქალაქო და კომერციულ საქმეებთან დაკავშირებით მედიაციის ზოგადი ასპექტების შესახებ“.⁴² დირექტივის თანახმად, „მედიაცია“ სტრუქტურირებული პროცესია, როდესაც ორი ან მეტი მხარე, ნებაყოფლობით, მედიატორის დახმარებით მიაღწევს შეთანხმებას მათ შორის არსებულ დავასთან დაკავშირებით.⁴³

აშშ-ის „ერთგვაროვანი აქტი მედიაციის შესახებ“ განმარტავს, „მედიაცია“ ნიშნავს პროცესს, რომლის განმავლობაშიც მედიატორი აადვილებს კომუნიკაციასა და მოლაპარაკებებს მხარეებს შორის, რათა ხელი შეუწყოს, მათი დავიდან გამომდინარე, ნებაყოფლობითი შეთანხმების მიღწევას“.⁴⁴

მედიაციის პროცესის განმარტებას იძლევა აგრეთვე ავსტრალიის აქტი „მედიაციის შესახებ“. კერძოდ, „მედიაციის სხდომა“ ნიშნავს მოდავე პირებსა და რეგისტრირებულ მედიატორს შორის შეხვედრას, მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტის მიზნით“.⁴⁵

ზემოაღნიშნული მედიაციის განმარტებების საფუძველზე, რომელსაც მედიაციის სფეროში დიდი გამოცდილების მქონე ქვეყნების კანონმდებლები გვანვდიან, შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსისათვის შესაბამისი „სასამართლო მედიაციის“ განმარტების ფორმულირება. საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, კარგი იქნება, თუ ქართულ კანონმდებლობაში დამკვიდრებული მედიაციის განმარტება პირდაპირ მიუთითებს აღნიშნულ პროცესში მონაწილეობის სავალდებულობაზე ან ნებაყოფლობითობაზე და აღინიშნება, რა იქნება მედიაციის წარმართვის მიზანი და ვინ იქნება მონაწილე მხარე. ამ მხრივ, ჩვეულებრივი მკითველისათვისაც მარტივად აღსაქმელი გახდება თავად მედიაციის საჭიროება და მასში მონაწილეობის საშუალება ოფიციალური წარმომადგენლების გარეშე.

1.2.2. მედიაციის სახეები

• სასამართლო მედიაცია

მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდი, შეიძლება მისაღები იყო მხარეთათვის, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ისინი უარს აცხადებენ მასში მონაწილეობაზე.⁴⁶ ამ შემთხვევაში, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს „სავალდებულო“ მედიაცია.

ერთი მხრივ, აღნიშნული პროცესი არ პასუხობს მედიაციისათვის დამახასიათებელ ზოგად კრიტერიუმს, რომლის თანახმად იგი ნებაყოფლობითი პროცესია.⁴⁷ მხარეებს არ ეძლევათ არჩევანის საშუალება და, დავის საგნიდან გამომდინარე, მოსამართლე თავად განსაზღვრავს მედიატორის ჩარევის აუცილებლობას. მეორე მხრივ, „სავალდებულო“ მედიაცია შეიძლება ერთგვარ საჩვენებელ პროცესად იქცეს, რაც მხარეებს საშუალებას მისცემს, მართალია, იძუ-

⁴² Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council of 21 May 2008 on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, Official Journal of the European Union, 24.5.2008, L136/6. ხელმისაწვდომია: <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:136:0003:0008:En:PDF>.

⁴³ იქვე, Article 3(a), 1st sentence.

⁴⁴ Uniform Mediation Act, section 2,(1), last amended in 2003. < https://www.law.upenn.edu/library/archives/ulc/mediat/2003finaldraft.htm#TOC1_2>. ორიგინალში: “Mediation” means a process in which a mediator facilitates communication and negotiation between parties to assist them in reaching a voluntary agreement regarding their dispute”.

⁴⁵ Mediation Act 1997, Australia, An Act relating to mediation and the registration of mediators, No. 61 of 1997, [Notified in ACT Gazette S300: 9 October 1997], Interpretation 3(1). ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია: <<http://www.legislation.act.gov.au/a/1997-61/19980701-4053/pdf/1997-61.pdf>> ორიგინალში: “mediation session” means a meeting between persons who are indispute and a registered mediator for the purpose of resolving the dispute by mediation,...”

⁴⁶ იხ. Alexander N.M., Global Trends in Mediation, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2006, 156.

⁴⁷ იხ. მაგალითად, Butler V.F., Mediation: Essentials And Expectations, Dorrance Publishing Co., Inc., 2004, 2. იხ. ასევე, European Code of Conduct for Mediators, Introduction; Uniform Mediation Act (US), Section 2(1).

ლებით, მაგრამ გაეცნონ ყველა დადებით ასპექტს, რაც მედიაციას ახლავს.⁴⁸ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პროცესებში მონაწილე მხარეები, დაბალი ინფორმირებულობის გამო, მედიაციის საშუალებით დავის მოგვარების შესაძლებლობისადმი სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი. მედიაციის გზით მიღებული გადაწყვეტილება, მათი აზრით, შეიძლება არ იყოს სასამართლო გადაწყვეტილების, დადგენილების, განჩინების ეკვივალენტი, რასაც მხარეთა მხრიდან დიდი წინააღმდეგობა შეიძლება მოჰყვეს.

• არასასამართლო მედიაცია

მედიაცია ნებაყოფლობითია, თუ მისი ორგანიზება ხდება მხარეთა ინიციატივით სასამართლოს ჩარევის გარეშე.

დავები, რომელთაც მოსამართლე მოსაგვარებლად გადასცემს მედიატორს მხოლოდ მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე მიიჩნევა ნებაყოფლობით მედიაციად,⁴⁹ ანუ პროცესში მონაწილეობა მხარეთა გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

აღსანიშნავია, რომ არასასამართლო მედიაციის გამოყენება რიგ დადებით გარემოებებთან არის დაკავშირებული კერძო სექტორის წარმომადგენელთათვის.⁵⁰ პირველ რიგში, ხელსაყრელია მისი გამოყენება ბიზნეს, სამედიცინო, კომერციული დავების გადაწყვეტის მიზნით. მხარეები აღნიშნული დავების წარმოების დროს გასწევენ შესამჩნევ ეკონომიას როგორც ფინანსური, ისე დროის მხრივ.

1.3. მედიაციის დადებითი მხარეები

აღსანიშნავია, რომ მედიაციის პროცესი არაფორმალური სახისაა და მისი წარმოების პერიოდში მხარეები შეძლებენ, თავად დაიცვან საკუთარი ინტერესები. მათ საშუალება ეძლევათ, არა მხოლოდ იურიდიული ფაქტებით განსაზღვრონ მომავალი შედეგები, არამედ პირადი გრძნობების, მოსაზრებების საფუძველზე მივიდნენ ერთობლივ დასკვნამდე. ამ მხრივ კი პროცესის კონფიდენციალურობა მხარეებს საშუალებას მისცემს, იყვნენ უფრო გახსნილები და არ შეეკმნებათ საფრთხე, რომ პროცესის განმავლობაში გამოყენებული ინფორმაცია გახდეს საჯარო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მედიაციის პროცესის წარმატებით წარმართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ასპექტი მისი **კონფიდენციალურობაა**.⁵¹ მედიაციის დაწყებამდე მხარეები უმეტეს შემთხვევაში ხელს აწერენ შეთანხმებას კონფიდენციალურობის შესახებ, რომელიც შემდგომში ერთგვარ გარანტს წარმოადგენს, რათა მათი ინფორმაცია გამოყენებულ არ იქნეს საქმის სასამართლო წესით განხილვის შემთხვევაში.⁵² გასათვალისწინებელია, რომ მედიაციის განმავლობაში მოცემული ინფორმაცია შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურად მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების გარეშეც, ვინაიდან აღნიშნულს ხში-

⁴⁸ *Quek D.*, Mandatory Mediation: An Oxymoron? Examining the Feasibility of Implementing a Court - Mandated Mediation Program, *Cardozo Journal of Conflict Resolution*, Volume 11:479, 2010, 484. შემდგომი მითითებებით, ხელმისაწვდომია: <<http://cojcr.org/vol11no2/479-510.pdf>>.

⁴⁹ *Rozdeiczer L., Alvarez de la Campa A.*, Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation, Small and Medium Enterprise Department, The World Bank Group, November 2006, 2, წიგნის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია: <http://rru.worldbank.org/Documents/Toolkits/adr/adr_fulltoolkit.pdf>.

⁵⁰ იხ. იქვე, 40 - 42.

⁵¹ *Alexander N.M.*, *Global Trends in Mediation*, Kluwer Law International, The Netherlands, 2006, 438.

⁵² *Rozdeiczer L., Alvarez de la Campa A.*, Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation, Small and Medium Enterprise Department, The World Bank Group, November 2006, 5, წიგნის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია: <http://rru.worldbank.org/Documents/Toolkits/adr/adr_fulltoolkit.pdf>.

რად ითვალისწინებს თავად კანონი.⁵³ მხარეებს შეუძლიათ მშვიდად ისაუბრონ პროცესის მიმდინარეობისას, ვინაიდან მედიაციის განმავლობაში მოპოვებული ყველა ინფორმაცია დარჩება საიდუმლოდ და მისი გამოყენების უფლება მხარეებს არ ექნებათ საქმის სასამართლო წესით განხილვის პერიოდშიც, თუ, რა თქმა უნდა, მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული.⁵⁴

• დროისა და ფულის ეკონომია

იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს სურთ უმოკლეს ვადებში მოაგვარონ მათ შორის არსებული დავა და, რა თქმა უნდა, მინიმალური დანახარჯებით, მედიაცია ყველაზე მომგებიანი პროცედურაა.⁵⁵ იგი შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე საათი ან დღე, საქმის სირთულიდან გამომდინარე, მაშინ როდესაც სასამართლო პროცესები გრძელდება თვეობით, ზოგჯერ კი წლობით. რაც შეეხება მატერიალურ დანახარჯებს, ამ მხრივ, გასათვალისწინებელია ადვოკატის ხარჯებიც, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ერთი, მედიატორის მომსახურებისათვის განეული ხარჯებით, რაც თავისთავად უფრო ეკონომიური იქნება.

მედიაცია მომგებიანი პროცესია მცირე შესაძლებლობის მქონე მხარეთათვის, რომელთაც არ გააჩნიათ საკმარისი სახსრები, რათა სასამართლოში ჰყავდეთ საკუთარი წარმომადგენელი და თვლიან, რომ წარმომადგენლის არყოლა გახდება საქმის წაგების მიზეზი. მედიაციის საშუალებით კი მხარეები თავად განსაზღვრავენ დავის გადაწყვეტის შედეგს, ვინაიდან თავად წარმართავენ აღნიშნულ პროცესს.⁵⁶

განსაკუთრებით მომგებიანი უნდა იყოს მედიაციის საშუალებით დავის მოგვარება კომერციული კლიენტებისათვის. ამ შემთხვევაში, მათ არ მოუწევთ გადაიხადონ კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ბაჟი,⁵⁷ რომელიც, დავის საგნის ღირებულებიდან გამომდინარე, ხშირად დიდ თანხებთან არის დაკავშირებული.

• კონტროლი

მედიაციის პროცესში არ მონაწილეობს არც სახელმწიფო ორგანოები, არც სასამართლო.⁵⁸ მედიაციის მონაწილე მხარეებს წარმოადგენს მხოლოდ მედიატორი და ორი ან მეტი დაპირისპირებული მხარე,⁵⁹ რომლებიც თავად აკონტროლებენ მედიაციის პროცესს და შედეგამდეც თავად მიდიან ეტაპობრივად, მედიატორის დახმარებით. მათ საშუალება ეძლევათ პროცესი იმ სახით წარმართონ, რომ აღნიშნული პასუხობდეს და ითვალისწინებდეს ორივე მხარის მოთხოვნებს.⁶⁰

• არაფორმალური გარემო

მხარეები უფრო გახსნილები არიან ერთმანეთის მიმართ და საშუალება ეძლევათ ერთად გააანალიზონ მათი დადებითი და უარყოფითი ასპექტები. ისინი არ არიან შეზღუდული ქვეყანაში არსებული კანონმდებლობით.

⁵³ იქვე, 5; იხ. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 187⁸.

⁵⁴ იხ. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 187⁸, მე-2 ნაწილი.

⁵⁵ იხ. Hardy S., Rundle O., Mediation for Lawyers, CCH Australia Limited, Wolters Kluwer Group, 2010, 5.

⁵⁶ იხ. იქვე, 5 - 6.

⁵⁷ იხ. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997.

⁵⁸ *Попова В. А.*, Процедура медиации – особенности, преимущества и недостатки, 2011, <<http://galinapopova.ru/statji/108-procedura-mediacii>>.

⁵⁹ იქვე.

⁶⁰ *The Guide to Arbitration*, edited by Torsten Lörcher, Zannis Mavrogordato, CMS Legal Services EEIG, Frankfurt, 2009, 38.

2. მედიაცია – სიახლე თანამედროვე ქართულ სამართალში

მედიაციის ინსტიტუტის წარმატებით განვითარება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საქართველოში ამ ინსტიტუტის დანერგვის ერთგვარი სტიმულია. მით უმეტეს, რომ მედიაციით სარგებლობის პრაქტიკა ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეებში საქართველოს მაღალმთიან რეგიონებშიც (სვანეთი, ხევსურეთი) შეინიშნება.⁶¹

საქართველოში, თანამედროვე მედიაციის განვითარების მიზნით, პირველი ნაბიჯი გადაიდგა გასული წლის დეკემბრის თვეში, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მედიაციასთან დაკავშირებით შეიტანა ცვლილებები და დამატებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში. მოგვიანებით კი, 2012 წლის მარტში, ცვლილებები შევიდა ასევე საქართველოს კანონში „ნოტარიატის შესახებ“. არსებული სიახლეები საქართველოში მედიაციის განვითარების ერთგვარ ბაზისს წარმოადგენს.

2.1. მედიაციის პროცესი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიხედვით

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2011 წლის 20 დეკემბერს შესულ ცვლილებებს შორის მნიშვნელოვანი სიახლეა XXI¹ თავი – სასამართლო მედიაცია. თუმცა აღნიშნულ თავში მოცემული ინფორმაცია ვერ ჩაითვლება საკმარისად მედიაციის პროცესის წარმოებისათვის, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ მოიპოვება სხვა საკანონმდებლო აქტები მედიაციის შესახებ და თანამედროვე ქართული საზოგადოებისათვის უცნობია მედიაციის ინსტიტუტი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი პირდაპირ ითვალისწინებს მედიაციის დადებით ასპექტებს – მისი პრიორიტეტი იკვეთება სასამართლო წესით დავის გადაწყვეტის მეთოდთან შედარებით. ეს არის მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობა, აგრეთვე როგორც მატერიალური, ისე დროის მინიმალური დანახარჯი:

1) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187⁸-ე მუხლის თანახმად, „სასამართლო მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი“.⁶² სსსკ ასევე ითვალისწინებს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების შედეგებს, მაგალითად, სასამართლო მტკიცებულებად არ ჩაითვლება კონფიდენციალურობის პირობების დარღვევით მიღებული ინფორმაცია (სსსკ, 104-ე 1¹ მუხლი), მაგრამ გამოწვევის წარმოადგენს, თუ: „გამჟღავნებულ ინფორმაციასა და დოკუმენტებს სასამართლოში წარადგენს ის მხარე, რომელმაც გაამჟღავნა იგი, ან თუ ეს ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მეორე მხარეს ჰქონდა ან კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებით მიიღო და წარადგინა სამართალში“ (სსსკ-ის 104-ე მუხლი (1²)).

2) მედიაცია მხარეთათვის ნაკლებ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაშინ როცა სასამართლოს საშუალებით დავის გადაწყვეტისათვის, გარდა სახელმწიფო ბაჟისა, საჭიროა ადვოკატის ჰონორარის გადახდა და სხვა დამატებითი ხარჯები,⁶³ რაც პროცესის შედეგიდან გამომდინარეობს. ხოლო საქართველოს კანონმდებლობა მედიაციის წარმოებისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით ითვალისწინებს „დავის საგნის ღირებულების 1%-ს, მაგრამ არანაკლებ 50 ლარისა“ (სსსკ-ის მე-2, 2(ა³) მუხლები). გარდა აღნიშნული შეღავათისა, კანონმდებელი, შეიძ-

⁶¹ იხ. *დავითაშვილი გ.*, სამედიატორო სასამართლო სვანეთში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2002; იხ. ასევე, გ. დავითაშვილი, სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2001.

⁶² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წელი.

⁶³ დამატებით ხარჯებად ასევე შეიძლება ჩაითვალოს ექსპერტიზის, მოწმეების სასამართლო პროცესზე დასწრების და დამატებითი დოკუმენტაციის მიღებისათვის საჭირო ხარჯები.

ლება ითქვას, ერთგვარი წახალისების სახით, მედიაში მონაწილე მხარეებს დავის შეთანხმებით დასრულების შემდეგ სთავაზობს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%-ის(სსსკ-ის 49-ე მუხლი(21)) დაბრუნებას.

3) სასამართლო პროცესები რამდენიმე თვე, ხშირად კი წლები გრძელდება, ეს კიდევ ერთი საფუძველი შეიძლება იყოს მხარეთა მიერ მედიაციის გამოყენებისა, მით უმეტეს თუ სასამართლო მედიაციის ვადა შეადგენს 45 დღეს, რომელიც „მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გაგრძელდეს იმავე ვადით“(სსსკ-ის 187⁵-ე მუხლი).

სასამართლო მედიაციის შესახებ XXI¹ თავის პირველივე მუხლში⁶⁴ საუბარია, რომ „სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმე შეიძლება გადაეცეს მედიატორს“ (ფიზიკურ ან იურიდიულ პირს), მაგრამ არცერთ მუხლში არ არის მოცემული, თუ რა სახის პროცესია მედიაცია და რას ისახავს მიზნად. ასევე მეტად მნიშვნელოვანია დაკონკრეტებული იყოს, თუ ვინ იქნება მედიატორი, გარდა უკვე აღნიშნული ფიზიკური ან იურიდიული პირისა, იქნება იგი საჯარო მოხელე თუ კერძო პირი, მომსახურების სააგენტოს, ცენტრის ან ორგანიზაციის წარმომადგენელი.

XXI¹ თავის 187⁵-ე მუხლის თანახმად: „სასამართლო მედიაციის ვადა შეადგენს 45 დღეს“. აქედან გამომდინარე, კარგი იქნება თუ მოცემულ თავში ასევე განისაზღვრება ვადა, რომლის განმავლობაშიც მედიატორს გადაეცემა სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმე.

მედიაციას დაქვემდებარებული საქმის მხრეთა შეთანხმებით დასრულების შემდეგ პროცესის განმავლობაში შეთანხმებული პირობების შემდგომში შესრულების ერთგვარ გარანტიად შეიძლება იქცეს თავად მედიატორის მიერ მომზადებული შეთანხმება, რომელსაც ორივე მხარე თანხმობის ნიშნად მოაწერს ხელს.

2.2. ცვლილებები და დამატებები „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონებში

• სამედიცინო მედიაციის სამსახური

2011 წლის დეკემბერში მედიაციასთან დაკავშირებით ცვლილებები შევიდა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში, კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენტურ სამსახურთან შეიქმნა დავების განმხილველი ორგანო – სამედიცინო მედიაციის სამსახური, რომელსაც ევალება „პაციენტსა და სადაზღვევო ორგანიზაციას შორის, სადაზღვევო ორგანიზაციასა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს შორის, ასევე პაციენტსა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს შორის წარმოშობილი დავების განხილვა“.⁶⁵ განმარტების თანახმად, სამედიცინო მედიაციის სამსახურს საშუალება ექნება განიხილოს როგორც კერძო სამედიცინო და სადაზღვევო ორგანიზაციებსა და პაციენტებს შორის პირადი დაფინანსების ფარგლებში წამოჭრილი,⁶⁶ ისე სახელმწიფო/ადგილობრივი/ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების/ჯანმრთელობის დაზღვევის შესაბამისი პროგრამის ფარგლებში წამოჭრილი დავები.⁶⁷ ამ უკანასკნელ შემთხვევაში კანონმდებელი ითვალისწინებს, რომ სამედიცინო მედიაციის სამსახური დავას განიხილავს, „თუ მხარეებს დადებული აქვთ ხელშეკრულება, ან არსებობს მხარეთა შეთანხმება“,⁶⁸

⁶⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1997), მუხლი 187¹.

⁶⁵ საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მუხლი 3(3⁶).

⁶⁶ იქვე, მუხლი 16¹(3).

⁶⁷ იქვე, მუხლი 16¹(1).

⁶⁸ იქვე, მუხლი 16¹, 1-ლი ნაწილი, II ნინადადება.

მაგრამ, იმავდროულად, იტოვებს უფლებამოსილებას, დავა განიხილოს მაშინაც, თუ მხარეთა შეთანხმებით აღნიშნული არ არის გათვალისწინებული.⁶⁹

16¹-ე მუხლის I ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ სამედიცინო მედიაციის სამსახური განიხილავს დავას, რისი უფლებაც მას ხელშეკრულებით არ ექნება, ამან შეიძლება მედიაციის მონაწილეთა მხრიდან გარკვეული სახის უკმაყოფილება გამოიწვიოს. უკმაყოფილების მიზეზი კი შეიძლება იყოს არჩევანის თავისუფლების დარღვევა. თუ მხარეები სამედიცინო ან სადაზღვევო მომსახურებით სარგებლობის დაწყებისას ხელშეკრულებით არ გაითვალისწინებენ სამედიცინო მედიაციის სამსახურის დახმარებით დავის გადაწყვეტას, სავარაუდოა, რომ მათ თავიდანვე გამიზნული ჰქონდათ დავის გადაწყვეტის მიზნით სასამართლოსათვის მიმართვა. ერთი მხრივ, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ გარემოებებს და მხარეებს უფლებას აძლევს, სამედიცინო მედიაციის სამსახურის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციასთან წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, დავის განხილვის მიზნით, მიმართონ სასამართლოს.⁷⁰

მედიაციისათვის დამახასიათებელი დროისა და მატერიალური ეკონომიის პრინციპის განმტკიცების მიზნით, მნიშვნელოვანია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირ ითვალისწინებდეს, რა ვადაში უნდა მოგვარდეს სამედიცინო დავა, იქნება ეს 45 დღე, როგორც გათვალისწინებულია სასამართლო მედიაციით⁷¹, თუ უფრო მოკლე ვადა.

სამედიცინო მედიაციის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისათვის სახელმწიფო ბაჟი შეადგენს დავის საგნის ღირებულების 2%-ს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა.⁷² აღნიშნული ბაჟის ოდენობა არ შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად სამედიცინო დავის მონაწილე ყველა მხარისათვის, მით უმეტეს თუ მოდავე მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო/ადგილობრივი/ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან დაფინანსების მქონე პაციენტი, რომელსაც არ ძალუძს აღნიშნული თანხის გადახდა. ამ მხრივ, სხვა დამოკიდებულებაა ჯანმრთელობის დაზღვევის ორგანიზაციისა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის მიმართ, ვინაიდან სსსკ-ს 38-ე (ა⁵) მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის გადახდა, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, შეიძლება ყოვლად მისაღები იყოს. სამედიცინო მედიაციის სამსახურთან დაკავშირებით სახელმწიფო ბაჟის დადგენის შემთხვევაში, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სამედიცინო მედიაციაში მონაწილე მხარეთა ინტერესები, განსაკუთრებით კი პაციენტის.

• სანოტარო მედიაცია

„სავალდებულო“ მედიაციის⁷³ გარდა, საქართველოს კანონმდებლობა 2012 წლის მარტიდან, სანოტარო მედიაციის სახით, ითვალისწინებს ნებაყოფლობით მედიაციას.

სამედიცინო მედიაციისაგან განსხვავებით, სანოტარო მედიაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოდავე მხარეთა თანხმობით,⁷⁴ რომლის წარმოების წესი განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.⁷⁵

ნოტარიუსს უფლება აქვს, მედიაცია გამოიყენოს ყველა საქმეზე, რომელსაც სასამართლო მედიაცია ითვალისწინებს,⁷⁶ გარდა იმ შემთხვევისა, „თუ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის ასეთ დავაზე მედიაციის განხორციელების სპეციალური წესი“.⁷⁷

⁶⁹ იქვე, მუხლი 16¹, მე-2 ნაწილი.

⁷⁰ იქვე, მუხლი 16¹, მე-2 ნაწილი, II წინადადება.

⁷¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 187⁵.

⁷² იქვე, მუხლი 39(ა⁵).

⁷³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, XXI¹ თავი; ასევე იხ. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, თავი 16¹.

⁷⁴ საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, მუხლი 38¹, მე-2 ნაწილი.

⁷⁵ იქვე, მუხლი 38¹, მე-3 ნაწილი.

⁷⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 187³.

საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“ ასევე ითვალისწინებს მხარეთა მორიგების შემთხვევაში მორიგების აქტის შედგენას.⁷⁸ სანოტარო მედიაცია, გარდა ნებაყოფლობითობისა, მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იძულებით აღსრულება უზრუნველყოს მომრიგებელი ნოტარიუსის მიერვე გაცემული აღსრულების ფურცლის საფუძველზე.⁷⁹

3. მედიაციის, როგორც კონფლიქტების დარეგულირების ყველაზე ეფექტური საშუალების, გამოყენების სფეროები და წარმოების ტექნიკა

3.1. მედიაციის გამოყენების სფეროები

მედიაციის საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა სახის სამოქალაქო დავების განხილვა, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც თითოეული ქვეყნის კანონმდებლობა ინდივიდუალურად ადგენს. „შუამავლის“ მიზანია, დაეხმაროს მხარეებს ისეთი დავების გადანყვეტაში, როგორცაა, მაგალითად, საოჯახო, სამეზობლო, შრომითი, სახელშეკრულებო, სამედიცინო და სხვ.

დავის სფეროებიდან გამომდინარე, მედიაციის მიერ განხილული საქმეები შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად: ურთიერთშორის, კომერციულ და საჯარო პოლიტიკურ დავებად.⁸⁰

ურთიერთშორისი დავები – მედიაცია აქტიურად გამოიყენება ურთიერთშორისი დავების გადანყვეტისათვის, როგორცაა საოჯახო, სამეზობლო, შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები, სადაც უთანხმოების მიზეზი ხშირად მხარეთა შორის არსებული პირადი ურთიერთობებია.⁸¹

კომერციული დავები – მხარეთა დავა შეიძლება გამომდინარეობდეს სხვადასხვა საქონლითა და მომსახურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნიდან, სადაზღვევო კომპანიასთან არსებული უთანხმოებიდან და ხელშეკრულებებთან დაკავშირებული პირობების დარღვევიდან.⁸²

საჯარო პოლიტიკური დავები – საჯარო პოლიტიკურ დავებიდან ყველაზე აქტუალურია ქვეყნებს შორის არსებული ტერიტორიული დაპირისპირება, რომელიც ათეული წლები გრძელდებოდა და გრძელდება.⁸³

• საოჯახო/განქორწინების დავები

საოჯახო მედიაციაში მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ, განიხილონ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა განქორწინება, ბავშვების აღზრდა, ალიმენტის გადახდევინება, ქონების გაყოფა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ, განქორწინების ტრადიციული მეთოდისაგან განსხვავებით, მედიაცია დაფუძნებულია მოლაპარაკების პროცესზე, მხარეთა მიერ მათთვის დამაკმაყოფილებელი გადანყვეტილების მიღების მიზნით. სასამართლო წესით განქორწინებისას, ცოლ-ქმარს მხოლოდ ფორმალური კავშირი აქვთ ერთმანეთთან და შეჯიბრებითობის პრინციპით⁸⁴ მოქმე-

⁷⁷ საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, მუხლი 38¹, 1-ლი ნაწილი(დ).

⁷⁸ იქვე, მუხლი 38¹, მე-4 ნაწილი.

⁷⁹ იქვე, მუხლი 38¹, მე-5 ნაწილი.

⁸⁰ აღნიშნული დაყოფა მოცემულია: *Lovenheim P., Daskow E., Becoming A Mediator: Your Guide To Career Opportunities*, Nolo, 2004, 1/14 - 1/18.

⁸¹ იხ. იქვე, 1/15-1/16.

⁸² იხ. იქვე, 1/16-1/17.

⁸³ *Guo R., Territorial Disputes and Resource Management: A Global Handbook*, Nova Science Publishers, New York, 2006.

იხ. ასევე, List of territorial disputes: <http://en.wikipedia.org/wiki/List_of_territorial_disputes>.

⁸⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 4.

დებენ. განსაკუთრებით წარმომადგენლების ყოლის შემთხვევაში, თითოეული მხარის ადვოკატი ცდილობს ერთმანეთის დადანაშაულებას, ვინაიდან მათი უმთავრესი მიზანი მოგებაა და ამ დროს ნაკლებად არიან დაინტერესებული ორივე მეუღლისათვის მისალევი შედეგის მიღწევით,⁸⁵ რაც შეიძლება მტკივნეული იყოს მათი შვილებისათვის და ოჯახის სხვა წევრებისათვის. აქედან გამომდინარე, მედიაცია საშუალებას იძლევა, მეტი ყურადღება დაეთმოს ბავშვების ინტერესებს, რაც, თავის მხრივ, მშობლებს არწმუნებს, რომ ერთად იზრუნონ ბავშვების კეთილდღეობისათვის.⁸⁶

მედიაცია მხარეებს აძლევს სრულ თავისუფლებას განქორწინების შემდეგ ბავშვების ცხოვრებაში მონაწილეობის „გეგმის“ შედგენის მხრივ. მედიაციის შეთანხმებაში მათ შეუძლიათ, თავად განსაზღვრონ ბავშვების მონახულების განრიგი,⁸⁷ ვითარებები, თუ ვინ გადაიხდის ბავშვის სწავლის, დაზღვევის ხარჯებს და ა.შ. ასევე ურთიერთშეთანხმებით შეიძლება გადამწყვეთი ალიმენტის ოდენობა, გადახდის ვადები და სხვა ალტერნატიული გზები.

განქორწინებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას ასევე მნიშვნელოვანია გამოცდილი მედიატორის როლი, რომელიც გათვითცნობიერებული უნდა იყოს ფსიქოლოგიურ ასპექტებში, რაც განქორწინების პროცესს ახლავს. აღნიშნულ ვითარებაში, წყვილები ხშირ შემთხვევაში განიცდიან მძიმე ემოციურ სტრესს⁸⁸ და გამოუცდელი მედიატორის უმნიშვნელო აქტმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მედიაციის საბოლოო შედეგზე.

მედიაციის უმთავრესი მისიის განხორციელების საწინდარი თავად მხარეთა აქტიურობაა,⁸⁹ რასაც განსაზღვრავს კომფორტული და კონფიდენციალური გარემო,⁹⁰ რისი უზრუნველყოფაც მედიატორს ევალება.

მედიაციის არაფორმალური ხასიათიდან გამომდინარე, მხარეთა მიერ შეიძლება მომზადდეს შეთანხმება, სადაც გათვალისწინებული იქნება მეუღლეთა მიერ ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებები, რომელსაც იურიდიული ძალა ექნება.⁹¹

• შრომითი დავები

კომპანიაში, საწარმოში წარმოშობილი დავების სასამართლო წესით მოგვარება დაკავშირებულია განუსაზღვრელ დროსთან და ფულად დანაკარგთან. აღნიშნულმა თავისი გავლენა შეიძლება იქონიოს ასევე კომპანიის რეპუტაციაზე, მაგრამ მედიაციის დახმარებით, რომელიც კონფიდენციალური პროცესია, კომპანიას საშუალება ეძლევა, უმოკლეს ვადებში მიაღწიოს კომპრომისს.

შრომით დავებთან დაკავშირებული მედიაციის განხილვის საგანი შეიძლება იყოს დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობების არათანაბარი განაწილება, დისკრიმინაცია, თანამშრომლებს შორის წარმოშობილი დავები, შინაგანი ინსტრუქციით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი დავების მოგვარების პროცესში მედიატორის როლი შეიძლება შეითავსოს როგორც სპეციალურად დაქირავებულმა პროფესიონალმა, ასევე მედიაცი-

⁸⁵ *McWhorter Sember B.*, *The Complete Divorce Handbook: A Practical Guide*, Sterling Publishing Company, Inc., 2009, 77.

⁸⁶ *Butler C.A.*, *Dolores D. Walker*, *The Divorce Mediation Answer Book*, Kodansha America, 1999, 5.

⁸⁷ *McWhorter Sember B.*, *The Complete Divorce Handbook: A Practical Guide*, Sterling Publishing Company, Inc., 2009, 80 - 82.

⁸⁸ *Lovenheim P.*, *Doskow E.*, *Becoming a Mediator: Your Guide to Career Opportunities*, Nolo, 2004, 4/11.

⁸⁹ *McWhorter Sember B.*, *The Complete Divorce Handbook: A Practical Guide*, Sterling Publishing Company, Inc., 2009, 78 - 82.

⁹⁰ იხ. იქვე, 78; იხ. ასევე, *Butler C.A.*, *Walker D.D.*, *The Divorce Mediation Answer Book*, Kodansha America, 1999, 4-5.

⁹¹ იხ. *Butler V.F.*, *Mediation: Essentials and Expectations*, Dorrance Publishing Co., Inc., 2004, 17 - 18; ix. ასევე, *McWhorter Sember B.*, *The Complete Divorce Handbook: A Practical Guide*, Sterling Publishing Company, Inc., 2009, 78.

ასთან დაკავშირებული შესაბამისი განათლებისა და გამოცდილების მქონე მენეჯერმა ან კადრებთან ურთიერთობის სპეციალისტმა.⁹²

• სამედიცინო დავები

სამედიცინო მედიაციის გამოყენების მიზანია სამედიცინო დაწესებულებებსა და პაციენტებს შორის არსებული ურთიერთობების გაუმჯობესება, მათი ინტერესების დაცვა, ნდობის აღდგენა და, რა თქმა უნდა, ფინანსური საკითხების მოგვარება.⁹³ მოცემული სახის მედიაციის მონაწილე მხარეებს წარმოადგენს პაციენტი და სამედიცინო მომსახურების პროვაიდერი,⁹⁴ ეს შეიძლება იყოს როგორც საავადმყოფო, ასევე სხვა სახის ანალოგიური ინსტიტუტი.⁹⁵

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში ზოგი სამედიცინო გაერთიანება მხარს უჭერს სამედიცინო მედიაციის გამოყენების კონცეფციას, მაგალითად, ამერიკის სამედიცინო ასოციაცია⁹⁶ და საოჯახო სამედიცინო მომსახურების ორგანოები დიდ ბრიტანეთში.⁹⁷

• კომერციული დავები

მედიაციას, როგორც კომერციული დავების ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებას, ითვალისწინებს 2008 წელს ევროპის კავშირის მიერ მიღებული დირექტივა „სამოქალაქო და კომერციულ საქმეებთან დაკავშირებით მედიაციის ზოგადი ასპექტების შესახებ“.⁹⁸ აღნიშნული დირექტივის თანახმად, 2011 წლის 21 მაისამდე ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებს უნდა გაეტარებინათ საკანონმდებლო რეფორმები 2008/52/EC დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.⁹⁹

კომერციული მედიაცია მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორცაა: ბანკები და ფინანსები, დაზღვევა, უძრავი ქონება. კომერციული დავების ძირითად საგანს წარმოადგენს ფული, ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომსახურებასთან და საქონელთან დაკავშირებული გაუგებრობები.¹⁰⁰ მხარეებს შეიძლება აკავშირებდეს როგორ ხანგრძლივი, ისე ერთჯერადი საქმიანი ურთიერთობები.¹⁰¹

კომერციული დავების მოგვარების მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ ავსტრალიასა (ავსტრალიის კომერციული დავების ცენტრი)¹⁰² და ინგლისში (დავების ეფექტური გადაწყვეტის ცენტრი)¹⁰³ არსებულ ცენტრებს, რომლებიც 20 წელზე მეტია, დაკავებულნი არიან კომერ-

⁹² *Butler V.F.*, Mediation: Essentials and Expectations, Dorrance Publishing Co., Inc., 2004, 83.

⁹³ *Hayes H.*, Conflict Engagement in Healthcare. <<http://www.mediate.com/articles/HayesHbl20110404.cfm>>.

⁹⁴ *Herczog M.*, “Chance of Victim - Offender Mediation in Hungary”, Chapter 12 in Victim - Offender Mediation with Youth Offenders in Europe: An Overview And Comparison of 15 Countries (Anna Mestitz, Simona Ghetti), Springer, 2005, 259.

⁹⁵ *Morasso S.G.*, Argumentation in Dispute Mediation: A Reasonable Way to Handle Conflict, John Benjamins Publishing Company, 2011, 41.

⁹⁶ American Medical Association. <<http://www.ama-assn.org/ama/pub/physician-resources/legal-topics/business-management-topics/alternative-dispute-resolution.page>>.

⁹⁷ Family Health Service Authorities (FHSA), ix: *Liebmann M.*, “The History of Community Mediation in the UK” in Community & Neighbour Mediation, Cavendish Publishing Limited, London, 1998, 38.

⁹⁸ Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council of 21 May 2008 on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, Official Journal of the European Union, 24.5.2008, L136/6, ხელმისაწვდომია: <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:136:0003:0008:En:PDF>>.

⁹⁹ იხ. იქვე, Article 12.

¹⁰⁰ A Career as a Mediator, UK Mediation, <<http://www.ukmediation.net/sites/default/files/resources/A%20Career%20as%20a%20Mediator.pdf>>.

¹⁰¹ *Lovenheim P., Doskow E.*, Becoming A Mediator: Your Guide to Career Opportunities, Nolo, 2004, 1 /16 – 1/17.

¹⁰² The Australian Commercial Disputes Centre (ACDC), <<https://www.acdcld.com.au/about-us>>

¹⁰³ Centre for Effective Dispute Resolution, <http://www.cedr.com/about_us/>

ციული დავების მოგვარებით და მედიატორთა ტრენინგების ორგანიზებით კომერციული მედიაციის სფეროში.

• სამეზობლო დავები

მეზობლებს შორის არსებული კონფლიქტი შეიძლება ბევრისათვის საერთო პრობლემას წარმოადგენს.¹⁰⁴ უთანხმოების ძირითადი მიზეზი შეიძლება იყოს მეზობლებიდან გამომავალი მუდმივი ხმაური (ხმამაღალი მუსიკა, გაუთავებელი წვეულებები, ჩხუბი და ა.შ.), საერთო შიდა გაყვანილობის პრობლემა, მეზობლის საკუთრებით, ტერიტორიით უკანონოდ სარგებლობა (ავტოფარეხი, საშრობი). სამეზობლო დავებს ასევე შეიძლება მივაკუთვნოთ კერძო საკუთრებაში არსებული მიწის მფლობელთა შორის სამეზობლო საზღვრის, ღობის მდებარეობისა და ხეხილის საკუთრების დადგენასთან დაკავშირებული დავები.

სახლი ერთგვარი ციხესიმაგრეა, სადაც მცხოვრებმა თავი მშვიდად უნდა იგრძნოს და მეზობლების მხრიდან ამ სიმყუდროვის დარღვევამ შეიძლება დიდი უთანხმოება გამოიწვიოს. ამ მხრივ, შესაძლებელია მეზობლებმა თავად მოაგვარონ პრობლემა, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, მედიაცია საშუალებას იძლევა, დავის ეკონომიურად და მოკლე ვადებში გადაწყვეტის მიზნით, მხარეებმა მიმართონ მედიატორს.

2007-2009 წლებში, დიდ ბრიტანეთში ჩატარებული კვლევის შედეგად, თითქმის 100 000 საცხოვრებელი სახლის მფლობელმა შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი, მიზეზი კი სწორედ სამეზობლო დავები იყო.¹⁰⁵ საინტერესოა, რომ დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა საცხოვრებელი სახლის მეპატრონეებს ავალდებულებს, საკუთარი სახლის გაყიდვისას მომავალ მეპატრონეს მიანოდონ ინფორმაცია, თუ რა უთანხმოებები და პრობლემები ჰქონდათ ძველ მეზობლებთან.¹⁰⁶

3.2. მედიაციის წარმოების ტექნიკა

სამართლიანი და ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ხშირად იყენებენ **ტრანსფორმაციული, ევოლუციური (შემაჯამებელ) ან ფასილიტატიური** მედიაციის ტიპებს.

ფასილიტატიური მედიაციის (Facilitative Mediation) წარმოებისას მედიატორი ასრულებს ფასილიტატორის როლს, აადვილებს მხარეებს შორის ურთიერთობებს. მას შეუძლია დასვას ძირითადი შეკითხვები, ჩაინიშნოს ფაქტები და უზრუნველყოს პროცესის მშვიდ, წყნარ ვითარებაში მიმდინარეობა.¹⁰⁷ აღნიშნული სახის მედიაციის წარმოების დროს მედიატორი თავს იკავებს ყოველგვარი შენიშვნების, რეკომენდაციების გაცემისაგან და მხარეებს აძლევს საშუალებას, თავად მიიღონ გადაწყვეტილება.¹⁰⁸ მედიატორს უფლება აქვს, საკუთარი აზრი ან შენიშვნა გამოთქვას უშუალოდ მედიაციის პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით.¹⁰⁹ ფასილიტატიური მედიაციის განმავლობაში, მედიატორის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს, გა-

¹⁰⁴ *Durham J.*, Anti - Social Behaviour from your Neighbours, 2012, <<http://www.problemneighbours.co.uk/antisocial-behaviour-from-your-neighbours.html>>.

¹⁰⁵ *Butterworth M.*, Almost 100,000 home owners move due to neighbour disputes, "The Telegraph", <<http://www.telegraph.co.uk/finance/personalfinance/6719303/Almost-100000-home-owners-move-due-to-neighbour-disputes.html>>.

¹⁰⁶ იქვე; იხ. ასევე, <http://freeconveyancingadvice.co.uk/sellers-property-information-form-third-edition.php>.

¹⁰⁷ იხ. *Folberg J.*, Peter Salem, Divorce and Family Mediation: Models, Techniques, and Applications, Guilford Press, New York, 2004.

¹⁰⁸ *Gaffal M.*, Psychosocial and Legal Perspectives of Marital Breakdown: With Special Emphasis on Spain, Springer - Verlag Heidelberg Dordrecht, 2010, 202 - 203.

¹⁰⁹ იხ. იქვე, 203.

მოკვეთოს მხარეების ინტერესები და მისცეს მიმართულება მხარეთათვის საუკეთესო გადაწყვეტის მიღების მიზნით.¹¹⁰

ერთი მხრივ, მედიაციის ფასილიტატიურ სახეს გააჩნია დადებითი მხარეები: პროცესზე ნაკლებად აქვს გავლენა მედიატორის პირად ინტერესებს და მისი ფუნქციაა, მხარეებს ხელი შეუწყოს შეთანხმებული გადაწყვეტილების მიღებაში. მეორე მხრივ, მედიატორს არ ეძლევა საშუალება გამოავლინოს საკუთარი გამოცდილება და ცოდნა, რაც საუკეთესო გადაწყვეტილების დროულად მიღებას შეუწყობს ხელს.

მედიაციის აღნიშნული ტექნიკის გამოყენებისას, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუ კონკრეტულად რომელი სახის დავა განიხილება, ვინაიდან არის შემთხვევები, როდესაც მხარეთათვის რთულია წარმოიდგინონ, რა შედეგი მოჰყვება ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებას და აუცილებელია მედიატორის აქტიური ჩარევა.

ტრანსფორმაციული (გარდაქმნითი) მედიაცია (Transformative Mediation) – აღნიშნული მეთოდით მედიაციის მხარეებს საშუალება ეძლევათ პროცესის განმავლობაში არსებულ ვითარებას შეხედონ სხვა თვალთ, ერთგვარი „ტრანსფორმაცია“ განიცადონ.¹¹¹ ერთი მხრივ, მედიატორის დახმარებით მხარეებს საშუალება ეძლევათ, გააანალიზონ არსებული ვითარება¹¹² და, მეორე მხრივ, არა მარტო მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილებაზე იყვნენ ორიენტირებული, არამედ გაითვალისწინონ მეორე მხარის მოთხოვნები, საჭიროებები.¹¹³ ტრანსფორმაციული მედიაციის წარმოებისას მედიატორმა შესაძლებლობა უნდა მისცეს მხარეებს, გამოავლინონ საკუთარი ემოციები, რაც ხელს შეუწყობს დაპირისპირებული მხარის საჭიროებებისა და მოთხოვნების ცივი გონებით გაგებასა და გააზრებას.¹¹⁴

ევალუატიური (შემაჯამებელი) მედიაცია (Evaluative Mediation) – მედიატორი აფასებს არსებულ ვითარებას და რჩევებს აძლევს მხარეებს, თუ როგორ შეიძლება მიიღონ ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება. შეიძლება ითქვას, მოცემული ტექნიკა ფასილიტატიური მედიაციის საპირისპიროა. საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, მედიატორი მხარეებს სთავაზობს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ გზებს¹¹⁵ და, შედეგების ანალიზის საფუძველზე, გავლენას ახდენს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე.

ევალუატიური მედიაციის წარმოებისას მედიატორი, თითოეულ მხარესთან ერთად, განიხილავს მათთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღების პერსპექტივებს, სუსტ და ძლიერ მხარეებს.¹¹⁶ გასათვალისწინებელია, რომ მედიატორმა აღნიშნული საკითხები უნდა განიხილოს თითოეულ მხარესთან დამოუკიდებლად.¹¹⁷

შემაჯამებელი მედიაციის პროცესში, სხვა მედიაციის ტექნიკებისაგან განსხვავებით, მედიატორი ორიენტირებულია კანონმდებლობაზე, იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება მხარეთა მოთხოვნები სამართლებრივ ნორმებს და არა მათ ინტერესებსა და საჭიროებებს.¹¹⁸

¹¹⁰ იხ. *Mayer B.*, *Facilitative Mediation, Divorce and Family Mediation: Models, Techniques, and Applications*, The Guilford Press, 2004, Chapter 2, 31.

¹¹¹ *Gaffal M.*, *Psychosocial and Legal Perspectives of Marital Breakdown: With Special Emphasis on Spain*, Springer – Verlag Heidelberg Dordrecht, 2010, 204.

¹¹² იხ. იქვე, 204.

¹¹³ *Zumeta Z.*, *Styles of Mediation: Facilitative, Evaluative, and Transformative Mediation*, September 2000. <<http://www.mediate.com/articles/zumeta.cfm>>.

¹¹⁴ იხ. *Butler V.F.*, *Mediation: Essentials and Expectations*, Dorrance Publishing Co., Inc., 2004, 20 - 21; იხ. ასევე, *Gaffal M.*, *Psychosocial and Legal Perspectives of Marital Breakdown: with Special Emphasis on Spain*, Springer - Verlag Heidelberg Dordrecht, 2010, 204 - 205.

¹¹⁵ *Cooley J.W.*, *The Mediator's Handbook: Advanced Practice Guide for Civil Litigation*, National Institute for Trial Advocacy (U.S.), 2006, 33- 34.

¹¹⁶ *Zumeta Z.*, *Styles of Mediation: Facilitative, Evaluative, and Transformative Mediation*, September 2000, <<http://www.mediate.com/articles/zumeta.cfm>>.

¹¹⁷ *Butler V.F.*, *Mediation: Essentials and Expectations*, Dorrance Publishing Co., Inc., 2004, 22.

¹¹⁸ იქვე, 22; ასევე იხ. *Zena Zumeta*, *Styles of Mediation: Facilitative, Evaluative, and Transformative Mediation*, September 2000, <<http://www.mediate.com/articles/zumeta.cfm>>.

4. მედიატორი¹¹⁹

მესამე, ნეიტრალური, მხარის არჩევა ფუფუნების წყაროა, რომელიც უცხოა სამართლებრივი კანონმდებლობისათვის.¹²⁰ მედიაციის პროცესის წარმოებისას მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ, თავად აირჩიონ მედიატორი, ხოლო გამოცდილი მედიატორის არჩევა მედიაციის წარმატებით დასრულების საწინდარია. მედიატორის უმთავრესი მიზანია, საკუთარი უნარ-ჩვევებისა და ტექნიკის გამოყენებით დაეხმაროს მხარეებს დავის მოგვარებაში, მაგრამ არ ძალუძს მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება,¹²¹ რაც მედიაციის ერთ-ერთი უპირატესობაა.

მედიაციის ინიციატორად შეიძლება მოგვევლინოს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (შემდგომში გაერო),¹²² რომელიც ათეული წლებია აქტიურად არის ჩართული კონფლიქტების დარეგულირების პროცესში.¹²³ იგი მონაწილეობდა საერთაშორისო დაპირისპირებების აღმოფხვრაში, როგორც კონფლიქტები ისრაელსა და ლიბანს, ინდოეთსა და პაკისტანს შორის.¹²⁴ არ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს 2011 წელს დაწყებული უთანხმოება სირიის მთავრობასა და ოპოზიციას შორის, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეინირა. აღნიშნული კონფლიქტის მოგვარება, ამ შემთხვევაშიც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ითავა, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „კოფი ანანის სამშვიდობო გეგმა სირიისათვის“.¹²⁵

აღსანიშნავია, როგორც გაერო, ისე დამოუკიდებელი მედიატორები, დავის გადაწყვეტის პროცესში მონაწილეობენ მესამე დამოუკიდებელ მხარედ. მათი მიზანია, მხარეებს ხელი შეუწყონ, თავად მიიღონ გადაწყვეტილება და, იმავდროულად, მათი პროფესიონალიზმიდან გამომდინარე, გარკვეული ზეგავლენა იქონიონ მხარეებზე, რათა დაპირისპირებულები მივიდნენ გარკვეულ შეთანხმებამდე.¹²⁶

მოდავე მხარეთათვის სასურველი შედეგის მიღწევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მედიატორის პროფესიულ უნარ-ჩვევებსა და გამოცდილებას. ეს იმას გულისხმობს, რომ მედიატორი არ შეიძლება აწარმოებდეს მედიაციის პროცესს შესაბამისი ფსიქოლოგიური მომზადებისა და სპეციალური განათლების გარეშე.¹²⁷ ამის ერთ-ერთ დამადასტურებელ დოკუმენტს შესაბამის ორგანოებში მედიატორის აკრედიტაცია შეიძლება წარმოადგენდეს.

გასათვალისწინებელია, რომ მხარეთა ნდობის მოპოვებისათვის შეიძლება საქმეში მესამე მხარედ ჩართული იყოს საზოგადოებაში ავტორიტეტის მქონე იმ სფეროს წარმომადგენე-

¹¹⁹ „მედიატორი“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს შუამავალს. იგი „წარმოადგენს ნეიტრალურ, მესამე მხარეს, რომელიც ხელს უწყობს მხარეებს მოლაპარაკებებისა და კონფლიქტების მოგვარების პროცესში“, <<http://en.wikipedia.org/wiki/Mediator>>.

¹²⁰ Hardy S., Rundle O., Mediation for Lawyers, CCH Australia Limited, Wolters Kluwer Group, 2010, 77.

¹²¹ Rozdeicz L., Alvarez de la Campa A., Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation, Small and Medium Enterprise Department, The World Bank Group, November 2006, 5. ნიგნის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია: <http://rru.worldbank.org/Documents/Toolkits/adr/adr_fulltoolkit.pdf>.

¹²² გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლისა და მუშაობის პროცესთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია შეიძლება იხ. Merrills J. G., “The United Nations”, International Dispute Settlement, Fourth Edition, Cambridge University Press, Oct 27, 2005, 237 - 242.

¹²³ Diehl P.F., Greig J.M., International Mediation, War and Conflict in the Modern World, Polity Press, 2012, 68.

¹²⁴ იქვე, 68.

¹²⁵ „კოფი ანანის სამშვიდობო გეგმა სირიისათვის“ (Kofi Annan peace plan for Syria) – გაეროს დესპანის მიერ მომზადებული 6-პუნქტიანი მშვიდობიანი გეგმა ამოქმედდა 2012 წლის თებერვალს. მისი მიზანია ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთი უმნიშველოვანესი პრობლემის – სირიის კონფლიქტის მოგვარება, სადაც დაპირისპირებულ მხარეებს წარმოადგენს სირიის მთავრობა და ქვეყნის ოპოზიციური ფრთა.

<<http://www.un.org/apps/news/infocusRel.asp?infocusID=146&Body=Syria&Body1;>

http://en.wikipedia.org/wiki/Kofi_Annan_peace_plan_for_Syria>.

¹²⁶ Ratner S.R., The New UN Peacekeeping: Building Peace in Lands of Conflict After the Cold War, Palgrave Macmillan, 1995, 46 - 47.

¹²⁷ Bercovitch J., Theory and Practice of International Mediation: Selected Essays, Routledge, 2011, 44.

ლი, ¹²⁸ რომელშიც დავა მიმდინარეობს. ეს შეიძლება იყოს სასულიერო პირი, სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელი, გემის კაპიტანი, ნოტარიუსი, ყოფილი ან მოქმედი მოსამართლე, გამოჩენილი ადვოკატი, ფსიქოლოგი და სხვ. ავტორიტეტი, თავის მხრივ, ნდობის ფაქტორის მანიშნებელია, რომელიც მხარეებს საშუალებას მისცემს, კომფორტულად იგრძნონ თავი¹²⁹ და, მიუხედავად კონფლიქტის სირთულისა, აქტიური წვლილი შეიტანონ დავის მოგვარებაში.

მედიატორის პროფესიონალად აღიარებისათვის აუცილებელი არ არის მას ჰქონდეს იურიდიული განათლება, ამ შემთხვევაში, მედიატორის მოვალეობის წარმატებით შესრულების საწინდარი იქნება მისი გამოცდილება იმ სფეროში, რომელსაც დავა ეხება.¹³⁰

4.1. მედიატორის ქცევის წესები

მედიატორის ქცევას მის მიერ მხარეების წინაშე ნაკისრი ვალდებულებები განსაზღვრავს.¹³¹ მედიაციის წარმატების საწინდარია „შუამავლის“ მიმართ მხარეთა ნდობა. ეს შეიძლება დამოკიდებული იყოს მის გამოცდილებაზე, ბრწყინვალე კომუნიკაციის უნარზე ან სხვა პროფესიულ უნარ-ჩვევებზე. აქედან გამომდინარე, უმთავრესი წინაპირობაა მკვეთრი ზღვარი მედიატორსა და დაპირისპირებულ მხარეებს შორის, რომელთა დაცვაშიც მედიატორს ეხმარება კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები, კერძოდ, მედიატორის ქცევის წესები.

• ევროპული ქცევის კოდექსი მედიატორთათვის

ამ მხრივ, აღსანიშნავია ევროპის კავშირის მიერ მიღებული „ევროპული ქცევის კოდექსი მედიატორთათვის“, ¹³² რომელიც „შეიძლება გამოყენებულ იქნეს მედიატორების მიერ ნებისმიერ სამოქალაქო და კომერციულ საქმეებთან დაკავშირებით“.¹³³

მედიატორთა ევროპული ქცევის კოდექსის I თავში საუბარია მედიატორის კომპეტენციაზე, მის დანიშვნასა და ანაზღაურებაზე, რომელიც პროცესის დაწყებამდე უნდა შეთანხმდეს მხარეებთან, რათა შემდგომში ადგილი არ ჰქონდეს რაიმე გაუგებრობას. დიდი ყურადღება ეთმობა მედიატორის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას (II თავი), რაც ნდობის მოპოვების უმთავრესი პრინციპებია. კოდექსი მედიატორს ავალდებს მხარეებს განუმარტოს მათი და მედიატორის როლი პროცესში. იგი უნდა დარწმუნდეს, რომ მხარეები ინფორმირებული არიან შეთანხმების აქტის პირობებზე დავის შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში.¹³⁴

ცალკე თავი ეთმობა მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობას (IV თავი), რომელიც პროცესის ყველა მონაწილეს ავალდებულებს, საიდუმლოდ შეინახონ პროცესის განმავლობაში მიღებული ყველა სახის ინფორმაცია, თუ, რა თქმა უნდა, აღნიშნული არ ეწინააღმდეგება კანონს.¹³⁵

¹²⁸ იხ. იქვე, 44; იხ. ასევე, Norm Brand, Choosing the " Expert " Mediator, <<http://www.mediate.com/articles/nbrand.cfm>>.

¹²⁹ Cooley J.W., The Mediator's Handbook: Advanced Practice Guide for Civil Litigation, National Institute for Trial Advocacy (U.S.), 2006, 29 - 30.

¹³⁰ Rozdeiczer L., Alvarez de la Campa A., Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation, Small and Medium Enterprise Department, The World Bank Group, November 2006, 51, წიგნის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია: <http://rru.worldbank.org/Documents/Toolkits/adr/adr_fulltoolkit.pdf>.

¹³¹ Cooley J.W., The Mediator's Handbook: Advanced Practice Guide for Civil Litigation, National Institute for Trial Advocacy (U.S.), 2006, 43.

¹³² European Code of Conduct for Mediators, <http://ec.europa.eu/civiljustice/adr/adr_ec_en.htm>.

¹³³ იქვე.

¹³⁴ იქვე.

¹³⁵ იქვე.

• მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტები

მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტები¹³⁶ შემუშავებულ და მიღებულ იქნა ამერიკის არბიტრაჟთა ასოციაციის, ამერიკის იურისტთა ასოციაციის დავის გადაწყვეტის განყოფილებისა და კონფლიქტების მოგვარების ასოციაციის მიერ. კანონშემოქმედთა მიზანს წარმოადგენს: „მიმართულება მისცენ მედიატორთა ქმედებას, ინფორმაცია მიანოდონ მედიაციის მონაწილე მხარეებს და უზრუნველყონ საჯარო კონფიდენციალურობა მედიაციაში, როგორც დავის გადაწყვეტის პროცესში“.¹³⁷ კანონმდებელი აქვე მიუთითებს, რომ მოცემულ სტანდარტებს არ აქვთ იურიდიული ძალა, სანამ არ იქნება მიღებული სასამართლოს ან სხვა მმართველი ორგანოს მიერ.¹³⁸

მედიატორთა ქცევის სტანდარტები ითვალისწინებს ყველა იმ პირობას, რასაც ზემოთ განხილული მედიატორთა ქცევის კოდექსი, გარდა რამდენიმე დამატებისა:

მედიატორს ვალდებულება ეკისრება ყველა ღონე იხმაროს, რათა პროცესის დაწყებამდე მოგვარებულ იქნეს არსებული ინტერსთა კონფლიქტი და მხოლოდ ამის შემდგომ აქვს უფლება შეუდგეს პროცესის წარმოებას (III სტანდარტი);

მედიატორი ვალდებულია, იმოქმედოს მედიაციის პრაქტიკის განვითარების მიზნით (IX სტანდარტი);

მედიატორი ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს მედიაციის სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ორგანიზებულ საგანმანათლებლო და კვლევით ღონისძიებებში (IX სტანდარტი).

4.2. მედიატორის კვალიფიკაცია

მედიაციის პროცესის წარმატებით წარმართვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კვალიფიციური მედიატორი, რომლის შერჩევის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს რიგი ფაქტორები, კერძოდ, გამოცდილება, განათლება შესაბამის სფეროში და პერსონალური უნარ-ჩვევები, რომელიც კონფლიქტების დარეგულირებაში დაეხმარება.

ეფექტური **კომუნიკაციის უნარი** მედიატორის ფუნქციების წარმატებით განხორციელების საწინდარია. მისი გამოყენებით მედიატორი შეძლებს ჩანვდეს დავის არსს და იმავდროულად მხარეთა შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლას შეუწყოს ხელი.¹³⁹ ამასთან, კომუნიკაციის უმთავრეს ელემენტებს წარმოადგენს მოსმენა, საუბარი, დაკითხვა, „სხეულის ენის“ გამოყენების უნარ-ჩვევები და ანალიტიკური აზროვნება.¹⁴⁰

მედიატორის ძირითად მოვალეობა, გამომდინარე მედიაციის წარმოების ტექნიკის სახეებიდან, მხარეების **მოსმენაა**. როდესაც მხარეები მედიატორის მხრიდან გრძნობენ ყურადღებას, რწმუნდებიან, რომ მათი აზრი მნიშვნელოვანია და ისინი უფრო გახსნილები არიან მოლაპარაკებების წარმოების პროცესში.

მოსმენის უნარი ხშირად ფუფუნებაა. რთულია რამდენიმე საათის განმავლობაში ერთსა და იმავე საკითხზე აფორიაქებული, განერვიულებული მხარის გულდასმით მოსმენა, რომელიც ცდილობს, ამტკიცოს მხოლოდ საკუთარი აზრი, და იმავდროულად მისი საუბრიდან შესაბამისი დასკვნების გამოტანა, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს დავის გადაწყვეტის პროცესში.

¹³⁶ The Model Standards of Conduct for Mediators, 2005 (U.S.), <http://www.mediate.com/articles/model_standards_of_conflict.cfm>.

¹³⁷ იქვე; ორიგინალში: “to guide the conduct of mediators; to inform the mediating parties; and to promote public confidence in mediation as a process for resolving disputes”.

¹³⁸ იქვე.

¹³⁹ იხ. *Cooley J.W.*, The Mediator's Handbook: Advanced Practice Guide for Civil Litigation, National Institute for Trial Advocacy (U.S.), 2006, 59 - 61.

¹⁴⁰ იქვე, 59 –153.

ეფექტური საუბრის უნარის საშუალებით, მედიატორი მხარეებს მათთვის გასაგები ენით განუმარტავს მედიაციის არსს, მისი გამოყენების შესაძლებლობას კონკრეტულ შემთხვევაში და სხვ.

სხეულის ენა ე.წ. „ბოდი ლენგვიჯი“ ადამიანის თითოეულ ქმედებას განსაზღვრავს, რომლის გამოყენება საკუთარ თავზე მუშაობის ხანგრძლივი პროცესია და ყველას არ ძალუძს მისი კონტროლი. შესაბამისი კურსებისა და პრაქტიკული დაკვირვებების შემდეგ გამოცდილი მედიატორი შეძლებს, მხარეთა ქმედებაში ამოიკითხოს ისეთი განცდები, როგორცაა: შიში, ტყუილი, ნერვიულობა, უყურადღებობა და ა.შ. თავის მხრივ, მედიატორსაც ევალება გააკონტროლოს საკუთარი ქმედება, ვინაიდან თითქოს უმნიშვნელო მოძრაობამ შეიძლება გამოიწვიოს უკმაყოფილება პროცესის მონაწილეთა მხრიდან.

ანალიზის უნარი მედიატორს საშუალებას მისცემს მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას, საქმის მასალებიდან გამომდინარე, ყურადღება გაამახვილოს ფაქტებზე, რომლებიც დავის წარმატებით გადაწყვეტას შეუწყობს ხელს.

4.3. მედიატორის განათლება და გამოცდილება

ერთი შეხედვით, მედიაცია მარტივი პროცესია, რომლის განმავლობაში, ორ მონაწილემდეგ მხარესთან ერთად, მედიატორი მოლაპარაკებების მაგიდას მიუჯდება და არ დაასრულებენ საუბარს, სანამ მხარეები არ შეთანხმდებიან.¹⁴¹ მაგრამ დავის მოგვარების პროცესში უმთავრეს როლს ასრულებს მედიატორი, თავისი პროფესიული უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების გამოყენებით, რასაც სპეციალური ტრენინგებისა და პრაქტიკული კურსების გარეშე ვერ გაუმკლავდება.

მედიატორთა სპეციალური კურსების ორგანიზატორი შეიძლება იყოს სახელმწიფო სტრუქტურებთან არსებული მედიაციის ცენტრები, კერძო კომპანიები, რომლებიც დავის მოგვარების საკითხებზე არიან სპეციალიზებულები, და სხვადასხვა კოლეჯები თუ უნივერსიტეტები.¹⁴²

გარდა აღნიშნული ტრენინგებისა და პრაქტიკული კურსებისა, მედიაციის ორგანიზატორი საჯარო თუ კერძო დაწესებულებები ადგენენ დამატებით მოთხოვნებს მედიატორის საქმიანობის აკრედიტაციასთან, პროფესიულ გამოცდილებასთან და სავალდებულო ტრენინგების მინიმუმის გავლასთან დაკავშირებით.

შესავალი სასწავლო კურსი მედიაციაში, ქვეყანაში დადგენილი სტანდარტებიდან გამომდინარე, შეიძლება სხვადასხვა ხანგრძლივობის იყოს. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, მედიატორმა უნდა გაიაროს ოთხდღიანი სპეციალური კურსი, რათა მიიღოს კვალიფიციური განათლება.¹⁴³

ამერიკის შეერთებულ შტატებში მედიატორის განათლებასთან დაკავშირებით თითოეულ შტატში განსხვავებული მოთხოვნაა, მაგალითად, ამერიკის არბიტრაჟთა ასოციაცია, რომელიც აშშ-ში დავების მოგვარების ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ორგანიზაციაა, მედიატორისგან მოითხოვს, მინიმუმ, 10-წლიან პროფესიულ გამოცდილებას და, მინიმუმ, 24-საათიანი სპეციალური კურსის გავლას მედიაციაში.¹⁴⁴

ავსტრალიაში, სადაც მედიაცია 20 წელზე მეტია¹⁴⁵ აქტიურად გამოიყენება, მედიატორის პროფესიის დაუფლებისათვის რეკომენდებულია, მინიმუმ, 38-საათიანი მედიაციის კურსის გავლა.¹⁴⁶

¹⁴¹ Lovenheim P., Doskow E., *Becoming A Mediator: Your Guide To Career Opportunities*, Nolo, 2004, 4/3 – 4/9.

¹⁴² იქვე.

¹⁴³ *Becoming a mediator - why not take up the challenge?* <<http://www.leeds.ac.uk/mediation/mediator.html>>.

¹⁴⁴ *Qualification criteria, American Arbitration Association Panel of Mediators*, <http://www.adr.org/aaa/ShowPDF?doc=ADRSTG_003877>.

¹⁴⁵ *Kalowski J., Mediation in Australia, Through the cultural prism: mediation in Australia*, Sydney, June 2009, (Article for publication in 2009, *Diversité des médiations du monde: Afriques - Orient - Amériques... et Europe*), <<http://www.jok.com.au/publications/mediation-in-australia>>.

საბაზისო ტრენინგები მედიაციის შესახებ მოიცავს ზოგად ფსიქოლოგიას, მოლაპარაკებების წარმოების თეორიას, ეფექტური მოსმენისა და საუბრის ეთიკის წესებსა და სხვა პრაქტიკულ საკითხებს.¹⁴⁷ აღსანიშნავია, რომ დიდი ხნის განმავლობაში, მედიაციის საწყისი კურსი 25-საათიანი იყო, მაგრამ, მედიაციის ინსტიტუტის განვითარებასთან ერთად, შესასწავლმა საკითხებმა იმატა და 40-საათიანი კურსი სტანდარტული გახდა.¹⁴⁸

საინტერესოა ასევე საქართველოში არსებული სასამართლო მედიაციის საპილოტო პროექტში მონაწილეობის მისაღებად მომავალი მედიატორების შერჩევის კრიტერიუმები, რაც, პირველ რიგში, კანდიდატთაგან მოითხოვს 5-წლიან პროფესიულ გამოცდილებას, ამასთან, აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენელს.¹⁴⁹

მედიაციის საბაზისო ტრენინგების გარდა, დავის განხილვის სფეროდან გამომდინარე, ასევე საჭიროა დამატებითი პროფესიული კურსების გავლა, რაც მედიატორს დაეხმარება, ჩახედული იყოს საქმის სპეციფიკაში¹⁵⁰ და სრულყოფილად შეასრულოს პროფესიული მოვალეობა.

4.4. მედიატორის როლი კონფლიქტების დარეგულირების პროცესში

მოგეხსენებათ, მედიაციის მიზანია ნეიტრალური მესამე მხარის ხელშეწყობით მოლაპარაკებების პროცესის ორგანიზება, რაც მხარეებს დაეხმარება, კონფლიქტის მოგვარების მიზნით, ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებაში. აქედან გამომდინარე, მედიატორის უმთავრესი როლია თავად მედიაციის პროცესის ორგანიზება და წარმართვა კანონით დადგენილ ფარგლებში და, იმავდროულად, მთლიანი პროცესის განმავლობაში ნეიტრალური მხარის შენარჩუნება.

მედიატორმა უნდა უზრუნველყოს მხარეთა მიერ ნებაყოფლობითი გადაწყვეტილების მიღება. მას უფლება არ აქვს, რჩევა მისცეს მხარეებს არსებულ საკითხებთან დაკავშირებით, მით უმეტეს გამოთქვას და თავს მოახვიოს საკუთარი აზრი.

მედიატორის ქცევის წესების ზოგადი სტანდარტებიდან გამომდინარე, პროცესის დაწყებისას მედიატორი ვალდებულია მხარეებს მიაწოდოს ინფორმაცია ზოგადად მედიაციის პროცესისა და მასში მხარეების როლის შესახებ.¹⁵¹

მედიაციის სხვადასხვა ეტაპზე, „შუამავალი“ ხელს უწყობს მხარეებს:

- „დავის გამომწვევი ძირითადი საკითხების გამოკვეთაში;
- მათ საჭიროებებსა და სურვილებს შორის სხვაობის გაგებაში;
- მეორე მხარის საჭიროებებისა და სურვილების გაგებაში და
- შესაძლო ვარიანტების რეალურად განხილვაში“.¹⁵²

ზემოაღნიშნული პროცესების შემდეგ მედიატორის კიდევ ერთი მოვალეობა, მხარეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, შეთანხმების აქტის შედგენაა, რომელსაც მედიაციის მონაწილე ყველა მხარე მოაწერს ხელს.

¹⁴⁶ Train to be a Mediator, Australian Mediation Register, < <http://www.amr.asn.au/train.html>>.

¹⁴⁷ Lovenheim P., Doskow E., Becoming A Mediator: Your Guide To Career Opportunities, Nolo, 2004, 4 /3.

¹⁴⁸ იხ. იქვე, 4/5 – 4/6; იხ. ასევე, Rozdeiczer L., Alvarez de la Campa A., Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation, Small and Medium Enterprise Department, The World Bank Group, November 2006, 52, <http://rru.worldbank.org/Documents/Toolkits/adr/adr_fulltoolkit.pdf>.

¹⁴⁹ იხ. „მედიატორის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი“, მაისი 13, 2012. <<http://hcoj.gov.ge/ge/press/news>>.

¹⁵⁰ Rozdeiczer L., Alvarez de la Campa A., Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation, Small and Medium Enterprise Department, The World Bank Group, November 2006, 50-53, <http://rru.worldbank.org/Documents/Toolkits/adr/adr_fulltoolkit.pdf>.

¹⁵¹ Ethical Guidelines for Mediators, Updated Version: August 2011, Law Council of Australia. <http://www.lawcouncil.asn.au/shadomx/apps/fms/fmsdownload.cfm?file_uuid=239F39DD - 1E4F - 17FA - D241 - 5CF41A 0BA6DC &siteName=lca>.

¹⁵² Lovenheim P., Doskow E., Becoming A Mediator: Your Guide To Career Opportunities, Nolo, 2004, 1/4.

5. საუკეთესო გამოცდილების მაგალითები მსოფლიოში

აღსანიშნავია, რომ მედიაცია, როგორც კონფლიქტების დარეგულირების მეთოდი, აქტიურად გამოიყენება მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1945 წლიდან.¹⁵³

თანამედროვე მედიაცია თავდაპირველად გამოიყენებოდა სახელმწიფოებს შორის არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის მიზნით, რომელშიც აქტიურ როლს ასრულებდა ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი/საბჭოთა კავშირი და ჩინეთი.¹⁵⁴ აქვე გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფოთაშორისი მედიაციის გამოყენებამ პიკს მიაღწია გასული საუკუნის 90-იან წლებში და იგი დღესაც ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მეთოდად რჩება.¹⁵⁵ მედიაციისადმი მზარდი ინტერესის მაჩვენებელია ნობელის ფონდის მიერ 2008 წელს მინიჭებული ჯილდო მშვიდობის დარგში¹⁵⁶ – სამი ათეული წლის მანძილზე რამდენიმე კონტინენტზე საერთაშორისო კონფლიქტების დარეგულირებაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის.¹⁵⁷ ნობელის პრემიის ლაურიატი გახლდათ ფინეთის ყოფილი პრეზიდენტი, გაეროს დიპლომატი და მედიატორი.

დღესდღეობით მედიაცია აქტიურად გამოიყენება როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ისე ყოველდღიურ საქმიან და საყოფაცხოვრებო დონეზე. მიუხედავად ამისა, ბევრი განვითარებადი ქვეყნისათვის იგი ახალ ინსტიტუტს წარმოადგენს, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს სამოქალაქო დაგების უმოკლეს ვადებში განხილვას და, იმავდროულად, ერთგვარი შეღავათი გაუწიოს სასამართლოს მნიშვნელოვანი საქმეების გადაწყვეტის პროცესში.

მედიაცია სამოქალაქო და კომერციული დაგების მოგვარების საშუალებად აშშ-ში გასული საუკუნის 70-იან წლებში იქცა, 80-იანი წლებიდან კი ავსტრალიასა და დიდ ბრიტანეთში, ხოლო 90-იანი წლებიდან სამხრეთ აფრიკასა და ევროპის სხვა ქვეყნებში.¹⁵⁸

გასათვალისწინებელია, რომ საკანონმდებლო დონეზე, მედიაცია სიახლეა ისეთი ქვეყნებისათვის, როგორცაა საბერძნეთი, რუსეთი, იტალია. 2011 წლიდან მათ რიგებს საქართველოც შეუერთდა. აქედან გამომდინარე, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, საინტერესო იქნება, მედიაციის პროცესი განხილულ იქნეს გამოცდილი ქვეყნების მაგალითებზე.

5.1. მედიაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში

1945 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატები უმთავრეს როლს ასრულებს მედიაციის საშუალებით კონფლიქტების დარეგულირების სფეროში. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი ჩართული იყო მსოფლიოში არსებული კონფლიქტების დარეგულირების მიზნით ორგანიზებული პროცესების 12%-ში.¹⁵⁹

მედიაცია, როგორც დამოუკიდებელი პროცედურა, ამერიკის შეერთებულ შტატებში აქტიურად გამოიყენება 70-იანი წლებიდან, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი მედიაციის მაგალითები ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან შეინიშნება.¹⁶⁰ ამერიკის შე-

¹⁵³ *Diehl P.F., Greig J.M.*, International Mediation, War and Conflict in the Modern World, Polity Press, 2012, 30.

¹⁵⁴ იქვე, 61 - 71.

¹⁵⁵ იქვე, 59.

¹⁵⁶ The Nobel Peace Prize 2008". Nobelprize.org. 28 May 2012, <http://www.nobelprize.org/nobel_prizes/peace/laureates/2008/>.

¹⁵⁷ *Morasso S.G.*, Argumentation in Dispute Mediation: A Reasonable Way to Handle Conflict, John Benjamins Publishing Company, Amsterdam, 2011, 2.

¹⁵⁸ *Alexander N.M.*, Global Trends in Mediation: Riding the Third Wave, Global trends in Mediation, Centrale für Mediation, Otto Schmidt Verlag DE, 2003, 1.

¹⁵⁹ *Diehl P.F., Greig J.M.*, International Mediation, War and Conflict in the Modern World, Polity Press, 2012, 64 - 65.

¹⁶⁰ Federal Mediation and Conciliation Service, A Timeline of Events in Modern American Labor Relations, <<http://www.fmcs.gov/internet/itemDetail.asp?categoryID=21&itemID=15810>>.

ერთებული შტატების მედიაციის განვითარების ისტორიაში აღსანიშნავია 1947 წელი, როდესაც აშშ-ის მთავრობის დამოუკიდებელი სააგენტოს სახით შეიქმნა „მედიაციისა და მორიგების ფედერალური სამსახური“.¹⁶¹ აღნიშნული სამსახურის დაფუძნება განაპირობა ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც XX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო აშშ-ში და მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კვლავ გამძაფრდა კონფლიქტი ქვეყნის პროფკავშირებსა და მუშახელს შორის.¹⁶²

დღესდღეობით, აშშ-ის „მედიაციისა და მორიგების ფედერალური სამსახური“ მომსახურებას სთავაზობს მედიაციის სფეროში სხვადასხვა საზოგადოებრივ, ინდუსტრიულ და სამთავრობო სააგენტოს.¹⁶³

საოჯახო, სამეზობლო და სხვა საყოფაცხოვრებო დავების გადაწყვეტის მიზნით მედიაცია აშშ-ში გამოიყენება XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან, რაც მიზნად ისახავდა, საზოგადოების გარკვეულ ფენებს გაადვილებოდა ყოფითი დავების მოგვარება სასამართლოს ჩარევის გარეშე.¹⁶⁴

1990 წელს, ამერიკის კონგრესმა მიიღო აქტი „სამოქალაქო სამართლის რეფორმის შესახებ“ (Civil Justice Reform Act),¹⁶⁵ სადაც მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი ალტერნატიული მეთოდი, კანონმდებლობით იქნა განმტკიცებული.

1998 წლის აქტით „დავის ალტერნატიული გზით გადაწყვეტის შესახებ“¹⁶⁶ კი აშშ-ის საოლქო სასამართლოებს დაევალა დავების ალტერნატიული მეთოდით გადაწყვეტისათვის ხელის შეწყობა.¹⁶⁷ საინტერესოა, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მეთოდებს შორის ყველაზე ხშირად გამოიყენება მედიაცია, რასაც მოწმობს ამერიკის ფედერალური სასამართლოების ცენტრის მიერ მომზადებული 2011 წლის ანგარიში.¹⁶⁸ 2010-2011 წლის ზაფხულში 49 ფედერალურ საოლქო სასამართლოს მიერ განხილული 28267 საქმიდან, რომლის გადასაწყვეტად გამოყენებულ იქნა დავის ალტერნატიული გზით მოგვარების მეთოდები (მედიაცია, არბიტრაჟი, მინისასამართლო და სხვ.), 17833 საქმე განსახილველად გადაეცა მედიატორს.¹⁶⁹

„დავის ალტერნატიული გზით გადაწყვეტის შესახებ“ აქტი ასევე ავალებს საოლქო სასამართლოებს, უზრუნველყონ დავის ალტერნატიული გზით გადაწყვეტის ერთ-ერთი მეთოდის გამოყენება მაინც.¹⁷⁰

2001 წელს მიღებულ იქნა „ერთგვაროვანი აქტი მედიაციის შესახებ“,¹⁷¹ რომელიც მედიაციის შესახებ საკანონმდებლო ნორმების ნაკრებია. „ერთგვაროვანი აქტი მედიაციის შესახებ“ ხელს უწყობს აშშ-ში მედიაციის გამოყენებას და, იმავდროულად, გარკვეულ პრივილეგიას ანიჭებს პროცესში მონაწილე მხარეებს.¹⁷²

¹⁶¹ Federal Mediation and Conciliation Service, <www.fmcs.gov>.

¹⁶² Labor in America: The Worker's Role, <<http://usa.usembassy.de/etexts/oecon/chap9.htm>>.

¹⁶³ Federal Mediation and Conciliation Service, <<http://www.fmcs.gov/internet/itemDetail.asp?categoryID=465&itemID=23210>>.

¹⁶⁴ История медиации, <http://mosmediator.narod.ru/istoriya_mediatsii/>.

¹⁶⁵ Civil Justice Reform Act, 1990 (U.S.)

¹⁶⁶ Alternative Dispute Resolution Act, 1998 (U.S.)

¹⁶⁷ In Resolving Disputes, Mediation Most Favored ADR Option in District Courts, The Third Branch News, United States Court, July 2006, <http://www.uscourts.gov/news/TheThirdBranch/06-07-01/In_Resolving_Disputes_Mediation_Most_Favored_ADR_Option_in_District_Courts.aspx>.

¹⁶⁸ Stienstra D., ADR in the Federal District Courts: An Initial Report, Federal Judicial Center, November 16, 2011, <[http://www.fjc.gov/public/pdf.nsf/lookup/adr2011.pdf/\\$file/adr2011.pdf](http://www.fjc.gov/public/pdf.nsf/lookup/adr2011.pdf/$file/adr2011.pdf)>.

¹⁶⁹ იქვე, 15.

¹⁷⁰ Alternative Dispute Resolution Act, 1998 (U.S.), Section 4.

¹⁷¹ Uniform Mediation Act, section 2,(1), last amended in 2003, <https://www.law.upenn.edu/library/archives/ulc/mediat/2003finaldraft.htm#TOC1_2>.

¹⁷² Diaz L.M., Oretskin N., The U.S. Uniform Mediation Act and the Draft UNCITRAL Model Law on International Commercial Conciliation, <<http://www.mediate.com/articles/daiz2.cfm>>.

აშშ-ში მედიაციის ინსტიტუტის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკის ადვოკატთა ასოციაციას, ამერიკის არბიტრაჟთა ასოციაციას, ასოციაციას კონფლიქტების და-რეგულირებისათვის. სწორედ მათ მიერ იქნა შემუშავებული და შემდგომში მიღებული „მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტები“.

5.2. მედიაცია ავსტრალიაში

20 წელზე მეტია, რაც ავსტრალიაში მედიაცია აქტიურად გამოიყენება.¹⁷³ პირველად, 1991 წელს, ავსტრალიის მთავრობამ მიიღო კანონი „სასამართლოს (მედიაცია და არბიტრაჟის) შესახებ“, ¹⁷⁴ რომლის თანახმად საოჯახო და ფედერალურ სასამართლოებს უფლება მიენიჭათ, მხარეთათვის შეეთავაზებინათ მედიაციით ან არბიტრაჟით სარგებლობა.¹⁷⁵

1994 წელს ძალაში შევიდა კანონი „საოჯახო ურთიერთობების შესახებ“, ¹⁷⁶ რომელიც ითვალისწინებდა სასამართლოს მიერ ყველა ან სადავო საქმეთა ნაწილის მედიატორისათვის გადაცემას.¹⁷⁷

1997 წლის ავსტრალიის კანონის „მედიაციის შესახებ“ და „სასამართლო კანონმდებლობის ცვლილებებთან დაკავშირებით“ კანონის თანახმად, ფედერალურ სასამართლოებს უფლება მიეცათ, საქმე გადაეცათ მედიატორისათვის როგორც მხარეთა თანხმობის საფუძველზე, ისე მის გარეშე.¹⁷⁸

აღსანიშნავია ავსტრალიის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკონსულტაციო კომიტეტის 1994 წლის ანგარიში, რის საფუძველზეც საჭიროდ იქნა ცნობილი სპეციალური ორგანოს შექმნა, რომელიც მთავრობას, ფედერალურ სასამართლოებსა და ტრიბუნალებს გაუწევდა კონსულტაციებს დავების ალტერნატიული გზით გადაწყვეტის საკითხებთან დაკავშირებით.¹⁷⁹ აქედან გამომდინარე, 1995 წელს ავსტრალიაში შეიქმნა „დავების ალტერნატიული გზით გადაწყვეტის ეროვნული საკონსულტაციო საბჭო“.

არბიტრაჟისა და მედიატორის მომსახურების სფეროში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და გამოცდილ ორგანიზაციად მიიჩნევა „ავსტრალიის არბიტრაჟთა და მედიატორთა ინსტიტუტი“, რომელიც 1975 წელს შეიქმნა.¹⁸⁰

ავსტრალიაში მედიაცია ყველაზე ხშირად გამოიყენება საოჯახო დავების გადაწყვეტის მიზნით.¹⁸¹ აღსანიშნავია, რომ საოჯახო დავების 95% რეგულირდება დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდებით.¹⁸²

¹⁷³ *Kalowski J.*, Mediation in Australia - Through the cultural prism: mediation in Australia, June 2009, Article for publication in 2009, Diversité des médiations du monde: Afriques - Orients - Amériques... et Europes, <<http://www.jok.com.au/publications/mediation-in-australia>>.

¹⁷⁴ Courts (Mediation and Arbitration) Act, 1991(Australia) <<http://www.comlaw.gov.au/Details/C2004A04188>>.

¹⁷⁵ Основы медиации (посредничества), МЕДИАТОР – ВНЕСУДЕБНЫЕ ПРОЦЕДУРЫ - АЛЬТЕРНАТИВНОЕ УРЕГУЛИРОВАНИЕ СПОРОВ - ПРИМИРЕНИЕ СТОРОН, <http://mosmediator.narod.ru/status_mediatora/osnovi_mediatsii_posrednichestva_>.

¹⁷⁶ Domestic Relationships Act, 1994 (Australia) – (Effective: 17/12/09).

¹⁷⁷ იბ. იქვე, Part 2, 8.

¹⁷⁸ Основы медиации (посредничества), МЕДИАТОР – ВНЕСУДЕБНЫЕ ПРОЦЕДУРЫ - АЛЬТЕРНАТИВНОЕ УРЕГУЛИРОВАНИЕ СПОРОВ - ПРИМИРЕНИЕ СТОРОН, <http://mosmediator.narod.ru/status_mediatora/osnovi_mediatsii_posrednichestva_>.

¹⁷⁹ National Alternative Dispute Resolution Advisory Council (NADRAC), About NADRAC. <http://www.nadrac.gov.au/about_NADRAC/Pages/default.aspx>.

¹⁸⁰ The Institute of Arbitrators & Mediators Australia (IAMA), <<http://www.iama.org.au/institute.htm>>

¹⁸¹ Основы медиации (посредничества), МЕДИАТОР - ВНЕСУДЕБНЫЕ ПРОЦЕДУРЫ - АЛЬТЕРНАТИВНОЕ УРЕГУЛИРОВАНИЕ СПОРОВ - ПРИМИРЕНИЕ СТОРОН. <http://mosmediator.narod.ru/status_mediatora/osnovi_mediatsii_posrednichestva_>.

¹⁸² იქვე.

5.3. მედიაცია დიდ ბრიტანეთში

ინგლისის მთავრობა აქტიურად უჭერს მხარს მედიაციის განვითარებას სამოქალაქოსა-მართლებრივი დავების გადაწყვეტის პროცესში.¹⁸³ აღნიშნულს მოწმობს 2012 წლის აპრილში დიდი ბრიტანეთის მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ ყოველწლიურად მთავრობა დამატებით 10 მილიონ ფუნტ სტერლინგს გამოყოფს მედიაციის პროცესებისათვის, რაც ჯამში 25 მილიონ ფუნტ სტერლინგს შეადგენს წელიწადში.¹⁸⁴

დიდი ბრიტანეთის იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, განქორწინებასთან დაკავშირებული ფინანსური და ქონებრივი დავების მედიაციის საშუალებით გადაწყვეტის საშუალო ღირებულება შეადგენს 1000 ფუნტ სტერლინგს, ხოლო სასამართლოს დახმარებით – 4000 ფუნტ სტერლინგს.¹⁸⁵ აქვე უნდა აღინიშნოს დროის ეკონომია, რომელიც მედიაციას ახასიათებს. მედიაციის პროცესი, საშუალოდ, გრძელდება 110 დღე, ხოლო სხვა საშუალებებით დავების მოგვარება – 435 დღე.¹⁸⁶

საინტერესოა, რომ დიდ ბრიტანეთში, მათთვის, ვისაც არ გააჩნიათ საკმარისი სახსრები, რათა საკუთარი ინტერესების დასაცავად მიმართოს სასამართლოს, სახელმწიფო გამოყოფს საჭირო დაფინანსებას.¹⁸⁷ საოჯახო ურთიერთობებთან და ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები იურიდიულ მომსახურებათა ფართო სპექტრს მოიცავს და ამიტომ, პრიორიტეტულია სახელმწიფო დაფინანსების მიღებისათვის.¹⁸⁸ ამასთან, სახელმწიფო დაფინანსების მიღებისათვის დაინტერესებული მხარე, 2011 წლის 6 აპრილის „პრაქტიკული ღირეტივა 3“-ის და მასთან არსებული პროტოკოლის თანახმად, სახელმწიფო დაფინანსების მიღებამდე ვალდებულია შეხვედეს მედიატორს.¹⁸⁹ აღნიშნული შეხვედრა შეიძლება არ შედგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე წინააღმდეგია მივიდეს საინფორმაციო შეხვედრაზე, ასევე თუ მედიატორი დაადასტურებს, რომ აღნიშნული დავა ვერ განიხილება მედიაციის მოსამზადებელ შეხვედრაზე, ან საქმე ეხება ოჯახურ ძალადობას და ა.შ.¹⁹⁰

ბრიტანეთის იუსტიციის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2004-2010 წლებში მედიაციის (სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული) საშუალებით განხილული 137440 საქმიდან 62% დასრულდა შეთანხმებით, 4% – ნაწილობრივი შეთანხმებით და 34% – წარუმატებლად.¹⁹¹

მედიაციის წარმოებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს დავის ეფექტური გადაწყვეტის ცენტრს (Centre for Effective Dispute Resolution), რომელსაც 20-წლიანი გამოცდილება აქვს დავების გადაწყვეტის, კონფლიქტების დარეგულირებისა და აღნიშნულ სფეროში ტრენინგების ჩა-

¹⁸³ Wood B. (the acting Chair of the Civil Mediation Council), Mediation a success in civil justice system, 23 May 2012, <<http://www.justice.gov.uk/news/features/mediation - a - success - in - civil - justice - system>>.

¹⁸⁴ Djanogly J. (Justice Minister), The Law Society Family Mediation event, 16 April 2012, <www.justice.gov.uk/news/speeches/jonathan - djanogly/the - law - society - family - mediation - event>.

¹⁸⁵ Family mediation - an alternative to courts, 4 January 2011, <www.justice.gov.uk/news/features/features - 040111a>.

¹⁸⁶ იქვე.

¹⁸⁷ <http://www.legalservices.gov.uk/public/what_legal_aid.asp>.

¹⁸⁸ Funding Code Decision Making Guidance - Family (Section 20) Sept 07, 20.1 (1), <[http://www.legalservices.gov.uk/docs/cls_main/FundingCodeDecisionMakingGuidanceFamily\(Sections20\)Sept07.pdf](http://www.legalservices.gov.uk/docs/cls_main/FundingCodeDecisionMakingGuidanceFamily(Sections20)Sept07.pdf)>

¹⁸⁹ PRACTICE DIRECTION 3A – PRE - APPLICATION PROTOCOL FOR MEDIATION INFORMATION AND ASSESSMENT, This Practice Direction supplements FPR Part 3, 2011(UK), <http://www.justice.gov.uk/courts/procedure - rules/family/practice_directions/pd_part_03a>.

¹⁹⁰ იხ. იქვე, Annex C.

¹⁹¹ *Quartermain S.*, Sustainability of mediation and legal representation in private family law cases - Analysis of legal aid administrative datasets, Ministry of Justice Research Series 8/11, November 2011, <<http://www.justice.gov.uk/downloads/publications/research - and - analysis/moj - research/sustainability - mediation - private - family - law.pdf>>.

ტარების სფეროში.¹⁹² ასევე, აღსანიშნავია ცენტრის მნიშვნელოვანი როლი ინგლისისა და უელსის სასამართლო სისტემასა და საქმიან სფეროში მედიაციის განვითარების მხრივ.¹⁹³

5.4. მედიაცია რუსეთში

სამართლის განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება ადამიანთა შორის წარმოშობილი დავის სასამართლოს გვერდის ავლით გადაწყვეტის საკითხი. სწორედ ამიტომ ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობა ცდილობს შექმნას ისეთი საკანონმდებლო მექანიზმები, რომლებიც მხარეებს შესაძლებლობას მისცემს თავიანთი დავა სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთადერთი ორგანოს გვერდის ავლით გადაწყვიტონ ისე, რომ არ გასცდნენ სამართლით დადგენილ სივრცეებს და საფრთხე არ შეუქმნან ადამიანთა შორის არსებულ სოციალურ ურთიერთობებს. შესაბამისად, ნებისმიერი ისეთი მოქმედება, რომელიც მოდავე მხარეთა შორის ურთიერთობის შენარჩუნებას და ამავე დროს დავის გადაწყვეტას შეუწყობს ხელს, თანამედროვე სოციალური სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერილი იქნება. ადამიანთა შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ამავე დროს, უძველესი ხერხი მედიაციას. მედიაციის გზით შესაძლებელია არსებული კონფლიქტის მხარეთა ინტერესების შესაბამისად გადაწყვეტა ისე, რომ შენარჩუნებული იქნეს სამართლის უმთავრესი მიზნებიც. სამართლის ამოცანა ხომ ადამიანთა თანაცხოვრების შედეგად წარმოშობილი კონფლიქტების სამართლიანად მონესრიგებაა.¹ წინამდებარე ნაშრომიც სწორედ მედიაციას, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას, შეეხება. კონკრეტულად კი ყურადღება გამახვილდება ისეთ საკანონმდებლო სიახლეზე, როგორცაა სანოტარო მედიაციის შემოღება საქართველოში. გარდა ამისა, საუბარი იქნება სანოტარო მედიაციის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. ამასთან, განხილული და შეფასებული იქნება ის პრობლემური საკითხები, რომელიც ქართულ საკანონმდებლო ბაზას სანოტარო მედიაციასთან დაკავშირებით გააჩნია.

2. მედიაციის ცნება

მედიაცია მომდინარეობს ლათინური ზედსართავისაგან *medius*, რაც ორ თვალსაზრისს ან ორ მხარეს შორის შუალედური პოზიციის დაკავებას, შუალედური გამოსავლის შეთავაზებას, ნეიტრალურად და მიუკერძოებლად მოქმედებას ნიშნავს.² მედიაცია მოლაპარაკების პროცესია, სადაც ნეიტრალური პირი – მედიატორი დაპირისპირებულ მხარეებს ან/და მათ წარმომადგენლებს ეხმარება მათ შორის წარმოშობილი კონფლიქტის ურთიერთსასარგებლო შეთანხმებით დასრულებაში. მედიატორი შეთანხმების პირობებზე გავლენას არ ახდენს. ის მედიაციის პროცესს უძღვება და მოლაპარაკების მონაწილე მხარეებს ეხმარება, შეთანხმებას უფრო სწრაფად და ნაკლებ დროში მიაღწიონ, ვიდრე ისინი ამას შეძლებდნენ დამოუკიდებლად.³ ამ განმარტებიდან გამომდინარე, მედიატორი მედიაციის პროცესის დროს წარმოადგენს დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ პირს, რომელიც მხარეებს ეხმარება კონსენსუსის მიღ-

¹ *ციპელიუსი რ.*, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მეათე გადამუშავებული გამოცემა, მიუნხენი, 2006, 13.

² *Georges K. E.*, *Ausfürliches Lateinisch – Deutsches Hanswörterbuch*, Bd. 2. Darmstadt, 1983. – მითითებულია *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 415.

³ <<https://www.ohiobar.org/General%20Resources/pub/legalbasics/LB%20Chapter%2013.pdf>> [03.08.2012].

წევარში. მედიაციის მთავარი არსი და დანიშნულებაა აღდგენილ და შენარჩუნებულ იქნეს ის სოციალური ურთიერთობები, რომლებიც მხარეთა შორის არსებობს.⁴ მედიაციის პროცესის დანიშნულება დაპირისპირებულ მხარეთა ურთიერთშეთანხმებაა.⁵ აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მედიაციის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი სოციალურია, ე. ი. უპირატესად ადამიანური ურთიერთობების შენარჩუნებაა. მნიშვნელოვანია, რომ მოლაპარაკების მონაწილე მხარეები მიღებულ შეთანხმებას დამოუკიდებლად იღებენ, ანუ მათ მიერ მიღწეული შეთანხმება მთლიანად თვითპასუხისმგებლობაზეა დამყარებული. მედიაციის პროცესის შედეგად მიღწეული შეთანხმების ნებაყოფლობით შესრულება ხელს უწყობს და ინარჩუნებს იმ სოციალურ ურთიერთობებს, რომელიც მოდავე მხარეთა შორის არსებობს.⁶ მედიაცია მოლაპარაკების პროცესის მხარდაჭერა და ხელშეწყობაა. სხვაგვარად რომ ითქვას, ეს არის სტრუქტურირებული მოლაპარაკების პროცესი, რომელიც პროფესიონალი მედიატორის აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს.⁷ მედიაციის პროცესი, როგორც აღმოჩნდა, მესამე დამოუკიდებელი პირის გარეშე წარმოუდგენელია. პრაქტიკაში ხშირად დგება საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ არის ის პირი, რომელიც მხარეებს მოლაპარაკებაში ეხმარება. ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, მედიატორი არის დამოუკიდებელი პიროვნება, რომელსაც სპეციალური სწავლება, ტრენინგი აქვს გავლილი სხვადასხვა სფეროში და მხარეებს კონფლიქტის აღმოფხვრაში ეხმარება.⁸ ამასთან, მედიატორი შესაძლოა იყოს სასამართლოს თანამშრომელი, უბრალო მოხალისე, რომელიც სასამართლოს ეხმარება,⁹ მოსამართლე ან სხვა ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს პირადი გამოცდილება და ცოდნა კონფლიქტის მოგვარებაში.¹⁰ მედიაციას, ისევე როგორც კონფლიქტების გადაწყვეტის სხვა ალტერნატიულ საშუალებებს და მეთოდებს, დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა შორის არსებული უთანხმოების მოსაწესრიგებლად. მედიაცია ხელს უწყობს მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევას, მათ მორიგებას იმ ორგანოების ჩარევის გარეშე, რომლებსაც კანონით ან მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით აქვთ დავების გადაწყვეტის უფლებამოსილება. ხშირ შემთხვევაში სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტას არ მოსდევს კონფლიქტის ეფექტურად და სწორად გადაწყვეტა, ვინაიდან სასამართლო პროცედურა შემდგომში მოითხოვს სასამართლო გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებას. ე.ი. სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს ჩარევა ხდება ორ მხარეს შორის არსებულ კონფლიქტში. მხარეთა მიმართ ნეიტრალური და დამოუკიდებელი მედიატორის მონაწილეობით დავის მოგვარება კი ეფექტურია, რადგან საშუალებას იძლევა კონფლიქტი კომპრომისის საფუძველზე იძულებისა და სასამართლოში საქმის საწარმოებლად საჭირო თანხისა და დროის ზედმეტად ხარჯვის გარეშე გადაწყდეს.¹¹ მედიაციის პროცესი განიხილება, როგორც პრობლემის ეფექტურად გადაწყვეტისთვის უფრო სწრაფი, იაფი და პროცედურულად მარტივი მექანიზმი.¹²

⁴ <<http://www.cdnq.org/en/businessPartner/Epart5.html>> [01.08.2012].

⁵ Haynes J. M, Heynes L. G, Fong L .S, Mediation, Positive Conflict Management, State University of New York, 2004, 15.

⁶ იხ. Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council, of 21 May, 2008, on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters.

⁷ ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბ., 2010, 34.

⁸ <<https://www.ohioabar.org/General%20Resources/pub/legalbasics/LB%20Chapter%2013.pdf>> [03.08.2012].

⁹ ეს შესაძლოა ე.წ. სასამართლო მეგობარი იყოს.

¹⁰ <<https://www.ohioabar.org/General%20Resources/pub/legalbasics/LB%20Chapter%2013.pdf>> [03.08.2012].

¹¹ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, 416.

¹² Nolan-Haley M. J., Alternative Dispute Resolution in a Nutshell, third edition, 2008, 72.

ქონების განაწილების სამართლებრივად „გაფორმება“. შესაბამისად, ასეთი სახის დოკუმენტი იურიდიული ძალის მქონე და აღსრულებათუნარიანიც იქნებოდა. როგორც ჩანს, მედიატორები მიღებულ გადაწყვეტილებას ისეთი სახით აფორმებდნენ, რომელიც შემდგომ გააადვილებდა გადაწყვეტილების აღსრულებას. მნიშვნელოვანია, რომ ბჭე-მედიატორთა განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.²⁰ სიტყვა „განაჩენი“ ამ შემთხვევაში მიღებულ კერძოსამართლებრივ გადაწყვეტილებას გულისხმობს და არა სისხლისსამართლებრივ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მედიატორები სისხლის სამართლის საკითხებთან დაკავშირებულ დავებში არ მონაწილეობდნენ.

4. მედიაციის სამართლებრივი მოწესრიგება ქართული კანონმდებლობის მიხედვით

მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ერთ-ერთ ეფექტური საშუალება, თანამედროვე ქართული სამართლისათვის სიახლეა. მედიაციის საკანონმდებლო რეგულირება ქართველმა კანონმდებელმა პირველად შემოგვთავაზა 2011 წლის 20 დეკემბრის ცვლილება-დამატებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.²¹ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187¹-ე მუხლი სწორედ სასამართლო მედიაციის ლეგალურ დეფინიციას შეიცავს. გარდა ამისა, კანონმდებელმა შემოიღო სამედიცინო მედიაციის მარეგულირებელი ნორმები, რომლებმაც ასევე სამოქალაქო საპროცესო ნორმებში პოვა ასახვა. აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა საკანონმდებლო გზით მხარეებს მიანიჭა პირდაპირი კანონისმიერი საშუალება, მათ შორის წარმოშობილი დავა გადაწყვიტონ მედიაციის საშუალებით. სასამართლო მედიაციის მარეგულირებელ საკანონმდებლო ნორმებში განსაზღვრულია შესაძლო დავათა ის ჩამონათვალი, რაც სასამართლო მედიაციის საშუალებითაა გადასაწყვეტი.

გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა, კანონმდებელმა საკანონმდებლო გზით შემოიღო სანოტარო მედიაციის ინსტიტუტი. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის²² 38¹-ე მუხლი სწორედ სანოტარო მედიაციის ლეგალურ დეფინიციას შეიცავს. ეს საკანონმდებლო ნორმა სიახლეა ქართული სანოტარო სამართლისათვის და ამიტომაც მის მიმართ განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული. აღნიშნული საკანონმდებლო ნორმის პირველი პუნქტის თანახმად: 1) ნოტარიუსი შეიძლება იყოს მედიატორი მოდავე მხარეთა შორის ა) საოჯახო სამართლებრივ დავებზე, გარდა შვილად აყვანისა, შვილად აყვანის ბათილად ცნობისა, მშობლის უფლების შეზღუდვისა და მშობლის უფლების ჩამორთმევისა; ბ) სამემკვიდრეო სამართლებრივ დავებზე; გ) სამეზობლო სამართლებრივ დავებზე; დ) ნებისმიერ სხვა დავაზე, თუ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის ასეთ დავაზე მედიაციის განხორციელების სპეციალური წესი. 2) მედიაცია ნოტარიუსის მონაწილეობით შეიძლება განხორციელდეს მოდავე მხარეთა თანხმობით. 3) სანოტარო მედიაციის განხორციელების წესი განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. 4) თუ სანოტარო მედიაციის პროცესში დავა მხარეთა შეთანხმებით დასრულდა, ნოტარიუსი ადგენს მორიგების აქტს, რომელიც დასტურდება სანოტარო წესით. 5) მხარის მიერ სანოტარო მედიაციის ფარგლებში შემდგარი მორიგების აქტით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში იძულებით აღსრულება ხორციელდება ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. როგორც განსახილველი საკანონმდებლო ნორმიდან ჩანს, სანოტარო მედიაციის რეგულირება ძალზე ზოგადი და „მშრალია“. აღნიშნული აიხსნება იმით, რომ სანოტარო მედიაციის პროცე-

²⁰ *კეკელია მ.*, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, ნიგნი 1-ლი, თბ., 1970, 252.

²¹ საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წელი, 47-48.

²² საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 46, 22.12.2009.

სისა და პროცედურების დეტალური რეგულირება უნდა განხორციელდეს „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციაში“, სხვა კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში.

5. ნოტარიუსის სამართლებრივი სტატუსი

ნოტარიუსის სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია „ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონში“. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნოტარიუსი თავის პროფესიულ საქმიანობაში თავისუფალია და სანოტარო და სხვა მასთან დაკავშირებულ მოქმედებათა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას ამ კანონისა („ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონის“ – ს.ტ.) და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე. მნიშვნელოვანია აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც სანოტარო მოქმედების შესრულებისას ნოტარიუსი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი განსაზღვრავს სანოტარო მოქმედებების შესრულების ზოგად დეფინიციას. აღნიშნული მუხლის მიხედვით, სანოტარო მოქმედებებს ნოტარიუსი ასრულებს ფიზიკური ან იურიდიული პირის თხოვნით. სანოტარო მოქმედებების მონაწილეთათვის (არამხოლოდ მათთვის) ნოტარიუსის მიერ განხორციელებულ სანოტარო მოქმედებებს სამართლებრივი, ე.ი. იურიდიული ძალა აქვს. აღნიშნული მუხლის მიხედვით, სანოტარო წესით დამოწმებულ დოკუმენტს უდავო მტკიცებულებითი ძალა აქვს. უდავო მტკიცებულებით ძალაზე საუბრისას აღსანიშნავია ის, რომ ნოტარიუსი არის პირი, რომელზედაც „დელეგირებულია“ ის უფლებამოსილებები, რომლებიც სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება. ზემოთქმული გამომდინარეობს „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლიდან, რომლის თანახმადაც, ნოტარიუსი ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ნოტარიუსი წარმოადგენს პირს, რომელიც, „ნოტარიატის კანონის“ მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, არ არის საჯარო მოხელე, მაგრამ თავისი უფლებამოსილებათა ფართო სპექტრით გარკვეულწილად ემსგავსება მას. ნოტარიუსი ოფიციალური პირია, რომლის ფუნქციებია იმ სანოტარო აქტების შედგენა და გაფორმება, რომელთა ნამდვილობისათვის სანოტარო წესით დამოწმება კანონით არის დადგენილი, ან მას გარიგების მონაწილეები მოითხოვენ.²³ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ფართოდ აღიარებული შეხედულებების თანახმად, ნოტარიუსი განიხილება არა როგორც საჯარო მოხელე, არამედ როგორც თავისუფალი პროფესიის პირი. ამ შეხედულებას საფუძველად უდევს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, სადაც ნოტარიუსი განხილულია როგორც სახელმწიფოებრივი უფლებამოსილებების განმახორციელებელ არაფიქსირებულ მოხელე, რომელიც, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, ხელფასს თვითონ გამოიმუშავებს.²⁴ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნოტარიუსი მხარეთათვის წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ მრჩევლს, რომელიც თავის პროფესიულ უფლებამოსილებას ახორციელებს დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად²⁵ და მის მიერ დადგენილ და დადასტურებულ ფაქტებს უდავო მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვთ. სწორედ ამიტომ ცალკეული ქვეყნის კანონმდებლობები სწორედ ნოტარიუსებს ანიჭებს მედიატორის უფლებამოსილებებს. ეს გამართლებულიცაა, რადგან ნოტარიუსი ის პირია, რომელიც გაცნობიერებულია სამართლებრივ საკითხებში და მას, ჩვეულებრივ, არაიურისტ მედიატორზე კარგად შეუძლია განსაზღვრული სამართლებრივი პრობლემის შეფასება და შემდგომ მისი გადაჭრის გზების ძიება. მნიშვნელოვანია, რომ ნო-

²³ სუხიტაშვილი დ., საქართველოს სანოტარო სამართალი, თბ., 2002, 43.

²⁴ დაწვრილებით ამის შესახებ იხილეთ, ბურდული ი., სანოტარო ბიუროს ფინანსებისა და ნოტარიუსის შრომის ანაზრაურების საკითხისათვის („ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონის“ 21-ე მუხლის კომენტარი), „სამართლის ჟურნალი“, №2, 2011, 35.

²⁵ სუხიტაშვილი დ., საქართველოს სანოტარო სამართალი, თბ., 2002, 44.

ტარიუსს ისეთი იურიდიული მნიშვნელობის აქტის შესრულების უფლება აქვს, როგორცაა სააღსრულებლო ფურცელი. სააღსრულებლო ფურცელის გაცემის წესს „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლი აწესრიგებს. აღნიშნული მუხლის გაანალიზების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანონმდებელმა ნოტარიუსი გარკვეულწილად მოსამართლის უფლებამოსილებით აღჭურვა. ნოტარიუსის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება-უნარიანობა დამოკიდებული ხდება არა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, არამედ ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ნოტარიუსთა მიერ გაცემული სააღსრულებლო დოკუმენტები განტვირთავს სასამართლოს და მხარეს აღარ უნევს დამატებითი დროის, მატერიალური და სხვა სახის ხარჯების გაწევა. ამ მიზეზით სააღსრულებლო დოკუმენტმა სანოტარო საქმიანობაში დიდი პოპულარობა მოიპოვა, ყოველდღიურად იზრდება ისეთი ხელშეკრულებების რიცხვი, რომელშიც ხელშემკვერელი მხარეები თანხმდებიან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში სასამართლოს გვერდის ავლით მოხდეს ხელშეკრულების კეთილსინდისიერი მხარის ინტერესების დაკმაყოფილება ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებლო ფურცლის საშუალებით. სწორედ ამიტომ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სულ უფრო და უფრო მეტი ნოტარიუსი სთავაზობს მედიაციას, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას, მოდავე მხარეებს, სადაც ნოტარიუსი – მედიატორი პროცესის მონაწილეებს ეხმარება არსებითად სწორი და ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტილების მიღებაში.²⁶ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა ნოტარიუსი არ იქნება მედიატორის ფუნქციით აღჭურვილი. სანოტარო მედიაციის პროცესს მხოლოდ შესაბამისი ხარისხის მქონე ნოტარიუსები განახორციელებენ.

6. ნოტარიუსის ახალი ფუნქცია, ნოტარიუსი – მედიატორი

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში, როგორც აღვნიშნეთ, მოხდა სანოტარო მედიაციის ინსტიტუტის დეფინიცირება. კანონმდებელმა ნოტარიუსის სამართლებრივი სტატუსის შინაარსი მედიატორის ფუნქციებითაც აღჭურვა. საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, აღნიშნული მიდგომა გამართლებულია და შესაბამისობაში არის თუ არა ნოტარიუსის სამართლებრივ სტატუსთან, ან ხომ არ გულისხმობს ეს მედიატორის, როგორც დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და უპირატესად დავის შეთანხმებით დასრულებაზე ორიენტირებული პირის, საქმიანობის შინაარსის, მისი სუბსტანციურობის ხელყოფას? აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა დეტალურად გავეცნოთ „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის დღეს არსებულ ნორმას სანოტარო მედიაციასთან დაკავშირებით. ამასთან, მნიშვნელოვანია ევროსაბჭოს 2008 წლის დირექტივა მედიაციის პროცესსა და მის მნიშვნელობაზე.²⁷ აღსანიშნავია, რომ ეს დირექტივა ზოგად მითითებებს შეიცავს და მისი დაკონკრეტება ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობების პრეროგატივაა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი იქნება დავსახოთ მომავალი საკანონმდებლო ცვლილებების შინაარსი, რომელიც დეტალურად დაარეგულირებს სანოტარო მედიაციის პროცესს. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ნოტარიუსი თავისი სამართლებრივი სტატუსით სახელმწიფოსგან უფლებამოსილი პირია, რომელიც მხარეთათვის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი მრჩევლის როლში გვევლინება. მედიატორიც დამოუკიდებელი მიუკერძოებელი პირია, რომელიც ეხმარება მხარეებს დავის შეთანხმებით დასრულებაში.²⁸ აშშ-ში, კერძოდ ნიუ-იორკში არსებობს Mediator Ethics Advisory Committee (MEAC), რომლის თანახმადაც, ნოტარიუსისათვის მედიატორის უფლებამოსილების მინიჭება არ ეწინააღმდეგება კანონს და ნოტარიუსის სამართლებრივი სტატუსის შინაარსს.²⁹ სლოვენ-

²⁶ <<http://www.cdnq.org/en/businessPartner/Epart5.html>> [14.08.2012].

²⁷ იხ. Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council, of 21 May, 2008, on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters.

²⁸ <<https://www.ohiohar.org/General%20Resources/pub/legalbasics/LB%20Chapter%2013.pdf>> [09.08.2012].

²⁹ <http://www.tennessee-mediation.com/_forum/the_mediator-notary_42.php> [09.08.2012].

აშიც შესაძლებელია ნოტარიუსი მედიატორი იყოს, რომელიც დაპირისპირებულ მხარეებს და-
ეხმარება კონფლიქტის მშვიდობიანად და ეფექტურად მოგვარებაში.³⁰ ნოტარიუსები სულ უფ-
რო მეტ სწავლებასა და ტრენინგებს გადიან მედიატორის ფუნქციებისა და თვისებების უკეთ
გარკვევასა და ათვისებაში.³¹ აქედან გამომდინარე, ქართულ სინამდვილეშიც, ნოტარიუსის
მედიატორის როლში ყოფნა წარმოუდგენელი არ უნდა იყოს. მეტიც, ნოტარიუსი აღჭურვილია
იმ უფლებამოსილებებით, რაც მნიშვნელოვანია მხარეთა მორიგებისათვის. ნოტარიუსმა კარ-
გად იცის ის საკანონმდებლო ნორმები, რომელთა დაცვის გარეშეც მედიაციის პროცესის შე-
დეგად მიღწეულ შეთანხმებას აზრი დაეკარგება. ე.ი. გარდა იმისა, რომ ნოტარიუსი ხელს შე-
უწყობს მხარეთა მორიგებას, ის სამართლებრივად „გამართავს“ მხარეთა შორის მიღწეულ შე-
თანხმებასაც. მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი მოლაპარაკების დროს საბოლოო სიტყვა მხა-
რეებს ეკუთვნით, თუმცა მედიატორის როლი მედიაციის წარმატებით დასრულებაში შეიძლე-
ბა გადამწყვეტი აღმოჩნდეს. მას უნდა შეეძლოს სხვადასხვა სახის სტრატეგიის კომბინირება
და საჭირო დროს საჭირო მეთოდების გამოყენება.³² აღნიშნული გარემოება პირებს სანოტარო
მედიაციისადმი ნდობას გაუჩენს. კონფლიქტის მშვიდობიანად და წარმატებით გადაჭრის უმ-
თავრესი კრიტერიუმიც სწორედ ნდობის მოპოვებაა. აქედან გამომდინარე, არ შეეცდებით, თუ
ვიტყვი, რომ სანოტარო მედიაციის პროცესი, რომელიც ნოტარიუსის მიერაა ხელშეწყობილი
და მისი მონაწილეობით მიმდინარეობს, უფრო მეტად სანდო და მისაღებია სამოქალაქო ურ-
თიერთობებში წარმოშობილი დავის გადაწყვეტისას. მნიშვნელოვანია, რომ ევროსაბჭოს დი-
რექტივის მიხედვით, მედიატორის სამართლებრივი სტატუსი მკაცრად განსაზღვრული არ
არის. მეტიც, მედიატორი შესაძლოა იყოს თავად საქმის განმხილველი ან სხვა მოსამართლეც,
ე.ი. ნებისმიერი პირი. ეს შეიძლება იყოს, როგორც ნოტარიუსი, ისე სხვა პირიც. აღნიშნული
დირექტივის თანახმად, ორი ან ორზე მეტი დაპირისპირებული მხარის კონფლიქტის მოგვარე-
ბა მიმდინარეობს მედიატორის დახმარებით და მხარეთა თვითპასუხისმგებლობის საფუძველ-
ზე. ამასთან, მხარეებმა არ უნდა განსაზღვრონ ის უფლება-მოვალეობები, რომელთა უფლება-
მოსილებაც მათ არ გააჩნიათ.³³ აღსანიშნავია, რომ დირექტივა რაიმე შეზღუდვას გადასაწყ-
ვეტ დავათა ხასიათზე არ შეიცავს, თუმცა მედიაციის პროცესის გამოყენებას სამოქალაქო და
სავაჭრო ხასიათის დავებზე უშვებს. ე.ი. მხარეებს აქვთ უფლება, ნებისმიერი დავა მედიაციის
პროცესს დაუქვემდებარონ. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მიდგომაც ასეთია.
ამასთანავე, იქ, სადაც კანონმდებელი ჩამონათვალს აკეთებს, სასურველია, შრომითსამარ-
თლებრივ დავებზეც იყოს ყურადღება გამახვილებული, რადგან სანოტარო მედიაციის პრო-
ცესს ეფექტური გამოყენება სწორედ შრომითი ურთიერთობისას წარმოშობილი დავის გა-
დაწყვეტაში ექნება. როგორც აღვნიშნე, მიუხედავად პირდაპირი მითითების არარსებობისა
შრომით დავებზე, მხარეებს აქვთ პირდაპირი კანონისმიერი საშუალება ასეთი სახის დავაც სა-
ნოტარო მედიაციის პროცესს დაუქვემდებარონ.

7. სანოტარო მედიაციის პროცესის დაწყების საფუძვლები და კონფიდენციალურობის პრინციპი

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონი მედიაციის პროცესის მიმდინარეობის სა-
მართლებრივ რეგულირებას არ შეიცავს. აღნიშნული კანონის 38¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის თა-
ნახმად, მედიაცია ნოტარიუსის მონაწილეობით შეიძლება განხორციელდეს მოდავე მხარეთა

³⁰ <<http://www.notar-z.si/en/services/mediation/mediation>> [09.08.2012].

³¹ <<http://www.notar.at/notar/en/home/ueberdienotare/institutions/mediation/>> [09.08.2012].

³² *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბ., 2010, 231.

³³ იხ. Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council, of 21 May, 2008, on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters.

თანხმობით. აქედან გამომდინარე, კანონი ზუსტად არ განსაზღვრავს, თუ ვინ უნდა მიმართოს ნოტარიუსს, იქნება ეს მხოლოდ ერთი მხარე, თუ ორივე მხარის მიმართვაა აუცილებელი. კანონიდან ჩანს მხოლოდ ის, რომ მხარეები უნდა იყვნენ თანახმა სანოტარო მედიაციის პროცესის გამართვისა. აქედან გამომდინარე, ერთი რომელიმე მხარის მიმართვა საკმარისია მხოლოდ მედიაციის პროცესის ჩატარების სურვილის დაფიქსირებისა, ხოლო თვით პროცესი აუცილებლად მოდავე მხარეთა თანხმობის მიღების შემდეგ უნდა დაიწყოს. მას შემდეგ, რაც მხარეები თანახმა იქნებიან სანოტარო მედიაციის პროცესის გამართვაზე, ნოტარიუსმა უნდა მიიღოს დადგენილება სანოტარო მედიაციის გამართვის თაობაზე. აღნიშნული დადგენილება ჩვეულებრივი „პროცედურული ხასიათის“ სანოტარო მოქმედების იდენტური იქნება. მნიშვნელოვანია, რომ აშშ-ში, კერძოდ კი, ფლორიდის შტატის სამართლის მიხედვით, მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას მედიატორს ეკრძალება განახორციელოს ნებისმიერი მომსახურება და იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება, რომელიც პირდაპირ არ იქნება დაკავშირებული მედიაციის პროცესთან.³⁴ აქედან გამომდინარე, სანოტარო მოქმედება, რომელიც შესრულდება ნოტარიუსი მედიატორის მიერ მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას და რომელიც დაკავშირებული არ იქნება მიმდინარე მედიაციის პროცესთან, ბათილად უნდა ჩაითვალოს. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომა თვით ამერიკულ სამართალშიაც არ არსებობს. შესაბამისად, ქართველ კანონმდებელს მაინც მოუწევს ფიქრი იმაზე, მიანიჭებს თუ არა ნოტარიუს მედიატორს მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას ჩვეულებრივი სანოტარო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებას. რაც შეეხება ნოტარიუსი მედიატორის მიერ უარის თქმას სანოტარო მედიაციაზე (პროცესის გამართვაზე), რომელიც ასევე დადგენილებით უნდა იქნეს მიღებული, აღნიშნულის კანონიერება საჭიროა შეამოწმოს სათანადო კომპეტენციის მქონე ორგანომ, ანუ მხარეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მისთვის ნათქვამი უარი გაასაჩივროს შესაბამის ორგანოში. ამ შემთხვევაში „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლში სასურველია შევიდეს ცვლილება, რომელიც სწორედ ასეთი სახის პრობლემურ საკითხს გადაჭრის. აღნიშნული მუხლის თანახმად, კანონმდებელმა დაინტერესებულ მხარეს მიანიჭა უფლება, სანოტარო მოქმედებაზე უარი გაასაჩივროს როგორც სასამართლოში, ისე იუსტიციის მინისტრთან ან ნოტარიუსთა პალატაში. აქედან გამომდინარე, სასურველია, რომ სანოტარო მედიაციის პროცესის გამართვაზე უარის თქმის შესახებ მიღებული დადგენილება გასაჩივრდეს ნოტარიუსთა პალატაში.³⁵ თუ ნოტარიუსთა პალატა უცვლელად დატოვებს ამ დადგენილებას, ეს უკვე ადმინისტრაციული წესით უნდა გასაჩივრდეს სასამართლოში. მნიშვნელოვანია ისეთი საკანონმდებლო ნორმის არსებობაც, რომელიც დაარეგულირებდა ნოტარიუსის მიერ მიღებული დადგენილების შემდგომ საკითხებს. კერძოდ, საჭიროა, რომ მხარეებს არ ჰქონდეთ შესაძლებლობა ერთდროულად აწარმოონ თავიანთი დავა ნოტარიუს მედიატორთან და სასამართლოში. აქედან გამომდინარე, სასურველია, მოხდეს დაახლოებით შემდეგი სახის საკანონმდებლო ნორმის მიღება: სანოტარო მედიაციის პროცესის დროს მხარეებს ერთმევათ უფლება იმავე დავის საგანზე და იმავე საფუძვლით საქმე აწარმოონ სასამართლოში. აღნიშნული ჩანაწერით დაცული იქნება კეთილსინდისიერი მხარის ინტერესები და მედიაციის პროცესის არაკეთილსინდისიერი მხარისთვის თავად სანოტარო მედიაციის პროცესი არ გახდება დროის გაყვანის ეფექტური საშუალება და მექანიზმი. სწორედ ამიტომ, სასურველია, ისეთი სახის დოკუმენტის გაფორმება მედიაციის პროცესის გამართვასთან დაკავშირებით, რომელიც მხარეებს დაავალდებულებს თავიანთი უფლება-მოვალეობების კეთილ-

³⁴ <http://www.tennessee-mediation.com/_forum/the_mediator-notary_42.php> [09.08.2012].

³⁵ მედიაციის ძირითადი დანიშნულება, გარდა იმისა, რომ კონფლიქტის მოგვარების და მშვიდობიანად დასრულების ხელშეწყობაა, ისიცაა, რომ მედიაციის პროცესმა განტვირთოს სასამართლო. შესაბამისად, სანოტარო მედიაციის ცალკეული პროცედურული საკითხების გადანყვეტა სასამართლო უწყებას არ უნდა დაექვემდებაროს. სასამართლოს არ უნდა მოუწიოს ისეთი ფაქტების კანონიერების შემოწმება, რაც გადატვირთავს მის საქმიანობასა და ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნება სასამართლო პრაქტიკისათვის.

სინდისიერად შესრულებას. აქედან გამომდინარე, გარდა ნოტარიუსის მიერ გამოტანილი დადგენილებისა, საჭიროა მხარეთა წერილობითი შეთანხმება მედიაციის პროცესის გამართვაზე, სადაც დაფიქსირებული იქნება უპირატესად მხარეთა ვალდებულებები, რომელთა შესრულებლობის შემთხვევაშიც დადგება სამოქალაქო და მათ შორის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მას შემდეგ, რაც მხარეები თანახმა იქნებიან სანოტარო მედიაციის პროცესის გამართვაზე, ნოტარიუსი მედიატორი სთხოვს მხარეებს ხელი მოაწერონ სპეციალურ ხელშეკრულებაზე, რომელშიც განსაზღვრული იქნება მედიატორის როლი, მხარეთა ვალდებულებები, მედიაციის მიმდინარეობის პროცედურები, კონფიდენციალურობა და მომსახურების საფასური.³⁶ ამასთანავე, მნიშვნელოვანია კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინება მედიაციის პროცესის მიმდინარეობაში. მედიაციის პროცესი არ უნდა გახდეს სამაგიეროს მიზლის საშუალება და საფუძველი. ამიტომ, ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს კეთილსინდისიერების პრინციპის დეფინიციას მედიაციის პროცესის გამართვის შესახებ ხელშეკრულებაში.³⁷ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულების თანახმად, კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად, მოქმედების ფარგლები მეორე მხარის ნდობის პროპორციულია. ეს ნდობა განსაკუთრებით დიდია ორმხრივი და საერთო ინტერესის არსებობის შემთხვევაში, რაც განპირობებულია მხარის ვარაუდით, რომ პირი არ იმოქმედებს თავისივე და, აქედან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების საზიანოდ.³⁸ ზოგადად, კეთილსინდისიერების პრინციპს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა, სანოტარო მედიაციის მონაწილე მხარეებმა პროცესის დაწყებამდე დადონ წერილობითი შეთანხმება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მხარეთა ვალდებულებები კეთილსინდისიერი და სამართლიანი პროცესის ჩატარებასთან დაკავშირებით.

8. კონფიდენციალურობის პრინციპი

კონფიდენციალურობა მედიაციის აუცილებელი და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია.³⁹ კონფიდენციალურობა მედიატორს ეხმარება ნდობის მოპოვებაში.⁴⁰ მედიაციის ინსტიტუტის მიმართ ნდობის ფაქტორის გაზრდის მიზნით, კანონმა დეტალურად უნდა განსაზღვროს მედიაციის პროცესის დროს მიღებული ინფორმაციის გამოყენების პირობები: მედიაციაში მონაწილე მხარეებს, მედიატორებს, ასევე პირებს, რომელთა საქმიანობიდან გამომდინარე, მედიაციის პროცესში ცნობილი გახდა ესა თუ ის ინფორმაცია ანდა გარემოება, უფლება არ უნდა ჰქონდეთ გაამჟღავნონ ან ჩვენება მისცენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოში ან არბიტრაჟზე. კანონმა უნდა აუკრძალოს მედიატორს, წარმოადგინოს მოხსენება მედიაციის პროცესთან დაკავშირებით სასამართლოზე ან სხვა სახის წარმოებაში.⁴¹ ეს პანეთში მხარეებს, თუკი მედიაციის გზით შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, ერთმევათ საშუალება მედიაციის პროცესის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია სასამართლოში საქმის წარმოებისას გამოიყენონ.⁴² ამავე დროს, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ის საკითხებიც, რომელთა გამჟღავნების უფლებაც მედიატორს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეეძლე-

³⁶ <<http://www.cdnq.org/en/businessPartner/Epart5.html>> [14.08.2012].

³⁷ <<http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/EXTABOUTUS/ORGANIZATION/ORGUNITS/EXTCRS/EXTMEDIATION/0,contentMDK:22128826~menuPK:6341652~pagePK:64166099~piPK:64166052~theSitePK:471064,00.html>>. [14.08.2012].

³⁸ *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 92.

³⁹ *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბ., 2010, 48.

⁴⁰ *Nolan-Haley M. J.* Alternative Dispute Resolution in a Nutshell, third edition, 2008, 75.

⁴¹ *მერებაშვილი ა.*, მედიაციის სამართლებრივი საფუძვლები (ზოგადი მიმოხილვა), თსუ, სამაგისტრო ნაშრომი, 2011, 19.

⁴² <<http://www.spanish-law.net/mediation.asp>> [14.08.2012].

ბა.⁴³ იმ შემთხვევაში, თუ მხარე ან მედიატორი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა,⁴⁴ დაარღვევს კონფიდენციალურობის პრინციპს, მას სამოქალაქო ან/და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს. აშშ-ში მხარეს არ აქვს უფლება თვითონ მოითხოვოს სასამართლოში მედიაციის კონფიდენციალურობის დაცვა, თუ მანამდე ეს ვალდებულება თვითონ დაარღვია.⁴⁵

9. სანოტარო მედიაციის პროცესის მხარეები

სანოტარო მედიაციის პროცესში ნოტარიუსი მედიატორის უმთავრესი დანიშნულებაა, მხარეებს შეუქმნას ისეთი ატმოსფერო, სადაც შესაძლებელი იქნება მათი აზრებისა და შეფასებების უკეთ წარმოჩენა და დავის გადაწყვეტის ოპტიმალური გზების ძიება.⁴⁶ ნოტარიუსმა ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს დავის გადაწყვეტასა და მხარეთა ინტერესების გონივრულ დაკმაყოფილებას. მედიატორის დანიშნულებაა აგრეთვე, ხელი შეუწყოს მხარეებს კომუნიკაციაში და დაეხმაროს მათ დავის გადაწყვეტაში. ამასთან, მედიატორის როლი შესაძლოა გარკვეულწილად შეიცვალოს დავის ხასიათისა და სხვა პირობების გათვალისწინებით მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში.⁴⁷ მნიშვნელოვანია, თუ ვინ მონაწილეობს სანოტარო მედიაციის პროცესში მხარეებად. ზოგადი კრიტერიუმით ესენი არიან მოდავე, დაპირისპირებული მხარეები, რომელთაც თავიანთ განსაზღვრულ ინტერესთა სფეროებზე განსხვავებული შეხედულება აქვთ. პრაქტიკაში რთულია საკითხი – საჭიროა თუ არა მხარეთა წარმომადგენლების (ადვოკატთა) მონაწილეობა მედიაციის პროცესში. აშშ-ში Uniform mediation act და შტატების კანონმდებლობის უმრავლესობა არ მიიჩნევს სავალდებულოდ მედიაციის პროცესში ადვოკატთა მონაწილეობას, თუმცა, როგორც ლიტერატურაში აღნიშნავენ, ადვოკატებს შეუძლიათ მედიაციის პროცესზე მოახდინონ როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური გავლენა.⁴⁸ ამიტომ სანოტარო მედიაციის პროცესში ადვოკატთა (წარმომადგენელთა) მონაწილეობა თავისუფალი უნდა იყოს. მხარის გადასაწყვეტია მოლაპარაკებას დამოუკიდებლად აწარმოებს თუ ადვოკატის მონაწილეობით. მნიშვნელოვანია ისიც, თუ რა უფლებამოსილებები ექნება ადვოკატს იმ შემთხვევაში, როცა ის მინდობილობის საფუძველზე წარმართავს მოლაპარაკებას. ამ შემთხვევაში ადვოკატის უფლებამოსილება განისაზღვრება იმ ხელშეკრულებით, რომელიც დავის მონაწილე მხარესა და ადვოკატს შორის იქნება დადებული. სამოქალაქო სამართლის თეორიაში დღეს აღიარებულია შეხედულება, რომ გარიგება ხორციელდება წარმომადგენლის მიერ, ხოლო შედეგები წარმოდგენილი პირის მიმართ დგება. ის, რომ წარმომადგენლის მეშვეობით გარიგებების შედეგები წარმოდგენილ პირს ეხება, ემყარება მოქმედი პირების ნებასა და კანონს, რომელიც ამ პირთა ნებას აღიარებს.⁴⁹ მიუხედავად იმისა, რომ წარმომადგენელი მოქმედებს რწმუნებულების ანუ წარმომადგენლობითი „უფლებამოსილების ფარგლებში,“ რაც

⁴³ იხ. Uniform Mediation Act (last revised or amended in 2003 with prefatory note and comments), National Conference of Commissioners on Uniform State Laws, 10.12.2003., art. 7.

⁴⁴ ევროკავშირის დირექტივა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც გამართლებულია კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევა ინტერესთა ღირებულებების შესაბამისად მხარეთა ან/და მედიატორის მიერ, იხ. Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council, of 21 May, 2008, on certain aspects of mediation in civil and commercial matters.

⁴⁵ *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბ., 2010, 53.

⁴⁶ <<http://www.cdnq.org/en/businessPartner/Epart5.html>> [14.08.2012].

⁴⁷ Rau S. A., Sherman F. E., Reppet R. S, Processes of Dispute Resolution, The Role of Lawyers, fourth edition, 2006, 314.

⁴⁸ *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბ., 2010, 331.

⁴⁹ *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 422.

შესაბამისი უფლებამოსილების არსებობასა და ამ უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებით ვლინდება,⁵⁰ სანოტარო მედიაციის პროცესის შედეგად მიღწეულ შეთანხმებაზე საბოლოო სიტყვა მაინც უშუალოდ მოდავე მხარეებს უნდა ეკუთვნოდეთ. ე.ი. შეთანხმებაზე უშუალოდ მხარე უნდა იყოს თანახმა და, შესაბამისად, ნოტარიუს მედიატორთანაც უშუალოდ მხარემ უნდა დააფიქსიროს მიღწეული შეთანხმების პირობები. აღნიშნული მიდგომით გადაწყდება მნიშვნელოვანი საკითხი – სანოტარო მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება მთლიანად თვითპასუხისმგებლობაზე იქნება დამყარებული. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ ადვოკატმა, როგორც მხარის წარმომადგენელმა, შესაძლოა აწარმოოს მოლაპარაკებები მეორე მხარესთან (ან მის წარმომადგენელთან) და მიაღწიოს კიდევ შეთანხმებას, მაგრამ საბოლოო სიტყვა მაინც უშუალოდ მხარეს, ანუ წარმომადგენელ პირს ეკუთვნის. მიუხედავად იმისა, რომ გარიგების დადებისას წარმომადგენელი თავის ნებას გამოხატავს, მაგრამ სხვისი სახელით და ეს გარემოება გარიგების დადებისას ცხადია (უეჭველია) კონტრაჰენტისთვის,⁵¹ უშუალოდ მაინც წარმომადგენელმა პირმა უნდა დაადასტუროს (განაცხადოს) თანხმობა სანოტარო მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების პირობებზე.

10. ევროკავშირის დირექტივა და სანოტარო მედიაციის ვადები

მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ რა ვადის განმავლობაში უნდა გაგრძელდეს მედიაციის პროცესი ისე, რომ უსასრულოდ არ გაჭიანურდეს მოლაპარაკების მიმდინარეობა, მხარეებმა არ დახარჯონ მატერიალური სახსრები და შეთანხმებასაც ვერ მიაღწიონ. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ისეთი ვადების დაწესება, რომელიც ერთობ „მიმზიდველი“ იქნება მხარეებისთვის და, რაც მთავარია, რეალურად შეუწყობს ხელს დავის სწრაფად მოგვარებას ენერჯისა და დამატებითი მატერიალური სახსრების ნაკლები დანახარჯების გარეშე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, სასამართლო მედიაციის ვადად კანონმდებელმა დაადგინა 45 დღე, მაგრამ არანაკლებ 2 შეხვედრისა. ამასთან, შესაძლოა, მხარეთა შეთანხმებით, ეს ვადა გაგრძელდეს იმავე დროით. რაც შეეხება ევროსაბჭოს დირექტივას, მასში აღნიშნულია, რომ თავად მხარეები განსაზღვრავენ მედიაციის პროცესის ხანგრძლივობას, თუმცა იქვე ნათქვამია, რომ აუცილებელია ცალკეული ქვეყნის კანონმდებლებმა დააწესონ მედიაციის პროცესის ხანგრძლივობის ერთგვარი ლიმიტი. აქედან გამომდინარე, დირექტივის თანახმად, ზუსტი დროის განსაზღვრა არ ხდება. იგი უნდა იყოს გონივრული, საკმარისი საქმის გასაცნობად და მხარეთა შესათანხმებლად. აღნიშნული დირექტივის თანახმად, წვერი სახელმწიფოები ვალდებული არიან მედიაციის პროცესის ხანგრძლივობა საკანონმდებლო ნორმით შეზღუდონ. სანოტარო მედიაცია რომ მხარეთათვის უფრო მომგებიანი გახდეს, საჭიროა ისეთი ვადის დაწესება, რომელიც სასამართლო პროცესისთვის დადგენილ ვადაზე ხანგრძლივი არ იქნება. ამიტომ უმჯობესია ეს იყოს 20-30 დღე.⁵² ზოგიერთ ქვეყნაში, სადაც მედიაციის ინსტიტუტი კარგადაა განვითარებული, მედიაციის პროცესი 2-3 დღეზე დიდხანს იშვიათად გრძელდება, აქ უშუალოდ მოლაპარაკების წარმოების ხანგრძლივობა იგულისხმება.⁵³ ქართულ სინამდვილეში გადასაწყვეტია საკითხი იმასთან დაკავშირებითაც,

⁵⁰ *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 405.

⁵¹ *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 431.

⁵² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სასამართლო მედიაციის ვადასთან დაკავშირებით ითვალისწინებს 45 დღეს, რომელიც, მხარეთა მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლოა გაგრძელდეს იმავე ვადით. სანოტარო მედიაციის პროცესის ვადებთანაც შესაძლებელია ასეთი დანაწესის განსაზღვრა, რაც მხარეებს მისცემს იმის საშუალებას, რომ მედიაციის პროცესი დამატებით იმავე ვადით ანუ 20-30 დღით გააგრძელონ.

⁵³ *Berger K. P.*, private Dispute Resolution in International Business, Negotiation, Mediation, Arbitration, volume II, case study, “Kluwer Law International”, Alphen aan den rijn, 2006, p.151. მითითებულია, *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თსუ-ს იურიდიული

უნდა შეიზღუდოს თუ არა მხარეთა შეხვედრების რაოდენობა საკანონმდებლო ნორმით, როგორც ეს სასამართლო მედიაციის დროს გვაქვს. სანოტარო მედიაციის არსი მთლიანად ნებაყოფლობითობის საწყისებზეა აგებული და, შესაბამისად, თუ მხარეები პირველივე შეხვედრაზე მორიგდებიან ან პირიქით, ისეთი უკიდურესობაა, რომ შეთანხმება გამორიცხულია, ასეთ დროს შეხვედრების მინიმალური რაოდენობის საკანონმდებლო ნორმით შეზღუდვა გაუმართლებელია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მხარე ასეთ შემთხვევაში ხარჯავს მეტ ენერჯიას და მომსახურების მეტ საფასურს. აქედან გამომდინარე, მხარეთა შეხვედრების რაოდენობა მთლიანად სანოტარო მედიაციის პროცესს უნდა მივანდოთ. მხარეებზე უკეთესად მას ვერავინ განსაზღვრავს. ისინი თავად გადაწყვეტენ შეხვედრათა იმ რაოდენობას, რომელიც კონფლიქტის მოგვარებას შეუწყობს ხელს. აღნიშნულით დაცული იქნება მედიაციის, როგორც პროცესის, სამართლებრივი შინაარსი და თითქმის ყველა ნაბიჯი ამ პროცესში მხარეთა ნებაზე იქნება დამოკიდებული. ეს მეტად ნაადგება სანოტარო მედიაციის პოპულარიზაციას, მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს.

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველივე წინადადების თანახმად, ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედებების შესრულება, აგრეთვე ამ მოქმედებასთან დაკავშირებული სამართლებრივი კონსულტაციისა და ტექნიკური მომსახურების განწევა ფასიანია. აღნიშნული საკანონმდებლო დანაწესის შესაბამისად, ნოტარიუსის მიერ განხორციელებული მოქმედება ანაზღაურებას ექვემდებარება, ხოლო ანაზღაურების წესი და ოდენობა, გარდა „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონისა, განერილია საქართველოს მთავრობის დადგენილებაში.⁵⁴ ნოტარიუსს არ აქვს სახელმწიფოს მხრიდან დადგენილი ხელფასი და, ამდენად, არ არის გარანტირებულად ანაზღაურებადი პირი. ანაზღაურება სწორედ მისი მომსახურებით მოსარგებლე პირების მიერ გაღებული სახსრებიდან ფინანსდება.⁵⁵ აღნიშნულიდან გამომდინარე, სანოტარო მედიაციაც „ჩვეულებრივ“ სანოტარო მოქმედებად ითვლება და შესაბამისად, ასეთი სანოტარო მომსახურებაც სასაქონლო ხასიათის უნდა იყოს. ამასთანავე, ამ საკითხთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურასა და პრაქტიკაში ერთიანი აზრი არ არსებობს. გავრცელებული შეხედულების თანახმად, მედიატორისათვის მომსახურების საფასურის გადახდა უნდა მოხდეს კონკრეტული საქმის სირთულიდან გამომდინარე. ეს იმას ნიშნავს, რომ გათვალისწინებული იქნება მედიაციის პროცესის ხანგრძლივობა, დახარჯული დრო, საქმის სირთულე და სხვა გარემოებები. რაც მთავარია, ყველა შემთხვევაში მედიაციის პროცესის საერთო ღირებულება სასამართლოში საქმის წარმოების ღირებულებაზე ნაკლები უნდა იყოს.⁵⁶ აქედან გამომდინარე, რთულია ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს სანოტარო მედიაციის, როგორც ნოტარიუსის მიერ განხორციელებული მომსახურების, საფასური. უმჯობესია, მომსახურება ანაზღაურდეს დავის საგნის ღირებულების მიხედვით, ხოლო ზოგ შემთხვევაში შესაძლებელი იყოს საფასურის გაზრდა კანონით გათვალისწინებული ზედა ზღვრის ფარგლებში. ე.ი. უნდა დადგინდეს თანხის ის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც ნოტარიუსს შეეძლება მხარეთათვის შესაბამისი ღირებულების გადახდევინება.⁵⁷ რაც შეეხება იმას, თუ ვინ უნდა განახორციელოს მომსახურების გადახ-

ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბ., 2010, 342.

⁵⁴ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება 507 „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“.

⁵⁵ ბურდული ი., სანოტარო ბიუროს ფინანსებისა და ნოტარიუსის შრომის ანაზღაურების საკითხისათვის („ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის კომენტარი), „სამართლის ჟურნალი“, №2, 2011, 37.

⁵⁶ <<http://www.cdnq.org/en/businessPartner/Epart5.html>> [15.08.2012].

⁵⁷ ასეთი სახის ჩანაწერი გვხვდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის 507 დადგენილებაში „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და

და, შესაძლოა გადახდა მოხდეს თანაბრად მხარეების მიერ ან თავად მხარეებმა განსაზღვრონ მომსახურების საფასურის გადახდის წესი. გავრცელებული შეხედულების თანახმად, მიღებულია, რომ სათანადო სახელშეკრულებო რეგულირების არარსებობის შემთხვევაში მედიანტები მედიატორის წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.⁵⁸ შესაძლოა ერთ-ერთი ალტერნატივა იყოს ის, რომ მოხდეს სანოტარო მომსახურების საფასურის იმგვარი განაწილება, რომელიც თითოეული მხარის ინტერესების/მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაბამისი (პროპორციული) იქნება. ასეთ შემთხვევაში საფასური განისაზღვრება დავის საგნის ღირებულების მიხედვით და მხარეებს მოუწევთ იმ ოდენობის მომსახურების საფასურის გადახდა, რა ნაწილშიც მოხდა მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება.⁵⁹ მნიშვნელოვანია საკითხი იმასთან დაკავშირებითაც, თუ სანოტარო მედიაციის პროცესი წარმატებით არ დასრულდება, ვის უნდა დაეკისროს ნოტარიუსის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდა. იმის გათვალისწინებით, რომ მედიაცია განიხილება დროისა და ფულის დაზოგვის შესაძლებლობად არა მხოლოდ მხარეებისათვის, არამედ სამართლებრივი სახელმწიფოსთვისაც, რომელიც იძულებულია საკმაოდ დიდი რესურსი გამოყოს დავების გადაწყვეტის მიზნით ხანგრძლივი პროცესების წარმოებისათვის,⁶⁰ სანოტარო მედიაცია არ უნდა გახდეს უპირატესად მოგების მიღებაზე ორიენტირებული პროცესი. ე.ი. იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა, მოლაპარაკების მონაწილე მხარეებს თანაბრად უნდა დაეკისროთ შესაძლო გადასახადის ოდენობიდან მინიმალური რაოდენობის გადასახადი, რომელიც, რა თქმა უნდა, ნოტარიუსის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისი იქნება. საკითხი რთულდება იმ ვითარებაში, როდესაც სანოტარო მედიაციის პროცესის ერთ-ერთი მონაწილე მხარის ბრალეული მოქმედებით ვერ მიაღწიეს შეთანხმებას. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და შესაბამისად, ნოტარიუსის მომსახურების საფასურის არაკეთილსინდისიერი მხარისათვის დაკისრება, თუმცა აღნიშნული წესის დამკვიდრება ძალზე გაართულებს დავის გადაწყვეტას და შესაძლოა ახალი დაპირისპირების მიზეზიც გახდეს.

11. სანოტარო მედიაციის მიმდინარეობა და მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შინაარსი

სანოტარო მედიაციის პროცესის დაწყებამდე საჭიროა განისაზღვროს ადგილი, სადაც უნდა ჩატარდეს ეს პროცესი. ამასთან, მხარეთა მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს პროცესის გამართვის ადგილის თავისუფლად განსაზღვრა. ამიტომ, აუცილებელია დაახლოებით შემდეგი სახის საკანონმდებლო ჩანაწერის არსებობა: სანოტარო მედიაციის პროცესი, როგორც წესი, მიმდინარეობს ნოტარიუსი მედიატორის სანოტარო ბიუროში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მხარის ან მხარეთა მოთხოვნის შემთხვევაში მედიაციის პროცესი შესაძლოა გაიმართოს სხვა ადგილას.

მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული დადგენილების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გარიგების ღირებულების საფუძველზე დადგენილი საზღაური არ უნდა იყოს 10 000 ლარზე მეტი.

⁵⁸ Rot, M., Gherdane D, Mediation in Osterreich – Zivilrechts-mediations-gesetz: Rechtlicher Rahmen und praktische Erfahrungen, in Hopt K, J Steffek F, Mediation , rechtstatsachen, Rechtsvergleich, Regelungen, “Mohr Sie beck”, Tubingen, 2008, 130. მითითებულია, *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბილისი, 2010, 346.

⁵⁹ სანოტარო მედიაციის პროცესის მხარეებისთვის მოთხოვნათა დაკმაყოფილების პროპორციული საფასურის დაკისრება მეტ-ნაკლებად დააბალანსებს მხარეთა ინტერესებს და შედარებით ნაკლებად დაკმაყოფილებულ მხარესაც არ გაუჩნდება უკმაყოფილობის განცდა სანოტარო მედიაციის პროცესისადმი. აქედან გამომდინარე, სასურველია ნოტარიუსი მედიატორისთვის მომსახურების გადახდა სწორედ ასეთი წესით (პრინციპით) დადგინდეს.

⁶⁰ *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბილისი, 2010, 55.

სანოტარო მედიაცია იწყება მხარის/მხარეთა მოთხოვნებისა და პოზიციების ჩამოყალიბებით. მედიაციის პროცესში მხარეები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით ღიად აფიქსირებენ თავიანთ მოთხოვნებსა და წინადადებებს.⁶¹ მედიაციის პროცესის დაწყებისას მხარეთა მიერ მოთხოვნებისა და პრობლემების ჩამოყალიბება განსაზღვრავს მედიაციის პროცესის დღის წესრიგს.⁶² ამის შემდეგ შესაძლოა თავად ნოტარიუსმა მედიატორმა მხარეებს დავის გადაწყვეტის სხვადასხვა ალტერნატიული გზა შესთავაზოს. ნოტარიუსს, გარდა იმისა, რომ იგი მხარეებს მოუსმენს და დავის გადაწყვეტას შეუწყობს ხელს, ასევე აკისრია ის მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც სხვა ჩვეულებრივ მედიატორებს არ გააჩნიათ. ეს ფუნქცია გამოიხატება იმაში, რომ ნოტარიუსი ყოველთვის იურისტი⁶³ და მას აუცილებლად მოუწევს მედიაციის პროცესის შედეგად მიღებული შეთანხმების სამართლებრივი თვალსაზრისით „გამართულობის“ შემოწმება. შესაბამისად, ყოველგვარი შეთანხმება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში მოვა, ნოტარიუსის მხრიდან არ უნდა იქნეს დადასტურებული. აქედან გამომდინარე, ნოტარიუსი ვალდებულია არა მხოლოდ მხარეთა შეთანხმება, არამედ ცალკეული პროცედურული მოქმედებებიც შეუსაბამოს კანონს. ნოტარიუსი მედიატორის მიერ სანოტარო მედიაციის პროცესის ჩატარების სამართლებრივი არსი ისაა, რომ მხარეები დაცული იყვნენ ყოველგვარი კანონშეუსაბამობისგან და მიღწეული შეთანხმება კანონიერი იყოს. კანონმდებელმა სწორედ ამიტომ მიანიჭა ნოტარიუსს მედიატორის უფლებამოსილება. ეს უფლებამოსილება უფრო მეტად ვალდებულებას ჰგავს, რადგან ნოტარიუს მედიატორს, გარდა დავის გადაწყვეტისა, მოდავე მხარეთა შორის არსებული სოციალური ურთიერთობის შენარჩუნებისთვისაც მოუწევს „შრომა“. ზოგ ქვეყანაში, სადაც მედიაციის ინსტიტუტი კარგადაა განვითარებული, მედიატორი ვალდებულია მედიაციის პროცესის ამსახველი ოქმი აწარმოოს. ასევე, მედიატორს ევალება უზრუნველყოს მედიაციასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის დაარქივება და მათი შენახვა გარკვეული დროის მანძილზე.⁶⁴ აქედან გამომდინარე, ქართული სინამდვილისთვისაც სასურველია ისეთი საკანონმდებლო ნორმების არსებობა, რომლებიც ნოტარიუს მედიატორს დაავალდებულებს მედიაციასთან დაკავშირებული მასალები გარკვეული ვადით შეინახოს სანოტარო ბიუროში საქმის შემდგომი გართულებისა და გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით. რაც შეეხება უშუალოდ მედიაციის შედეგად მიღწეულ შეთანხმებას, მისი წარმატებით დასრულება აუცილებლად უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით და დამოწმდეს სანოტარო წესით. როდესაც ნოტარიუსი რაიმეს ამოწმებს ნოტარიულად, დამოწმებული დოკუმენტი სამართლებრივი მნიშვნელობის დოკუმენტად განიხილება და, ამასთანავე, მხარეთა ხელმოწერა გულისხმობს დოკუმენტში არსებული პირობებზე მხარეთა თანხმობას.⁶⁵ შესაძლოა მხარეები დავის გარკვეულ ნაწილზე შეთანხმდნენ, ამიტომ შესაძლებელი და სასურველი უნდა იყოს დავის ამ ნაწილზეც შეთანხმების სანოტარო წესით დადასტურება. უნდა აღინიშნოს, რომ მედიაციის პროცესის წარმატებით დასრულება უპირატესად დამოკიდებულია მხარეთა მზაობასა და მხარეთა მიერ მილაპარაკების წარმოების კეთილსინდისიერებაზე.⁶⁶ სანოტარო მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება ჩვეულებრივ ხელშეკრუ-

⁶¹ Moore W. C., *The Mediation Process, Practical Strategies for Resolving Conflict*, updated and revised third edition, 2003, 221.

⁶² Rau S. A., Sherman F. E., Reppet R. S., *Processes of Dispute Resolution, The Role of Lawyers*, fourth edition, 2006, 317.

⁶³ „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველივე პუნქტი ნოტარიუსის სამართლებრივი სტატუსის მოსაპოვებლად უმაღლეს იურიდიულ განათლებას სავალდებულოდ აღიარებს.

⁶⁴ *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბ., 2010, 345.

⁶⁵ Lorette K., Spillane M., *How to Open & Operate a Financially Successful Notary Business*, Atlantic publishing group, 2011, 22. მითითებულია: <http://books.google.ge/books?id=JM80A5zx0QgC&printsec=frontcover&source=gbs_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false> [25.08.2012].

⁶⁶ Nolan-Haley M. J., *Alternative Dispute Resolution in a Nutshell*, third edition, 2008, 74.

- [FN251]. William F. Coyne, Using Settlement Counsel for Early Dispute Resolution, *Negot. J.* Jan. 1999, at 11; see also James F. Henry, Some Reflections on ADR, 2000 J. Disp. Resol. 63, 65 (2000) (“The prospect of ADR entering the mainstream of conflict resolution is overwhelmingly related to the extent to which ADR becomes an integral part of the practice and culture of the legal profession.”).
- [FN252]. Coyne, *supra* note 251.
- [FN253]. *Id.*
- [FN254]. Tom Arnold, Collaborative Dispute Resolution: An Idea Whose Time Has Come, in 16 American L. Inst. & A.B.A., Course of Study Materials, 379, 381 (2000). For more information on American L. Institute and ABA study materials and programs, see <http://www.ALI-ABA.org>.
- [FN255]. *Id.* at 382.
- [FN256]. *Id.*
- [FN257]. *Id.* at 382-385.
- [FN258]. For additional review of the collaborative process, see Robert F. Cochran Jr., *supra* note 8; Ascanio Piomelli, Appreciating Collaborative Lawyering, 6 Clin. L. Rev. 427 (2000); Penelope Eileen Bryan, ‘Collaborative Divorce’ Meaningful Reform or Another Quick Fix?, 5 Psychol. Pub. Pol’y & L. 1001 (1999); Pauline H. Tesler, Collaborative Law: A New Paradigm for Divorce Lawyers, 5 Psychol. Pub. Pol’y & L. 967 (1999); Robert W. Rack Jr., Settle or Withdraw: Collaborative Lawyering Provides Incentive to Avoid Costly Litigation, *Disp. Resol. Mag.*, Summer 1998, at 8.
- [FN259]. Arnold, *supra* note 254 at 383, 385.
- [FN260]. *Id.* at 381.
- [FN261]. Kovach, *supra* note 147, at 619.
- [FN262]. However, one law school, Hamline University School of Law, in addition to a traditional mediation clinic, does provide a representation in mediation clinic. For more information on this program, see Dispute Resolution Institute, <http://www.hamline.edu/law/adr>.
- [FN263]. See generally Symposium, Creative Problem Solving Conference, 37 Cal. W. L. Rev. 1 (2000).

**ახალი ღვინო საჭიროებს ახალ ღვინის ჭურჭელს (ტიკი - რომელიც
ღამგაღებულია ცხოველის ტყავისგან):**

**იურისტის ეთიკის ბარლაქნა, რათა მან შეჯიბრებითობის გამორიცხვით შეაღოს
პრობლემის გადაჭრა: მედიაცია (მედიატორება)***

*ახალ ღვინოს ძველ ჭურჭელში არავინ ასხამს, რადგან
ახალმა ღვინომ შესაძლოა ღვინის ჭურჭელი გახეთქოს და
დაიღვაროს, შესაბამისად, განადგურდება ღვინის ჭურ-
ჭელიც. ასე რომ, ორივეს შესანარჩუნებლად ახალი ღვინო
უნდა მოთავსდეს ღვინის ახალ ჭურჭელში [FN1].*

1. წინასიტყვაობა

ახალი ღვინისათვის (მედიაციისთვის) უნდა გამოვიყენოთ ახალი ღვინის ჭურჭელი, რა-
თა ძველმა არ დაამჟავოს იგი, ან ხელი არ შეუშალოს მისი სრული პოტენციალის გამოვლენას.
არც ისე მარტივია სასამართლო წარმოების, წარმომადგენლობის და შეჯიბრებითობის ძველი
ღვინის ჭურჭლის ახალი ღვინით შევსება, რაც ახალ ღვინოს დააძველებს და ამტანს გახდის.
მისი ბუნებიდან გამომდინარე, ახალი ღვინო აუცილებლად ახალ ჭურჭელში უნდა მოთავსდეს.
მსგავსი მიდგომაა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სფეროშიც, კერძოდ კი მედიაციაში
[FN2]. ღვინის ჭურჭელი იურისტისათვის ის პარამეტრია, რომელიც აყალიბებს მისი ქცევის
ნორმებსა და ეთიკურ წესებს [FN3].

ნაშრომში გამოკვლეულია იურისტის, როგორც მხარის წარმომადგენლის, როლი მედი-
აციის პროცესში. ყურადღება გამახვილებულია არა იმ იურისტებზე, რომლებიც პროცესში მო-
ნაწილეობენ როგორც ნეიტრალური პირები [FN4], არამედ პროფესიონალზე, რომელიც თავის
კლიენტს მედიაციის მაგიდასთან წარმოადგენს და არ გამოდის მისი სახელით სასამართლო
დარბაზში. მედიაციაში წარმომადგენლობას წარსულშიც ეთმობოდა ყურადღება [FN5]. მაშინ
შუამავლობა უფრო შეჯიბრებითობის პროცესს ჰგავდა, რადგან გამოიყენებოდა ისეთი ტერ-
მინები, როგორიცაა „მედიაციის ადვოკატი“ და „საქმის მოგება მედიაციისას“[6]. ნაშრომში
ყურადღება გამახვილებულია ისეთი იურისტის როლსა და მნიშვნელობაზე, რომელსაც გათა-
ვისებული აქვს წარმომადგენლის ფუნქცია მედიაციის პროცესში [FN7].

წინამდებარე ესსეს პირველი ნაწილში მიმოხილულია ნაშრომში დასმული ძირითადი სა-
კითხები, მეორე ნაწილში კი ნიშანდობლივი განსხვავებები მედიაციასა და სასამართლო პრო-
ცესს შორის. მართლმსაჯულების ორგანოები სტატიაში ზოგჯერ მოხსენიებულია, როგორც
შეჯიბრებითობის სისტემა. აქვე განიხილება ის სირთულეები, რაც თან ახლავს სასამართლო
წარმოებაში მედიაციის გამოყენებას. მესამე ნაწილში წარმოჩენილია შეჯიბრებითობის სის-
ტემაში არსებულ ეთიკის სტანდარტები იურისტებისათვის. ყურადღება მახვილდება შეჯიბრე-
ბითობისთვის დამახასიათებელ პრობლემებზე. აქვე განიხილება შეჯიბრებითი სტრატეგიის

* ფორდჰემის იურიდიული ჟურნალი, 2001 წლის აპრილი, სიმპოზიუმი, ნაშრომი.
საავტორო უფლება © 2001 ფორდჰემის იურიდიული ჟურნალი; კიმბერლი კ. კოვაკი.

გამოყენების მიზანშეუწონლობა ისეთ პროცესებში, რომლებიც ნაკლებად ან საერთოდ არ ითვალისწინებენ შეჯიბრებითობისათვის ნიშანდობლივ მიდგომას. მეოთხე ნაწილში კი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მხოლოდ ერთი ეთიკის კოდექსის არსებობა, რადგანაც მხოლოდ ერთი ეთიკის კოდექსის მოქმედება ყველა იურისტისათვის შეუძლებელია, განსაკუთრებით იმ ვითარებაში, როდესაც იურიდიული პრაქტიკა ასეთი მრავალფეროვანია. სტატიაში ასევე ნაჩვენებია მრავალფეროვან პრაქტიკასთან ერთი კოდექსის შეუსაბამისობის ნაკლოვანებები. შესაბამისად, შემოთავაზებულია ეთიკის კოდექსების ახალი კონცეფცია.

აქვე განიხილება მკაფიოდ ჩამოყალიბებული ქცევის წესების დანერგვის საჭიროება იმ იურისტებისათვის, რომლებიც კლიენტებს მედიაციის პროცესზე წარმოადგენენ. მეხუთე ნაწილში გამოკვლეულია ამ ახალი წესების შემადგენელი ელემენტები, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ერთიან სისტემას ქმნიან. დაბოლოს, მეექვსე ნაწილში დასმულია დამატებითი კითხვები და პრობლემური საკითხები, რაც დაკავშირებულია სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან და რაც აუცილებელს ხდის დამატებით კვლევასა და განხილვას ამ მეტად რთულ, მაგრამ, იმავდროულად, საჭირო საკითხთან დაკავშირებით.

I. მიმოხილვა

ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში [FN9], ისე მის საზღვრებს გარეთ [FN10] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდი (ADR) [FN8] იმდენად განვითარდა, რომ აუცილებელი გახდა მართლმსაჯულების სისტემაში მისი ინტეგრაცია. ეს პროცესი, ნაწილობრივ, საპასუხი რეაქცია იყო სასამართლოების საქმიანობაში აღმოჩენილ ისეთ პრობლემებზე, როგორცაა პროცესის გაზრდილი ხარჯები, საქმის გაჭიანურება და, ზოგადად, სასამართლოს ადმინისტრაციის მიმართ უკმაყოფილება [FN11]. სწორედ დროისა და ფულის დაზოგვის მოლოდინმა განაპირობა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მოდელების განვითარება (ყველაზე ხშირად სასამართლოები სწორედ მედიაციაზე აკეთებდნენ არჩევანს). ეს მოდელები წარმატებით და საკმაოდ სწრაფად დაინერგა სასამართლოებში [FN12]. ფაქტობრივად, იმავე მიზეზებით [FN13], მედიაციამ, როგორც დავის გადაწყვეტის საშუალებამ, ფეხი მოიკიდა არასასამართლო დონეზეც. ამ პროცესს ხშირად „საზოგადოებრივ მედიაციას“ უწოდებენ [FN14]. საზოგადოებრივი მედიაციის ცენტრები სწრაფად განვითარდა. შესაბამისად, ჩამოყალიბდა ნაციონალური ორგანიზაცია მათთვის, ვინც ამ საქმიანობაშია ჩართული, კერძოდ, შეიქმნა საზოგადოებრივი მედიაციის ნაციონალური ასოციაცია [FN15]. ცოტა ხნის წინ იურისტები მედიაციის სხვადასხვა სფეროში გავრცელების მოწმენი გახდნენ — დაწყებული დავებით სამუშაო ადგილებზე [FN16] თუ მოხუცთა სახლებში და [FN17] დამთავრებული სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული კონფლიქტებით [FN18]. სხვადასხვა სფეროში მედიაციის გამოყენებამ პროცესისადმი განსხვავებული მიდგომებიც წარმოაჩინა. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა ყველა ამ მიდგომას მოიცავს, თუმცა სტატიაში ყურადღება მხოლოდ მედიაციაზე იქნება კონცენტრირებული. მედიაცია ყველაზე მეტად განსხვავდება კლასიკური ამერიკული ტიპის შეჯიბრებითობის სასამართლო პროცესისაგან [FN19]. ნაშრომი, უპირველეს ყოვლისა, შეჯიბრებითი მართლმსაჯულების სისტემაში არაშეჯიბრებითი მედიაციის ინტეგრაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს ეძღვნება.

მედიაცია და სასამართლო ანდა ზოგადად სამოქალაქო მართლმსაჯულება პრობლემის გადაჭრისა და დავის გადაწყვეტის განსხვავებულ მოდელებს გულისხმობს. მოსამართლეებმა, საკანონმდებლო ორგანოებმა და ადვოკატებმა [FN20] ამ ორი, ერთი შეხედვით, ურთიერთსაწინააღმდეგო ბუნების მქონე ინსტიტუტის გაერთიანება დაიწყეს. მიღწეული შედეგი ყოველთვის ერთგვაროვანი არ არის [FN21]. ზოგიერთი სასამართლო მართლმსაჯულებაზე მორგებულ მედიაციას იყენებს. სხვა შემთხვევაში მედიაცია უფრო განსხვავებულ პროცესად გვევ-

ლინება [FN22], რომელიც წინ უსწრებს სასამართლო პროცესს. [FN23]. მედიაციის განვითარების თითოეულ მოდელს თავისი წინაპირობები და სპეციფიკა ახასიათებს.

სირთულეები, რომელიც წარმოიქმნება შუამავლობის და მართლმსაჯულების შერწყმისას, გამოწვეულია არასაკმარისი დაგეგმვისა და იმ ნიშანდობლივი განსხვავებების გაუთვალისწინებლობით, რომლებიც მედიაციასა და სასამართლო პროცესს ახასიათებს [FN24].

ნაშრომი არ ამტკიცებს, რომ დავის გადაწყვეტის ერთი რომელიმე სისტემა ან მიდგომა უკეთესია, ვიდრე მეორე, და არც შეჯიბრებითი სისტემის სრული უარყოფა შეიძლება [FN25]. ზოგიერთი სკეპტიკურად არის განწყობილი ცალკე აღებული რომელიმე მოდელის წარმატების მიმართ [FN26]. მიმაჩნია, რომ დავის გადაწყვეტის განსხვავებული მოდელების გამოყენების ინტენსივობა და მასშტაბები კიდევ გაიზრდება. მნიშვნელოვანია თითოეული მეთოდის გამოყენება გონივრულად მიზნის მისაღწევ საშუალებასთან თანაზომიერად და ყოველ კონკრეტულ შემთხვევასთან მორგებულად [FN27].

ნაშრომში არ განიხილება შუამავლის როლი, თუმცა ბევრი საკითხი დაკავშირებულია მედიატორისა და იმ იურისტის როლთან [FN28], რომელიც ნეიტრალური პირია [FN29]. სინამდვილეში, ჯერ კიდევ მსჯელობის საგანია ნეიტრალური პირის (არბიტრის, მედიატორის თუ საქმის ნეიტრალური შემფასებლის) საქმიანობა. სადავოა, ჩაითვლება თუ არა იურიდიულ პრაქტიკად მათი ყოველდღიური მოღვაწეობა და თუ ასეა, უნდა რეგულირდებოდეს თუ არა მათი საქმიანობა იურისტთა ეთიკის გათვალისწინებით [FN30]. დისკუსია კვლავ გრძელდება [FN31] და მეც სხვა დროისთვის გადავდებ მათ განხილვას [FN32]. ყურადღება ექცევა იურისტების როლს, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ კლიენტებს, მაგრამ არა სასამართლო დარბაზებში, არამედ მისგან განსხვავებულ ადგილას – მაგალითად, მედიაციის ოთახში.

ნაშრომში შევეცდები თავი შევიკავო სხვადასხვა ტიპის, სტილის და სახის მედიაციის დახასიათებისაგან, რადგანაც ასეთი კვლევები ისედაც მრავლადაა [FN33]. ამის ნაცვლად შევეცდები ყურადღება გავამახვილო იმ სიძნელეებზე, რომლებსაც ვაწყდებით სასამართლო პროცესებში მედიაციის ჩართვისას. ჯერ-ჯერობით, როგორც ჩანს, დაბნეულობა [FN34] და დებატები მედიაციასთან დაკავშირებით მართლმსაჯულების სისტემაში მისი ინტეგრაციის დაჩქარებით არის გამოწვეული [FN35].

განმარტებისათვის, ნაშრომში განხილულია ისეთი სახის მედიაცია, რომელიც კომუნიკაციის და ურთიერთგაგების გამოყენებით ეხმარება მხარეებს, მიაღწიონ მათთვის სასურველ შეთანხმებას [FN36]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის პროცესი, რომელიც ყურადღებას აქცევს მხარეების ინტერესებს და პრობლემების გადაჭრას, ნაცვლად იმისა, რომ მიღწეულ იქნეს შეთანხმება, რომელიც დაფუძნებული იქნება კანონმდებლობაზე, ან იმაზე, თუ რა უფლებები გააჩნიათ მხარეებს კანონის მიხედვით. მე აღნიშნული მედიაციის ფართოდ მიღებულ განმარტებად მიმაჩნია, [FN37], თუმცა ზოგიერთი შესაძლოა არ დამეთანხმოს და სხვა შესაძლო განმარტება შემოგვთავაზოს [FN38].

მაქვს განცდა, რომ მედიაციას გააჩნია პოტენციალი, გახდეს შეჯიბრებითი მოდელის კონკურენტუნარიანი ალტერნატივა [FN39], თუმცა სანამ იგი რჩება შეჯიბრობითობის სისტემის ფარგლებში, იგი დამოუკიდებელ და უნიკალურ პროცესად ვერ ჩამოყალიბდება [FN40]. მედიაციის მიზანი განსხვავდება სასამართლო პროცესის მიზნებისაგან. შუამავლობა მოიცავს რადიკალურად განსხვავებულ და კონტრასტულ მოდელს – რომელიც აზროვნების განსაზღვრულ ტიპს, ხედვას, უნარებსა და მიდგომას გულისხმობს. ეს მიდგომა ძალიან განსხვავდება ფართოდ გავრცელებული შეჯიბრობითობის მოდელისაგან [FN41]. პროფესორ ლეონარდ რისკინის დაახლოებით ოცი წლის წინანდელი განმარტება ასეთია [FN42]: მედიაცია მოითხოვს განსხვავებულ ფილოსოფიურ რუკას. პროცესში მონაწილეობისთვის ყველა მონაწილის ვალი-

ა, აირჩიოს ეს ფილოსოფიური რუკა (მიდგომა). პროცესის ეფექტურობისა და წარმატების მისაღწევად წარმომადგენლების ყოველი ქმედება და უნარების გამოვლენა ამ სისტემისთვის წინასწარ განსაზღვრული მიზნების შესაბამისი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, რეგულაციები და ამ რეგულაციებზე დაყრდნობით შესრულებული მოქმედებები უნდა შეიცვალოს. იურისტებმა უნდა შეძლონ გახდნენ შესაფერისი და კომპეტენტური წარმომადგენლები მედიაციის პროცესში. სხვადასხვა სახის პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართული იურისტები ეთიკის სპეციალურ კოდექსებს საჭიროებენ [FN43]. სხვადასხვა სახის პრაქტიკულ საქმიანობაში განსხვავებული ეთიკის კოდექსების არსებობა მიზანშეწონილია, რადგან წარმომადგენლის როლი განსხვავებულია ყოველი საქმიანობის სფეროს მიზნებიდან გამომდინარე. სწორედ ამიტომ, კოდექსები, ერთმანეთისგან უნდა განსხვავდებოდეს [FN44]. აღნიშნული ამტკიცებს მედიაციისას იურისტ-წარმომადგენლისათვის სხვაგვარი ეთიკური ნესების არსებობის საჭიროებას.

II. სირთულეები შუამავლობის და სასამართლო პროცესის გადაკვეთისას

იმის თქმა, რომ გარკვეული სიძნელეები სასამართლო პროცესში მედიაციის ინტეგრაციითაა გამოწვეული, საკმაოდ თავშეკავებული განაცხადია. შუამავლობის და სასამართლო პროცესის გადაკვეთა შესაძლოა მივამსგავსოთ მატარებლების შეჯახებას, ან, სულ მცირე, კატასტროფას, რომლის დროსაც მედიაცია იძულებული გახდა გზიდან გადასულიყო [FN45].

ბოლო დროს ბევრი დაინერა ამ ფენომენის შესახებ. ზოგიერთი კომენტატორის აზრით, მედიაციის როლი შესაძლოა შეიცვალოს, თუკი მის როლს სასამართლოზე დაფუძნებული მედიაციის კონტექსტში განვიხილავთ. მედიაცია უფრო მეტად „შეფასებითი“ ხდება [FN46]. როცა საქმე გვაქვს სასამართლოს მსგავს შეხვედრასთან [FN47]. ზოგიერთები დავობენ იმის თაობაზე, რომ მედიაციორებმა თავიდან უნდა აიცილონ მსგავსი ცვლილებები [FN48] თავიანთ პრაქტიკაში და შეინარჩუნონ მედიაციის პროცესისადმი ერთგულება [FN49]. ზოგიერთის დაკვირვებით კი აღნიშნულის შედეგად მიღებულია ჰიბრიდული პროცედურები. ისინი იყენებენ ტერმინს „იტი-მედიაციონ“ (სასამართლო წარმოება და მედიაცია) იმ კულტურის აღსაწერად, თითქოს შუამავლობა სასამართლო პროცესის დასრულების ტიპირი გზაა [FN50]. ასეთ შემთხვევაში, მედიაციორებმა უნდა დახვეწონ საკუთარი უნარები, რათა მოერგონ შეჯიბრობითობის მოდელს [FN51]. შუამავლობა ასევე განიხილება, როგორც ლეგალური კონტექსტიდან ამოვარდნილი პროცესი [FN52].

არიან იურისტები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ დავის ალტერნატიული გადაწყვეტა ძველი ღვინოა ახალ ღვინის ქურჭელში [FN53], რამდენადაც შუამავლობის ერთადერთი დანიშნულებაა დახმარება გაუწიოს ტრადიციული სასამართლო პროცესის მარეგულირებელ პროცედურებს. შესაძლოა ამიტომაც ითვლება ძველ ღვინოდ, და თუ ეს ასეა, მაშინ მედიაციის ეტიკეტის გამოყენება უკავშირდება არა რაიმე ახალს ან ინოვაციურს, არამედ მხოლოდ ძველი პროცესის ახლებური შეფუთვას. თუ მხოლოდ ეს არის, რაც მედიაციის პროცესმა შთაგვაგონა, მაშინ მხოლოდ მისი მცირე პოტენციალი იქნა გამოყენებული და შედეგი დაიკარგება. თუ ჩვენ საშუალებას მივცემთ მედიაციას, სრულად შეასრულოს ნაპირები, რათა მხარეებმა მიაღწიონ პრობლემის კრეატიულ და სასურველ გადაწყვეტას ტყუილ-მართალზე გაუთავებელი კამათის გარეშე, მაშინ შედეგადად მივიღებთ კონფლიქტის მოგვარების ახალ მოდელს. ამ პროცესის მოსამწიფებლად და გასავითარებლად უნდა დავუშვათ, რომ შედარებით მოუმწიფებელი პროცესი გადაიქცეს დავის მოგვარების ჩამოყალიბებულ ინსტრუმენტად.

ზოგიერთ იურისდიქციაში მედიაცია უფრო წინასასამართლო პროცედურას ჰგავს, ანუ ისეთ რგოლს, როდესაც სასამართლო პროცესის ეტაპი ჯერ არ დამდგარა. სასამართლო პროცესში მედიაციის გამოყენება გახდა ახალი ტერმინის „იტი-მედიაციონ“ წყარო, როგორც ამას თავის ნაშრომში მედიაციისა და სასამართლო პროცესის გადაკვეთის შესახებ აღწერს პროფესორი ჯონ ლანდე. [FN54]. ასეთი განვითარება ასახავს, თუ როგორი შეიძლება შთანთქმას ან

აქამდე როგორ შთანთქავდა სასამართლო მედიაციას - ზუსტად ის, რაც შუამავალ ადვოკატებს თავიდან უნდა აეცილებინათ [FN55]. ეს ფენომენი ასევე აღწერილია, როგორც „Litigation lite” (მსუბუქი სასამართლო პროცესი), რომელიც შესაბამისად გულისხმობს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდის გამოყენებას გადაუწყვეტელი (ლოდინის რეჟიმში მყოფი) სასამართლო პროცესის დროს [FN56]. ნაწილობრივ, მიზეზი იმისა, რომ მედიაციას შთანთქავს სასამართლო პროცესი, ისაა, რომ იურისტების უმრავლესობას მედიაცია მხოლოდ სასამართლო პროცესის კონტექსტში აქვს წარმოდგენილი [FN57]. იმის შესაძლებლობა, რომ ინდივიდებმა მედიაციას მიმართონ დავის არსებობისას სასამართლოში სარჩელის წარდგენის გარეშე, ბევრისათვის წარმოუდგენელია.

სასამართლო პროცესი ასევე განიხილება, როგორც კონფლიქტის მოგვარების სტანდარტული მოდელი, როდესაც დავა ვერ წყდება მედიაციის მეშვეობით [FN58]. ამ ტიპის მედიაცია გამოიყენება მხოლოდ სასამართლო პროცესის დამხმარე საშუალებად, რის გამოც იკარგება მედიაციის რეალური პოტენციალი. ასეთი „მედიაციის პროცესის” დროს, განხილვები, ქმედებები და შედეგები იღებს ისეთ ფორმებს, რომლებსაც ადგილი აქვს შეჯიბრებითობის სისტემაში, ან მოსამზადებელ ეტაპზე. როგორც მოსამართლე ვაინ ბრაზილი აღნიშნავს, აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს სანდო არგუმენტების ჩამოყალიბებას; მნიშვნელოვანი ინფორმაციის შენიღვას; სისუსტეების დამალვას; მხარეების ყურადღების გადატანას მთავარი და ცხადი შესაძლებლობებიდან; მხარეთა შეცდომაში შეყვანას არსებულ და სარწმუნო მტკიცებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც ჯერ ფორმალურად არ არის წარმოდგენილი (მაგალითად მონმის სავარაუდო ჩვენება ან ექსპერტის დასკვნა); კარგად ფორმულირებული არგუმენტების უარყოფას; პროცესში განზრახ მტრობის ან კონფლიქტის ჩართვას; პრინციპულად არაკეთილსინდისიერ პოზიციაზე დარჩენას; ინფორმაციის მიღებაში შეგნებულად ხელის შეშლას ან აუცილებელი პროცედურის გაჭიანურებას უფრო მეტი დროის მოსაგებად, სხვა მხარეების დასასუსტებლად ან მათი ფინანსური ხარჯების გასაზრდელად [FN59].

ასეთი ტენდენციის მედიაციის პროცესში ჩართვა კარგად ჩანს თუნდაც მიმდინარე საგანმანათლებლო კურსების სახელწოდებებიდან, როგორიცაა „როგორ გავიმარჯვოთ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდის გამოყენებით” და „წარმატებული წარმომადგენლობის სტრატეგია მედიაციაში” [FN60]. შუამავლობა გადაიქცა სასამართლო დავის სისტემის უფრო მსუბუქ ვერსიად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი არ არის დავის გადაწყვეტის რეალური ალტერნატივა. თუ ასეთი ტენდენცია გაგრძელდება, ვშიშობ, ნამდვილი ალტერნატივა აღარ იარსებებს. ამის ნაცვლად დარჩება მხოლოდ ორი არჩევანი: ჩვეულებრივი სასამართლო პროცესი და შედარებით მსუბუქი სასამართლო პროცესი [FN61].

ჩვენ, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სისტემის პროფესიონალებს, პასუხისმგებლობა გვაკისრია ამ ფენომენის წინაშე. ჩვენ ვაიძულებთ სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლებას, რომ სასამართლო პროცესის მონაწილეებს მედიაციაში მიეღოთ მონაწილეობა იმ პირობით, რომ დაიზოგებოდა როგორც მოდავეთა, ასევე სასამართლოს დრო და ფინანსები. რა თქმა უნდა, მედიაციის გამოყენება ძალიან ეფექტურია დროისა და თანხის დაზოგვის თვალსაზრისით. სასამართლოში განსახილველ საქმეთა რაოდენობა შესაძლოა დავიყვანოთ კონტროლირებად სტატისტიკურ მონაცემებამდე, რადგანაც გარკვეული საქმეების მოგვარება შესაძლებელი გახდება უფრო დროულად და შეფერხებების გარეშე [FN62]. ამასთან, შესაძლებელია, მედიაცია იმაზე უკეთეს მიდგომას გვთავაზობს სამართლიანობისადმი, ვიდრე მხარეებს ექნებოდათ, რადგანაც ისინი უფლებამოსილი და ნახალისებულიც კი არიან მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში [FN63].

სამწუხაროდ იმ ფაქტს, რომ მედიაცია ასე განსხვავდება დავის გადაწყვეტის ტრადიციული მოდელისაგან, არასდროს ექცეოდა დიდი ყურადღება. ამჟამად, ზოგიერთი კომენტატორი აღნიშნავს, რომ როგორც მედიაციის მხარდამჭერები, ისე სასამართლოს პერსონალი ვერ ჩანს ვადა მედიაციის პოტენციალს. სასამართლოში მედიაციის გამოყენებისას ერთდროულად

სახეზეა „პროცესი, რომელიც უარყოფს კანონის რელევანტურობას და მართლმსაჯულების განხორციელება, რომელიც კანონის გარეშე წარმოუდგენელია“ [FN64]. შესაძლოა ეს იმიტომ მოხდა, რომ მხოლოდ დროისა და თანხის დაზოგვის დაპირებაც კი საკმარისი აღმოჩნდა ინტერესის გასაღვიძებლად [FN65]. სხვა შემთხვევებში მიიჩნეოდა, რომ მედიაციის შესახებ დისკუსიების, პროცესში მხარეთა მონაწილეობის და მათთვის ძალაუფლების მინიჭების იდეა ზედმეტად თამამი იქნებოდა [FN66]. იურისტების უმრავლესობა არ იყო მზად მიეღო და მორგებოდა დავის გადაწყვეტის ასეთ განსხვავებულ მოდელს. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რათა მედიაცია „გასაყიდად“ ის სხვანაირად შეიფუთა. იურისტები წააქეზეს, გამხდარიყვნენ უდრეკი „ადვოკატები“ და „გაემარჯვათ“ მედიაციის პროცესზე. პრობლემა ისაა, რომ ამგვარი პროცესების განვითარებამ თვით მედიაციას ხარისხზე იქონია გავლენა და საუკეთესო მოსავალი „დამჟავდა“.

მორიგი ასპექტი, რომელიც ხელს უშლის მედიაციის პოტენციალის რეალიზებას, არის მხარეების შესაძლებლობა, შეიმუშაონ პრობლემის გადაწყვეტის საკუთარი, შემოქმედებითი ვარიანტი. მართლმსაჯულების სისტემაში მოღვაწე ზოგიერთი პირისათვის გამაღიზიანებელი მიღებული შედეგები, რომლებიც, მათი აზრით, უჩვეულო და შეუსაბამოა იმასთან, რასაც სასამართლო მსგავს სიტუაციაში მოიმოქმედებდა. ზოგიერთს მიაჩნია, რომ მედიაციის პროცესში მონაწილეობისას საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მხარეებმა, როგორც მინიმუმ, უნდა გააცნობიერონ, რას მიიღებენ სასამართლო წესით დავის შემთხვევაში [FN67]. სხვები ამტკიცებენ, რომ სამართლის ის სისტემა რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული, არასრულფასოვანია, ამიტომაც შუამავლობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს სასამართლო დავის შედეგებზე [FN68] და მედიატორის როლზე მსგავს განხილვებში [FN69].

თუ მედიაცია უნიკალური პროცესია, მაშინ პრობლემების ახლებური გადაწყვეტისთვის ის ახალ ხედვას მოითხოვს. ინოვაციური პროცესის დანერგვა ქვეყნის ახალი პარამეტრების შემოღებასაც გულისხმობს; ამ საკითხთან დაკავშირებით, იურისტებისათვის ძალიან მწირი ინფორმაცია ხელმისაწვდომი. დიდი დრო დაიხარჯა მედიატორების [FN70] მომზადებასა და სწავლებაზე, თუმცა ყურადღება ნაკლებად გამახვილდა იურისტ-წარმომადგენლის როლზე ახალი ტიპის პროცესში.

ცხადია, განსაზღვრული იყო, რომ იურისტებს თავიანთი კლინტები უნდა წარმოედგინათ სრულიად განსხვავებულ პროცესში. მედიაციის შესახებ მწირი წარმოდგენითა და შეჯიბრობითობის სისტემის მრავალწლიანი გამოცდილების პირობებში, მათ განსხვავებულად უნდა ემოქმედათ. უმრავლეს შემთხვევაში ეს ასე არ მოხდა. იმის ნაცვლად, რომ ადვოკატები მედიაციის პროცესის მონაწილეთა წარმომადგენლები ყოფილიყვნენ, იურისტები [FN71] საკუთარ თავს შეჯიბრებითობის პროცესის მონაწილეებად წარმოიდგენდნენ. შეჯიბრებითობის პროცესის დროში გაჭიანურების ხშირმა შემთხვევებმა შედეგად გამოიღო.

III. იურისტის ეთიკური ასპექტების და კანონმდებლობის მიმოხილვა

ეთიკის წესები, რომლებითაც ამჟამად იურისტები ხელმძღვანელობენ, შეჯიბრობითობის სისტემაზე დაყრდნობით შეიქმნა [FN72]. შეჯიბრობითობა რომელიც დაფუძნებულია კონკურენციასა და ნებისმიერ ფასად გამარჯვების მიღწევაზე, იურისტების საქმიანობის არსს წარმოადგენს. შეჯიბრობითობის სისტემის დადებითი თვისებები, დავის გადაწყვეტის თუ პრობლემის მოგვარების სხვა სისტემებთან შედარებით, ეფექტურად არის გამოკვლეული [FN73]. და მაინც, ამ სისტემას იმიტომ ვახსენებ, რომ იგი საფუძვლად უდევს იურისტის ქცევის ბუნებას. შეჯიბრობითობის სისტემას დიდი ხნის ისტორია აქვს და, მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრებითობის წახალისება და კონკურენცია იდეალურად მუშაობს სამართლიანობის მისაღწევად [FN74], ამ ყველაფერს სირთულეებიც ახლავს. ხშირ შემთხვევაში, შეჯიბრობითობის სისტემა სცდება ეთიკის ფარგლებს [FN75]. ანგარიშებიდან ჩანს, რომ იურისტებს შორის

[FN76] ხშირია მკვლევარების მუქარა და ფიზიკური დაპირისპირებაც კი [FN77]. ასეთი ექსტრემალური შეჯიბრობითობის ეთიკა, სავარაუდოდ, საზოგადოებაში იურისტის პროფესიის მიმართ უპატივცემულობასა და უკმაყოფილებას იწვევს [FN78].

ბევრი კამათობს, რომ იურისტების ასეთი ქცევა პირდაპირი შედეგია, როგორც წარსულში, ასევე ამჟამად, შეჯიბრობითობის სისტემაში არსებული კამათებისა [FN79]. სხვები აღნიშნავენ, რომ ეს კულტურა არ არის მხოლოდ სასამართლო პროცესის სისტემის ნაწილი, არამედ ის ზოგადად საზოგადოებისთვისაა ნიშანდობლივი [FN80]. შეჯიბრებითი მოქმედება, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს უღმობელ, დაუნდობელ და სიტყვიერ ბრძოლას [FN81], პრობლემატურია როგორც თავის ჩვეულ გარემოში, ისე არაშეჯიბრობითობის პროცედურის კონტექსტში [FN82]. ამჟამად იურიდიული პრაქტიკა მოითხოვს უფრო მეტ ექსტრემალურ მოქცევას, რაც გულმოდგინე წარმომადგენლის როლით არის შენიღბული [FN83]. ყოველი იურისტი აცნობიერებს, რომ კამათსა თუ დავას თავისი ზღვარი აქვს. იურისტები აცხადებენ, რომ ზენოლამ იმატა მკაცრ, კონკურენტულ ბაზარზე და უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ უწევთ ისეთ შეჯიბრობითობის გარემოში მუშაობა, „სადაც აგრესია, ეგოიზმი, მტრობა, ეჭვი და ცინიზმია გაბატონებული“ [FN84]. უფრო მეტიც, ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, რომ იურისტებს აკლიათ ცივილურობა, კოლეგიალურობა და ლოიალურობა [FN85]. ჯერჯერობით, ასეთი ქცევა უფრო ხშირია. იურისტი საქმის აღწერისას ისეთ მეტაფორებს იყენებს, რაც წარმოაჩენს მათ შემტევ და დომინანტურ ბუნებას [FN86]. ბოლო პერიოდში სატელევიზიო სივრცესა და კინოფილმებშიც წინააღმდეგობრივი ბუნების მქონე იურისტის სახე დომინირებს, რაც სწორედ შეჯიბრობითობას უსვამს ხაზს [FN87]. ასეთ შეჯიბრებით დამოკიდებულებას სამართლის სკოლაშივე უნერგავენ, რაც თავისთავად ითვლება კონკურენტციის შექმნის ძალისხმევად [FN88]. სტუდენტს ასწავლიან, რომ კონკურენტული მეთოდოლოგია არის იურიდიული სისტემის გული და კონფლიქტის მოგვარების ყველა ფორმაშია გადატანილი [FN89]. მიჩნეულია, რომ ის ინდივიდები, რომლებიც ფლობენ მებრძოლ პიროვნულ თვისებებს, ან განიცდიან თანამშრომლობის ტენდენციის ნაკლებობას, იურიდიულ სკოლაში წარმატებას აღწევენ [FN90]. თუ ზოგიერთის მოთხოვნაა ცვლილებების განხორციელება და იურისტების ქცევის რეფორმირება, დანაშაული იურიდიული განათლებით დამთავრებული იურიდიული ეთიკით, [FN91]რა მიმართულებითაც გარკვეული მცდელობები უკვე არსებობს, სხვები ჯერ კიდევ ორჭოფობენ, რეალურად არის თუ არა ეს რეფორმა შესაძლებელი [FN92].

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოზე დაცვის ღირსეულად განხორციელების კონცეფციას საფუძველი სისხლის სამართლის სისტემაში ჩაეყარა, იგი საადვოკატო პრაქტიკის ნაწილი გახდა [FN93]. ასეთი ფანატიკური მიდგომა იმდენად განავრცეს, რომ ადვოკატის მიერ შესასრულებელი დავალება წარმოუდგენლად და შეუძლებლადაც კი იქნა მიჩნეული [FN94]. ზოგიერთი იურისტის აგრესიულობამ ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ „პროფესიონალიზმის“ სტანდარტების შემოღება აუცილებელი გახდა. დღეისათვის ადვოკატთა თითქმის ყველა ასოციაციას შემუშავებული აქვს პროგრამა, რომლის მიზანია ადვოკატთა მეტი პროფესიონალიზმისა და ნაკლები უხეშობის უზრუნველყოფა [FN95]. თავაზიანობა, რომელიც ძირითადად ზედაპირული და ხელოვნურია, უმეტესად იგნორირებულია პრაქტიკაში, განსაკუთრებით კი დროში შეზღუდვისა და ანაზღაურებადი საათების საჭიროების გამო.

შეჯიბრობითობის სისტემაში განსაკუთრებით პრობლემურია ის, რომ, ზოგიერთი წესის მიხედვით, ნებადართულია არაკეთილსინდისიერი და მეტოქეობაზე დაფუძნებული ქცევა. ამას თუნდაც ისეთი ტერმინების არსებობა ამტკიცებს, როგორცაა “ენერგიული წარმომადგენლობა”, რომელიც ყოველთვის არაა ეფექტური, მათ შორის შეჯიბრებით სისტემაშიც კი. კანონების უმეტესობა, რომელიც ადვოკატთა ქცევის წესებს ადგენს, შედგენილია იმ იურისტების მიერ, რომლებიც იცავდნენ ინდივიდთა უფლებებსა და თავისუფლებას მორალური ასპექტის გათვალისწინების გარეშე [FN96]. აზროვნების სწორედ ასეთი ტიპი გახდა ამერიკის

ადვოკატთა ასოციაციის (ABA) პროფესიული პასუხისმგებლობის კოდექსის მოდელის ნაწილი [FN97].

ეჭვგარეშეა, რომ შეჯიბრობითობის სისტემამ ჩაუყარასაფუძველი ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის „ეთიკა-2000“ სახელით ცნობილი კომისიის მიერ შემუშავებულ ადვოკატთა ქცევის შემფასებელ წესებს (ABA Ethics 2000 Commission on the Evaluation of the Rules of Professional Conduct) [FN98]. არსებული მოდელი დამტკიცდა, თუმცა საწინააღმდეგო ვარიანტიც არსებობდა [FN99]. ადვოკატის ნეიტრალიტეტის უზრუნველსაყოფად გატარებული [FN100] მხოლოდ ერთი ცვლილება იქნა შეტანილი წარმომადგენელი იურისტის მიმართ. ეს იყო უფრო რჩევა, ვიდრე დავალება, რომლის თანახმადაც, ადვოკატს დაეკისრა კლიენტისათვის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის შესახებ ინფორმაციის მინოდების ვალდებულება [FN101].

მოლაპარაკების პროცესში, ზემოაღნიშნული წესების ერთ-ერთი ნორმა (4.1.) ბუნდოვანი სიმართლის სტანდარტებს გვთავაზობს [FN102]. ჟერ კიდევ ოცი წლის წინ შემუშავებულ პროექტში არსებობდა დებულება, რომელიც პატიოსნებას ეხებოდა [FN103]. იგი ამოშალეს და ამჟამინდელი დებულებით ჩაანაცვლეს [FN104]. კომენტარები ხშირად მოლაპარაკების პროცესში ყალბ და მოტყუებით მეთოდებს დადებითად წარმოაჩენს. მიუხედავად იმისა, რომ არ ვემხრობი „შეთანხმებას მოლაპარაკებაში“, რამდენადაც ის საშუალებას აძლევს წარმომადგენლებს და მოლაპარაკებაში ჩართულ სხვა პირებს, შეცდომაში შეიყვანონ სხვა მხარეები, იგი ნორმის ფარგლებში რჩება და კვლავაც მიღებულია იურიდიულ პრაქტიკაში [FN105]. ზემოხსენებული არ შეიძლება ჩაითვალოს სტანდარტად მედიაციაში, პროცესში, რომელიც დამოკიდებულია პირდაპირ და სანდო კომუნიკაციაზე.

ასეთი ქცევა მედიაციის კონტექსტშიც გადადის. შედეგად მედიაცია განიხილება, მხოლოდ და მხოლოდ, როგორც მოლაპარაკების ხელშეწყობა – თავისებური დამხმარე მოლაპარაკება. გამოდის, რომ რაც მიღებულია პირდაპირ მოლაპარაკებაში, რაღაც დონემდე მისაღებია და ვრცელდება დამხმარე მოლაპარაკებაზეც. ეს დასკვნა ეწინააღმდეგება მედიაციის ძირითად პრინციპებს. ასეთი მიდგომა ფიტავს იმ ნაყოფიერ ნიადაგს, რომელზეც ხდება შეჯიბრობითობას მოკლებული გადაწყვეტილებების მიღება [FN106]. ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, და შესაძლოა სხვებზედაც, პირველ რიგში, შევცვლიდი ასეთ „შეთანხმებას მოლაპარაკების პროცესში“. იმის გათვალისწინებით, რომ პირდაპირი მოლაპარაკების უმრავლესობა კვლავ მიმდინარეობს შეჯიბრობითობის სისტემის კონტექსტში, შესაძლოა იგი დარჩეს ისე, როგორც არის. შეზღუდვა შეიძლება გამოვიყენოთ სულ მცირე მედიაციის ან პრობლემის გადაჭრის სხვა, არა-შეჯიბრებით პროცესებში, როგორცაა კონსენსუსის მიღწევა და თანამშრომლობა [FN107].

მედიაცია არის პროცესი, რომელიც მოითხოვს და საჭიროებს კიდევ მკაფიოდ ჩამოყალიბებულ აზროვნებას – მართლმსაჯულებისათვის დამახასიათებელი შემტევი აზროვნებისაგან განსხვავებით. მაგრამ როდესაც მედიაციის პროცესი შეჯიბრობითობის მიდგომას შეუერთდა, მოხდა მისი შთანთქმა. როდესაც ვამონებთ აღნიშნულ სისტემათა მიზნებს, მივდივართ დასკვნამდე, რომ ისინი განსხვავებულია. შეჯიბრობითობის სისტემა ცდილობს დაადგინოს სიმართლე, შეინარჩუნოს უფლებები, განსაზღვროს სწორი და მცდარი, და დასაჯოს დამნაშავე. მედიაციის პროცესი ყურადღებას ამახვილებს ინტერესების დადგენაზე, პრობლემის გადაჭრის კრეატიულ ხერხებზე, მხარეების ძალაუფლებით აღჭურვასა და მხარეთათვის მისაღებ გამოსავალზე [FN108].

ეს ინოვაციური და უნიკალური ღვინო კი ჩასხმული იყო შეჯიბრობითობის და კონკურენციის ძველი ღვინის ჭურჭელში. დაიკარგა მედიაციის პოტენციალი, რაც მას განასხვავებს შეჯიბრობითობის მოდელისაგან. შედეგად კი, მედიაცია განიხილება, როგორც მსუბუქი სასამართლო პროცესი [FN109]; და ადვოკატები, რომლებიც კლიენტებს წარმოადგენენ, ამ სისტემაში ემსგავსებიან ცხვრის ტყავში დახვეულ მგლებს [FN110].

მიმაჩნია, რომ აუცილებელია ღვინის ახალი ჭურჭლის გამოყენება, თუ გვინდა, რომ ღვინომ ბოლომდე გამოვლიანოს თავისი პოტენციალი. ღვინის ჭურჭელი სწორედ ის პარამეტრია, რომელიც აყალიბებს ადვოკატის ქცევას. შესაძლებელია ადვოკატის უნარის მოდიფიცირება ისე, რომ მგლები მოიქცნენ ცხვრებივით. თუმცა, სხვებს მიაჩნიათ, რომ უმეტეს შემთხვევაში საჭიროა როგორც მგლის, ასევე ცხვრის მსგავსად მოქცევა [FN111]. მედიაციის შემთხვევაში თანამშრომლობაზე ორიენტირებული, ცხვრის მსგავსი ქცევაა მიზანშეწონილი. თუ სპეციფიკური ეთიკა იქნება განსაზღვრული მათთვის, ვინც ჩართულია თანამშრომლობაზე დაფუძნებულ პროცესში, მაშინ ძველი ღვინოც ძველ ღვინის ჭურჭელში არ გაფუჭდება. მსგავსი მიდგომა არსებობს იურიდიულ პრაქტიკაში, რომელიც მოიცავს კონფლიქტის მოგვარებისა და პრობლემის გადაჭრის როგორც ტრადიციულ, ასევე ინოვაციურ მიდგომებს. როგორც იგავი გვეუბნება, ორივე სისტემის შენარჩუნება შესაძლებელია.

IV. ახალი კანონმდებლობის მიღება

დასახელებულ ორ სისტემას შორის არსებული სხვაობების გათვალისწინებით, ჩნდება კითხვა: საჭიროა კი ახალი და განსხვავებული ნორმები ასეთი განსხვავებული მოდელის სისრულეში მოსაყვანად? უამრავი პრაქტიკოსი იურისტის აზრით, ადვოკატებმა უნდა ისწავლონ განსხვავებული სტრატეგიები და ტაქტიკა მედიაციის პროცესში გამოსაყენებლად [FN112]. თუმცა ეს ასევე პრობლემატურია. ბევრ პრაქტიკოს იურისტს არ უჩნდება ინტერესი შეისწავლოს ადვოკატის პრაქტიკის ახალი და ინოვაციური მიდგომები, სანამ არ ექნება საკმარისი მოტივაცია, რომ არსებობს მოთხოვნა და მზარდი შემოსავალი იზრდება. ადვოკატთა საზოგადოება ხშირად ენერგიულად ეწინააღმდეგება ყოველგვარ ცვლილებას [FN113].

ახალი კანონები აუცილებელია. კანონები იურისტების ქცევას აკონტროლებს. სინამდვილეში, კანონების გაძლიერება და ძალაში შესვლა ყველაზე მიზანშეწონილი მექანიზმია იურისტის ქცევის შესაცვლელად. ისინი უფლებებსა და ობიექტურობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. იურისტები მზად არიან შეცვალონ ქცევა კოდიფიცირებული წესებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, ვიდრე დააკმაყოფილონ ქცევის აბსტრაქტული, სუბიექტური მოთხოვნები [FN114].

უფრო მეტიც, ადვოკატები კარგად იცნობენ და ერგებიან კანონებს. მაგალითად, წარსულში იურიდიული განათლების (CLE) გასაგრძელებლად გარკვეული პროგრამები იქნა შემოთავაზებული. დასწრება ამ პროგრამებზე არ იყო დიდი, სანამ სახელმწიფოებმა ლიცენზირების შესანარჩუნებლად არ მოითხოვეს განსაზღვრული CLE-ის საათების რაოდენობა წელიწადში [FN115].

სწორედ ამიტომ, რალაც დოზით შეჯიბრებითობის გამომრიცხველი პრაქტიკის დანერგვა მედიაციის პროცესში სისრულეში უნდა მოვიდეს პროფესიული პასუხისმგებლობის კოდექსში ცვლილებების მეშვეობით. რეალური ცვლილებების შეტანა „ეთიკა 2000“ პროექტში უკვე დაგვიანებულია [FN116], თუმცა არ არის გვიანი გადავხედოთ შესაძლებლობებს, რომ შეიქმნას ცალკე კონცეფცია, თუნდაც დამატებითი კოდექსი იმ იურისტებისათვის, რომლებიც შეჯიბრებითობის გარეშე წარმოადგენენ თავიანთ კლიენტებს. ამის განხორციელება შესაძლებელია არსებულ კოდექსში ცვლილებების შეტანით. შესაძლოა უკეთესი იყოს ახალი კოდექსის მიღება, რომელიც იმოქმედებს მედიაციის გამოყენებისას. ეს არ არის ახალი რეკომენდაცია, რადგანაც სპეციალიზებული ეთიკის გათვალისწინება და კოდექსების არსებობა უკვე საკმაოდ ნახალისებულია პრაქტიკაში [FN117]. შესაბამისად „ტესტი“ იმისა შესახებ, უნდა დამკვიდრდეს თუ არა განსხვავებული წესები, [FN118] მედიაციას გავლილი აქვს და პასუხი დადებითია.

ზოგადად ცნობილია ის დირექტივები, რომლითაც ქცევას ვაკონტროლებთ. ერთი მხრივ, მორალი უფრო წესებზეა დაფუძნებული [FN119]. რელიგიას, როგორც საწყისს რომ შევხედოთ, სარწმუნოების უმეტესობა წესებითა და ტრადიციებით ხელმძღვანელობს. განათლების სისტემაში ხშირია მსგავსი სტანდარტები. ანალოგიურადაა იურისტებთანაც და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთანაც. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები თითქმის „დაპროგ-

რამებულ“ არიან და ახალ წესებს მხოლოდ იზიარებენ. თუ არ არის კანონი, რომელიც შეეხება მედიაციას, და მოთხოვნა, რომ სტუდენტებმა აითვისონ განსხვავებული უნარები ან მიდგომები, მაშინ, სავარაუდოა, რომ უმეტესობა ამას არ გააკეთებს. ხშირ შემთხვევაში, იურიდიული განათლება დაინტერესებულია სტატუსკვოს შენარჩუნებით, იმიტომ, რაც უკვე იქნა შესწავლილი და გაძლიერებული. ეს კი ინოვაციისადმი წინააღმდეგობის ნოყიერ ნიადაგ ქმნის. შედეგად, იურიდიულ კულტურას უჩნდება რეალური ინტერესი, შეინარჩუნოს შეჯიბრობითობის სისტემა [FN120]; აქედან გამომდინარე, ვასკენით, რომ საჭიროა დამატებითი მოტივაცია.

სახელმძღვანელო პრინციპები ეთიკის სფეროში მოტივაციას იშვიათად ზრდის – უმეტეს შემთხვევაში ზღუდავს იურისტების ქცევას. მიმაჩნია, რომ მხოლოდ ეთიკის საშუალებით ყველა ცვლილება ვერ ან არ განხორციელდება. ამ წესების შექმნას დამატებითი ძალისხმევა სჭირდება. მაგალითად, ზოგიერთი ჩვენგანი ცდილობს ცვლილებების განხორციელებას საგანმანათლებლო საქმიანობით.

სამართლის სკოლაში სტუდენტებმა შესაძლოა მიიღონ განათლება, მაგრამ ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული ის, თუ რამდენად ეფექტური იქნება ეს განათლება. თავდაპირველად სტუდენტები ხელმძღვანელობენ წესებით; მათი სურვილია ჩასწვდნენ კანონის არსს და მიესადაგონ მას. მეორე წელს სტუდენტები მარეგულირებელ ნორმებს უკვე თავიანთ საქმიანობაში იყენებენ და პრობლემების უმეტესობაზე პასუხებს იღებენ. თუ არ არსებობს წესი, რომლითაც შეიძლება სპეციფიკურ კონტექსტში საკითხის გადაწყვეტა, ხანდახან დასკვნას აკეთებენ, რომ ამ შემთხვევაში ეს კონკრეტული საკითხი საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი. მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, მიაღწევს თუ არა ეს პრაქტიკა დიდ წარმატებას, სამართლის სკოლებში დამაჯერებელი სწავლების მეთოდი სწორედ კონკურენტუნარიანობა და შეჯიბრობითობაა [FN121]. ამიტომაც სამართლის სკოლებში ახლის, არაშეჯიბრებითი მიდგომის გაძლიერების მცირე ინსტიტუციონალური კულტურა არსებობს და მხოლოდ საპირისპირო ძლიერდება. მესამე არის ის, რომ სამართლის სკოლის სტუდენტების პიროვნული თვისებები შეჯიბრებითობისკენ არის მიდრეკილი [FN122]. საბოლოოდ, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სტუდენტს საკმარისი ცოდნა აქვს მიღებული, რათა ერკვეოდეს და სწორი წარმოდგენა ჰქონდეს სხვადასხვა სტანდარტისა და უნარების შესახებ, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს არაშეჯიბრებით სიტუაციებში, ამ სტანდარტების და უნარების გამოყენება ყოველდღიურ პრაქტიკულ სამყაროში დაუფასებელი რჩება.

პოპულარიზაცია და ანაზღაურება ბევრადაა დამოკიდებული სამუშაო საათების რაოდენობაზე. თუ საქმეები გადაწყდება და მოგვარდება, შესაბამისად, ნაკლები იურიდიული სამუშაოს განწევა იქნება საჭირო. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდის ბევრი დამცველი, როდესაც ამ მეთოდის დანერგვისას მსგავს დაბრკოლებას აწყდება, ხაზს უსვამს, რომ კმაყოფილი კლიენტები უკან დაბრუნდებიან, თუ მომავალში სხვა სამართლებრივი პრობლემები გაუჩნდებათ. უფრო მეტიც, კმაყოფილი კლიენტები სხვებსაც შესთავაზებენ იმ იურისტებს, რომლებითაც კმაყოფილები დარჩნენ. რადგანაც არც შემოსავლის შემცირების და არც კლიენტთა მიმართვიანობის ზრდის საკითხი ჯერ კიდევ არ არის ადეკვატურად და ემპირიულად შესწავლილი, ამიტომაც ეს თემა ჯერჯერობით ღიად რჩება.

იურიდიული პრაქტიკა კვლავ მრავლადაა შეჯიბრობითობის ელემენტები, დაწყებული კლიენტების მოპოვებით და შენარჩუნებით [FN123] დამთავრებული თავად შეჯიბრებითობის პროცესით. სტუდენტები ამის შესწავლას თავიდანვე იწყებენ სამართლის სკოლაში [FN124]. როდესაც იურისტი „იგებს“ სასამართლო პროცესს, ეს უდიდესი დღესასწაულია ფირმისთვის. მაგრამ თუ იურისტი მხოლოდ საქმეს აგვარებს, მაშინ მსგავსი სახის ზეიმი არ იმართება, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში საქმის მოგვარების შედეგი, სასამართლოს პროცესის შედეგთან შედარებით, როგორც კლიენტისათვის, ასევე ფირმისათვის, უფრო მომგებიანი იყო. ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტმა შეიმუშავა ისეთი პროცესი, რისი მეშვეობითაც ამერიკის შეერთებული შტატების ადვოკატების შეფასება მიმდინარეობს

პრობლემების მოგვარებისა და საქმეთა გაძღოლის უნარების მიხედვით [FN125]. ეს ისეთი სახის მიდგომაა, რომელიც ნაკლებად ტრადიციული მიდგომებს უფრო მეტად აფასებს, რომელიც ასე საჭიროა დღევანდელ მსოფლიოს პრაქტიკაში [FN126].

იურიდიული პრაქტიკაში არსებული შეჯიბრობითობისა და მეტოქეობის პრინციპის არსებობაზე გარკვეული თვალსაზრისით დამოკიდებულია პროფესიონალიზმის მოთხოვნის ზრდა. მაგრამ აქაც კი გარკვეული უთანხმოებაა ცვლილებების აუცილებლობასა და მათი განხორციელების მეთოდზე [FN127]. რეალურ პრობლემად რჩება, თუ როგორ უნდა მოვიყვანოთ სისრულეში ცვლილება [FN128]. ამ კამათს მივყავართ კითხვამდე: უნდა ვიმუშაოთ ასეთ სისტემაში, თუ ახალი წესები უნდა შევქმნათ.

ახალი და მრავალფეროვანი ეთიკური ნორმების შეთავაზება განსაზღვრულ სპეციალიზებულ პრაქტიკულ სფეროში არ არის სიახლე [FN129]. მაგალითად, საოჯახო სამართალში მოღვაწე იურისტები მიმართავენ ისეთ ეთიკას, რომელიც ნაწილობრივ დაფუძნებულია დამატებით განხილვებზე [FN130]. ეთიკის სხვადასხვაგვარი წესები შემოიღეს გაკოტრების, საზღვაო, საგადასახადო, სამხედრო, საოჯახო და გარემოს დაცვის კანონმდებლობაში [FN131]. ამ დისკუსიებში ნაგულისხმევია იმის აღიარება, რომ ცალკეული კოდექსის ერთმნიშვნელოვანი გამოყენება ყველა სფეროს პრაქტიკაში წარუმატებელია [FN132]. მაქვს წინადადება, რომ თუ ამ პრაქტიკულ სფეროებს, რომელთა უმეტესობაც მუშაობს შეჯიბრობით სისტემაში, სჭირდება დამოუკიდებელი წესები, მაშინ აღნიშნული წარმოდგენილი უნდა იყოს მედიაციაშიც.

სხვადასხვა სახის გამოცდა [FN134] ჩაატარა დეკანმა ნენსი რაპოპორტმა იმის დასადგენად გამართლებულია თუ არა ახალი და მკაფიო ეთიკური ნორმების გათვალისწინება ან წესების გამოყენება სპეციფიკური სფეროს იურიდიულ პრაქტიკაში [FN135]. უმთავრეს კითხვად რჩება, რამდენად ცუდია პრაქტიკის შესაბამისობა ეთიკის უნივერსალურ მოდელთან [FN136]. მედიაციის სფეროში, სადაც მატერიალური კანონები (სამართლებლივი აქტების ჩათვლით) მსგავსია, თავად პროცესი იმდენად განსხვავდება შეჯიბრობითობის სისტემაში წარმოდგენილისაგან, რომ, ჩემი აზრით, აქ უნივერსალურ ეთიკურ ნორმებთან შესაბამისობა არ არსებობს. მედიაციის პროცესის კარგად შეფასებისას ნათლად ჩანს, რომ უნარები, ორიენტირი, განხილვის პროცესი და ანალიზი იმდენად განსხვავებულია, რომ შეჯიბრობითობის სისტემასთან მხოლოდ მცირე მსგავსებაა [FN137].

ძირითად კითხვაზე დადებითი პასუხი იქნა გაცემული – იგი ნაკლებად შეესაბამება საყოველთაოდ მიღებულ მოდელს. რაპოპორტმა ამის შემდეგ გადაგვიყვანა, როგორც იგი უწოდებს, „მეორე კლასის“ კითხვებზე [FN138]. შემდეგი ოთხი დამატებითი საკითხის განხილვას მივყავართ სპეციალიზებული ეთიკის კოდექსის ჩამოყალიბებამდე. ეს საკითხებია: 1) ახალბედა პრაქტიკოსებთან განმეორებითი მოთამაშების არსებობა; 2) იურისდიქციის შრეები; 3) კოდექსის ძალაში შესვლის გამარტივება და 4) ცალკეული კოდექსის დადებითი მხარეების აწონდაწონა სახელმწიფო რეგულაციების უგულვებელყოფით გამონვეულ ნეგატიურ ასპექტებთან მიმართებაში [FN139].

ამ საკითხებიდან პირველი მოიცავს ისეთი კოდექსის აუცილებლობას, რომელიც აღწერს მისაღებ ქცევის მოდელს მათთვის, ვინც ამ სფეროში მოღვაწეობს [FN140]. გაკოტრების სამართლის მაგალითის მოშველიებით, რაპოპორტი ამტკიცებს, რომ როდესაც ახალი და გამოუცდელი იურისტები პრაქტიკულ არენაზე გამოდიან, აუცილებელია კოდექსი, რომელიც საჭირო ეთიკურ თუ მისაღებ ქცევის სტანდარტებს დაადგენს. ეს ტესტი მედიაციასაც მიესადაგება. ბევრ იურისტს კლიენტის მედიაციაში წარმომადგენლობის გამოცდილება არ აქვს. იურიდიული ფაკულტეტის არათუ ყველა სტუდენტი, არამედ მათ უმრავლესობაც კი არ გადის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის კურსებს. ისინიც კი, ვინც სამართლის სკოლაში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდს ეცნობა, პრაქტიკაში მის გატარებისას იმდენად შეიძლება დაიბნენ აღნიშნულ და სასამართლო მოდელს შორის არსებული განსხვავებით, რომ თავად პროცესი ძალზე ბუნდოვანი აღმოჩნდეს. ერთადერთი გზა კონტრასტის შესანარჩუნებლად მედიაციის პროცესის ქცევის კოდექსის შემოღებაა.

რაპოპორტის აზრით, მულტიიურისდიქციის პრაქტიკული საკითხების გათვალისწინებით, სახელმწიფო დაინტერესებულია იურისტის ეთიკური წესების დანერგვით. როგორც ლიცენზიის გამცემი პირი, ყოველი სახელმწიფო პასუხისმგებელია ადვოკატების ზედამხედველობაზე [FN141]. მულტისახელმწიფო პრაქტიკის ზრდის პროცესში, უფრო რაციონალური იქნება ნაციონალური კოდექსის მიღება [FN142]. ზოგადი პრინციპის თანახმად, ადვოკატს უფლება აქვს თავისი საქმიანობა განახორციელოს ერთ შტატში, თუმცა მას შეუძლია ასევე გამოვიდეს გაკოტრებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სასამართლო პროცესზე. [FN143] ეს მოდელი შესაძლოა დაინერგოს მედიაციაშიც, სადაც, უფრო დამაჯერებლად შეიძლება ითქვას, არავის სჭირდება ლიცენზირება მედიაციაში მხარეების წარმოსადგენად [FN144]. ხშირად მედიაციის პროცესში მხარეები და მათი წარმომადგენელი იურისტები სხვადასხვა სახელმწიფოდან არიან. ამიტომ სახელმწიფო საზღვრებს მედიაციისათვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ხშირად მედიაციის პროცესის სხვა სახელმწიფოში გამართვა უფრო მოსახერხებელიც არის. იურისტი წარმომადგენლის ქცევის წარმართველი უნივერსალური კოდექსი არა მხოლოდ ეფექტური, არამედ უფრო მეტად შესაფერისიც იქნება პროცესის ყველა მონაწილისათვის [FN145]. სასამართლო პროცესამდე მედიაციაზე მოთხოვნის ზრდის პირობებში, არ არსებობს მართლმსაჯულების ორგანო, რომლის იურისდიქცია ასევე გვერცელდებოდა დავის ალტერნატიულ გადაწყვეტაზეც. არსებული ხარვეზი აუცილებელს ხდის მოცემული საკითხის ნორმატიულ რეგულირებას პრაქტიკისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი დოკუმენტების შემუშავება, რომლებიც გამოყენებული იქნება მედიაციის გამართვის ადგილის მიუხედავად.

რაპოპორტის ტესტს თუ მივუბრუნდებით, მე ბოლო ორ საკითხს ერთად განვიხილავ, რადგანაც ორივე ითვალისწინებს სახეობათა დაბალანსებას. ერთი ეხება ახალი კოდექსის დანერგვისა და ამოქმედების სიმარტივეს, მეორე კი განიხილავს, რამდენად შეიძლება ასეთი პრაქტიკის დადებითმა მხარეებმა გადანონოს იურისტებისათვის შემოღებული ახალი სტანდარტებით გამოწვეული სიძნელეები [FN146]. მე სხვაგვარად ვიტყვოდი, მედიაციაში მონაწილეთათვის სხვადასხვაგვარი წანამძღვრების დანერგვა და გაძლიერება არ იქნებოდა მარტივი საქმე [FN147]. უამრავი დაბრკოლება და სირთულე იქნება გადასალახი, მაგრამ თუ ამას გრძელვადიან პერსპექტივაში შევხედავთ, დადებითი შედეგები, რომლებსაც მივიღებთ [FN148], გადანონის აღნიშნულ დაბრკოლებებთან ბრძოლით გამოწვეულ უსიამოვნებებს. რთული იქნება ბალანსის დაცვა, მაგრამ ვშიშობ, რომ თუ სიახლე არ დაინერგება, მედიაციაში სიძნელეები კვლავ იარსებებს. მედიაცია, როგორც მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროცესი, შთაინთქმება და ერთადერთი, რაც მისგან დარჩება, იქნება ის, რომ მას უბრალოდ წინასასამართლო პროცესზე მოლაპარაკების სახე ექნება.

V. წარმომადგენლის ეთიკა არაშეჯიბრებითობის პროცესში

მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდით მედიაციისთვის და, შესაძლოა, პრობლემის მოგვარების სხვა საშუალებებისთვის ახალი და განსხვავებული ეთიკური წესების არსებობის აუცილებლობაზე [FN149], შემდეგი ნაბიჯია, განვსაზღვროთ თავად ეს წესები. როგორი უნდა იყოს ეს რეგულაციები? როგორი უნდა იყოს ეთიკის კოდექსი? როგორ უნდა მიაწოდოს ამ წესებმა იურისტებს სათანადო ინფორმაცია მედიაციაში წარმომადგენლობის შესახებ? მე არ ვამტკიცებ, რომ ჩვენ შეგვიძლია ადამიანების ან მათი ძირითადი პრინციპების შეცვლა [FN150]. მე ვსვამ კითხვას, შეუძლია თუ არა ერთ ინდივიდს, რომელიც არის ძალიან მონდომებული ადვოკატი შეჯიბრებითი გაგებით, იმავდროულად, მოირგოს კარგი წარმომადგენლის როლი არაშეჯიბრებით კონტექსტში? [FN151]. იურისტთა მიდგომის შეცვლა შესაძლებელია სპეციფიკური წესების დანერგვითა და და ამოქმედებით [FN152]. ეთიკური წესები შექმნილია მრავალი დანიშნულებით [FN153]. მიმაჩნია, რომ აუცილებელია ყურადღება მიექცეს დეტალებს იმ იურისტების ქცევების სტანდარტების შესამუშავებლად, რომლებიც არაშეჯიბრებითობით პრო-

ცესებზე წარმომადგენლის სახით გვევლინებიან. იურიდიული ეთიკის კოდექსები ზოგადად შექმნილი იყო ორი მიზნის მისაღწევად. ერთია დასჯადობა მინიმალური ეთიკური წესებისგან გადახვევის გამო; და მეორე – მიმართულებების ჩამოყალიბება ეთიკური ქცევის განვითარების კუთხით [FN154]. უდავოა, რომ ახალი ეთიკური სტანდარტები იმ იურისტებისათვის, რომლებიც მედიაციაში წარმომადგენენ თავიანთ კლიენტებს. უნდა მოიცავდეს ამ ორივე მიზანს; მაგრამ მსურს მესამე წინადადება წამოვყენო, კერძოდ, საგანმანათლებლო მიზანი. ნაწილობრივ, ეს გამოწვეულია არაშეჯიბრობითი სისტემისა და პრობლემების გადაჭრის საშუალებების შესახებ ტრენინგების ნაკლებობის გამო, რაც, შეიძლება ითქვას, მედიაციაში არაადეკვატური წარმომადგენლობის გამომწვევი მიზეზია. აღნიშნული სამი მიზნის მისაღწევად ეთიკური კოდექსი უნდა ჩამოყალიბდეს სპეციფიკურად, რომელიც, იმავდროულად, მოქმედების თავისუფლების, სტილისა თუ მიდგომის არჩევანის საშუალებასაც დასაშვებად მიიჩნევს.

ერთ-ერთი გამოსავალი იქნება ერთიანი სპეციალიზებული ეთიკური კოდექსის შემუშავება მათთვის, ვინც წარმომადგენს კლიენტებს მედიაციაში. უფრო ნაკლებად რადიკალურია კანონში დამატება, რომელიც არ გაითვალისწინებს წარმომადგენელი იურისტის ამჟამინდელ რეგულაციას, რაც დღეს მედიაციის პროცესში წარმომადგენლობას არეგულირებს. მსგავს მიდგომას გვთავაზობს, მაგალითად, კანონი 3.8 ადვოკატთა სამართლებრივი დევნის შესახებ [FN155]. შესაძლებელია ადვოკატებისთვის მედიაციაშიც შეიქმნას ასეთი დამატება. რა თქმა უნდა, სხვა ალტერნატივა შესაძლოა იყოს კომენტარების დამატება არსებულ კანონებში – მაგალითად, ნორმა 2.1. კლიენტთან კომუნიკაციის შესახებ, ნორმა 4.1 კომუნიკაციისას გულწრფელობასთან დაკავშირებით, ან ნორმა 3.1 უშუალოდ შესახებ [FN156].

მოცემული დისკუსია მხოლოდ მიზეზული მსჯელობა, (თუნდაც ჩვენი სურვილებიდან გამომდინარე, დავარქვათ ამოსავალი წერტილი), დებატებია არაშეჯიბრობითი იურიდიული წარმომადგენლის ეთიკური პარამეტრების შესახებ. ასე რომ, ჩვენც უნდა დავინწყოთ ახლებურად მსჯელობა. რეალური კოდექსის ფორმაში მოყვანას გარკვეული დრო დასჭირდება, სწორედ ეს საკითხებია ამჟამად სამსჯელო. მიუხედავად იმისა, რომ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სფეროში გადამეტებული რეგულირება უკმაყოფილებას იწვევს, მაინც აუცილებლად მიგვაჩნია ამ სფეროში ახალი წესებისა და სტანდარტების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა. მედიაციის ორგანიზაციებმა, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლებამ და სასამართლომ დაიწყეს რეგულირება და კარგი იქნება, თუ ეს იურისტ-წარმომადგენლებსაც შეეხება. სამართლებრივი სისტემა მუდმივად ავითარებს მულტიიურისდიქციულ [FN157] და მულტი-დისციპლინურ პრაქტიკას [FN158]. იურისტის როლი ასევე უნდა მოიცავდეს არაშეჯიბრობითი სახის წარმომადგენლობას. ჩვენ, როგორც იურიდიული სფეროს საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებმა, აუცილებელია არა მხოლოდ მივდიოთ ცვლილებებს, არამედ ამ სფეროს განვითარების ინიციატივაც ავიღოთ ხელში .

ა) კეთილსინდისიერების სტანდარტი

ზოგი შემთხვევაში მედიაციაში კეთილსინდისიერი მონაწილეობა დაცულია [FN159]. ამ საკითხის დეტალური განხილვა, მისი უარყოფითი და დადებითი მხარეების გამოყოფით, შესაძლოა სხვაგანაც შეგვხვდეს [FN160]. ამჯერად მისი მოკლე მიმოხილვა იქნება წარმომადგენელი. მიუხედავად იმისა, რომ კეთილსინდისიერების სტანდარტი შემოთავაზებულია, როგორც იურისტების ეთიკურობის საკითხი, სასამართლოს უკვე გათვალისწინებული აქვს მედიაციაში მონაწილეობა კეთილსინდისიერების მოთხოვნით [FN161]ნებისმიერი მიდგომისას. სათანადო ძალისხმევებისათვის საჭიროა თავდაპირველად იმის განხილვა დაიწყოს, თუ როგორი შეიძლება იყოს ეს სტანდარტი თუ ვალდებულება.

კეთილსინდისიერება მედიაციაში არ გულისხმობს იმას, რომ შეთანხმება უკვე მიღწეულია [FN162]. კეთილსინდისიერების დემონსტრირებისათვის არაა აუცილებელი მხარეებმა დავა მოაგვარონ [FN162].

სავალდებულო კეთილსინდისიერება თავისთავად არ ნიშნავს შეთანხმების მიღწევას. პირიქით, დარწმუნებული ვარ, რომ არსებობს ბევრი შემთხვევა, როდესაც არცერთი მხარე არ ავლენს კეთილსინდისიერებას მედიაციაში, მაგრამ მხარეები მაინც აღწევენ შეთანხმებას. როგორც ირკვევა, დავის მოგვარება არ არის, და არ შეიძლება იყოს, მედიაციის აბსოლუტური ან ერთადერი მიზანი [FN163]. ეს პროცესი შესაძლოა იყოს ნაყოფიერი და სასარგებლო იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეთანხმება არ არის მიღწეული [FN164].

კეთილსინდისიერება არ ავალდებულებს მხარეებს, ჰქონდეთ დავის მოგვარების გულწრფელი სურვილი და არც საჭიროებს სხვა მონაწილეებთან ან მედიატორთან მის სრულ გამომჟღავნებას. მედიაციაში ინფორმაციის გაცვლას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მოსალოდნელია, რომ კეთილსინდისიერების ელემენტმა სავალდებულო გახადოს გარკვეული რაოდენობით ინფორმაციის გაზიარება [FN165]. გამჟღავნებული ინფორმაციის მოცულობა, ერთი მხრივ, დამოკიდებულია მონაწილეების ნებაზე. პატიოსნება ამ ინფორმაციის გამჟღავნებისას ითვლება კეთილსინდისიერების ძირითად მახასიათებლად და მოთხოვნად. თუმცა მხოლოდ „დადებითი მოქცევა“ არ ითვლება კეთილსინდისიერების ელემენტად. შესაძლოა პირი იყოს კარგი პარტნიორი, მაგრამ დავის გადანყვეტისათვის არ გადადგას სათანადო ნაბიჯები. ზოგჯერ „დადებითი მხარის“ როლში ყოფნა იმ ტაქტიკის ნაწილია, რომელიც საჭიროა შედარებით გულუბრყვილო მხარის ყურადღების მოსაღწეობად, როგორც ეს ხდება ეგრეთ წოდებული კარგი-ცუდი პოლიციელის ტაქტიკის დროს [FN166]. მოთხოვნებისა თუ წინადადებების ცვალებადობა და მოქნილობაც არ ითვლება კეთილსინდისიერების აუცილებელ ელემენტად [FN167]. სინამდვილეში, კეთილსინდისიერების მახასიათებლად არ უნდა განისაზღვროს შეთავაზებულ წინადადებათა შინაარსი.

ტერმინ *კეთილსინდისიერებას* შესაძლოა და მოსალოდნელია უამრავი მნიშვნელობა ჰქონდეს და სწორედ ამ ბუნდოვანების გამო ძალზე პრობლემატურია მისი სტანდარტის შემუშავება. *a priori* კეთილსინდისიერების კრიტიკა ნაწილობრივ გამონეწეულია ობიექტური სტანდარტებისა და შედეგის გათვალისწინების სიმწირით, და ასევე იმით, რომ კეთილსინდისიერება თუ არაკეთილსინდისიერება ერთი კონკრეტული პირის მოსაზრებებზეა დამოკიდებული [FN168].

[FN168] საწყის ეტაპზე აუცილებელია სპეციფიკური განსაზღვრება, რათა ჩამოყალიბდეს დეტალური და ხელსაყრელი ინსტრუქციები, რაც მედიაციაში ქცევის ობიექტური სტანდარტების პროცესამდე მიგვიყვანს. ასეთი სახის სპეციფიკურობა სხვადასხვა მიმართულებით იქნება ხელსაყრელი. მაგალითად, მედიაციის მონაწილეებმა უნდა იცოდნენ, რა მოეთხოვებათ. დეტალური ნორმები დაეხმარება მედიატორს, განსაზღვროს, როდის უნდა მიიღოს გადანყვეტილება და, ასევე, საჭიროა თუ არა სასამართლოს დახმარება გადანყვეტილების აღსასრულებლად. თუ კეთილსინდისიერების განმარტებებს სხვა კონტექსტში შევხედავთ, დავინახავთ, რომ უმთავრესი მოთხოვნები მოლაპარაკების სეგმენტშია გათვალისწინებული. მედიაციის პროცესი უფრო ადრე იწყება. მომზადება და დასწრება მედიაციის პროცესის საჭირო და აუცილებელი ეტაპებია. სასამართლო ამჟამად გასცემს მედიაციაზე დასწრების და ინფორმაციის წინასწარი გაცვლა-გამოცვლის განკარგულებას [FN169]. ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი საკითხები მედიაციის სპეციფიკური რეგულაციის შემუშავებისას და ცხოვრებაში გატარებისას.

მომზადებასა და დასწრებასთან ერთად, ქვემოთ მოყვანილი სია გვანდის ქცევის რეკომენდებულ მიმართულებებს, რაც აყალიბებს კეთილსინდისიერების სტანდარტის ელემენტებს. ესენია: მედიაციაზე სათანადოდ მომზადებული მისვლა, ყველა საჭირო გადანყვეტილების მიმღების დასწრების აუცილებლობა (სასურველი არ არის ტელეფონის ან სხვა კომუნიკაციის საშუალებების გამოყენება); სხვა მხარეების ინტერესების გათვალისწინება; სხვა მხარეების მოსმენისა და მათი პოზიციებისა და ინტერესების გაგების სურვილი; დისკუსიისათვის მომზადება არა მხოლოდ საკუთარი კლიენტებისათვის საინტერესო საკითხებზე, არამედ სხვა მონაწილეების საკითხების და ინტერესების მოსმენა; ღია და გულწრფელ დისკუსიებში ჩართვა, რაც ნა-

თელს მოჰფენს სხვადასხვა მხარის პოზიციებს და დაეხმარებათ ურთიერთგაგებაში; პირდაპირ კითხვებზე პასუხის გაცემისას სიმართლის თქმა; განზრახულად მხარის შეცდომაში შეყვანის დაუშვებლობა; მხარეთა პოზიციების დეტალური ანალიზი; რაციონალური ახსნა, თუ რატომ იქნა მხოლოდ ეს სპეციფიკური წინადადება შეთავაზებული, ან რატომ იქნა უარყოფილი.

კეთილსინდისიერება ასევე უნდა მოიცავდეს მედიაციის დროს სხვა პერსპექტივისათვის მზადყოფნის სურვილსაც. არ არის აუცილებელი მხარეები შეთანხმდნენ, ისიც საკმარისია ეცადონ, გაიგონ განსხვავებული მოსაზრებები და, სულ მცირე, გააზრების გარეშე არ უარყონ ის, რასაც მეორე მხარე სთავაზობს. იურისტის პერსპექტივიდან გამომდინარე, სასურველია დამატებითი რეკომენდაციების მიცემა, მაგალითად კლიენტისთვის ნების დართვა, განიხილოს საკითხი უშუალოდ მხარესთან ან მედიატორთან [FN170]. ფოკუსირება ისევ ხდება მოდავე მხარეებს შორის ინფორმაციის თავისუფლად გაცვლაზე. ეფექტური კომუნიკაცია და პროცესში აქტიური ჩართულობა მედიაციის უმთავრესი მახასიათებლებია. როგორც მოთხოვნა, მნიშვნელოვანია, კეთილსინდისიერების აუცილებლობა ეცნობის მონაწილეებს მედიაციის დაწყებამდე. შესაბამისად, კეთილსინდისიერების პრინციპი უნდა ახსნას თავად მედიაციის პროცესის წარმოდგენისას. მიუხედავად იმისა, რომ კეთილსინდისიერების მოთხოვნა ასევე შესაძლებელია დამყარდეს კანონით, სასამართლო წესით ან მედიაციაში არსებული პრაქტიკით [FN171], ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა იურისტის ეთიკურ წესებში ამ სტანდარტის ჩართვას.

ბ) მინიმალური გონივრული მონაწილეობის სტანდარტი

ზოგი ამტკიცებს, რომ მედიაციაში მონაწილეობის ტვირთი უნდა შემსუბუქდეს და ამისთვის მინიმალური გონივრული სტანდარტები დაწესდეს.

[FN172] იგი უნდა მოიცავდეს მომზადებისა და ჩართულობის ისეთ სტანდარტს, რომელიც კეთილსინდისიერების სტანდარტთან შედარებით ნაკლებად მძიმეა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკმაოდ ეფექტურია იურისტ წარმომადგენლებისთვის მედიაციაში ჩართულობის ადეკვატურობის მნიშვნელობაზე ყურადღების გასამახვილებლად. მომზადება ძალზე მწვავე საკითხია, რადგანაც მედიაცია დიდადაა დამოკიდებული კომუნიკაციაზე.

მედიაციის პროცესში კომუნიკაციას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, იმდენად, რამდენადაც მხარეებმა უნდა შეძლონ გაიგონ ერთმანეთის პერსპექტივები და პოზიციები, რათა მიალწიონ ერთობლივ, დამაკმაყოფილებელ შედეგებს. დინ შერმანი ამტკიცებს, რომ ეს წინაპირობა ემსახურება მხარეებისა და იურისტების გულწრფელ და მიუკერძოებელ ჩართულობას და რომ რელევანტური ინფორმაციის გულწრფელი გამოვლენა უნდა დაეხმაროს ორმხრივად მისაღები დავის მოგვარების საკითხს [FN173]. თუმცა შერმანი ადასტურებს, რომ შუამავლობა უკეთესად მოქმედებს, როდესაც მხარეები „ამჟღავნებენ მოსმენისა და სხვების ინტერესების გაგების სურვილს, კომუნიკაციას ამყარებენ დეტალებზე და ასევე რაციონალურად ხსნიან მათ წინადადებებს“. იგი ამტკიცებს, რომ ასეთი დონის კომუნიკაცია არ უნდა იყოს სავალდებულო და მათი აღსრულება არ უნდა მოხდეს სასამართლო სანქციებით [FN174]. მისი საპირისპირო დამოკიდებულება სავალდებულო მიდგომის მიმართ წარმოშობილია ნებაყოფლობითი, შეთანხმებული მედიაციის პროცესის თვალთახედვიდან, სადაც მხარეები უფლებამოსილი არიან მიალწიონ საკუთარ გადაწყვეტილებას მედიატორის დახმარებით [FN175]. იგი ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლო ჩარევა გამართლებულია, იმდენად, რამდენადაც ის მედიაციას უწესებს მხოლოდ ფაკულტატიური ხასიათის პროცესში მონაწილეობას, რაც არ არღვევს მხარეების უფლებებს, როგორცაა, მაგალითად, შეუთანხმებლობა [FN176].

შერმანი გვთავაზობს, მონაწილეობის ალტერნატიულ მოთხოვნას, როგორცაა „მინიმალური გონივრული მონაწილეობის სტანდარტი“. შერმანი ამტკიცებს, რომ მედიაცია დავის ალტერნატიული გადაწყვეტის შედარებით არასტრუქტურირებული ფორმაა და ამიტომაც მო-

ნაწილეობისთვის ნაკლები ფორმალობაა საჭირო [FN177]. სტანდარტი გამართლებულია, თუმცა საჭიროა ჩართულობის პროცესის გარკვეული დონე არსებობდეს, რათა დავამტკიცოთ, რომ ეს პროცესი არ არის გამოუსადეგარი [FN178] და რომ იგი დაეხმარება მედიაციას მიაღწიოს თავის ძირითად მიზანს, სტიმულს აძლევს მხარეებს იმოქმედონ დავის მოგვარების ინტერესებიდან გამომდინარე [FN179]. მინიმალური გონივრული მონაწილეობის სტანდარტი მიზანი არაა საქმის ამომწურავი წარმოდგენა, თუმცა ის მოითხოვს უფრო მეტს, ვიდრე შესაბამისი საკითხის შესახებ მხარეების ზოგადი დისკუსია, ერთმანეთის მოსმენა ან მხარეთა პოზიციებზე სათანადო რეაქცია [FN180]. შერმანი აღნიშნავს, რომ ყველა საკითხის შესახებ თუ ვერ შევძლებთ ინფორმაციის გამოაშკარავებას, შესაძლოა ამან გამოიწვიოს მეორე მხარის თვალში დასუსტება, რის გამოც შემცირდება შეთავაზებული წინადადება, მაგრამ ეს არის სტრატეგიული რისკი, რაც მხარეს უნდა ჰქონდეს თავის თავზე აღებული [FN181]. ცხადია, ეს არის დაბალანსების მცდელობა იმისა, რაც მნიშვნელოვანია მედიაციაში, აღნიშნული კი წარმოდგენს სასამართლოს წარმომადგენელთა მხრიდან სასამართლოში საქმის განხილვის კონტროლს [FN182].

მედიაციის მიზანია მხარეების ძირითადი ინტერესების განსაზღვრა იმ იმედით, რომ მიიღწევა ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებელი შედეგი. შერმანი ამტკიცებს, რომ მიუხედავად ამისა, რეალობაში შეუძლებელია ავკრძალოთ შენიღბული ჭეშმარიტი ინტერესებისა და ძირითადი მიზნების გამოხატვა. [FN183] იგი შიშობს, რომ სასამართლო დაიბნევა განსაჯოს სუბიექტური მოლაპარაკება, რამაც შესაძლოა ძალზე შეზღუდოს მხარის ავტონომია. [FN184] ამგვარად, შერმანი გამოხატავს თავის ნუხილს მედიაციაში ქცევის ისეთი სტანდარტის შემუშავების შეუძლებლობის გამო, რომელიც შეესაბამება მედიაციის მიზნებს. იგი ამტკიცებს, რომ, „პროფესიონალიზმის“ კოდექსის მსგავსად, ეს სტანდარტები უნდა იყოს სასურველი, ვიდრე სავალდებულო და სანქციებით უზრუნველყოფილი. ამდენად, ასეთი სასურველი სტანდარტი საგანმანათლებლო სისტემაშიც თავის წვლილს შეიტანს და ნამდვილად ღირს მათი დამატებითი განხილვა.

გ) მზრუნველობის ეთიკის სტანდარტი

ზოგიერთ შემთხვევაში, კომენტატორები მოითხოვენ საადეკვატო პრაქტიკაში მზრუნველობის ეთიკის გამოყენებას [FN185]. მზრუნველობის ეთიკის სტანდარტი უფრო ზოგადადაა განხილული, განსაკუთრებით კი იმ კუთხით, თუ რამდენად შეუძლია მას შეცვალოს იურისტის ძირითადი ეთიკური პასუხისმგებლობები [FN186]. მზრუნველობის ეთიკა, თუ მორალი ფართო მცნებაა. მაგალითად, მზრუნველობის ეთიკის განსაზღვრება ასეთია: „გადამეტებული მზრუნველობა და თანაგრძნობა დაზარალებული ან საფრთხეში მყოფი პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ“ [FN187]. მზრუნველობის ეთიკის სტანდარტი მიიჩნეოდა, როგორც „კანონისა და მისი დაზარალებულ მხარეებზე ზეგავლენის მიმართ კრიტიკული მიდგომა“ [FN188]. ის ასევე ითვლება მორალური და ფილოსოფიური ხედვის საფუძვლად [FN189].

„მზრუნველობის ეთიკის“ სტანდარტი შემოგვთავაზა კაროლ გილიგანმა, როგორც „მართლმსაჯულებისა თუ უფლებების ეთიკის“ საპირისპირო დანაწესი [FN190]. მან დაამტკიცა, რომ უფლებები მიმართულია მორალის მხოლოდ ერთ-ერთი ფორმისაკენ და არსებობს სხვა ფორმაც, კერძოდ, „მზრუნველობის ეთიკა“. მზრუნველობის ეთიკა ყურადღებას ამახვილებს არა უფლებებსა და მოვალეობებზე, არამედ ორიენტირებულია ადამიანებს შორის კავშირზე [FN191]. ასეთი მიდგომა მოიცავს „ურთიერთობის ეთიკას“, რომელიც „სხვებთან გულისხმიერი კავშირის დამყარებასა და ამ კავშირის შენარჩუნებას“ ანიჭებს უპირატესობას [FN192].

მზრუნველობის ეთიკას მხარეებისთვის ზიანის მიყენების მინიმუმამდე დასაყვანად შესაძლოა ასევე მოსდევდეს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის პასუხისმგებლობა. მზრუნვე-

ლობის ეთიკა, რომელიც გილიგანმა განიხილა, ხშირად მიჩნეულია, როგორც ქალის ფემინისტური ეთიკა ან ქალის ხმის უფლება [FN193]. ამჟამად ამ საკითხზე ინტენსიური დისკუსია მიმდინარეობს [FN194]. სხვები ამტკიცებენ, რომ ასეთი სახის მზრუნველობის ეთიკა ნებიმისმიერ ადამიანში მორალური თვითშეგნების ნაწილი უნდა იყოს. ამ ადამიანთა რიცხვში იურისტებიც შედიან [FN195]. მზრუნველობის ეთიკის მიღება განხილულ იქნა, როგორც მსოფლიო იურიდიული პრაქტიკის შესაცვლელი საშუალება [FN196]. ამჟამინდელი ეთიკის კოდექსები გარკვეულ ინფორმაციას მაინც იძლევა მზრუნველობის ეთიკის გათვალისწინების შესაძლებლობის შესახებ [FN197]. მიუხედავად იმისა, რომ მზრუნველობის ეთიკის შესახებ დისკუსიები დაკავშირებულია იურისტების თვალთახედვასთან, ზოგადად ასეთი ეთიკა შეიქმნა იურისტებსა და კლიენტებს შორის ურთიერთობის პირობებში [FN198]. უნარები, რომლებსაც მოიცავს მზრუნველობის ეთიკის სტანდარტი, გულისხმობს და მოსმენაა [FN199]. ყოველივე ეს ყველაზე შესაფერისი მედიაციისთვისაა. მედიაციის პროცესის უმეტესი ნაწილი დამოკიდებულია კომუნიკაციაზე, მოსმენა კი კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. როგორც მზრუნველობის ეთიკა უპირისპირდება უფლებებისა და მართლმსაჯულების მიმართულებებს, ასევე შეჯიბრობითობის სისტემა შესაძლოა დაუპირისპირდეს მედიაციას. შეჯიბრობითობის სისტემის საფუძველია უფლებების დადგენა და დაცვა. მედიაციაში საბოლოო გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია სამართლიანობის და უფლებების შესახებ არათუ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების გარეშე, არამედ მათ შესახებ დისკუსიის საერთოდ გამორიცხვით. ეთიკის ასეთი მიდგომა მედიაციაში ქცევების სტანდარტების ამოსავალი წერტილია. ამგვარად, მზრუნველობის ეთიკა მედიაციის მორალური საფუძველი გახდა [FN200].

მზრუნველობის ეთიკა მოიცავს პირის საქმიანობაში გულისხმობებისა და მზრუნველობის წარმოჩენას. კომენტატორები თანხმდებიან, რომ ეს განსხვავებულ გავლენას იქონიებს ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობაზე, დაწყებული კლიენტის ავტონომიით [FN201] დამთავრებული ადვოკატის მეტი კონტროლის შესაძლებლობით [FN202]. მზრუნველობის ეთიკა ასევე განხილულია, როგორც კომუნიკაციის „ოქროს კანონი“ [FN203]. უფრო კონკრეტულად კი, ასეთი სახის ეთიკა ყურადღებას ამახვილებს მოსმენაზე სხვების მოსაზრებების, გრძობებისა და სურვილების გაგების მიზნით [FN204]. ესეც მედიაციის მნიშვნელოვან ინგრედიენტად მიიჩნევა. მედიატორის მიზანია დაეხმაროს მხარეებს კომუნიკაციაში და სხვების მოსაზრებების უკეთ გაგებაში (და არა მაინცდამაინც საბოლოო შეთანხმების მიღწევაში). ისეთი ადვოკატის მონაწილეობა პროცესში, რომელსაც კარგად ექნება გააზრებული პროცესის მიზნები, ძალზე წაადგება ამ მიზნების რელიაზაციას.

მზრუნველობის ეთიკის დამცველები მხარს უჭერენ საკუთარი ინტერესებიდან „სხვების ინტერესებისაკენ“ სვლას და „ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების“ რეალიზებასა და შეფასებას [FN205]. საკუთარი ინტერესის „სხვების ინტერესთან“ შეპირისპირების საკითხი გამოხატული იყო კიდევ ერთი კომენტატორის მიერ, რომელმაც აღნიშნა, რომ ჩვენ მედიაციის ჭეშმარიტი მიზნები კარგად არ გაგვიცნობიერებია, თუ მხოლოდ საკუთარ ინტერესებს ვცნობთ [FN206]. საკუთარი ინტერესის კარგად შესწავლაც თავისთავად მედიაციის წარმართვის თვალსაზრისით წინდახედულებაა. დადგება დრო, როცა ადვოკატებიც და კლიენტებიც გულწრფელად გაითვალისწინებენ პროცესში მონაწილე სხვა პირების ინტერესებს და მედიაცია დაეფუძნება ადამიანების ურთიერთდამოკიდებულებას. ამ ეტაპზე საქმეების უმეტესობა თავდაპირველად მართლმსაჯულების მსჯელობის საგანია და ამის შემდეგ ხვდება მედიაციის მრგვალ მაგიდასთან [FN207].

პროფესორ ბუმის აზრით, მედიაციაში მხარეების წარმომადგენელი იურისტებისათვის ახალი ეთიკა შესაძლოა მოიცავდეს „ადამიანის ბუნების განსხვავებულ კონცეფციას – ვინ ან რანი ვართ ... ადამიანები არ არსებობენ ცალკე, კავშირის გარეშე, ერთმანეთისაგან განცალკევებული ინდივიდები, არამედ ისინი არიან არსებები, რომლებსაც შინაგანი კავშირი აქვთ ერ-

თმანეთთან, მიუხედავად ჩვენი განცალკევებით ყოფნისა” [FN208]. პროფესორმა ბუშმა ასევე აღნიშნა, რომ *რისკინი* თავის ნაშრომში „მედიაცია და იურისტები“, შეეხო მედიაციის პროცესში ჩართული იურისტების ეთიკის სპეციფიკურ საკითხებს [FN209]. თემა, რომელიც განიხილა *რისკინმა*, მზრუნველობის და კავშირის ეთიკა იყო. რისკინის მიხედვით, ასეთი სახის ეთიკა მედიაციის საფუძველია, რომელიც ხსნის, თუ რატომ მოითხოვს მედიაცია იურისტებისაგან განსხვავებულ ფილოსოფიურ რუკას [FN210].

ბევრს ანუხებს ის ფაქტი, რომ ასეთი თანამშრომლობაზე დაფუძნებული მზრუნველობის ეთიკა საფრთხეში ჩაადგებს კლიენტებს [FN211]. მზრუნველობის ეთიკა არ მოითხოვს, რომ იურისტმა ყველაზე ერთნაირად იზრუნოს [212]. შესაძლებელია, მედიაციაში იურისტმა იზრუნოს თავის კლიენტზე, წარმოაჩინოს მისი ინტერესები და იმავდროულად სხვა მხარის მიმართაც გამოავლინოს მზრუნველობა. აქტიურ მოსმენაში ისეთი უნარები მონაწილეობს, რომლებსაც მედიატორები თვითონვე იყენებენ ორმხრივი ინტერესების სფეროების თუ საერთო შესაძლებლობების გამოსავლენად. სწორედ ინტერესებზე ასეთი ორიენტაცია ახდენს გავლენას შემდგომში საერთო და მისაღები გადაწყვეტილების მიღწევაზე [FN213]. უფრო მეტიც, როდესაც ხდება კონფლიქტში ჩართვა, ინდივიდებს უმეტესად სურთ, ვინმემ მოუსმინოს. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად მედიატორი ამ როლს ასრულებს, უფრო ეფექტურია თუ მაგდასთან მჯდომი სხვა მხარეებიც იმავეს გააკეთებენ, განსაკუთრებით კი კონფლიქტის ეპიცენტრში მყოფები [FN214].

დ) კომუნიკაციის სტანდარტი

კომენტატორები, რომლებიც განიხილავენ იურისტ-წარმომადგენლის როლს მედიაციაში, ასევე რეკომენდაციას უწევენ კომუნიკაციის ეთიკას [FN215]. იგი განსხვავდება ამჟამინდელი მოთხოვნებისაგან, რომლის მიხედვითაც იურისტს განსახილველი საკითხის შესახებ კლიენტებთან აქვს ურთიერთობა. [FN216] უფრო მეტიც, მას სხვადასხვა სახის კომუნიკაცია სდევს თან. ასეთი სახის ეთიკა აღიარებს, რომ ადამიანებს შორის არსებული ურთიერთობის საფუძველი თვით კომუნიკაციაა [FN217]. ეს ეთიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისეთი გზების დადგენას, როგორცაა „კონფლიქტის პროცესის გავლა ჰუმანური გზით“ [FN218]. ასეთი სახის ეთიკა მოითხოვს, დამატებით მიექცეს ყურადღება კომუნიკაციის შესახებ სწავლებასა და ტრენინგებს [FN219]. მედიაციაში არსებული წარმომადგენლების ეთიკური სტანდარტები ასევე შეიძლება მოიცავდეს ემპათიის, ანუ გულისხმიერების ეთიკას, რომელიც თავისთავად შესაძლოა ჩაითვალოს კომუნიკაციის პროცესის ნაწილად.

ე) ალტრუიზმის სტანდარტი

ალბათ იარსებებს გარკვეული საზომი, რის მიხედვითაც შესაძლოა შეფასდეს ცალკეული ალტრუიზმის ეთიკა [FN220]. პრაქტიკაში ემპათიის დანერგვა ალტრუიზმის გამოხატულების ერთ-ერთი გზაა [FN221]. იგი მზრუნველობის ეთიკის მსგავსია, რადგანაც ერთი ყურადღებას ამახვილებს მეორეზე. ადვოკატურისათვის „ოქროს წესის“ გამოყენება ალტრუიზმის კონცეფციაშიც იკვეთება [FN222]. ოქროს წესის დამკვიდრება მედიაციაში სხვა შემოთავაზებამ ითვლება, რომელიც დამატებით განხილვასა და გააზრებას იმსახურებს.

ვ) დამატებითი ეთიკური სტანდარტები

და მაინც, ზოგიერთის აზრით, საჭიროა თანამშრომლობის ეთიკის შემუშავება. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება ჩაითვალოს სხვა ისეთი ეთიკური პრინციპების განუყრელ ნაწილად, როგორცაა კეთილსინდისიერება და მზრუნველობა, რის შესახებაც ჩვენ ზემოთ უკვე

გვექონდა დისკუსიები და წინადადებებიც ჩამოვყალიბეთ, სასურველია, თუ დამატებით დეტალურად განვსაზღვრავთ.

პატიოსნების ან სამართლიანობის ეთიკის დანერგვაც შესაძლებელია. როგორც განვიხილეთ, დიდი ინტერესი არსებობს იმისა, თუ რა გავლენა აქვს 4.1 რეგულაციას და მისი კომენტარების გამოყენებას [FN223] მედიაციის კონტექსტში [FN224]. მიუხედავად იმისა, რომ პატიოსნების ეთიკა შესაძლოა გახდეს კეთილსინდისიერების ეთიკის ნაწილი და შესაძლოა იგი მზრუნველობის ეთიკისათვისაც იყოს დამახასიათებელი, მაინც კარგი იქნება ქცევის ამ ასპექტის ცალკე გამოყოფა, განსაკუთრებით კი 4.1. რეგულაციის ბუნდოვანების ფონზე [FN225]. სიცოცხლისუნარიანი ეთიკის კოდექსის ჩამოყალიბების ზემოხსენებული ელემენტები სწორედ ის ზუსტი ნაბიჯებია, რომლებსაც აქვთ პოტენციალი, იქცნენ კონკრეტულ სახელმძღვანელო პრინციპებად, ასევე მოხდეს მათი განზოგადებაც, მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს ოქროს წესის გამოყენება.

სხვებს მიაჩნიათ, რომ საჭიროა იურისტებში არსებობდეს ემოციური პოტენციალი, რომელსაც ხშირ შემთხვევაში ვერ ვხვდებით [FN226]. ეს ელემენტი შესაძლოა ჩაითვალოს მზრუნველობის ან ალტრუიზმის ეთიკის ლაიტმოტივი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ემოციის შეცნობის ეთიკა უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს ამ უნარს. ადამიანის ემოციების შეცნობის უნარი შესაძლოა მრავალ ეთიკურ ძრილში იქნეს განხილული, თუმცა მისი შემდგომში დეტალურად გააზრება უკეთესი იქნება.

მედიაციის ეთიკური საკითხების განხილვა მოიცავს და წინა პლანზე სწევს თერაპიული იურისპრუდენციის პრინციპს [FN227]. თერაპიული იურისპრუდენცია (Therapeutic Jurisdiction) უფრო ფართოდაა განმარტებული, როგორც სამართლის და იურიდიული პროცესის მიდგომა, რომელიც მიიჩნევს, რომ ქმედებები, რომლებიც გატარდა, უნდა იყოს ინდივიდებისათვის, ხშირ შემთხვევაში კლიენტებისათვის სასარგებლო და სამკურნალო, თუმცა, ზოგიერთის აზრით, ასეთი პრაქტიკა ასევე თერაპიული და სასარგებლოა იურისტებისათვის [FN228]. თერაპიული იურისპრუდენცია ყურადღებას ამახვილებს ინდივიდების ჯანმრთელობაზე კანონის გავლენაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებისმიერი რამ, რაც ზრდის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ კეთილდღეობას, თერაპიული იურისპრუდენციის კომპეტენციაში შედის [FN229]. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიდგომის განმარტება ფართოა და ასახსნელად რთული, თერაპიული იურისპრუდენცია ადვოკატურის პრაქტიკის ინტერდისციპლინარული მიდგომაა, რომლის მიზანია ინდივიდების ფიზიკური თუ მენტალური ჯანმრთელობის ხელშეწყობა [FN230]. ზოგს მიაჩნია, რომ გარკვეული მსგავსებაა თერაპიულ იურისპრუდენციასა და დავის ალტერნატიულ გადაწყვეტას შორის, განსაკუთრებით კი მედიაციასთან მსგავსებას მიუთითებენ [FN231]. თერაპიული იურისპრუდენციის ერთ-ერთი აღმოჩენაა თვითგამორკვევა, რაც ნიშნავს ინდივიდების შეხედულებების დაფასებას. ეს პერსპექტივა მედიაციის საფუძვლის ანალოგია.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ ღირს იურისტის საქმიანობისთვის ახალ მეტაფორების გამოყენება, რადგანაც მათ ადამიანთა რწმენის სისტემის ჩამოყალიბების დიდი ძალა გააჩნიათ [FN232]. პროფესორი კერი მენკელ-მიდოუმ შემოგვთავაზა ცოცხალი მაგალითები, როდესაც მან რეკომენდაცია გაუწია იურისტების „საომარი ისტორიების“ „მშვიდობიან ამბებად“ გადაქცევას [FN233]. ეს არის აზროვნებისა და ქცევის ისეთი ტიპი, რომელიც ამ მოდელს განვითარების საშუალებას აძლევს.

არცერთ შემთხვევაში არ ვამტკიცებ, რომ ყველა კითხვაზე მაქვს პასუხი. სინამდვილეში, რაც მეტს ვფიქრობდი ნაშრომზე, მით მეტი დამატებითი კითხვა დამებოდა. უფრო მეტი საშუალოა ჩასატარებელი ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ მიმაჩნია, რომ ის აუცილებლად უნდა ჩატარდეს. ზოგიერთს შედარებით სპეციფიკური რეკომენდაციები აქვს განუული მედიაციის ეთიკის როლთან დაკავშირებით. მე განვიცდი იმას, რომ, მიუხედავად ასეთი საუცხოო პერსპექტივებისა როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკაში [FN234], იურისტები არ იქნებიან მოტივირებული შეცვალონ მიდგომა, სანამ ეს არ იქნება სავალდებულო.

იქნება ეს მზრუნველობის თუ კომუნიკაციის ეთიკა, კეთილსინდისიერება თუ გონივრული მონაწილეობა ან სხვა მსგავსი ტერმინი – უნდა დადგინდეს ნორმა ან ნორმათა ერთობლიობა, რომელიც რეკომენდაციას გაუწევს ან მოითხოვს მედიაში სპეციფიკურ ქცევას. თუ მედიაში უნდა შენარჩუნდეს, როგორც უნიკალური, მასშტაბური პროცესი, რომელიც მხარეების კმაყოფილებას იწვევს, მაშინ მედიაციის პროცესში ჩართული იურისტების ქცევების პრაქტიკა და პროცედურები უნდა შეიცვალოს. ცვლილება იურიდიული განათლებიდან უნდა დავიწყოთ.

VI. დასკვნა: დამატებითი მსჯელობები – ქმედებისკენ მოწოდება

მოსალოდნელი და ბუნებრივია, რომ რადიკალურად განსხვავებული სტანდარტების, ღირებულებებისა და უნარების დანესებისას დამატებითი კითხვები ჩნდება. მაგალითად, შეუძლია თუ არა ერთსა და იმავე პირს წარმოადგინოს კლიენტი შეჯიბრებითობის სისტემაში, შემდეგ კი უფრო მეტად თანამშრომლობაზე დაფუძნებულ პროცესში მონაწილეობდეს, როგორც მხარის წარმომადგენელი? უფრო ხატოვნად რომ დავსვათ კითხვა [FN235], შეუძლიათ კი ცნობილ მგლებს გადაიქცნენ ეფექტურ ცხვრებად?

ჩემი აზრით, ამაზე მარტივი პასუხი არსებობს — ეს დამოკიდებულია თითოეული ინდივიდის ხასიათზე. ერთი შესანიშნავი ანალიზი გვაუწყებს იურისტების ქცევის შეცვლისა თუ მოდიფიცირების შესახებ. პროფესორმა სუზან დაიკოფმა თავისი კვლევაში აღნიშნა, რომ სამართლის სკოლაში ადამიანები შედიან სპეციფიკური თვისებებით და ფსიქოლოგიური მიდგომით, ისინი განწყობილი და მომართული არიან შეჯიბრებითობისკენ და არა დავის გადაწყვეტისაკენ [FN236]. შეჯიბრებითობა მოიცავს ისეთ თვისებებს, როგორცაა კონკურენცია, ემოციური საკითხების მიმართ გრძნობების გარეშე მოქმედება და, მზრუნველობის ნაცვლად, 'უფლებებზე' ორიენტაცია [FN237]. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ისინი, ვისაც არ შეუძლიათ დავის მოგვარება და შეჯიბრებითობაზე დაფუძნებული აზროვნება, სამართლის სკოლიდან ირიცხებიან [FN238]. მოსალოდნელია, რომ ეს ის ინდივიდები არიან, რომლებიც უფრო თანამშრომლობასა და მზრუნველობაზე არიან ორიენტირებული [FN239]. დაიკოფი ასევე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ იურიდიულ პრაქტიკაში არც არსებობს სურვილი იმისა, რომ შეიცვალოს ეს თვისებები. ითვლება, რომ ისინი აუცილებელია იურიდიული [FN240], უმეტესად კი შეჯიბრებითობის სისტემისათვის. დაიკოფი აღნიშნავს, რომ ალბათ ღირს ცვლილება განხორციელდეს, მაგრამ ამასთან სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ამ საკითხს [FN241]. იგი ასევე უთითებს, რომ აუცილებელია ამ საკითხის დამატებითი კვლევები და განხილვები [FN242]. ქცევა შესაძლოა შეიცვალოს, ხასიათის შეცვლა კი საკმაოდ რთულია [FN243]. თუ ჩვენ ადვოკატებს სხვადასხვა როლს შევთავაზებთ, მათი განსხვავებული ხასიათიც უნდა გავითვალისწინოთ, რათა ისინი ადვილად მოერგონ განსხვავებულ პრაქტიკულ საქმიანობას.

თუმცა ვაფასებ იმ შედეგებს, რომელიც დაიკოფმა წარმოგვიდგინა და ვაღიარებ, რომ ინდივიდების ძირითადი პირადი თვისებები ასე მარტივად ვერ შეიცვლება. მე ასევე მჯერა, რომ ახალი იურისტების განათლება და გამოცდილება არ უნდა დარჩეს დაუფასებელი. დამახასიათებელი თვისებები უნდა მოიცავდეს შეჯიბრებითობასა და კონკურენციას [FN244], მაგრამ ასევე უნდა ვიცოდეთ, რომ ანტაგონიზმისა და აგრესიის გარკვეული დოზა, რომელიც გამოიყენება შეჯიბრებითობის სისტემაში, სწავლებისა და მოდელირების პროდუქტად ითვლება [FN245]. სამართლის სკოლაში იურისტები თითქმის დაპროგრამებული არიან და იყენებენ შეჯიბრებითობის მიდგომას [FN246]. იურიდიული განათლება მიზანია, განვითარდეს ჩვეული ტენდენციები კონკურენციასთან მიმართებით [FN247].

სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის სისტემა ძირითადი ჩარჩოა იურისტებისათვის, რომელიც მათთვის უკვე ძალიან ნაცნობია და რომელიც დღესდღეობით ძლიერდება. ივარაუდება, რომ ძალიან რთულია, შეუძლებელიც კია იურისტების გადარწმუნება, სცადონ მე-

დიაცია და საკითხებს უფრო თანამშრომლობითი განწყობით მიუდგნენ [FN248]. თანამშრომლობასა და მედიაციაში არსებულ სიძნელებებზე საინტერესოა დევიდ ჰრისიკის მსჯელობა. იგი ეხება სასამართლო განხილვის მონაწილე იურისტის აზროვნებასა და პრინციპებს. განსხვავებული ტიპის პიროვნულობიდან გამომდინარე, ჰრისიკს და ერნესტოს, დიდი წინააღმდეგობები ჰქონდათ ზოგიერთ კონცეფციასთან დაკავშირებით, რომლებიც სიმპოზიუმზე იქნა წარმოდგენილი. მაგალითად, როგორცაა კეთილსინდისიერების და მედიაციაზე ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება [FN249]. გასაკვირი არაა, რადგანაც რალაც პერიოდის განმავლობაში ერნესტო პრაქტიკოსი იურისტი იყო; ჰრისიკი უთითებს, რომ ერნესტოს მოსაზრება პრაქტიკოსი იურისტების აზრის გამოძახილია [FN250]. თუ ეს მართალია, მაშინ ძალიან რთული იქნება კონკურენტული გამოკიდებულება გადავიდეს თანამშრომლობით დამოკიდებულებაში, როცა საქმე გვაქვს ისეთ სფეროსთან, სადაც შეჯიბრებითობის ტენდენციებია გაძლიერებული.

ზოგიერთი კომენტატორის აზრით, აზროვნების ფორმა, რომელიც საჭიროა პრობლემის თუ დავის მოგვარებისათვის, „ფუნდამენტურად შეუთავსებელია ეფექტური საპროცესო ადვოკატების აზროვნების ფორმასთან“ [FN251]. სინამდვილეში, საპროცესო ადვოკატები, პრობლემის თუ დავის მომგვარებლების საპირისპიროდ, დიპლომატებს ჰგვანან [FN252]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მწვავე საკითხი ის არის, რომ სასამართლო მხარეების ბრძოლამ უნდა განაპირობოს „ცეცხლის ჩაქრობა“, რათა მედიაცია პროდუქტიული გამოვიდეს. შეჯიბრებითობაზე ორიენტირებული იურისტების ტემპერამენტის დაოკება ზოგჯერ რთულია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მედიაციისთვის განსხვავებული „მომრიგებელი დამცველის“ არსებობა [FN253].

დამოუკიდებელი მომრიგებელი ადვოკატის იდეასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული თანამშრომლობითი საადვოკატო პრაქტიკა, რომლის შექმნის საფუძველია საქმის კრეატიული, ეფექტური და სიცოცხლისუნარიანი გადაწყვეტა დავის სასამართლოში წარმართვამდე [FN254]. იურისტები, რომლებიც შერჩეული არიან, როგორც „თანამშრომლობითი ადვოკატები“ ან „მომრიგებელი ადვოკატები“ ქარქაშში აგებენ თავიანთ ხმლებს და ამის ნაცვლად მუშაობენ ერთად, რათა უზრუნველყონ საბოლოო, ორმხრივად მისაღები შედეგი [FN255]. ერთ-ერთი აუცილებელი მტკიცებულება, რომელიც თანამშრომლობითი საადვოკატო პრაქტიკის დამცველების მიერ იქნა წარმოდგენილი, ისაა, რომ სასამართლო პროცესის იურისტები ასეთი როლისათვის შეუფერებელი არიან. მათი მოქმედების ტაქტიკა აგრესიულია [FN256]. სასამართლო პროცესი და თანამშრომლობა შედგება სრულიად განსხვავებული პროცედურებისა და პოლიტიკისაგან. ამიტომ შემუშავდა თანამშრომლობითი საადვოკატო პრაქტიკის მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროტოკოლი [FN257]. თავისი არსით, თანამშრომლობითი საადვოკატო პრაქტიკა [FN258] მოიცავს გუნდურ და პრობლემების გადაწყვეტის კრეატიულ მიდგომებს. მასში თავმოყრილია ისეთი ელემენტები, როგორცაა ღია და პატიოსანი კომუნიკაცია, თანამშრომლობა, კეთილსინდისიერება და მოსმენის სურვილი [FN259]. ეს მიდგომა ძალზე უახლოვდება ქცევას მედიაციის პროცესზე. საბოლოო მნიშვნელოვანი განსახილველი საკითხია ის, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქმე არ მოგვარდება, სასამართლოში წარმომადგენელი პირი ირიდებს პასუხისმგებლობას, ან მიდის მედიაციასა თუ არბიტრაჟში, რის შემდეგაც იგი გამოეთიშება საქმეს კონფიდენციალური და შესაძლოა კრიტიკული ინფორმაციის ფლობის გამო, რომელიც მას შეიძლება მოპოვებული ჰქონდეს თანამშრომლობითი პროცესის დროს [FN260].

ზოგის აზრით, ისინი, ვინც შეჯიბრებითობის სისტემას ეფარება, არ ითვლებიან მედიაციაში წარმატებულ კანდიდატებად. მშვიდობის დამყარება ყველა მეზობლისთვის არაა რთული. თუ ვირწმუნებთ, რომ შეჯიბრებითობა თანდაყოლილი ან შეძენილია, ან ორივე ერთად, ჩვენ ასევე უნდა მივიღოთ ან დაეუშვათ განათლებისა და სწავლების შესაძლო გავლენაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განათლება საკვანძო ელემენტია იმისათვის, რომ შეჯიბრებითობის სისტემის მოდელი თანამშრომლობის და პრობლემის მოგვარების სისტემაში გადავიდეს

[FN261]. ამ საგანმანათლებლო მისიისათვის ყურადღება ჯერ კიდევ არ მიგვიქცევია. ყურადღება იყო გამახვილებული იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების ტრენინგზე, გამხდარიყვნენ მედიატორები, მაგრამ მცირე ყურადღება იყო გამახვილებული მედიაციაში იურისტ-ნარმომადგენლის როლთან დაკავშირებით [FN262]. ამჟამინდელი პროგრესი, იურისტის, როგორც პრობლემის მომგვარებლის როლის ტრანსფორმირება ამ მიმართულებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალისხმევად ითვლება [FN263].

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულ განათლებაში გრძელდება ცვლილებების შეტანა, ეს მცდელობები სტუდენტთა უმრავლესობზე ვერ იქონიებს გავლენას, ვიდრე საადვოკატო პრაქტიკის წესები არ იქნება მოდიფიცირებული. როდესაც იურიდიული სკოლის კურსდამთავრებულები გადიან პრაქტიკას, ისინი არსებული პრინციპებითა თუ პარამეტრებით ხელმძღვანელობენ. როგორც განვიხილეთ, შესაძლოა პრაქტიკამ ზუსტად განსაზღვროს, როგორი უნდა იყოს ახალი წესები. ახალი რეგულაციები წარმოქმნის ახლებურად სწავლების აუცილებლობას, რომელიც დაეხმარება ინდივიდებს შემეცნებითი დონის ამალგებაში და ყოველდღიურ პრაქტიკაში ნასწავლის გამოყენებაში.

ეთიკის წესები კვლავაც მუშავდება ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის მიერ და შემდეგ ხელმისაწვდომი ხდება შტატებისთვის.

პრაქტიკა, რომელიც ორიენტირებულია ეთიკური სტანდარტების დაწესებაზე, სხვადასხვა მეთოდებს გვთავაზობს. იურისტები, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ კლიენტებს მედიაციაში, მსგავს საქმიანობას ახორციელებენ სხვა შტატებშიც. ამიტომაც, ეთიკური ვალდებულებების საფუძვლები მნიშვნელოვანი საკითხია როგორც ნაციონალურ, ისე გლობალურ დონეზე. ეს კონცეფციები, ეჭვგარეშეა, ითვლება მულტიიურისდიქციული სამართლის პრაქტიკის ნაწილად და დამატებით კვლევას, დისკუსიებსა და დებატებს მოითხოვს.

ვიცი, რომ ამ ნაშრომმა უფრო მეტი კითხვა წარმოშვა, ვიდრე პასუხი, რაც, შეიძლება ითქვას, წინასწარ განზრახულიც იყო. მე არ ვამტკიცებ, რომ წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით მაქვს ჩემი გადანწყვეტა, მაგრამ მჯერა, რომ აუცილებელია დიალოგის დაწყება. იურისტები თავის თავზე იღებენ პაუსისმგებლობას, წარმოადგინონ თავიანთი კლიენტები მედიაციის პროცესზე. ჩვენ, იურისტმა-პედაგოგებმა, ადვოკატურასთან ერთად, უნდა ავილოთ პასუხისმგებლობა, რომ ისინი ამას კომპეტენტურად შეძლებენ – შეჯიბრობითობის სისტემის შესახებ ფანატიზმისა და მუდმივი კონკურენციის შეგრძნების გარეშე. იურისტებმა უნდა შეძლონ განსხვავებული ფილოსოფიული რუკით ხელმძღვანელობა, უნდა აითვისონ განსხვავებული პერსპექტივები, ქცევები და როლი. ამ დავალების შესასრულებლად მათ მოეთხოვებათ ახალი უნარების შექმნა და განსხვავებული მიდგომების ჩამოყალიბება. ამის გაკეთება კი შესაძლებელია მხოლოდ ადეკვატური განათლების და იმ რეგულაციების წყალობით, რომლებიც ასეთი ქცევის პარამეტრებს დაადგენენ.

[FN1]. პროფესორ კოვას მიენიჭა ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის დიპლომი და კოლუმბიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის იურიდიული დოქტორის წოდება. იგი ამჟამად ასწავლის ტეხასის სამართლის სკოლაში, მისი სპეციალიზაციაა მედიაცია და დავის მოგვარების ალტერნატიული გადაწყვეტა. ის ასევე ხელმძღვანელობს მედიაციის კლინიკას. მადლობას ვუხდით დავიდ ჰრისიკს და ნენსი რაპორტს ასეთი სასარგებლო რეკომენდაციებისათვის, ასევე კიმბერლი ვატს, მის სამეცნიერო ასისტენტს, და ფორდჰამის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის წარმომადგენელს, ჟაკლინ ნოლან ჰელის, მხარდაჭერისათვის.

[FN1]. ლიუკი 5:37-38 Luke 5:37-38 (New King James).

[FN2]. გაითვალისწინეთ, რომ ზოგი ალტერნატიული დავის მოგვარების მეთოდს (“ADR”) ამსგავსებენ ახალ ღვინის ჭურჭელში ჩასხმულ ძველ ღვინოს. შენიშვნა 53 და თანმხლები ტექსტი.

[FN3]. ვერ შევწინააღმდეგებო ღვინოსთან ანალოგის გაკეთებას, რადგანაც ამის შესახებ საუბრის შედეგად შეიქმნა ნაშრომი, რომელიც ამერიკული ასოციაციის სამართლის სკოლის ყოველწლიურ

- შეხვედრაზე სან-ფრანცისკოში, ნაპა-სონომასთან ახლოს იქნა წარმოდგენილი. მსურს ასევე ვაღიარო, რომ პირველი არ ვარ, ვინც მსგავსი ანალოგი გამოიყენა. მაგალითად, Paul H. Haagen, *New Wineskins for New Wine: The Need to Encourage Fairness in Mandatory Arbitration*, 40 *Ariz. L. Rev.* 1039 (1998).
- [FN4]. დისკუსიები იურისტების შესახებ, რომლებიც სასამართლოზე წარსდგებიან როგორც ნეიტრალური პირები, იხილეთ კერი მენკელ-მედოუ *Silence of the Restatement of the Law Governing Lawyers: Lawyers as Only Adversary Practice*, 10 *Geo. J. Legal Ethics* 631 (1997) [hereinafter Menkel-Meadow, *Silences of the Restatement*], and Maureen E. Laflin, *Preserving the Integrity of Mediation Through the Adoption of Ethical Rules for Lawyer-Mediators*, 14 *Notre Dame J.L. Ethics & Pub. Pol'y* 479 (2000). See also Carrie Menkel-Meadow, *Ethics in ADR: The Many “Cs” of Professional Responsibility and Dispute Resolution*, 28 *Fordham Urb. L.J.* 979 (2001) (ოთხი კრიტიკული საკითხი ალტერნატიული დავის მოგვარების პრაქტიკაში); Stephen K. Huber, *The Role of Arbitrator: Conflicts of Interest*, 28 *Fordham Urb. L.J.* 915 (2001) (დისკუსიები არბიტრატორთა ინტერესთა კონფლიქტების და ასევე საკითხის ადეკვატური მიდგომისას იურიდიული სკოლის წარუმატებლობის შესახებ)
- [FN5]. ჯენ რ. სტერნლაითი Jean R. Sternlight, *Lawyers' Representation of Clients in Mediation: Using Economics and Psychology to Structure Advocacy in a Nonadversarial Setting*, 14 *Ohio St. J. on Disp. Resol.* 269 (1999) (მოქნილი როლისა და კლიენტსა და ადვოკატებს შორის არსებული პასუხისმგებლობების გადანაწილებისაკენ მონოდება, ნაწილობრივ მაინც, კლიენტის საჭიროებებისა და ბარიერების მოგვარების მიზნით). იხილეთ ასევე John Cooley, *Mediation Advocacy* (1996); Eric Galton, *Representing Clients in Mediation* (1994) (შუამავლობისას კლიენტების წარმოდგენა); Peter Robinson, *Contending With Wolves in Sheep's Clothing: A Cautiously Cooperative Approach to Mediation Advocacy*, 50 *Baylor L. Rev.* 963 (1998).
- [FN6]. ამერიკის ადვოკატთა ასოციაციამ დავის მოგვარების სექციის მეშვეობით დააფუძნა მედიაციის კონკურსი, რომლის პირველი ნაციონალური ფინალი ჩატარდა ყოველწლიურ შეხვედრაზე, 2000 წლის აპრილში. იურისტის როლის აღწერისათვის სექციამ კონკურსს მიანიჭა შემდეგი სახელწოდება “მედიაციაში წარმომადგენლად ყოფნა”. Section of Dispute Resolution, A.B.A., <http://www.abanet.org/dispute/MediationComp.html>.
- [FN7]. ქვემოთ წარმოდგენილი მეორე ნაწილი *Infra Part II*.
- [FN8]. termini “დავის ალტერნატიული გადაწყვეტა” მოიცავს კონფლიქტებისა და დავების გადაწყვეტის დამხმარე საშუალებას. ეს ნაშრომი ეხება მხოლოდ ერთი ტიპის პროცესს, მედიაციას. სასამართლოზე დაფუძნებული დავის ალტერნატიული გადაწყვეტა იწვევს დაბნეულობას, რომელსაც მივყავართ აზრთა სხვადასხვაობამდე – რომელი პროცესი შეესაბამება უკეთ ცალკეულ დავას, სამართლებრივი თუ სხვაგვარი. დისკუსიები იურისტის როლის შესახებ, რომელიც ეხმარება კლიენტს შეარჩიოს მისთვის სასურველი პროცესი, იხილეთ, Frank E.A. Sander and Stephen B. Goldberg, *Fitting the Forum to the Fuss: A User-Friendly Guide to Selecting An ADR Procedure*, 10 *Negotiation J.* 49 (1994); see also Robert F. Cochran Jr., *Professional Rules and ADR: Control of Alternative Dispute Resolution Under the ABA Ethics 2000 Commission Proposal and Other Professional Responsibility Standards*, 28 *Fordham Urb. L.J.* 895 (2001).
- [FN9]. ტეხასში, მაგალითად, შტატის სასამართლომ შესაძლოა გასცეს განკარგულება, რომ მხარეები ჩაერთონ პროცესში. *Decker v. Lindsay*, 824 S.W.2d 247, 250-51 (Tex. Ct. App. 1992) (სასამართლოს უნარის ხაზგასმა, აიძულოს მხარეები ჩაერთონ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროცესში). სასამართლოებმა დანერგეს მსგავსი მონაწილეობა სხვადასხვა ფორმით. ბევრ სასამართლოში მოსამართლე განკარგულებას იძლევა, გამოყენებული იყოს დავის ალტერნატიული გადაწყვეტა თითოეული დავის შესაბამისად. ალტერნატიულად, ტეხასის ოლქი, ტრავისი, მუდმივად იძლევა განკარგულებას, რომელიც ავალდებულებს მხარეებს ჩაერთონ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროცესში, რათა მათ მიიღონ საჭირო ინსტრუქციები შემდგომი სასამართლო პროცესისათვის. ფლორიდაში უკვე რამდენიმე წელია, რაც სასამართლო სისტემას უკვე დანერგილი აქვს ინსტიტუციონალური მედიაციის პროგრამა. James Alfini et al., *What Happens When Mediation is Institutionalized?: To the Parties, Practitioners, and Host Institutions*, 9 *Ohio St. J. on Disp. Resol.* 307, 307 (1994). ფედერალურ სისტემაში მიმდინარე მიმართულებების მეთოდები არსებობს. E.g., Elizabeth S. Plapinger & Donna Stienstra, *ADR and Settlement in the Federal District Courts: A Sourcebook for Lawyers & Judges* (1996), available at <http://www.fjc.gov/ALTDISRES/adrsources/adrsone.pdf>; Wayne D.

- Brazil, Comparing Structures for the Delivery of ADR Services by Courts: Critical Values and Concerns, 14 Ohio St. J. on Disp. Resol. 715 (1999).
- [FN10]. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდი ასევე სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. ევროპაში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდის შესახებ დისკუსიები იხილეთ <http://www.cpradr.org/european.htm>. In Argentina, Gladys Alvarez has established the “Programa de Actualización en Negociación y Resolución de Conflictos,” <http://www.fder.uba.ar/derecho/posgrado/area16.htm>.
- [FN11]. ფუნტის კონფერენცია (The Pound Conference) ჩატარდა 1976 წელს. იგი „მედიაციის თანამედროვე მოძრაობის“ საწყისად მიიჩნევა. მისი დაარსების საფუძველი გახდა როსკოუ ფუნტის 1906 გამოქვეყნებულ სტატია (ლოსტოე ოუნდ’ს 1906 არტიკლე) - ადმინისტრაციულ სამართალში უკმაყოფილების გამომწვევი მიზეზები (The Causes of Popular Dissatisfaction with the Administration of Justice, 29 A.B.A. REP. 395 (1906). იხილეთ ასევე Stephen Goldberg et al., Dispute Resolution: Negotiation, Mediation, and Other Processes 6-9 (3d ed. 1999) (დისკუსიები დავის ალტერნატიული მოგვარების მეთოდის წყაროებსა და მიზნებზე).
- [FN12]. მაგალითად., Judith Resnik, Many Doors? Closing Doors? Alternative Dispute Resolution and Adjudication, 10 Ohio St. J. on Disp. Resol. 211 (1995); Jeffrey W. Stempel, Reflections on Judicial ADR and the Multi-Door Courthouse at Twenty: Fait Accompli, Failed Overture, or Fledgling Adulthood?, 11 Ohio St. J. on Disp. Resol. 297 (1996).
- [FN13]. სასამართლოზე დაფუძნებული მედიაცია და საზოგადოების მიერ გამოყენებული მედიაცია წარმოდგენილი იყო ფუნტის კონფერენციაზე (pound conference) 1976 წელს, სადაც განხილული იყო ალტერნატიული მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში არსებული სიძნელების დასაძლევად. Edith B. Primm, The Neighborhood Justice Movement, 81 Ky. L.J. 1067, 1067 (1992-1993).
- [FN14]. საზოგადოების მედიაციის ცენტრები ითვლებოდა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროგრამებად მართლმსაჯულებაში. Id.; იხ: Timothy Hedeem & Patrick G. Coy, Community Mediation and the Court System: Ties that Bind, 17 Mediation Q. 351 (2000) (დისკუსიები საზოგადოების მედიაციასა და სასამართლო სისტემას შორის არსებული ურთიერთობის შესახებ) იხილეთ <http://mediate.com/articles/cohed2.cfm>.
- [FN15]. საზოგადოების მედიაციის ნაციონალური ასოციაცია <http://www.nafcm.org>.
- [FN16]. მაგალითად, L. Camille Hébert, Establishing and Evaluation a Workplace Mediation Pilot Project: An Ohio Case Study, 14 Ohio St. J. on Disp. Resol. 415 (1999); Carrie Bond, Resolving Sexual Harassment Disputes in the Workplace: The Central Role of Mediation in an Employment Contract, 52 Disp. Resol. J. 15 (Spring 1997).
- [FN17]. E.g., Shoshana K. Kehoe, Giving the Disabled and Terminally Ill a Voice: Mandating Mediation for all Physician-Assisted Suicide, Withdrawal of Life Support, or Life-Sustaining Treatment Requests, 20 Hamline J. Pub. L. & Pol’y 373 (1999); Diane E. Hoffman, Mediating Life and Death Decisions, 36 Ariz. L. Rev. 821 (1994); Susan N. Gary, Mediation and the Elderly: Using Mediation to Resolve Probate Disputes Over Guardianship and Inheritance, 32 Wake Forest L. Rev. 397, 406-15 (1997).
- [FN18]. James W. Reeves, ADR Relieves Pain of Health Care Disputes, 49 Disp. Resol. J. Health Care L. 421 (1999); Edward Dauer et al., Health Care Dispute Resolution Manual: Techniques for Avoiding Litigation (2000).
- [FN19]. თვალსაჩინო სხვაობის მიმოხილვისათვის იხილეთ ნაწილი 2.
- [FN20]. ეს არის ის, რასაც ხშირად ვუწოდებთ “სასამართლოზე დაფუძნებულ მედიაციას”. მასში სასამართლო აქტიურადაა ჩართული. ხშირია დისკუსიებია იმის თაობაზე, ეხება თუ არა აღნიშნული კერძო მედიაციას, თუ ის მხოლოდ ისეთი ტიპის მედიაციაა, რომელიც სასამართლოში იმართება ფიზიკურად. გამოიყენება ასევე სხვა ტერმინიც: “სასამართლოსთან დაკავშირებული”, სიმპოზიუმში The Structure of Court-Connected Mediation Programs, 14 Ohio St. J. on Disp. Resol. 711 (1999); see also Wayne D. Brazil, Continuing the Conversation About the Current Status and the Future of ADR: A View from the Courts, 2000 J. Disp. Resol. 11 (2000). ზოგიერთ სასამართლო პროგრამაში, რომელიც დაახასიათა და აღწერა პროფესორმა ჯონ მაკრორმა, მედიატორები წარმოდგენილები იყვნენ სხვადასხვა ფორმით, მაგალითად: სასამართლოს შიდა მედიატორები, სასამართლოსთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი არასამთავრობო სერვისპროვაიდერები, სასამართლოს მიერ ანაზღაურებადი კერძო მედიატორები, მხარეთა მიერ ანაზღაურებადი კერძო მედიატორები, სასამართლოს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მოხალისე მედიატორები და სხვა შერეული

- პროგრამები. John P. McCrory, *Mandated Mediation of Civil Cases in State Courts: A Litigants Perspective on Program Model Choices*, 14 Ohio St. J. on Disp. Resol. 813, 813-14 (1999).
- [FN21]. ზოგიერთ იურისდიქციაში, ჩანს, მედიაციამ შეინარჩუნა გამორჩეული იდენტურობა, თუმცა ზოგან ვერ გაუნია წინააღმდეგობა სამართლებრივ პროცესებს და შეიცვალა მისი ძირითადი პირობები და მიზნები. წლების წინ ზეთისა და წყლის შერევის მაგალითი გამოიყენეს დავის ალტერნატიული გადაწყვეტისა და სასამართლო პროცესის თანაარსებობის დასახასიათებლად. Kimberlee K. Kovach, *Litigation & ADR: Is It Really Oil & Water?: Art of Advocacy in ADR*, S. Tex. C. of L. & The A. A. White Disp. Resol. Inst. (1991). მე ვამტკიცებ, რომ კულინარიაში ზეთი და წყალი ხასიათდება განსხვავებული თვისებებით, თუმცა მათი შერწყმა შესაძლებელია სხვადასხვა რეცეპტით და შედეგიც საუკეთესოა. საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ კომბინაციებზე, რათა ეს ყველაფერი უგემური არ გამოგვივიდეს.
- [FN22]. ნებრასკაში, მაგალითად, ფედერალული სასამართლო პროგრამის მედიატორები ძალიან ფრთხილობენ, რომ იყვნენ დავის გადაწყვეტის ხელშემწყობები და არ გამოჩნდნენ, როგორც შემფასებლები, ან წინა სასამართლო პროცესზე დავის გადაწყვეტილების მიმღებნი. მაინში წლების განმავლობაში განქორწინების და საოჯახო მედიაცია ტარდებოდა იურისტების გარეშე. Cf., Craig McEwen et al., *Bring in the Lawyers: Challenging the Dominant Approaches to Ensuring Fairness in Divorce Mediation*, 79 Minn. L. Rev. 1317 (1995) (დისკუსიები გაყრის დროს ადვოკატების დასწრების შესახებ)
- [FN23]. ტეხასსა და სხვა შტატებში იურისტებს გამუდმებით ესმით, რომ მედიაცია ჩვეულებრივი წინასაპროცესო ქმედებაა. ერთი მხრივ, კარგია, რომ ეს პროცესი ასე ინტეგრირებული გახდა პრაქტიკულ საქმიანობაში, მაგრამ როდესაც მედიაცია ასეთ კონტექსტში განიხილება, იკარგება მისი ისეთი თვისებები, როგორცაა თვით-გამორკვევა და პრობლემის კრეატიული გადაწყვეტა. Nancy A. Welsh, *The Thinning Vision of Self-Determination in Court-Connected Mediation: The Inevitable Price of Institutionalization*, Harv. Negot. L. Rev. (forthcoming 2001) (examining the inherent conflict between achieving self-determination in which mediation focuses on settlement). Welsh addresses *Allen v. Leal*, 27 F. Supp 2d 945 (S.D. Tex. 1998) (მედიაციის პროცესის შედეგად მიღწეული შეთანხმება მოიცავს თუ არა განხორციელებად შეთანხმებას).
- [FN24]. მიმაჩნია, რომ თანამედროვე მედიაციამ გაიარა სამი განსხვავებული ეტაპი: 1970-იანი წლების შუა პერიოდი ექსპერიმენტის დროდ მიიჩნევა. 1980-იანი წლები დანერგვის დროა, მაგრამ იმ საკითხების გათვალისწინების გარეშე, რომლებსაც დღეს ჩვენ ვხეხებით. 1990-იანი წლების შუა პერიოდში დაიწყო რეგულირების პერიოდი, სადაც დასარეგულირებელი საკითხების დიდ ნაწილს უპირისპირდება სასამართლო, საკანონმდებლო ხელისუფლება და წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციები. მედიაციაში იურისტების როლის საკითხიც ერთ-ერთი განხილვის საგანია.
- [FN25]. მიუხედავად იმისა, რომ მიდგომის - იკმოგება-ნაგებაკკ - თავიდან აცილების ძლიერი მხარდამჭერი ვარ, არ ვამტკიცებ, რომ ერთმა პროცესმა უნდა ჩაანაცვლოს მეორე. მაგრამ იხილეთ Carrie Menkel-Meadow, *The Trouble with the Adversary System in a Post-Modern, Multicultural World*, 38 Wm. & Mary L. Rev. 5 (1996) (კამათი იმის შესახებ, რომ შეჯიბრობითობის სისტემა არაადეკვატურია დავის მოგვარების მიზნებისათვის).
- [FN26]. E.g., Monroe H. Freedman, *The Trouble with Postmodern Zeal*, 38 Wm. & Mary L. Rev. 63 (1996) (Carrie Menkel-Meadow's შეხედულებების გაკრიტიკება, რომ დავის ალტერნატიული მოგვარება შეჯიბრობითობის სისტემაზე მაღლა დგას).
- [FN27]. შეჯიბრობითობის სისტემაში, საჭიროა მოდავეებმა მგზნებარედ წარმოადგინონ თავი და კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს "ნამცხვრის ნაჭრების" ხელში ჩასაგდებად. მაშინ როდესაც დავის გადაწვეტის ხელშემწყობაზე ორიენტირებულ პროცესში მსგავსი მიდგომა არაა საჭირო.
- [FN28]. მაგალითად, Robert A. Baruch Bush, *A Study of Ethical Dilemmas and Policy Implications*, 1994 J. Disp. Resol. 1 (1994); John D. Feerick, *Toward Uniform Standards of Conduct for Mediators*, 38 S. Tex. L. Rev. 455 (1997); Kimberlee K. Kovach, *Mediation: Principles and Practice*, at Ch. 15 (2d ed. 2000).
- [FN29] მაგალითად, Laflin, supra note 4; see also Menkel-Meadow, *Silences of the Restatement*, supra note 4.
- [FN30]. მაგალითად, Carrie Menkel-Meadow, *Ethics in Alternative Dispute Resolution: New Issues, No Answers from the Adversary Conception of Lawyers' Responsibilities*, 38 S. Tex. L. Rev. 407 (1997); Menkel-Meadow, *Silences of the Restatement* supra note 4; see also Douglas Yarn & Wayne Thorpe, *Ethics 2000: Proposed New ABA Ethics Rules for Lawyers-Neutrals and Attorneys in ADR*, Disp. Resol. Mag. (forthcoming 2001).
- [FN31]. მაგალითად, Symposium, *Is Mediation the Practice of Law?*, NIDR Forum, June 1997; Bruce Meyerson,

- Lawyers Who Mediate Are Not Practicing Law, 14 *Alternatives to the High Cost of Litig.* 74 (1996); Carrie Menkel-Meadow, *Is Mediation the Practice of Law?*, 14 *Alternatives to the High Cost of Litig.* 57 (1996); see also Geetha Ravindra, *When Mediation Becomes the Unauthorized Practice of Law*, 15 *Alternatives to the High Cost of Litig.* 94 (1997).
- [FN32]. მაგალითად, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის განყოფილება მუშაობს ამ საკითხებზე. იდეალურ შემთხვევაში, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის დირექტივა, რომ მედიაცია არ ითვლება იურიდიულ პრაქტიკად, უპირატესობას ანიჭებს შტატების ადვოკატებს იმ მედიატორებთან შედარებით, რომელთაც არალიცენზირებული პრაქტიკა აქვთ.
- [FN33]. Kimberlee K. Kovach & Lela P. Love, *Mapping Mediation: The Risks of Riskin's Grid*, 3 *Harv. Negot. L. Rev.* 71 (1998) [hereinafter *Mapping Mediation*] (კამათი იმაზე, რომ შუამავლობა არ შეიძლება განხილოს იმ პროცესებთან, სადაც ნეიტრალურს გააჩნია შეფასებითი ორიენტაცია თუ როლი); Leonard L. Riskin, *Understanding Mediators' Orientations, Strategies, and Techniques: A Grid for the Perplexed*, 1 *Harv. Negot. L. Rev.* 7 (1996) (შუამავლობის სამყაროს ასახვა გისოსებზე); James J. Alfini, *Evaluative Versus Facilitative Mediation: A Discussion*, 24 *Fla. St. U. L. Rev.* 919 (1997); Kimberlee K. Kovach, *What Is Real Mediation and Who Should Decide?*, 3 *Disp. Resol. Mag.* 5 (1996) [hereinafter *Real Mediation*]; Lela P. Love, *The Top Ten Reasons Why Mediators Should Not Evaluate*, 24 *Fla. St. U. L. Rev.* 937 (1997); Robert B. Moberly, *Mediator Gag Rules: Is It Ethical for Mediators to Evaluate or Advise?*, 38 *S. Tex. L. Rev.* 669 (1997) (ეთიკური წესების წინააღმდეგ გაბრძოლება, რომლებიც კრძალავს მედიატორის შეფასებას); Jeffrey W. Stempel, *Beyond Formalism and False Dichotomies: The Need for Institutionalizing a Flexible Concept of the Mediator's Role*, 24 *Fla. St. U. L. Rev.* 949 (1997) (მოქნილი შუამავლობის დამტკიცება, რომელიც შეფასებითი ტექნიკის იურიდიული განხილვის უფლებას იძლევა); Marjorie Corman Aaron, *ADR Toolbox: The Highwire Art of Evaluation*, 14 *Alternatives to the High Cost of Litig.* 62 (1996) (მედიატორის შეფასების და სპეციფიკური მედიატორის სტრატეგიის რეკომენდაციის განხილვის შესაბამისი გამოყენება); Kimberlee K. Kovach & Lela P. Love, "Evaluative" Mediation is an Oxymoron, 14 *Alternatives to High Cost Litig.* 31 (1996); Jeffrey W. Stempel, *Identifying Real Dichotomies Underlying the False Dichotomy: Twenty-First Century Mediation in an Eclectic Regime*, 2000 *J. Disp. Resol.* 371 (2000).
- [FN34]. E.g., Jeffrey W. Stempel, *The Inevitability of the Eclectic: Liberating ADR from Ideology*, 2000 *J. Disp. Resol.* 247 (2000) (შუამავლობის განხილვა იურიდიული სისტემის პირველად, მაგრამ არაექსკლუზიურ დამატებად); cf. John Lande, *Toward More Sophisticated Mediation Theory*, 2000 *J. Disp. Resol.* 321 (2000).
- [FN35]. E.g., Carrie Menkel-Meadow, *Pursuing Settlement in an Adversary Culture: A Tale of Innovaiton Co-Opted or "The Law of ADR,"* 19 *Fla. St. U. L. Rev.* 1 (1991).
- [FN36]. საინტერესოა, რომ ეს არის ასევე შუამავლობის განმარტება. იხილეთ *Tex. Civ. Prac. & Rem. Code Ann.* § 154.023 (Vernon 2000); იხილეთ *Colo. Rev. Stat. Ann.* § 13-22-302 (West 1999).
- [FN37]. E.g., Kovach, *supra* note 28, at 23-25 (შუამავლობის პროცესის სხვადასხვა განმარტების შემოთავაზება).
- [FN38]. რეალური შუამავლობა, შენიშვნა 33.
- [FN39]. ეს შესაძლოა მოიცავდეს, მაგრამ არ იყოს ტრანსფორმირებული მოდელის სრული მიმდევარი.
- [FN40]. მედიაციის მიზნები ძალიან განსხვავდება მართლმსაჯულების სისტემის მიზნებისაგან. ნაწილი 2.
- [FN41]. *Should Mediators Evaluate?: A Debate Between Lela P. Love and James B. Boskey*, 1 *Cardozo Online J. Conflict Resol.* 1 (1999-2000), at <http://www.cardozo.yu.edu/cojcr>.
- [FN42]. Leonard L. Riskin, *Mediation and Lawyers*, 43 *Ohio St. L. J.* 29 (1982).
- [FN43]. მაგალითად, Nancy B. Rapoport, *Our House, Our Rules: The Need for a Uniform Code of Bankruptcy Ethics*, 6 *Am. Bankr. Inst. L. Rev.* 45 (1998) (დისკუსიები გაკოტრების ეთიკისა და ფედერალური სამართლის შექმნის შესახებ); Simon M. Lorne, *The Corporate and Securities Adviser, the Public Interest, and Professional Ethics* 76 *Mich. L. Rev.* 423 (1978) (დისკუსიები კორპორატიული მრჩეველის როლის შესახებ); Jeffrey N. Pennell, *Ethics in Estate Planning and Fiduciary Administration: The Inadequacy of the Model Rules and the Model Code*, 45 *Record* 715 (1990).
- [FN44]. E.g., Fred C. Zacharias, *Reconceptualizing Ethical Roles*, 65 *Geo. Wash. L. Rev.* 169 (1997).

- [FN45]. კვლავ ჩემი აზრია, რომ მედიაციას ჩამოშორდა ისეთი მნიშვნელოვანი მიზნები, როგორცაა მხარეების უფლებამოსილებებით აღჭურვა, თვითგამორკვევა და პრობლემების გადაჭრის კრეატიული ხერხები. იხილეთ See Welsh, *supra* note 23 (შუამავლობისა და სასამართლო პროცესის გადაკვეთისას წარმოქმნილი სიძნელების განხილვა).
- [FN46]. Riskin, *შენიშვნა 33*; John Brickerman, *Evaluative Mediator Responds, 14 Alternatives to the High Cost Litig.* 70 (1996).
- [FN47]. E.g., Charles R. Pyle, *Mediation and Judicial Settlement Conferences: Different Rides on the Road to Resolution*, *Ariz. Att'y, Nov.* 1996, at 20; Marc Galanter & Mia Cahill, *Most Cases Settle: Judicial Promotion and Regulation of Settlements*, 46 *Stan. L. Rev.* 1339 (1994); Carrie Menkel-Meadow, *For and Against Settlement: Uses and Abuses of the Mandatory Settlement Conference*, 33 *UCLA L. Rev.* 485 (1985).
- [FN48]. Kovach & Love, *Mapping Mediation*, *supra* note 33; Zena Zumeta, *A Facilitative Mediator Responds*, 2000 *J. Disp. Resol.* 335 (2000).
- [FN49]. Kovach & Love, *Mapping Mediation*, *შენიშვნა 33*.
მედიაცია პიროვნებათაშორისი ურთიერთობის პროცესია რეალურ პერსონალებს შორის. წინამდებარე თავში ტერმინი “რეალური” ნიშნავს ყველა იმ ვითარებას, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დაკავშირებული, ან შედეგად მოჰყვება მედიაციის პროცესში ჩართული ადამიანების ხასიათის თავისებურებებს. ეს შეიძლება ეხებოდეს მედიაციის პროცესში მონაწილე მხარეებს, მედიატორებს, ინტერპრეტატორებს (თარჯიმნებს), მრჩეველებს და ბევრ სხვას, ვინც გავლენას ახდენს მედიაციის მონაწილე მხარის მოსაზრებებზე. ზემოთ ხსენებული პიროვნებათაშორისი ურთიერთობის პრინციპი ეხება ასევე იმ რეალობის აღქმას, რომელშიც მედიაცია მიმდინარეობს, იქნება ეს ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე. მოცემული რეალობა, რომელშიც ადგილობრივი დავა ვითარდება და რომელიც ძალიან ჰგავს იმავე არეალში მიმდინარე სხვა დავებს, როგორც წესი, ცნობილია ყველა მონაწილისათვის და შედარებით ადვილი სამართავია მედიატორისთვის, რომელიც იმავე გარემოში მოქმედებს. მო-

ცემულ არეალში, სადაც მედიაციის პროცესი მიმდინარეობს, მსგავსი რეალობაა და საჭიროა წარმატებული ადგილობრივი მედიატორის ჩართვა, რომელიც კარგად იცნობს არსებულ რეალობას, არსებულ სოციალურ ნიუანსებს და ადგილობრივი რეალობისადმი ადაპტირებული პიროვნებათაშორის ურთერთობების დამყარების უნარი გააჩნია.

გლობალური დავები მთელ მსოფლიოს მოიცავს, და შესაბამისი მედიაციის პროცესები არ განისაზღვრება კონკრეტული რეალობით, რამდენადაც მასში მონაწილეობს სულ ცოტა ორი სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილის წარმომადგენელი, რომლებიც სხვადასხვა რეალობით ხასიათდება, საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ მცირე განსხვავებებით, თუმცა უმეტესად, ეს განსხვავებები არსებითია. გლობალური მედიატორი, შეიძლება ითქვას, რომ მოქმედებს “ქაოსურ რეალობაში”, რომელზეც გავლენას ახდენს ნაცნობობის ერთზე მეტი პირადი ქსელი, იშვიათადაა მუდმივი და უფრო ხშირად განიცდის ცვლილებებს.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი სხვადასხვა რეალობისთვის თავის გართმევა ნიჭიერი ადამიანისთვის საინტერესო გამოწვევაა, წარმატებულ გლობალურ მედიატორს ისეთი პიროვნული თვისებები უნდა ჰქონდეს, რაც ხელს შეუწყობს განსხვავებულ რეალობებთან ადვილად ადაპტირებაში - აქ იგულისხმება გონებრივი და სულიერი მოქნილობა, მოსმენის მაღალი კულტურა და უნარი, თავმდაბლობა და შინაგანი სიმშვიდე,

ყველა ეს თვისება, პროფესიულ და ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ერთად, აყალიბებს სიტუაციის სწორი აღქმისა და რეალობასთან ადაპტირების პროცესს.

გლობალურ მედიატორს არ მოეთხოვება იმ რეალობის სრული ცოდნა, რომელშიც მხარეები არიან. მან უნდა გააცნობიეროს, თუ რა ინფორმაციის ნაკლებობას განიცდის და ამის მიხედვით დაარეგულიროს შესაბამისი მეთოდოლოგია და მიდგომა. მისი ამოცანაა რეალობის ვარიაციების დაბალანსება ისე, რომ მან მედიაციის პროცესზე არ იქონიოს უარყოფითი გავლენა, ხოლო პიროვნებებს შორის არსებული ბარიერები შემცირდეს მინიმუმამდე. მნიშვნელოვანი გამოწვევაა ისეთი პერსონათაშორისი ბარიერების გამოვლენა, რომლებიც მოცემული კონფლიქტის საფუძველია და რომელიც, როგორც მედიაციის განუყოფელი ნაწილი, მხარეების მიერ სრულყოფილად უნდა იქნეს შესწავლილი და დამუშავებული. გლობალური მედიატორი უნდა იყოს საკმარისად გონებაგახსნილი, რომ არ გაუჭირდეს განსხვავების დანახვა პერსონათაშორისი ბარიერების ორ სახეს შორის და შეძლოს მათი ცალ-ცალკე განხილვა. ეს ეხება ადგილობრივ მედიატორს, თუმცა “ქაოსური რეალობით” გამოწვეული სირთულეების გარეშე.

როგორც შემდგომ განვიხილავთ, “ქაოსურ რეალობასთან” გასამკლავებლად გლობალურ მედიატორს შეუძლია სხვადასხვა სახის ინსტრუმენტების გამოყენება:

- საიმედოობა – მთავარი თვისება და ინსტრუმენტი, რომელიც მედიატორს ეხმარება გლობალური მედიაციის პროცესში დაძაბული სიტუაციის განმუხტვაში. მედიაციის მონაწილე მხარეების მხრიდან ნდობის მოპოვება ნებისმიერი მედიატორისთვის აუცილებელია, მაგრამ გლობალური პერსონათაშორისი გამოწვევების მოგვარებისას მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ნდობა ანელებს პიროვნებებს შორის დაძაბულობით შექმნილ ბარიერებს და ხელს უწყობს ურთიერთთანამშრომლობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას; ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ მედიატორმა გამოავლინოს გადამწყვეტილების მიმღები პირი ორივე მხრიდან, თან შეინარჩუნოს მათი ნდობა და ნდობის ატმოსფერო მხარეებს შორისაც ჩამოაყალიბოს. გლობალური მედიაციის დროს ხდება როგორც თავად დავის საგნის, ასევე მხარეების შესახებ დიდი ოდენობით ინფორმაციის დამუშავება; ნდობა განაპირობებს მხარეთა გულწრფელობასაც, ამდენად, მედიატორმა აქცენტი უნდა გააკეთოს ინფორმაციის შინაარსზე და არა ხარისხზე.

- თარჯიმანი – ფასდაუდებელი დამხმარე გლობალური მედიაციის დროს ენობრივი ბარიერის სრულად და ეფექტურად დასაძლევად (ხანდახან ერთზე მეტი ენის ბარიერის). საკმარისი არ არის მხარეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების მხოლოდ ლიტერატურული გაგება, საჭიროა კონტექსტისა და ქვეტექსტის წვდომის უნარი, რათა ჭეშმარიტად იქნეს აღქმული მათი პოზიციები და ინტერესები. ეს კი ისეთი თარჯიმნის დახმარებითაა შესაძლებელი, რომელიც მხოლოდ პროფესიონალი კი არ არის, არამედ გარკვეულ პასუხისმგებლობასაც გრძნობს

პროცესის მიმართ, არ იზღუდება ადგილობრივი ჩვეულებებით და კარგად იცნობს მედიატორის მიერ მოსმენისას ჩანიშნულ განსხვავებებს. თუმცა, არ უნდა გავაზვიადოთ თარჯიმნის არჩევის მნიშვნელობა. გლობალურმა მედიატორმა კი უნდა შეიმუშაოს შერჩევის მოსახერხებელი მეთოდი, რათა დარწმუნებული იყოს მედიაციის მონაწილეებთან მუშაობისას ჭეშმარიტი და კონსტრუქციული თარგმანის მიღებაში.

- მოქნილობა – ზოგადი ტერმინია, რომელიც ნებისმიერ პიროვნულ ასპექტს მიესადაგება, თუმცა, აუცილებლად მოეთხოვება გლობალურ მედიატორს, რომელსაც ხშირად მოუწევს სხვადასხვა კულტურისა თუ რელიგიის წარმომადგენლებთან შეპირისპირება. მოქნილი მედიატორი გონებაგახსნილი და კეთილგანწყობილია; ისმენს ყურადღებით და არ განიკითხავს მხარეებს საკუთარი ცრურწმენისა თუ სტერეოტიპების მიხედვით. ის კარგად ხედავს ადამიანებს და აქცენტს აკეთებს, თუ რა სურთ მათ, როგორ შეძლებენ სასურველი მიზნის მიღწევას და, რაც ყველაზე მთავარია, როგორ გამოხატავენ საკუთარ მისწრაფებებსა და რწმენას და როგორ შეიძლება მათი სწორად გაგება.

გლობალური მედიაციის გადამწყვეტი ეტაპები

კლასიკური მეთოდის მეთოდური ადაპტაცია

ინიცირება

რამდენადაც მედიაცია ნებაყოფლობითი პროცესია, მისი ინიცირება ზოგადად მედიატორთან დაკავშირებით ხდება. შეიძლება მოდავე მხარეებმა ერთობლივად მიმართონ მედიატორს (თუმცა, უმეტესად მათი წარმომადგენლები მიმართავენ ხოლმე); ან, ერთ-ერთი მხარე მიმართავს მედიატორს მეორე მხარესთან დაკავშირებაში დახმარებისთვის; ან, სასამართლო, სადაც მხარეების საქმე განიხილება, დაადგენს ან ურჩევს მათ მიმართონ მედიატორს. გლობალური მედიაციის ინიცირებაც ამავე გზებით ხდება, მხოლოდ იშვიათია სასამართლოების მონაწილეობა, ხოლო მედიატორს მისი რეპუტაციის მიხედვით ირჩევენ. ამდენად, გლობალური მედიატორები ზრუნავენ, რომ მედიაციაში მათი გამოცდილებისა და კონკრეტულ დარგში პროფესიონალიზმის შესახებ საერთაშორისო დონეზე იყოს ცნობილი; შეიძლება ფართო საზოგადოებისთვის, საქმიანი, იურიდიული ან სხვა პროფესიული წრეებისთვის კარგად ცნობილი ადამიანები იყვნენ.

მედიატორთან დაკავშირების გზით მედიაციის პროცესის ინიცირება არა მხოლოდ პრაქტიკული საქციელია, არამედ მედიატორსა და მხარეებს შორის ნდობის ჩამოყალიბების წინა საფეხური. ამგვარი სამსახურის განწევაზე თხოვნის მიღების შემდეგ გლობალური მედიატორი ობიექტურად, ნეიტრალურად, მიუკერძოებლად და მხარეების მიმართ თანაბარი ყურადღებით იწყებს პროცესს; სწორედ “სუფთა ფურცლიდან” დაწყებით შენდება ნდობა მედიაციის სანყის ეტაპზე. რასაკვირველია, ხანდახან მლიქვნელობასაც აქვს ადგილი, როცა საშუაშაგლო დახმარებისთვის მხოლოდ ერთი მხარე მიმართავს მედიატორს, მედიატორმა უნდა მოახერხოს და გამოავლინოს მიმხრობის ნებისმიერი მცდელობა რომელიმე მონაწილის მხრიდან, რასაც ხშირად კონფლიქტის მონაწილეები გაუაზრებლად და ქვეცნობიერადაც კი ცდილობენ. ამგვარ სიტუაციებთან გასამკლავებლად მედიატორმა ორმხრივი დისკურსი უნდა გახსნას და ორივე მხარე თანაბრად ინფორმირებული და ჩართული უნდა ჰყავდეს პროცესში, რათა მედიაციის პროცესის დასაწყისშივე დააბალანსოს სიტუაცია. ხშირად მონაწილეები – მედიატორი და მხარეები – თანხმდებიან ანაზღაურებაზე (ჰონორარზე), კონფიდენციალურობაზე და სხვა მსგავს საკითხებზე. ასეთი შეთანხმება სანყის ეტაპზევე უნდა ჩამოყალიბდეს წერილობით და დადასტურდეს ხელმოწერით არა უგვიანეს მედიაციისწინა პროცესისა.

მედიაციის წინა პროცესი (პრემედიაცია)

მას შემდეგ, რაც მოხდება გლობალური მედიაციის ინიცირება, და სანამ უშუალოდ მედიაციის პროცესი დაიწყება, მედიატორი ცალ-ცალკე ხვდება მხარეებს და ადგენს, რამდენად თავსებადი არიან ისინი მედიაციის პროცესთან. პრემედიაციის პროცესი არ ეხება თავად დავის საგნის განხილვას, არამედ, პიროვნებებს შორის თავსებადობას, კერძოდ კი, მხარეებსა და მედიატორს შორის თავსებადობას. ეს პირველი და მნიშვნელოვანი ნაბიჯია ნდობის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ძალიან დელიკატურად და წინდახედულად უნდა წარიმართოს. შეიძლება, საჭიროების შემთხვევაში, მედიატორი თავად ეახლოს მხარეებს და მათთვის “ბუნებრივ” გარემოში შეხვდეს, რათა რაც შეიძლება თავისუფლად და დაცულად აგრძნობინოს თავი. ასეთი საქციელი ხელს უწყობს ნდობის ატმოსფეროს შექმნას და ინფორმაციის თავისუფალ გაცვლას, რადგან ადამიანები საკუთარ ჩვეულ გარემოში უფრო გულწრფელნი არიან, ხოლო მედიატორს საშუალება აქვს, მხარეების კეთილგანწყობა შეინარჩუნოს. გლობალური მედიაციის მხარეები, როგორც წესი, ორგანიზაციებია, ამდენად მათი განწყობა გუნდურ ხასიათს ატარებს, ხოლო მედიატორის მიერ ამ ხასიათის დინამიკის ცოდნა პროცესის წარმატების სანდარია. მედიაციის წინა პროცესში მედიატორი ცდილობს გაარკვიოს მხარეების მიერ გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი, გამოავლინოს მთავარი ფიგურები და აქტიურად ჩართოს მედიაციის პროცესში და უზრუნველყოს, რომ მედიაციაში მონაწილე მხარეთა ოფიციალურ წარმომადგენლებს აქვთ პროცესის ხელშეწყობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი და უფლებამოსილება.

მედიატორი მხარეებს აცნობს საკუთარ მოლოდინებს და მხარეებიც, თავის მხრივ, მედიატორს აცნობენ საკუთარ მოლოდინებს პროცესისა და თავად შუამავალის მიმართ; ამგვარად დგინდება, რამდენად რეალისტურია მხარეთა მოლოდინები მედიაციის პროცესის მასშტაბისა და მედიატორის ფუნქციის მიმართ. მოლოდინების კოორდინირებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი მედიატორისა და მონაწილეთა მხრიდან სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს.

მედიაციის წინა პერიოდში, მედიატორის კიდევ ერთი მოვალეობაა პროცესში მხარეთა გულწრფელობის ხარისხის შეფასება. შეიძლება მოხდეს ისე, რომ ერთმა ან მეტმა მხარემ, მედიაციას მიმართოს საკუთარი უკანონო მიზნების დასაფარად, კერძოდ, დავის მოგვარების გამიზნული გაჭიანურებისა და, საერთოდაც, კონფლიქტის მოგვარების ჩასაშლელად. შეიძლება რომელიმე მხარემ თავი “მედიაციის პროცესის მონაწილედ” გამოაცხადოს, სინამდვილეში კი არ ჰქონდეს პრობლემის მოგვარების არანაირი კონკრეტული მიზანი. მონაწილეები შეიძლება მედიაციას აღიქვამდნენ, როგორც მეორე მხარის შესახებ საინტერესო ინფორმაციის მოპოვების საშუალებას, საკუთარი პოზიციების გასამყარებლად. მსგავსი ტიპის ინტერესების არსებობა უნდა გამოვლინდეს მედიაციის წინა პერიოდში; მოლოდინების გაცნობისა და კოორდინირებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ რამდენადაც გლობალური მედიატორი პასუხისმგებელია უზრუნველყოს, რომ პროცესი დაიწყება სათანადოდ დავალდებულებულ მხარეებს შორის, რომლებსაც, ადგილობრივი მედიაციისგან განსხვავებით, სადაც მხარეებს შეუძლიათ სასამართლოს მიმართონ, დავის მოგვარების სხვა ალტერნატიული შესაძლებლობა არ აქვთ.

რამდენადაც მედიაციის წინა პროცესი აქცენტს ადამიანებზე აკეთებს და არა თავად დავის საგანზე, ამდენად, სასურველია მედიატორთან პირდაპირი კომუნიკაციის განხორციელება, რაც ამ ეტაპზე თარჯიმნის მონაწილეობას არ გულისხმობს. მედიატორი ამ შესაძლებლობას იყენებს მხარეებთან კავშირის დასამყარებლად და ნდობის ატმოსფეროს ჩამოსაყალიბებლად, რაც აუცილებელია მედიაციისთვის. აქ ხაზი უნდა გავუსვათ, რომ მედიაციის წინა პერიოდი არა მხოლოდ თავად მედიაციის პროცესის მოსამზადებელი პერიოდია, არამედ ის ხელს უწყობს მხარეებისა და მედიატორის მიერ ორმხრივ პიროვნულ გამოცდას, რამაც შეიძლება ისეთ უარყოფით დასკვნამდეც მიგვიყვანოს, როგორცაა, მაგალითად, მხარეთა შეუთავსებლობა; ან როცა მათ შორის ვერ ხერხდება პიროვნებათაშორის ურთიერთობის ბუნებრივი ჩა-

მოყალიბება; ან, როცა “რეცეპტი” არ არის საკმარისად კარგი. ასეთ შემთხვევაში კარგი იქნება მედიაციის პერსონალური სტრუქტურის გადახედვა და მოდიფიკაციის სხვადასხვა ხერხის გათვალისწინება, როგორცაა, ერთ-ერთი მხარის წარმომადგენლობის შეცვლა ან თანამედიაციის ინიცირება, რაც მედიატორთან მათი კავშირის გაუმჯობესებას და, შესაბამისად, მედიაციის პროცესის ნაყოფიერად წარმართვას განაპირობებს. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა “რეცეპტი” უძლურია, შესაძლებელია თავად მედიატორის შეცვლაზე ფიქრი.

გახსნა

პიროვნებებს შორის შეთავსებადობის დადგენისა და მხარეებთან საბაზისო ნდობის ატმოსფეროს შექმნის შემდეგ გლობალური მედიატორი ამზადებს თავად მედიაციის პროცესის ავანსცენას პირველი შეხვედრის მოწვევით, სასურველია ორივე მხარესთან ერთად, სადაც მხარეებსა და მედიატორს საშუალება აქვთ შეხვდნენ და მოუსმინონ ერთმანეთს, ჩამოუყალიბდეთ ერთმანეთის მიმართ ყურადღების მიპყრობის, მოსმენის და, სავარაუდოდ, ურთიერთგაგების ატმოსფერო. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირველი შეხვედრის ადგილის შერჩევას, რომელიც არ უნდა უკავშირდებოდეს არც ერთ მხარეს და გეოგრაფიულად “ნეიტრალურ ტერიტორიაზე” უნდა განხორციელდეს. ეს მხოლოდ თავად პროცესის ნეიტრალურობის მანიშნებელი კი არ იქნება, არამედ ორივე მხარეს ჩამოუყალიბებს რწმენას, რომ არ დაიშურონ დრო და ენერგია შეხვედრაზე წასასვლელად მზადებისა და მგზავრობისათვის. ამით მხარეები გამოხატავენ, რომ მზად არიან გულწრფელად მიიღონ მონაწილეობა პროცესში.

“გახსნის ცერემონიალს” მედიაციის ელფერი უნდა დაჰკრავდეს – მედიატორი მსაჯი არ არის, ხოლო პროცესი ნებაყოფლობითი და კონფიდენციალურია. ყალიბდება ქცევის წესები, შეხვედრა და მხარეებსა და მედიატორს შორის გაცვლილი ინფორმაცია დახურულია. გათვალისწინებულია ენობრივი ბარიერი, მხარეები მზად არიან დამატებით დრო დაუთმონ და გაგებით მოეკიდონ შესაძლო გაუგებრობებს, რაც თარჯიმნის მონაწილეობის აუცილებლობას უსვამს ხაზს. გარდა ამისა, მხარეები ინფორმირებული არიან, რომ მათ უფლება აქვთ, კონსულტაცია გაიარონ ნებისმიერ პირთან საკუთარი არჩევანის მიხედვით.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მედიაციის პროცესში არ შეიძლება რაიმე სხვა პროცედურის განხორციელება. ამგვარი პროცედურების ინიცირება ან მათი განხორციელება მედიაციის პროცესის დასასრულს ნიშნავს.

დაბოლოს, პროცესის გახსნა საუკეთესო დროა იმისათვის, რომ მხარეებმა მედიატორისა და თავად მედიაციის პროცესის შესახებ დასვან შეკითხვები.

მხარეთა ნაამბობი – დავის საგნის წარდგენა

ერთობლივ შეხვედრაზე მხარეები ერთმანეთს და გლობალურ მედიატორს წარუდგენენ საკუთარ სუბიექტურ შეხედულებას. თითოეული მონაწილე რიგ-რიგობით გამოთქვამს თავის შეხედულებას; თარჯიმნები განსხვავებულ ენაზე იმეორებენ მხარეთა ნაამბობს სულ ცოტა ერთხელ, თან ხსნიან მხარეთა მიერ გამოხატულ ფაქტობრივ და ემოციურ დეტალებს. ეს მხარეთა პირველი შეხვედრაა, სადაც არტიკულირებულად უხსნიან დავის საგანს მესამე მხარეს, უსმენენ ერთმანეთს და მედიატორის მოსაზრებას დავის საგნის შესახებ. ეს ახალი გამოცდილება თავად მხარეებისთვის და ამჟღავნებს მათ მიზნებს არა მხოლოდ შეხვედრის განსაკუთრებულობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ მათ აწმყო დროში უწევთ საუბარი. ეს მომენტი ხშირად ყურადღების მიღმა რჩება დავების სასამართლო გარჩევების დროს, რადგან სასამართლო პროცესის პათოლოგიური ბუნებაა მხოლოდ წარსულზე აქცენტირება და აწმყოს უგულებელყოფით მომავლის განხილვა. მედიატორი კი, პირიქით, მხარეებს ეხმარება მთელი ყურადღება ახლანდელზე გადაიტანონ და მხოლოდ ამის საფუძველზე იფიქრონ მომავალზე, რაც მათ და-

ეხმარება კარგად გაიგონ ანმყო და, შესაბამისად, უფრო ბრძნულად დაგეგმონ მომავალი. ეს დავის საგნის პრეზენტაციის მნიშვნელოვანი ასპექტია, რამდენადაც გლობალური ბიზნესი ხასიათდება მუდმივად ცვლადი ქაოსური რეალობით; ორგანიზაციები ერგებიან ახალ რეალობებს, ვითარდება მათი დღის წესრიგი, იცვლება ინტერესები და ის, რაც ერთ დღეს კარდინალურად მნიშვნელოვანი იყო, ამჟამად შეიძლება უგულვებელყოფილ იქნეს, ან პირიქით. აქცენტი გადატანილია იმაზე, რაც „აქ არის ახლა“; ასეთი მიდგომა მხარეებს მოქნილობას სძენს და უფრო შესაფერისი და კონსტრუქციული ფორმით ახდენს მათი ინტერესებისა და თანამდევნი პოზიციების შეფასებას. დავის საგნის წარდგენით ეს ასპექტი უკეთ აშკარავდება, რადგან ხშირია, როცა, დავის დაწყებიდან მოყოლებული, მხარეებს შორის კომუნიკაცია თითქმის ჩაშლილია, ახლა კი ნათლად შეუძლიათ დაინახონ, რა იყო მათთვის გაურკვეველი მთელი ამ ხნის განმავლობაში. ამგვარი კონკრეტიკის მისაღწევად, ერთობლივი შეხვედრა საუკეთესო დასაწყისია, თუმცა, შეიძლება საკმარისი არ იყოს, რამდენადაც გლობალურ დავებში ხშირად ბევრი დეტალია გასათვალისწინებელი, რასაც საკმაოდ დრო და ყურადღება სჭირდება. აქედან გამომდინარე, ჩნდება არაერთი ინდივიდუალური შეხვედრის საჭიროება, რაც მედიატორს მეტი ინფორმაციის მიღების და დავის საგნის შესახებ მნიშვნელოვანი დეტალების დაზუსტების საშუალებას აძლევს, რისი გამჟღავნების ნებაყოფლობითი სურვილი, წინდახედულების, ყოყმანის ან ეჭვის გამო, შეიძლება მხარეებმა არც გამოხატონ ერთობლივ შეხვედრაზე.

უკუგება

მას შემდეგ, რაც მედიატორი მხარეების მიერ დავის საგნის შესახებ პრეზენტაციას მოისმენს, დედანთან რაც შეიძლება ახლოს, სამი ძირითადი მიზნის შესაბამისად ახდენს მიღებული ინფორმაციის დაზუსტებას. პირველი მიზანი - მხარეებს გაუჩნდეთ განცდა, რომ მათ მიერ წარმოადგინილი ვერსია მოსმენილი და აღქმულია; ეს გრძობა ძლიერდება, თუ ინფორმაციის უკუგება ობიექტურია და არ შეიცავს განსჯის ელემენტებს. მეორე მიზანი – უკუგება საუკეთესო საშუალებაა გაუგებრობების გამოსასწორებლად პროცესის დასაწყისშივე. მესამე მიზანი – მხარეები პირველად ისმენენ “ორივე მხარის ნაამბობის” უკუგებას მესამე, ობიექტური და კონფლიქტის არამონაწილე მხრიდან; ახლა ორივე მხარეს შეუძლია მთელი ყურადღება უკუგებულ ინფორმაციაზე გადაიტანოს და არ შეეცადოს მთხრობელის წინაშე თავის მართლებას ან საკუთარი პოზიციის დაცვას. სამივე ხსენებული მიზნის საერთო თვისებაა მხარეთა ნდობის ჩამოყალიბება არა მხოლოდ მედიატორის, არამედ მთლიანად პროცესის მიმართ. ამას კი განაპირობებს კომფორტული და დამარწმუნებელი შეგრძნება, რომელიც ორივე მხარეს უჩნდება უკუგების დროს.

აღნიშნული მიზნების მიღწევა გადამწყვეტია მხარეთა აზროვნების ჩარჩოების გასარღვევად, რაც მნიშვნელოვანია წარმატებული მედიაციისთვის, ხოლო თავად ეს ეტაპი წვრილმანებში წვდომით, აუჩქარებლად უნდა წარიმართოს. ეს არცთუ ისე ადვილი გასაკეთებელია, თუ გავითვალისწინებთ თარჯიმნის ჩართულობას, რასაც საკმაოდ დრო მიაქვს, არა მხოლოდ უკუგების გახანგრძლივებით, არამედ მისი გართულებითაც.

როცა გლობალური მედიატორი ახდენს დავის საგნის უკუგებას, ის მკაფიოდ გამოხატავს მხარეებს შორის არსებულ აშკარა განსხვავებას – არა მხოლოდ თავად დავასთან მიმართებაში, არამედ მათი განსხვავებული კულტურის, აზროვნებისა თუ სხვა მახასიათებლების მასშტაბით. უკუგების პროცესშივე ხდება მხარეების მიერ საკუთარი განსხვავებულობის აღქმა, ხშირად პირველადაც, და იმის გაცნობიერება, თუ სად შეექმნათ ვაკუუმი, რომლის დაძლევაც ნაყოფიერი ურთიერთობის ჩამოყალიბების საწინდარია. ეს მხარეებისთვის კიდევ ერთი გამოწვევაა. მედიატორის პასუხისმგებლობაა მხარეების წინაშე ამგვარი ინიციატივის ხაზგასმა, რათა მათ ერთმანეთი განიხილონ როგორც მომავალი პარტნიორები და არა მოდავე მხარეები.

პროცესის მართვა

ამ ეტაპზე ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევს ავირჩიოთ - უფრო ხშირად ჩატარდეს ერთობლივი შეხვედრები თუ ურთიერთობა გაგრძელდეს ინტერნეტ- და ვიდეოკონფერენციების საშუალებით. რასაკვირველია, როცა ეს შესაძლებელია, სასურველია იყოს მეტი პირადი კონტაქტი, ხოლო თუ პროცესი “თვალი თვალს მოშორდას” სახეს იღებს, მით უფრო მნიშვნელოვანია პირადი შეხვედრები, რადგან „დრო კლავს და დრო კურნავს“.

მედიაციის მთელი პროცესის განმავლობაში, მედიატორი მაქსიმალურად ყურადღებით უნდა აკვირდებოდეს მხარეების შიგნით მოვლენების განვითარებას.

მენეჯმენტში და გადაწყვეტილების მიმღებ გუნდში ნებისმიერ ცვლილებას შეიძლება კრიტიკული გავლენა ჰქონდეს პროცესის მიმდინარეობაზე და შედეგებზე. ამდენად, მედიატორი დროულად უნდა ფლობდეს ასეთ ინფორმაციას. აქ ისევ იჩენს თავს გლობალური მედიატორისა და მხარეების ცალკე, ინდივიდუალური შეხვედრების საჭიროება თავად მხარეთა “მოედანზე“.

ეს მედიატორს საშუალებას მისცემს ორგანიზაციაში შეხვედეს გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილე რაც შეიძლება მეტ პირს, რაც ზოგადად თუ კონკრეტულად დავის მხარეთა ურთიერთობაზე და მოსალოდნელ მოგვარებაზე ახდენს გავლენას. მეორე, კულტურული პრობლემები უკეთ აღიქმება მხარეთა ბუნებრივ გარემოში, იქ, სადაც ისინი ცხოვრობენ, მუშაობენ და აგრძელებენ ჩვეულებებსა და ტრადიციებს. მედიატორს შესაძლებლობა ეძლევა დისკურსი შეინარჩუნოს ადამიანებისთვის უფრო კომფორტულ გარემოში, სადაც ისინი უფრო გახსნილად და კრეატიულად იქცევიან და უფრო ადვილად ერთვებიან პროცესში საკუთარი მოედნიდან. „ადგილზე ჩასვლით“ ინდივიდუალური შეხვედრები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმის გამო, რომ მხარეებს ააქტიურებს და უფრო ჩართულს ხდის, არამედ გეოგრაფიული თვალსაზრისითაც, რადგან ყოველთვის უფრო იოლია მედიატორის გამგზავრება ნებისმიერ ქვეყანაში, თუნდაც თარჯიმნის თანხლებით, ვიდრე მხარეების ჩაყვანა მედიატორის ქვეყანაში. ადგილობრივი მედიაციისგან განსხვავებით, სადაც მხარეები მედიატორის ოფისში იკრიბებიან, ეს გლობალური მედიაციის დამახასიათებელი ასპექტი გახლავთ.

ნეიტრალურობა და ობიექტურობა მედიატორის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებაა, თუმცა მათი საჭიროება ყველაზე კრიტიკული ხდება, როცა მედიატორს ხშირად უნევს მხარეთა მონახულება მათ საკუთარ მოედანზე. ბუნებრივად სტუმრის როლში მყოფი მედიატორი შეიძლება კვლავ გახდეს მხარეთა მიერ გადაბირების მცდელობის საგანი, რაც ხელს შეუშლის ინტეგრირების პროცესს. თარჯიმნის, როგორც თანამედიატორის თანხლებამ შეიძლება დააბალანსოს სიტუაცია და შეამციროს ნეიტრალურობის ხარჯზე კომპრომისის შესაძლებლობა. მედიატორი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს მხარეებს შორის არსებულ კულტურულ განსხვავებებს, უნდა იყოს წინდახედული და დარწმუნდეს, რომ ერთ მხარესთან ვიზიტი მეორე მხარის მიერ არ აღიქმება შეუსაბამო ქმედებად.

შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება

მას შემდეგ, რაც მოისმენს დავის საგნის შესახებ ინფორმაციას და პრობლემებსა და ინტერესებს გამოავლენს, მედიატორი იწყებს მხარეების ჩართვას სხვადასხვა არჩევანის და მათი შეფასების ჩამოყალიბების პრაქტიკულ პროცესში. ისევე როგორც ადგილობრივი მედიაციის დროს, ეს შეიძლება შეფასების ან ხელშეწყობის ფორმით მოხდეს; შეფასებითი ფორმა მოიცავს მედიატორის მიერ სხვადასხვა ვერსიის უფრო აქტიურ შეთავაზებას, ხოლო ხელშეწყობითი გულისხმობს მხარეებისთვის იმპულსის მიცემას, თავად ჩამოაყალიბონ სასურველი ვერსია, როგორც ამას თავისი ურთიერთობების დასაწყისში ახერხებდნენ. ხელშეწყობით მეთოდს ჩვენ მხარს ვუჭერთ როგორც ადგილობრივი, ისე გლობალური მედიაციის დროს, რადგან მიგვაჩნია, რომ, განსაკუთრებით მხარეთა შორის კულტურული განსხვავებების დროს, ეს შეუცვლელი მეთოდია.

მხარეებისთვის სიტუაციაზე პასუხისმგებლობის ხელახლა აღების შესაძლებლობის მიცემა მათ საშუალებას აძლევთ, უფრო კრეატიულად მიუდგნენ პროცესის წარმატებისთვის საჭირო ვერსიების დამუშავებას. პოზიტიურია, რომ ამ პროცესის ხელშეწყობა ძირითადად ინდივიდუალური შეხვედრების დროს ხდება, სადაც მხარეები მედიაციის “უსაფრთხო ზონაში” იმყოფებიან და უფრო კონსტრუქციულად უდგებიან პარტნიორობის ინტერესებს.

ნეგატიური გახლავთ ის, რომ როცა მედიატორი ცდილობს შესთავაზოს რაიმე ვერსია, როგორი ვერსიაც არ უნდა იყოს, ამით ის გარკვეულ კომპომისზე მიდის ნეიტრალურობისა თუ ობიექტურობის თვალსაზრისით და, შესაბამისად, კარგავს პროფესიონალისთვის დამახასიათებელ თავდაჭერილობას; მხარეები ხომ მას მედიაციაში დაგროვილი გამოცდილების გამო ირჩევენ და არა დავის საგნის მიხედვით. მხარეებს პროფესიონალური ცოდნა აქვთ დავის საგნის შესახებ და, შესაბამისად, არ საჭიროებენ რჩევებს გარეშე პირისგან, რომელიც პროცესის მსვლელობაზე აგებს პასუხს და არა მის შინაარსზე.

ამ ეტაპზე, რამდენადაც მხარეები სუბიექტურად აყალიბებენ საკუთარ ვერსიებს, რომლებსაც საერთო საფუძველი არ გააჩნია, გლობალური მედიატორი ხშირად დგება კულტურული განსხვავებების პირისპირ.

ამგვარი განსხვავებების დროს გლობალური მედიატორი მიმართავს საერთაშორისოდ აღიარებულ ობიექტურ სტანდარტებს; ეს მხარეების მიერ საკითხის უფრო მოქნილ გააზრებას უწყობს ხელს, აფართოებს მათ პერსპექტივებს და აახლოებს ორმხრივად მისაღებ ხედვებთან, რაც თავისუფალი იქნება კულტურული გაუგებრობებისა და წინააღმდეგობებისაგან.

მედიაციის დროს ხედვების შემონახვისა და ნდობის აღდგენის ჩვეული ხერხია შუალედური შეთანხმებების მიღწევა, სადაც პოზიტიური ფორმით აღინიშნება მოცემულ მომენტამდე მიღწეული შედეგები და განისაზღვრება პროცესში მნიშვნელოვანი ეტაპები. შუალედური შეთანხმება ხელს უწყობს არსებული საკითხების ორგანიზებას და გამოიყენება მომავალი პროგრესის მისაღწევად საჭირო ინფორმაციისა და კონსულტაციების მისათითებლად. მიუხედავად იმისა, რომ შუალედური შეთანხმება არ ავალდებულებს მხარეებს იმავე ძალით, როგორც მედიაციის დასასრულ მიღებული საბოლოო შეთანხმება, ის მაინც პოზიტიურ სიგნალს აძლევს პროცესის მონაწილე მხარეებს და მათ მხარდაჭერებს, რომ პროცესი მუშაობს და მოაქვს შედეგი.

არ არის აუცილებელი, რომ შუალედური შეთანხმება ეხებოდეს მთლიანად განსახილველ საკითხს, საკმარისი იქნება ძალიან მარტივი, თუნდაც ტექნიკური საკითხებზე შეთანხმება, რისი განმარტება და აღსრულებაც კონტროლს ექვემდებარება. ხანდახან მხარეები იძულებით ახორციელებენ ასეთ შეთანხმებებს მედიაციის მსვლელობის პროცესში, იმისდა მიუხედავად, რომ მათი მოქმედება დროებითი და პირობითია; ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც კეთილი ნების ჟესტი, რასაც პროცესი ეჭვიანობიდან „ფრთხილ ოპტიმიზმში“ გადაჰყავს. იმავდროულად, ეს არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც მხარეების ურთიერთობის სიმულაციის გზით აძლიერებს მათ ოპტიმიზმს და აღადგენს ურთიერთნდობას. მაგალითად, ჩაშლილი კომუნიკაცია ყველაზე ადვილად გამოვლინდება მარტივ თემებზე შეთანხმების მცდელობისას და მარტივი დავალებების შესრულებისას, რაც გზას უკაფავს მხარეებს უფრო კომპლექსური და მძიმე პრობლემების გადწყვეტისკენ. შუალედური შეთანხმება ძლიერი ინსტრუმენტია მედიატორის ხელში, რაც აადვილებს მხარეთა ურთიერთობის პროცესში სუსტი ნერტილების გამოვლენას, ისეთის, როგორიცაა, მაგალითად, საკონტრაქტო პასუხისმგებლობის შესასრულებლად სათანადო მოტივაციის არქონა. სხვა შემთხვევებში, ისმება წარმომადგენლის მანდატისა თუ უფლებამოსილების საკითხი, და შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ვიღაც სხვა ახდენს პროცესზე გავლენას. ამდენად, საჭიროა მათი გამოვლენა და პროცესში პირდაპირი წესით ჩართვა.

ამგვარად, შუალედურ შეთანხმებას დახმარების განწევა შეუძლია სისუსტეებთან გამკლავებაში და მათ გათვალისწინებაში საბოლოო შეთანხმების ტექსტში, ან თუ შუალედური შეთანხმება საერთოდ არ შედგება, ეს მიაწინებს მთლიანად პროცესის წარმატებით დასრულების ძალიან მცირე შანსზე. ამდენად, შუალედური შეთანხმება მედიაციის არსებითი კონ-

სტრუქციული ელემენტია, რაც ნდობის აღდგენის და მხარეთა ურთიერთობის დინამიკის გაჯანსაღებას უწყობს ხელს, რითაც მხარეებს პროცესის წარმატებისა და მისი დასრულების შემდეგ შესაძლო ორმხრივი ურთიერთობის პერსპექტივის ხედვა უყალიბდებათ.

შეთანხმების შედგენა და რევიზია

ნდობის აღდგენის, ზოგად პრინციპებზე შეთანხმების, შუალედური შეთანხმების მიღწევისა და შედეგიანად აღსრულების შემდეგ – მხარეები შესაძლოა უკვე მზად იყვნენ საბოლოო შეთანხმების შესადგენად. საბოლოო შეთანხმების შედგენის საფუძველი აქაც იგივეა, რაც ადგილობრივი მედიაციის დროს. ამდენად, ამ თავში ისეთ განსაკუთრებულ თემებს შევხებით, რომლებიც მხოლოდ გლობალური მედიაციისთვისაა დამახასიათებელი.

პირველი და უმთავრესი - თუ ადგილობრივი მედიაციის დროს შეთანხმების პროექტს ხშირად თავად მედიატორი აყალიბებს, გლობალური მედიაციის დროს შეთანხმებას მხოლოდ მონაწილე მხარეები ან მათი იურისტები ადგენენ. ადგილობრივი მედიატორისგან განსხვავებით, როცა მედიატორი სამართლებრივი ან პროფესიული გამოცდილებით ირჩევა, გლობალური მედიატორის არჩევა ხდება მედიაციაში მისი პროფესიონალიზმის საფუძველზე, ხოლო შედგენილი შეთანხმების შინაარსს მონაწილეები განსაზღვრავენ. ამდენად, გლობალური მედიატორი არ უნდა ეცადოს მხარეების მიერ მათი პროფესიული, საქმიანი თუ სხვა ნებისა და მიზნების შინაარსის შეცვლას. სასურველია, რომ პროცესს არ ესწრებოდნენ მხარეთა ადვოკატები (პრინციპებზე შეთანხმება თავად მხარეებს შორის უნდა მოხდეს ადვოკატების ჩარევის გარეშე), ხოლო ამ მომენტიდან, სასურველია უკვე შეთანხმებული პროცესების შესახებ მათგან კონსულტაციების მიღება, რათა ამ პრინციპების ადაპტირება მოხდეს შესაბამისი ქვეყნის ადგილობრივი რეგულაციების მიხედვით. სხვა საკითხებს შორის, მხარეებმა და ადვოკატებმა, ტექნიკური ხასიათის მიუხედავად, უნდა გაითვალისწინონ: რომელი ქვეყნის სასამართლო იქნება შეთანხმების სამართლებრივად დადასტურების საუკეთესო შესაძლებლობა? საჭიროების შემთხვევაში, სად ექნება სასამართლოს შესაფერისი ძალა?

მიუხედავად ამისა, გლობალური მედიატორი რჩება პროცესის საყრდენ ცენტრად და მხარეები შეთანხმების საკუთარ პროექტებს უგზავნიან მედიატორს და არა ერთმანეთს. ასე იმიტომ ხდება, დავრწმუნდეთ, რომ ადვოკატები (ან მხარეთა ორგანიზაციებში სხვა თანამდებობის პირები, რომლებსაც მედიაციის პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ) პროექტის შედგენისას არ აბრკოლებენ მედიაციის პროცესში მიღწეულ პოზიტიურ ატმოსფეროს, ან არ გადაუხვევენ შეთანხმებული პრინციპების ჩარჩოდან. გლობალურმა მედიატორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მედიაციის მხარეები პიროვნულადაც განიცდიან ცვლილებას კულტურული განსხვავებებისა და გაუგებრობების დაძლევისას, ხოლო მათ, ვისაც მედიაციის პროცესში მონაწილეობა არ მიუღია, შეიძლება ვერ გაიგონ მედიაციის პროცესში მიღწეული “ახალი ენა”; გლობალურმა მედიატორმა შეთანხმების შედგენის პროცესი გლობალურ დონეზე უნდა შეინარჩუნოს, რადგან ნდობის აღდგენა მხოლოდ გარკვეული სირთულეების გადალახვის შემდეგ გახდა შესაძლებელი და მედიატორმა არ უნდა დაუშვას, რომ პროცესის დასრულების შემდეგ საფრთხის ქვეშ დადგეს იგი.

როცა მედიატორი დარწმუნდება, რომ ერთ-ერთი მხარისგან მიღებული პროექტი შეესაბამება შეთანხმებულ პრინციპებს და აღდგენილ ნდობას, და მხოლოდ ამის შემდეგ გაუგზავნის პროექტს მეორე მხარეს შესამოწმებლად, კომენტარებისა და ცვლილებების შესატანად. ადგილობრივი მედიაციისგან განსხვავებით, როცა მედიატორი ადგენს შეთანხმების პროექტს და მხარეების მხრიდან მისი რევიზიის მოთხოვნა განიხილება, როგორც შეთანხმებული პრინციპების შეცვლის მცდელობა, გლობალური მედიაციის დროს მხარეები მხოლოდ ერთმანეთის მიერ შედგენილ პროექტს უწევენ რევიზიას. გლობალური მედიაციის დროს კომენტირებისა და რევიზიის პროცესი კონსტრუქციული და ინფორმაციულია, და მხარეთა შორის საერთაშორისო ურთიერთობის რეაბილიტაციის თაობაზე მომავალი მოლაპარაკებების საფუძველს ქმნის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეიძლება ასევე ტექნიკურად მოგვეჩვენოს, თუმცა, გლობალური მედიაციის პროცესის ბირთვია, გახლავთ შეთანხმებაზე ხელმოწერის პირების დადგენა. გლობალური მედიაცია, როგორც წესი, მსხვილ კორპორაციებს აერთიანებს და, შესაბამისად, შეთანხმებაში უნდა დაფიქსირდეს ხელის მომწერ პირთა სახელები და თანამდებობები – მას შემდეგ, რაც დადასტურდება, რომ ფლობენ სათანადო მანდატსა და უფლებამოსილებას – და არა მხოლოდ ადვოკატთა სახელები; ამგვარად, ხაზი გაესმება მხარეთა პიროვნულ პასუხისმგებლობას და ჩართულობას, მათ კონსტრუქციულ დამოკიდებულებას, ყველაფერს, რაც არსებითია წარმატებული მედიაციისთვის.

ზოგადი პრობლემები

- გლობალურ მედიატორს უნდა ესმოდეს, რომ სხვადასხვა კულტურაში **მოლაპარაკების და გადაწყვეტილების მიღების** სხვადასხვა მეთოდი არსებობს, და რომ ეფექტურობა შედარებითია, ისევე როგორც პროცესი, აღქმა და ინტერნაციონალიზაცია. ამერიკელს ესპანელისგან განსხვავებული ტემპერამენტი და აზროვნების სტილი აქვს, განსაკუთრებით დღის გარკვეულ მონაკვეთში და ა.შ. შესაბამისად, ზოგიერთი დაჩქარებული მეთოდი – მაგალითად, მოლაპარაკება, სანამ “კვამლი არ გათეთრდება” – შეიძლება არ იყოს მოცემულ მომენტში მოცემული მედიაციის ზოგიერთი მონაწილისთვის შესაფერისი, განსაკუთრებით, როცა საჭიროა ნდობის აღდგენა და პროცესის წარმატებისთვის თითოეული ნაბიჯის გაზომვა აუცილებელი.

- გლობალურ მედიატორს ევალება კულტურული განსხვავებების პატივისცემა, ამდენად, ის იყენებს “შეკითხვის ხელოვნებას”, რითიც მხარეებს ეძლევა საშუალება და პრივილეგია, ჩამოაყალიბონ ის კულტურული გარემო, რომელშიც იმუშავენ და განაგრძობენ ურთიერთობას. ტრადიციებისა და ჩვეულებების პატივისცემა ეფექტური “ყინულმჭრელია” და მედიატორს შანსს აძლევს, წარმატებით შესთავაზოს ან სთხოვოს მხარეებს ამ ჩარჩოს მიმართ ადაპტირება, თან ჩამოაყალიბოს მედიაციისთვის დამახასიათებელი კულტურა, რომელშიც ორივე მხარის კულტურული ელემენტები იქნება გათვალისწინებული ყოველგვარი უპირატესობის მინიჭების გარეშე. ეს ერთ-ერთი პირველდანიყებითი კულტურული გამოწვევაა, რომელსაც მედიატორი წააწყდება პროცესის განმავლობაში.

გლობალური მედიაცია, ენა და თარჯიმანი –

თვალსაჩინო კოორდინაციის შენარჩუნება

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ენა მნიშვნელოვანი საკითხია, ხანდახან ბარიერიცაა გლობალური მედიაციის დროს. ამდენად, პროცესის წარმატებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თარჯიმნის არჩევას. ჩვენ ენას განვიხილავთ როგორც მედიაციის წარმართვისთვის აუცილებელ მედიუმს, ამიტომ კარგად უნდა გამოვიკითხოთ თარჯიმნის ვინაობა და მისი ურთიერთობა მედიატორთან.

ისევე როგორც პიროვნებათა შორის ურთიერთობის ნებისმიერ პროცესში, მედიაციაშიც საუკეთესო შედეგი მხარეებთან (მონაწილეები და მედიატორი) მშობლიურ ენაზე ურთიერთობით მიიღწევა. ადამიანებს უწევთ სხვადასხვა დაძაბული ეტაპის და სტრესის გავლა, ამდენად საშუალება უნდა ჰქონდეთ, თავისუფლად გამოხატონ აზრი, ლინგვისტური შეფერხებების გარეშე, პატივისცემის პრინციპებისა და წესების დაცვით. “სასარგებლო” სიტყვათშეთანხმებები არ უნდა დაიკარგოს და შეფერხდეს ენობრივი ფილტრის გამო, რომელსაც სიტყვების შერჩევისას სერიოზული დაფიქრება სჭირდება, და ყველაზე კარგად მშობლიურ ენაზე მიიღწევა. უნივერსალური ენის გამოყენებაც კი, როგორცაა ინგლისური, არაადეკვატურია ხსენებული მიზნის მისაღწევად ისეთ ადამიანებთან, რომლებსთვისაც ის მშობლიური ენა არ არის.

მედიაცია, თავისი ბუნებით, მულტინაციონალური პროცესია, რომელშიც ბუნებრივია სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლების მონაწილეობა. ისინი განსხვავებულ ენებზე მეტყველებენ, ამდენად ამ დამატებითი კულტურულ-ენობრივი ბარიერის დაძლევა პროფესიონალ მედიატორს მოეთხოვება. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ, მიუხედავად მედიატორის გამოცდილებისა და კოსმოპოლიტიზმისა, ის იშვიათად იქნება ვერბალური გაგების ან კულტურული აღქმის იმავე დონეზე, რომელზეც ამ კულტურისა და ენის წიაღში შობილი და აღზრდილი ადამიანები არიან, ამიტომ მას აუცილებლად დასჭირდება პროფესიონალის დახმარება.

ასეთ პროფესიონალად თარჯიმანი განიხილება, რომელიც მთავარ როლს ასრულებს გლობალური მედიაციის პროცესში – მესიჯის უსაფრთხოდ გადამცემის როლს. მესიჯის უსაფრთხოება მთავარი პასუხისმგებლობაა, რათა გადაცემული გზავნილი (მესიჯი) სათანადოდ იქნეს მიღებული, ე.ი. მიმღებისთვის მისი შინაარსი და ფორმა გასაგებია ისე, როგორც მესიჯის ავტორს ჰქონდა განზრახული. მესიჯის უსაფრთხოება უმეტესად ვერბალური ხასიათისაა, მაგრამ დამოკიდებულია ვერბალურ აღქმასა და კულტურულ ფონზე. ამ პარამეტრების გათვალისწინებით შეიძლება წარმოვიდგინოთ თარჯიმნის იმიჯი. თარჯიმანმა იმაზე ბევრად მეტი უნდა გააკეთოს, ვიდრე მხოლოდ მხარეებისა თუ მოდერატორის მიერ წარმოთქმული სიტყვების ინტერპრეტირებაა. მხარეების მიერ დაქირავებული თარჯიმანი მათი გუნდის განუყოფელი ნაწილია, და შესაბამისად, მისი ამოცანაც მარტივი და გასაგებია – უზრუნველყოს, რომ მისმა დამქირავებელმა მეორე მხარისა თუ მოდერატორის ნათქვამი ზუსტად გაიგოს, შესაბამისად, იგი უნდა ფლობდეს სიტუაციის აღქმისა და “ნავიგაციის” უნარს. მათ მოეთხოვებათ როგორც მედიაციის პროცესში გამოსაყენებელი ენების, ისე პროფესიული ტერმინებისა თუ ჟარგონების სრულყოფილი ცოდნა და მედიაციაში მონაწილე მხარის მიმართ პასუხისმგებლობა. რაც შეეხება მთარგმნელს, მას არ მოეთხოვება მედიაციაში პროფესიული გამოცდილება და, ამდენად, ის პასუხისმგებელი არ არის თავად პროცესზე. უფრო მეტიც, ხშირად მთარგმნელები, დამქირავებლის მიმართ ლოიალურობის გამო, მესიჯების მოდიფიკაციას ახდენენ საკუთარი შეხედულებითა და კონკრეტული თვალსაზრისით, და სჯერათ, რომ ეს მათი საქმიანობის ნაწილია. მთარგმნელებისგან განსხვავებით, თარჯიმანი მედიაციის გუნდის შემადგენელი ნაწილია და იზიარებს პროცესის სწორი დინამიკით წარმართვისა და საბოლოო წარმატების მიღწევაზე პასუხისმგებლობას. ის მუშაობს მედიატორისთვის და მასთან ერთად, და მისი ამოცანაა, უზრუნველყოს მედიატორის მიერ მხარეთა პოზიციების და ასევე მათი ინტერესებისა და განწყობების სწორად გაგება. მეორეს მხრივ, თარჯიმანი პასუხისმგებელია, რომ მხარეებმა კარგად გაუგონ მედიატორს, როგორც ენობრივი, ისე კონცეპტუალური თვალსაზრისით; ე.ი. მან უნდა უზრუნველყოს მხარეების მიერ მედიატორის მესიჯების სწორად მიღება, მისი შეკითხვებისა და წინადადებების აღქმა და, ზოგადად, გამორიცხოს მისი მიდგომის “არასწორად გაგება”.

მედიაციის კვალიფიკაცია სასარგებლო იქნებოდა თარჯიმნისთვისაც და მთელი მედიაციის პროცესისთვისაც, თუმცა, არ არის აუცილებელი და მისი კომპენსირება შეიძლება მედიატორის მიერ სათანადო ხელმძღვანელობის გზით როგორც მედიაციამდე, ასევე პროცესის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, შეიძლება თავად მედიატორს არა, მაგრამ თარჯიმანს მოეთხოვოს მედიაციასთან დაკავშირებული სუბორდინაციის დაცვა ეთიკისა თუ კონფიდენციალურობის თვალსაზრისით. მრავალენოვანი მედიაციის დროს შეიძლება პროცესში ერთზე მეტი თარჯიმანი მონაწილეობდეს. მხარეებიცა და მედიატორიც შეიძლება გეოგრაფიულად და კულტურულად საკმაოდ დაშორებული ქვეყნების წარმომადგენლები იყვნენ და საჭირო გახდეს ორი თარჯიმნის დახმარება მრავალენოვანი მესიჯების დაცული გადაცემის უზრუნველსაყოფად. როგორც მედიაციის გუნდის განუყოფელი ნაწილი, მედიატორი და თარჯიმნები მჭიდროდ სამუშაო ატმოსფეროს აყალიბებენ ეფექტური კოორდინაციის და კომუნიკაციის მეთოდების გამოყენებით. ასეთი ქცევა საშუალებას აძლევს, (1) დააზღვიონ მრავლობითი მესიჯების გაცვლა-გამოცვლა, ანუ, სწორად ჩამოაყალიბონ დავის გარშემო არსებული რეალობა და ნათლად გადმოსცენ მხარეების ინტერესები, და (2) წინდახედულად მიყვნიან მხარეთა მიერ

აზრის ყველანაირ გამოხატულებას, სადიაგნოსტიკო გამოკითხვებსა და კონსტრუქციულ განცხადებებს, რაც ხელს შეუწყობს თავად მედიაციის პროცესს. როცა თარჯიმანი, ფაქტობრივად, მედიატორის როლშია (თუ მედიატორის მესიჯებს თარგმნის), ის ხდება გლობალური მედიაციის წარმატებისთვის საჭირო კოორდინაციის უნარების ექსპრესიულად და სენსორულად გადამცემი.

ამდენად, არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ თარჯიმნის დაქირავებისას მედიატორმა მხოლოდ მის თარგმნით უნარს, კულტურულ მსოფლმხედველობას კი არ მიაქციოს ყურადღება, არამედ გაითვალისწინოს მისი პიროვნებათაშორისი ურთიერთობის და გუნდური მუშაობის უნარიც. თარჯიმნ(ებ)ის დაქირავება პროცესისწინა პერიოდის საქმეა და შეიძლება დაგვარად სწრაფად და ეფექტურად უნდა მოგვარდეს ეს საკითხი, რომ არ გამოიწვიოს მედიაციის დაწყების გაჭიანურება. გამოცდილმა გლობალურმა მედიატორმა შეიძლება უკვე არსებული კავშირები ან სანდო რეკომენდაციები გამოიყენოს, რომ რაც შეიძლება სწრაფად ჩამოაყალიბოს მედიაციის გუნდი, რომელიც მხარეებისგან ასევე სწრაფად მოიპოვებს ნდობას და მათ კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივას გაუჩინს. შეიძლება თარჯიმანი ადგილობრივი მედიატორიც იყოს, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ კავშირშია გლობალურ მედიატორთან და პროცესისა და პრინციპების შესახებ გარკვეული წარმოდგენა აქვს.

ამდენად, გლობალურ მედიაციას წარმართავს ფუნქციურად შედგენილი და სინქრონიზებული გუნდი. ეს ნათელია მედიატორისა და თარჯიმნ(ებ)ისთვის, რადგან ისინი კარგად აცნობიერებენ თავიანთ როლს, მაგრამ შეიძლება გუნდურმა დინამიკამ და ლინგვისტურმა მანევრებმა დაეჭვება გამოიწვიოს მხარეებში. მნიშვნელოვანია, რომ გლობალური მედიაციის ადრეულ ეტაპზე გაეცნონ მხარეები პროცედურებს, რაც გაუადვილებს მათ შეხმატკბილებულ მუშაობას გუნდთან, უფრო მეტიც, მოამზადებს მათ ყველა მონაწილე მხარის განსხვავებული კულტურული და ლინგვისტური ჩვევების აღქმისათვის.

გლობალური მედიაცია – კონცეფცია არსებობს

სამომავლო პერსპექტივები

მოსკოვში 2010 წელს ჩატარებული საერთაშორისო მედიაციის კონფერენციაზე, კონცეფციის გაცნობის კვალდაკვალ, ჩვენ შევიმუშავეთ გლობალური მედიაციის კონცეფცია მისი თეორიული საფუძვლების განხილვით და ვაჩვენეთ, როგორ უნდა განხორციელდეს იგი პრაქტიკაში.

მოკლედ, კონცეფცია ჩამოყალიბებულია – რა მოხდება ამის შემდეგ? როგორ უნდა იქცეს გლობალური მედიაცია გლობალური ბიზნესისთვის სტანდარტულ პრაქტიკად? როგორ გამოიყენებენ პოტენციური საერთაშორისო მედიატორები ამ შესაძლებლობებს და როგორ გახდებიან ამ ახლად წარმოქმნილი სფეროს წამყვანი სპეციალისტები?

ჩვენ გულწრფელად გვჯერა, რომ გლობალური მედიაცია მედიაციის ის სპეციალიზაციაა, რომლის დანერგვა მეთოდურად და პასუხისმგებლობით უნდა მოხდეს. უნდა შედგეს გლობალური მედიაციის პრაქტიკუმი, რომელიც მოიცავს როგორც თეორიას, ისე პრაქტიკას, პრინციპებსა და მეთოდოლოგიას. რაც არ უნდა გამოცდილი და ნიჭიერი იყოს, გლობალური მედიატორისთვის უზომოდ სასარგებლოა სტრუქტურირებული პრაქტიკუმის გავლა, რომელიც ინტუიციას მეთოდად გარდაქმნის, ხოლო ბუნებრივ მიდრეკილებებს – ქეშმარიტ სტრატეგიად. თანამედროვე გლობალური მედიატორი ცოდნას იღრმავებს დარგში მრავალფეროვანი გამოცდილების მქონე სპეციალისტებთან ურთიერთობით. ეს კარგ სამსახურს გაუწევს დარგში პროფესიონალიზმის ამაღლებას, განსაკუთრებით თუ განხორციელდება აღიარებული აკადემიური ინსტიტუტის მიერ, სადაც მუდმივად მიმდინარეობს კვლევები და ინფორმაციის შეგროვება-დამუშავება.

ვიმედოვნებთ, რომ გლობალური მედიაციის მოცემული კონცეფცია წაადგება დარგის ჩამოყალიბებისა და გაძლიერების როგორც ინტერესების, ასევე მოტივაციის ამაღლებას, რათა ნებისმიერი გლობალური მედიაცია წარმართოს შესაბამისი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით, მიუხედავად კონკრეტული პროცესის მახასიათებლებისა და გამოწვევებისა.

მაიკლ ცური – იურისტი, მედიაციის, მოლაპარაკებების წარმართვის, კონფლიქტების მოგვარების და კრიზისული სიტუაციების მართვის ექსპერტი. მან 1996 წელს იერუსალიმში დააარსა მედიაციისა და კონფლიქტების მოგვარების ინსტიტუტი, რომელიც სპეციალიზებულია დავების მოგვარების ინსტრუმენტებისა და მეთოდების შექმნაში, განვითარებასა და დანერგვაში. მათ შორის იგულისხმება მედიაცია, კონფლიქტების მართვა კრიზისული სიტუაციების მართვა საჯარო, ბიზნეს- და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებში ისრაელსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. 1996 წლიდან მოყოლებული, მაიკლ ცური მიწვეული პროფესორია იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში, სადაც ბიზნესსკოლის იურიდიულ ფაკულტეტზე კითხულობს ლექციებს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მიწვეული პროფესორი იყო მინესოტაში, ჰემლაინის უნივერსიტეტის დავების მოგვარების ინსტიტუტის სამაგისტრო პროგრამაში. 2001 წლიდან მუშაობს აკადემიურ დირექტორად ისრაელის მართვის ცენტრში (IMC), რომელიც წამყვანი პოსტ-აკადემიური ცენტრია ისრაელში. 2002 წლიდან ლექციებს კითხულობს ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის დავების მოგვარების განყოფილებაში, ასევე მედიაციისა და მასთან დაკავშირებული თემების შესახებ სხვადასხვა საერთაშორისო ასოციაციების პარიზში, ლონდონში, რომში, იორდანეში, ინდოეთში და სხვ.

შაი მელცერმა მედიატორის კვალიფიკაცია მაიკლ ცურისგან მიიღო 2002 წელს იერუსალიმის მედიაციისა და კონფლიქტის მოგვარების ინსტიტუტში. შაი მელცერმა დაამთავრა იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის სამართლის სკოლა და რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა სამოქალაქო და კომერციულ ადვოკატად. ადვოკატის რანგში მას რამდენჯერმე მოუწია დავების ალტერნატიული გზით მოგვარების პროცესებში მონაწილეობა, მედიაციის ჩათვლით.

აღეს შაი მელცერი ებრაული უნივერსიტეტის გენეტიკის ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტია და ემბრიონის ლეროვან უჯრედებს იკვლევს დოქტორ ერან მეშორერის ლაბორატორიაში. შაი იერუსალიმის ბიოეთიკის ფორუმის წევრია და მონაწილეობს ლეროვანი უჯრედების კვლევასთან, გენეტიკური ინფორმაციის გადაცემასთან და ადამიანთა ქსოვილების კომერციალიზაციასთან დაკავშირებულ ბიოეთიკურ დისკუსიებში. ის ასევე მონაწილეობს ბიოეთიკურ საგანმანათლებლო პროგრამებში, რომლებიც იერუსალიმში, ბლუმფილდის სამეცნიერო მუზეუმში ხორციელდება.

THE ART OF WRITING A MEDIATION AGREEMENT:

An Instructional Manual*¹

Goals of the Manual

This manual addresses an unmet need that has arisen during the course of many mediations. A relatively young profession in Israel, the mediation process is developed and refined as experience in the field is continually acquired. Any advancement in the field, as well as relevant curricula and publications, are original and innovative. With the relative scarcity and apparent lack of quantitative literature directly on this point of agreement writing, this manual becomes the first of its genre.

The knowledge base for this manual stems from actual mediation cases. They supply the mediator with the skills for continued development of principles, of techniques — of a more sophisticated understanding of the mediation process — thus propelling the field to new levels.

Mediation is a new language. Its development relies on the process itself: each case and its dynamics, circumstances and expectations, and the needs and interests of the parties. Therefore, a standardized agreement form for all mediators is not as effective and, in fact, is contrary to the essence and spirit of the process.

Considerable experience now undergirds this new language. We have over 1,000 cases and their completed agreements. These constitute the raw material with which we have begun to build instructions for a mediation agreement. These instructions will become a critical tool for the mediator.

While the construction of any mediation agreement is a product of a successful mediation, it is not always the case that a successful mediation entails a formal agreement (whether provisional or final).

A written agreement is not necessarily the barometer of a successful mediation. Sometimes, a certain dynamic develops that leads the parties to bridge their differences so profoundly that they do not feel the need for a written agreement.

A mediation agreement must stem from the mediation process itself. The operative term here is *agreement*, not contract. An *agreement*, as we use the term, reflects the joint effort of all parties. Based on the case studies and agreements in our hands, we can offer instructions to mediators how to ferret out the critical information, how to classify it and identify pivotal points. With the aid of these instructions, the mediation agreement will faithfully reflect the process that the parties themselves entered into. The agreement will be intelligible and credible to all parties and stand up to the hard experience of reality.

The mediation agreement needs to respect the mediation process's dynamic and fundamental principles. The mediation agreement is a product of the interaction of two parties willingly coming together to resolve their dispute under the guidance of a skilled mediator. The parties come to understand and then

* This manual is intended for people who have already participated in mediation training and have some experience in mediating disputes. In order to help mediators learn how to draft a mediated agreement, the manual helps mediators become attuned to the subtleties of the mediation process. Also, the manual provides specific tools for writing the agreement itself.

¹ All rights reserved to Michael Tsur at The Mediation & Conflict Resolution Institute of Jerusalem August 2000.
THE ART OF WRITING A MEDIATION AGREEMENT: An Instructional Manual By MICHAEL TSUR
Translated and edited by Tehilla R. Goldberg

accept their own needs, to protect their common interests, and to rebuild communication, recognizing that this is the key to effective and successful agreements, both in the short and long term.

The mediation agreement is fundamentally different in content, style and language from a legal (or any other) agreement. This is due to the unique nature of each agreement since it is created by the parties themselves as a result of their specific conflict and the mediation process as they experienced it. There is a lack of professional, academic and technical guidance in this area - the crafting of a mediation agreement is an acquired skill, sharpened and improved by continued involvement in the work. At the same time, a special manual accelerates the mastery of the necessary technical skills. With the experience we have gained over the past six years, we have identified seven dimensions that reappear throughout the mediation process in its different guises and forms. Embedded in these dimensions are the tools for writing the agreement.

Negotiation is based on **seven basic elements** (Fisher and Ury 1981). Often, when parties begin to stake out their positions in negotiation, the positions dissolve into the conflict. Therefore, to identify and understand these seven elements is essential, since they organize the negotiation process.

Parallel to negotiation, the **mediation process** proceeds in **seven stages** (Harvard University model 1976) that detoxify the atmosphere, build trust, and address the misunderstanding in such a way that helps generate options for consensus and reaches joint solutions. When writing **mediation agreements**, there are **seven dimensions** to be identified as well. The same dimensions that carry us through the entire process have a significant importance that come to expression when writing the mediation agreement. The dimensions are presented sequentially; however, in reality they are employed in a more integrated manner.

The Seven Dimensions of Writing Mediation Agreements

1. Identifying and Naming the parties

It is important to distinguish between private mediations and those dealing with companies and institutions. In private mediations, such as those involving family conflicts, business disputes, partnership dissolutions, or conflicts between neighbors, the identification of the parties is relatively simple. The parties represent themselves and are identified as such by their own names in the written agreement. They obligate themselves to the agreement by signing it.

The mediator's obligation is, first and foremost, to clarify the capacity of the parties. Sometimes, from the outset, the mental or emotional capacity of one or both of the parties seems limited. Often, this is due to the stress generated by the conflict. Although the diminution of their capacity is caused by their conflict and may be temporary, they nonetheless magnify emotions of fear, rage, excitement and general insecurity. However temporary, these emotions are pervasive, as they are real to the dissenting parties. A limitation in capacity may not reveal itself until a later stage in the mediation. Occasionally, such a limitation may warrant a brief hiatus in the mediation process.

For organizations and companies represented by an employee in the mediation, it is important to clarify the employee's authority. He may be a negotiator, without authority to make final decisions; he may need to check with a superior. In such a case, the mediator is obligated at the outset to identify the precise scope of the negotiator's authority. This must be done during the first meeting, gently and diplomatically, by asking simple, direct questions, such as:

"If we should reach an agreement, would you be able to sign off on it?" or "Is there someone else who needs to confirm your decisions?"

The mediator must investigate this representative's position within and even prior to the conflict. Is the negotiator the sales person who reached an agreement? The CEO of the company? The legal counsel? All this will color the mediation process.

It is important to ask these questions in a straightforward, non-judgmental manner, as opposed to stating the questions in a manner that arouses suspicion. It is a good idea to precede, or elucidate the questions with a clarifying comment such as:

“The reason we are asking this is because, if and when we should reach agreement, it is critical to the mediation process that the people at the table have the power and ability to implement agreements that are reached here in mediation.”

The mediation process is begun with this focus on the identity of the parties, because the beginning will dictate whether at the conclusion of the process they will have both the stability and authority to reach an agreement, as well as the power to sign it. Additionally, by the parties identifying and expressing themselves as individual, negotiating entities in the process, it empowers them to accept the outcome.

This empowerment is the *sine qua non* of a successful conclusion to the writing of a mediation agreement.

It is vital for a mediation agreement to take on a personal tone. This is done by listing the negotiator’s personal names, whether they are the actual parties to the conflict or their representatives. Even more: If a negotiator is usually referred to by a nickname, use that in the agreement. This personal tone, so different from the formality of other agreements, increases the negotiator’s sense of responsibility for the process. Terms like “the company” put distance between the party representing the company and the process, and should therefore be avoided. On the other hand, the use of nicknames or other informal terms favored by a party allows the mediation agreement to begin to develop. This phase fosters an environment in which the parties can get comfortable with the mediation setting. This personal climate helps lead to effective and productive negotiating.

As an alternative process, mediation is intrinsically less formal than more traditional processes. As such, its internal manners are less formal. In many western cultures informality is signaled by use of first names. This signals intimacy and familiarity, which is conducive to mediation. This is not to suggest that in all cultures the use of first names has the same meaning. Within the context of each culture it is up to the mediator and the parties to find appropriate means of creating a more relaxed and informal environment. When we suggest the use of first names it is meant as a proxy for informality. Meaning, in each culture, whatever expresses and communicates personalization and informality, should be incorporated into the mediation.

Personalization reinforces the obligation that the negotiators feel for any conclusions or resolutions. Personalization—not least the name of the negotiator on the agreement itself—serves to recall for the negotiator the experience, time, investment and spirit of the mediation process. The negotiator is an essential cog in all that transpires: he influences the outcome, and is influenced by the others present; he is the one who agreed to all the relevant settlements.

Thus, when the time comes to execute the terms of the agreement, first by presenting it to the company’s higher-ups, the negotiator personally bears all of the give-and-take that made the agreement possible, thereby committing him to the agreement

Personal names and other such informal references in the language of the agreement make it unique. Mediation agreements “belong” to the parties, adding a new dimension to each of their original positions and attitudes. Mediation agreements should “feel” different from a labor contract, a real estate title policy, or a divorce settlement.

2. Presenting the Framework of the Agreement

A framework is necessary not only in order to define the main points of the conflict. Equally important is the relations between the parties. These must be framed in such a way as to make both parties comfortable. The framework contains the basic points of the dispute that created the need for mediation.

The framework must be introduced at the very beginning of the formulation of the mediation agreement. The purpose of the framework is merely to outline the central and relevant points in dispute, to highlight the mutual interest of both parties to resolve it, and to include a general statement that resolution has

been reached. All this should be stated simply and factually without entering into the details of the conflict itself. To be omitted at this stage is the history of the conflict and all the details. It is valuable to be clear about what is being dealt with right at the beginning. This assures the parties are aligned to the common goal.

The parties themselves define the framework of the mediation. They are the ones who explain why the mediation is taking place, what the dispute is about, and what their respective interests are. They are the ones who establish the issue at hand. The framework arises from the details that unfold in the mediation process.

The framework is short and to the point, containing all the facts to which both parties already concur. The framework is separate from the complete agreement, which will emerge only as the mediation process continues. Simply: What is the dispute that must be resolved?

It is useful for a number of points to appear in any mediation framework; the sooner they are agreed to and formulated, the better.

- a.) The circumstance or catalyst of the present conflict. Often this is a misunderstanding or existing dispute.
- b.) A statement that both parties have a common interest in resolving the conflict.
- c.) A statement that the mediation agreement will be a byproduct of the present mediation process.

3. Identifying Topics and Interests

In the dispute, what came first? What is relatively important, and relatively unimportant? The answers must be put in the context not only of the parties and the mediators, but of the law and any existing practices. It is important to establish a hierarchy of points in the dispute (thus also to prioritize the points of the mediation agreement). When writing the agreement, the most difficult, more contentious, points should be dealt with first.

In the mediation process, the mediator enables the parties to understand and realize their respective interests; it becomes the mediator's job to crystallize what is most important to them in order to rank the points in the dispute.

A ranking may become clear in conjunction with interim agreements the parties themselves reach as mediation proceeds.

A ranking of points in dispute responds to two questions. First, from the perspective of the parties themselves, what do they perceive as most important? For example, in a workplace dispute, an apology may need to precede any evaluation of the points in dispute, not to mention any decisions on financial compensation or other resolutions. Second, what do logic, law, and social norms say? For example, in a marital dispute governed by Jewish law, the actual granting of the *get* (formal bill of divorce) may need to precede the resolution of matters of custody and property settlement.

It is important that the mediator responsibly balance and harmonize the parties needs and priorities with the legal reality.

In the prioritization of points, mediators sometimes find subtitles or outlines useful. They may aid the full construction of the mediation agreement by assuring that no point is overlooked.

4. The Interim Agreement

During the course of mediation, various ideas and solutions come up. These may reflect agreement among the parties themselves, or, the parties may express the ways in which they want the dispute to be

resolved. All such suggestions and declarations should be agreed to in writing. They are vital. Using them, it is possible to configure a provisional agreement. They are stepping stones to progress. They become the concrete material that the parties discuss as potential resolutions and are a powerful tool in furthering the termination of the dispute.

A provisional agreement is just what it says provisional. It does not bind the parties past the duration of time designated for a trial basis agreement.

It makes no difference how insignificant any interim resolution or concession may seem. It advances the process, cultivating a receptivity toward a more conciliatory attitude, and can lead to further agreement.

Provisional agreements are a fundamental methodological tool of mediation. Just as the mediation process itself should endeavor to be as transparent as possible, so should the provisional, as well as, final agreement. With this in mind, the written language of the agreement should be simple, clear, detailed and future oriented. Whenever possible, it is a good idea to try to capture the words of the parties themselves. This can circumvent the parties from feeling the mediator is possibly inserting, or reflecting any personal agenda or bias he/she may have.. Furthermore, this helps reinforce the parties connection and commitment to the agreement.

A provisional agreement helps clarify for the parties themselves their actual goals in the mediation. This, in turn, enables them to consult with friends or legal advisors productively. A provisional agreement – to which details may be added to or subtracted from – gives the parties a sense of flexibility. This helps them embrace the process and may liberate them from rigid postures. This may also calm their fears of being coerced into agreeing to something they are averse to. A provisional agreement conveys the message that this is *their* agreement, that the decisions they reach are, in fact, their own, thus increasing the parties sense of ownership of the agreement.

A provisional agreement builds or renews trust and gives a tangible indication as to whether a final agreement is really possible. To sustain a provisional agreement is the litmus test of whether it is possible to sustain trust between the parties, and thus to reach a final agreement that holds water.

Part of reaching the stage of drafting a provisional agreement is self-scrutiny by the parties themselves. What, precisely, can they commit to writing? How closely have they moved toward resolution?

The ideal situation is for the final agreement to come from the parties themselves. Unfortunately, this does not often happen. This is the power of the provisional agreement: It gives the parties the tools with which to develop a final agreement that will satisfy them both.

5. Revisions

Revisions to a provisional agreement requested by the parties give the mediator an important tool – an understanding of the parties' underlying intentions toward each other, and of how they really feel about the mediation process thus far.

Throughout the drafting of the agreement, it is important to constantly revise – to view the agreement as fluid and fungible – until it is final. Formulation of the revisions is best done at a separate meeting with each party individually. Only afterwards should both parties meet to decide which clauses should be incorporated into a final agreement.

Whenever a party expresses an interest in changing an agreement, it is important to understand whether it fundamentally changes or merely “tweaks” the agreement. Further, it is important for the mediator to know the source of the proposed change. Does it express a fuller understanding of the agreement – or does it pose a new problem, or reflect regret, or a change of mind? Is it an expression of fear of going through with the agreement? It is vital to understand a party's motivation for a revision – does it advance the process or impede it? Another consideration: Should a mediator attribute the revision to the party himself, or as a joint idea of the party and the mediator?

To address necessary changes and revisions in the agreement can alleviate fears for the parties. The possibility of revision shows that it is possible to alter that which has been set. This reinforces the notion that mediation is not coercive. Revision adds credibility to the process. Revision can also show whether the ultimate agreement will stand the test of time by unveiling a party's true intentions.

6. Reading the Agreement Aloud and Other Final Steps

The mediator must be certain that each of the parties has read the agreement separately. If it seems necessary for the mediator to read the agreement with each party separately, this should be done. Subsequently, the agreement should be read while both parties are present, in order to confirm the accuracy of the settlements heretofore agreed upon. Moreover, during the reading after each section, the mediator should affirm that both parties understand the provisions in the same way and that there is a meeting of the mind.

It should be clear to the parties that this is the critical time to decide whether they will terminate the dispute by agreeing to sign the final agreement and comply to it.

A provision should appear at the conclusion of every mediation agreement that provides for resolving any future conflict between the two parties. This clause should envision a possible change of circumstances that would make the present agreement obsolete, but that also commits the parties to attempt further mediation before taking legal action.

Since the mediators do not serve as legal advocates for either party, but as neutral facilitators that advance each party's interests, the parties should consult with their legal representative prior to signing the final agreement. This helps ensure that nothing in the agreement violates or ignores their legal rights. The mediator should confirm that each of the parties has done this. Each party is encouraged to consult his legal advisor of choice; the mediation center's attorney need not be used, although it is an option for any interested party. When consulting a private attorney, it is important that the attorney be someone who understands and appreciates the mediation process. This is so he may effectuate and support the agreement, rather than sabotage the work that was accomplished during the mediation, as is reflected in the resulting agreement. Nevertheless, the possibility of necessary legal revisions is normal, and should be expected.

7. Ceremonial Signing

This final step brings the process full circle and it's purpose is twofold: First, the active signing on behalf of the parties is a declarative action of closure to all that transpired throughout the process in order to reach this point. Second, the signature of the parties attests to their understanding and recognition that this final written agreement is the product of a participatory process and reflects the best resolutions they have arrived at in light of the contextual circumstances.

The parties signature to the agreement now ensures that the agreement's status becomes that of a binding legal document and can be approved by a court of law.

At this juncture, the mediator explains to the parties the significance of their signatures and the various logistical details that attend to giving this agreement the force of judgement. Moreover, it is essential to clarify to the parties that while this agreement is meant to resolve the present conflict, they nevertheless have the option of returning to mediation should future conflicts arise.

On a more personal note, now is the time for the mediator to acknowledge the parties efforts invested in the process that led to this resolution. Furthermore, the mediator should express the hope that this experience and newfound awareness of conflict resolution be internalized in such a way that will empower the parties with the skills and motivation to deescalate and resolve future conflicts that may arise within their lives.

მედიაციის შეთანხმების აქტის შედგენის ხელშეწყობა:

სახელმძღვანელო ინსტრუქციები¹

სახელმძღვანელოს მიზნები

სახელმძღვანელო ეხება მედიაციის პროცესში წამოჭრილ მრავალ საჭიროებას. მედიაცია, შედარებით ახალგაზრდა პროფესია ისრაელში, გამოცდილების დაგროვების კვალდაკვალ, მუდმივად ვითარდება და იხვეწება. ამ სფეროში ნებისმიერი პროგრესი, ისევე როგორც შესაბამისი სასწავლო გეგმები და პუბლიკაციები ორიგინალური და ინოვაციურია. შედარებით მწირია ლიტერატურა შეთანხმების აქტის შედგენის ხელშეწყობაზე, ამდენად, წინამდებარე სახელმძღვანელო პირველია ამ სფეროში.

სახელმძღვანელოში ასახულია კონკრეტული მედიაციის პროცესებში მიღებული გამოცდილება. იგი შუამავალს სთავაზობს ისეთი უნარების შემეცნებას, რაც პრინციპებისა და ტექნიკის მუდმივი განვითარებისთვის და, შესაბამისად, შუამავლობის პროცესის უფრო ღრმა აღქმისთვისაა საჭირო, და ამდენად ხელს უწყობს პროცესის ახალ ეტაპზე გადასვლას.

მედიაცია გახლავთ ახალი ენა. მისი განვითარება დამოკიდებულია თავად პროცესზე: ყოველ კონკრეტულ საქმეზე და მის დინამიკაზე, გარემოებებსა და მოლოდინებზე, აგრეთვე მხარეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე. შესაბამისად, შეთანხმების სტანდარტული ფორმა ეფექტური ვერ იქნება ყველა მედიატორისთვის და, ფაქტობრივად, ეწინააღმდეგება კიდევ თავად პროცესის არსსა და ხასიათს. მნიშვნელოვანი გამოცდილება ხსენებულ ახალ სასაუბრო ენას ამყარებს. ჩვენს ხელთაა 1000-ზე მეტი საქმე და მათი შესაბამისი შეთანხმების აქტები. სწორედ ეს აქტები გამოვიყენეთ ნედლე მასალად მედიაციის შეთანხმებისთვის ინსტრუქციების მომზადების დროს. ეს ინსტრუქციები მედიატორისთვის შეუცვლელ ინსტრუმენტად იქცევა. მაშინ როცა ნებისმიერი საშუალო შეთანხმების შედგენა წარმატებული მედიაციის პროდუქტია, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია მედიაციის პროცესი, რომელიც ფორმალური შეთანხმებით ვერ სრულდება (დროებითი იქნება თუ საბოლოო).

წერილობითი შეთანხმება არ წარმოადგენს წარმატებული მედიაციის უტყუარ ბარომეტრს. ხანდახან ჩნდება გარკვეული დინამიკა, რომლის დროსაც მხარეები იმდენად მტკიცედ ათანხმებენ საკუთარ განსხვავებულ პოზიციებს, რომ ვერ ხედავენ ამისთვის წერილობითი შეთანხმების გაფორმების საჭიროებას.

მედიაციის შეთანხმება უნდა მომდინარეობდეს თავად მედიაციის პროცესიდან.

ამ შემთხვევაში მოქმედი ტერმინია “შეთანხმება“ და არა – ხელშეკრულება. “შეთანხმება“ იმიტომ, რომ ჩვენ მიერ გამოყენებული ტერმინი უნდა ასახავდეს ყველა მონაწილე მხარის ერთობლივ ძალისხმევას. ჩვენს ხელთ არსებულ თემატურ კვლევებსა და შეთანხმებებზე დაყრდნობით, შუამავლებს ვთავაზობთ ინსტრუქციებს კრიტიკული ინფორმაციის მოსაპოვებლად,

* წინამდებარე რეკომენდაციები გამიზნულია მათთვის, ვინც უკვე მონაწილეობდა მედიაციის სასწავლო კურსში და გარკვეული გამოცდილება აქვს მედიაციის განხილვებში. სახელმძღვანელო მედიატორებს ეხმარება მედიაციის პროცესის აღქმაში და შეთანხმების აქტის შედგენის ფაქიზი ხელშეწყობის შესწავლაში.

¹ თარგმანი და რედაქტირება: ტეჰილა გოლბერგი

ინფორმაციის კლასიფიცირებისა და გარდამტეხი მომენტების საიდენტიფიკაციოდ. მოცემული ინსტრუქციების დახმარებით საშუამავლო შეთანხმება სამართლიანად ასახავს იმ პროცესს, რომელშიც თავად მხარეები შევლენ. შეთანხმება გასაგები და სარწმუნო იქნება ყველა მხარისთვის და დაუპირისპირდება რთულ რეალობას.

საშუამავლო შეთანხმება უნდა შედგეს მედიაციის პროცესის მიმდინარეობისა და ფუნდამენტური პრინციპების დაცვით. საშუამავლო შეთანხმება ორი მხარის ურთიერთობის პროდუქტია, რომელშიც ისინი ნებაყოფლობით ცდილობენ საკუთარი დავის მოგვარებას გამოცდილი მედიატორის დახმარებით. მხარეები პროცესში ერთვებიან საკუთარ საჭიროებებში გასარკვევად, საერთო ინტერესების დასაცავად და კომუნიკაციის აღსადგენად, იმავდროულად აღიარებენ, რომ მედიაცია საუკეთესო გზაა ეფექტური და წარმატებული შეთანხმების მისაღწევად როგორც მოკლე-, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.

საშუამავლო შეთანხმება ფუნდამენტურად განსხვავდება ნებისმიერი სამართლებრივი (ან სხვა სახის) შეთანხმებისგან თავისი შინაარსით, სტილითა და ენით. ეს გამომწვეულია თითოეული შეთანხმების უნიკალური ხასიათით, რამდენადაც მის შედგენაში თავად მხარეები მონაწილეობენ მათი კონკრეტული კონფლიქტიდან და მედიაციის პროცესში მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე.

ამ სფეროში პროფესიული, აკადემიური და ტექნიკური ხელმძღვანელობის ნაკლებობა შეიმჩნევა – საშუამავლო შეთანხმების შედგენა შეძენილი უნარია, რომელსაც აძლიერებს და ავითარებს საშუამავლო მუშაობაში მუდმივი მონაწილეობა. იმავდროულად, სპეციალური სახელმძღვანელო ზრდის საჭირო ტექნიკური უნარების დახვეწის შესაძლებლობას. ბოლო ექვსი წლის მანძილზე მიღებული გამოცდილების საფუძველზე გამოვავლინეთ შვიდი განზომილება, რომლებიც სხვადასხვა სახითა და ფორმით მედიაციის პროცესში ხშირად იჩენს თავს. ამ განზომილებებშია ჩანერგილი შეთანხმების შესადგენად საჭირო ინსტრუმენტები.

მოლაპარაკება ეყრდნობა **შვიდ ძირითად ელემენტს** (ფიშერი და ური, 1981). ხშირად, მოლაპარაკებისას მხარეების მიერ საკუთარი პოზიციების დაცვა კონფლიქტში გადაიზრდება. რამდენადაც აღნიშნული შვიდი ელემენტი განსაზღვრავს მოლაპარაკების პროცესის ორგანიზებას, არსებითია მათი აღმოჩენა და გაგება.

მოლაპარაკების პარალელურად, **მედიაციის პროცესი** მიმდინარეობს **შვიდ ეტაპად** (ჰარვარდის უნივერსიტეტის მოდელი, 1976), რაც ატმოსფეროს აუმჯობესებს, აყალიბებს ნდობას და გაუგებრობებზე რეაგირებს ისეთი ფორმით, რომელიც ურთიერთშეთანხმების და ერთობლივი გადაწყვეტილების მიღწევას ემსახურება.

საშუამავლო შეთანხმების შედგენისას ასევე უნდა გამოვლინდეს **შვიდი განზომილება**. საშუამავლო შეთანხმების შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ იგივე განზომილებები, რომლებიც მთელი პროცესის მიმდინარეობისას იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. განზომილებები მოცემულია გარკვეული თანმიმდევრობით, თუმცა რეალურ სიტუაციაში მათი ინტეგრირებული გამოყენება ხდება.

საშუამავლო შეთანხმების აქტის შედგენის შვიდი განზომილება

1. მხარეთა იდენტიფიკაცია და სახელდება

მნიშვნელოვანია განსხვავების პოვნა კერძო მედიაციასა და კორპორაციულ (კომპანიების ან ინსტიტუტების) მედიაციას შორის. კერძო მედიაციის დროს, როგორცაა, მაგალითად, ოჯახური კონფლიქტი, საქმიანი დავა, საპარტნიორო ურთიერთობების რღვევა ან სამეზობლო დავები, შედარებით ადვილია კონფლიქტის მხარეთა იდენტიფიცირება. მხარეები საკუთარ თავს წარმოადგენენ და წერილობით შედგენილ შეთანხმებაში იდენტიფიცირდებიან (ფიქსირდებიან) საკუთარი სახელებით. ისინი შეთანხმებაში საკუთარ ვალდებულებას ხელმოწერით ადასტურებენ.

მედიატორის პირველი და უმთავრესი მოვალეობაა დაადგინოს მხარეთა ქმედითუნარიანობა. ხანდახან, პირველ ეტაპზე, ერთ-ერთი ან ორივე მხარის გონებრივი და ემოციური შესაძლებლობები შეზღუდული გვეჩვენება, რაც უმეტესად არსებული კონფლიქტით გამოწვეულ დაძაბულობას უკავშირდება.

მიუხედავად იმისა, რომ მათი უნარების დაკნინება კონფლიქტითაა გამოწვეული და შესაძლოა დროებითი იყოს, მათ მაინც უძლიერდებათ ისეთი ემოციები, როგორცაა შიში, სიბრაზე, ღელვა და დაუცველობის გრძნობა. დროებითი ხასიათის მიუხედავად, ამ მძაფრ ემოციებს, მოწინააღმდეგე მხარეები რეალურად განიცდიან. შეზღუდული შესაძლებლობა შეიძლება არ გამოვლინდეს მედიაციის უფრო გვიანდელ სტადიამდე. იშვიათად კი ასეთი შეზღუდულობა მედიაციის პროცესში მოკლე პაუზასაც იწვევს.

თუ მედიაციის დროს ორგანიზაცია თუ კომპანია წარმოდგენილია თანამშრომლის სახით, მნიშვნელოვანია ამ თანამშრომლის უფლებამოსილების გარკვევა. შეიძლება ის მოლაპარაკებებში მონაწილეობდეს, მაგრამ არ ჰქონდეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება; შესაძლოა საჭიროებდეს პოზიციების ხელმძღვანელობასთან შეთანხმებას. ასეთ შემთხვევაში, მედიატორს ევალება დაწყებისთანავე გაარკვიოს მოლაპარაკებებში მონაწილე პირის უფლებამოსილების საზღვრები. ეს ყველაფერი პირველივე შეხვედრაზე უნდა განხორციელდეს ფრთხილად და დიპლომატიურად, მარტივი და პირდაპირი კითხვების დასმით, როგორცაა, მაგალითად:

„ჩვენ რომ შეთანხმებას მივალწიოთ, შეძლებთ მასზე ხელის მოწერას?“ ან „არის თქვენ გარდა ვინმე, ვინც თქვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა დაადასტუროს?“

მედიატორმა უნდა გამოიძიოს მოცემული წარმომადგენლის პოზიცია კონფლიქტში და მის დაწყებამდე. ხომ არ არის წარმოდგენილი მომლაპარაკებელი გაყიდვების სპეციალისტი, რომელმაც შეთანხმებას მიაღწია? ან კომპანიის ხელმძღვანელი? ეს ინფორმაცია მედიაციის პროცესს უფრო მრავალფეროვანს გახდის. მნიშვნელოვანია აღნიშნული კითხვების დასმა პირდაპირ, გააზრებულად, რომ არ გამოიწვიოს დაეჭვება. კარგი აზრია კითხვების განმარტება ისეთი კომენტარებით, როგორცაა, მაგალითად:

„ამას იმიტომ გეკითხებით, რომ თუ ჩვენ შეთანხმებას მივალწევთ, მედიაციისათვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან მსხდომ ადამიანებს მედიაციის პროცესში მიღწეული გადაწყვეტილებების განხორციელების უფლებამოსილება ჰქონდეთ“.

მედიაციის პროცესი მონაწილე მხარეების იდენტიფიკაციით იწყება, რადგან სწორედ ამ დროს ირკვევა, ექნებათ თუ არა პროცესის დასრულების კვალობაზე შეთანხმების მიღწევის სტაბილურობა და მასზე ხელმოწერის უფლებამოსილება. გარდა ამისა, მხარეების მიერ საკუთარი თავის, როგორც მოლაპარაკების პროცესის ინდივიდუალური მხარის, წარდგენა და იდენტიფიცირება, საშუალებას აძლევს მათ, მიიღონ და დაადასტურონ პროცესის შედეგი.

ეს უფლებამოსილება აუცილებელი მოთხოვნაა საშუამავლო შეთანხმების დასაწერად წარმატებული დასკვნების გამოსატანად.

საშუამავლო შეთანხმებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს პერსონალურ მიმართვას და უშუალო ტონს. უნდა ჩაინიშნოს მომლაპარაკებელთა სახელები და მიუთითოთ ისინი კონფლიქტის მხარეები არიან, თუ მხოლოდ მხარეთა წარმომადგენლები. მეტიც: თუ მოლაპარაკების მხარეს, ჩვეულებრივ, მეტსახელით მიმართავენ, ეს შეთანხმები გამოიყენეთ. ეს უშუალოა, რომელიც ძალიან განსხვავდება სხვა შეთანხმებების ფორმალური ხასიათისგან, მნიშვნელოვნად ზრდის პროცესის მიმართ მომლაპარაკებლის ნდობას. ისეთი ტერმინები, როგორცაა „კომპანია“, კომპანიის წარმომადგენელსა და თავად პროცესს შორის დისტანციას ქმნის, ამდენად, მისი გამოყენება თავიდან უნდა ავიცილოთ. მეორე მხრივ, მხარეებისათვის სასურველი მეტსახელების ან სხვა არაფორმალური ტერმინების გამოყენება აჩქარებს საშუამავლო შეთანხმების დაწყებას და ჩამოყალიბებას. ამ ფაზაზე იქმნება გარემო, რომელშიც მხარეები კომფორტულად განწყობიან მედიაციის მიმართ. ასეთი არაფორმალური გარემო ეფექტური და პროდუქტიული მოლაპარაკებების წარმოებას უწყობს ხელს.

მედიაცია, როგორც ალტერნატიული მეთოდი, თავისი არსით უფრო არაფორმალური პროცესია, ვიდრე სხვა ტრადიციული პროცესები. მისი შიდა ხერხები უფრო უშუალოა. ბევრ დასავლურ ქვეყანაში უშუალოება გამოიხატება მხოლოდ სახელებით მიმართვაში. ეს ინტიმურ და მეგობრულ გარემოზე მიაწინებს, რაც მედიაციისთვის ძალიან ხელსაყრელია.

ეს არ ნიშნავს, რომ პირდაპირ სახელებით მიმართვა ერთნაირად აღიქმება ყველა კულტურულ გარემოში, ყველა მოცემული კულტურის კონტექსტში მედიაციისა და მონაწილე მხარეების გადასაწყვეტია მშვიდი და არაფორმალური გარემოს შექმნა.

როცა სახელებით მიმართვას გთავაზობთ, არაფორმალური, უშუალო ურთიერთობის დამყარებას ვგულისხმობთ. ხოლო ყოველ მოცემულ კულტურაში, მედიაციის დროს გამოიყენება ის ხერხი, რომელიც არაფორმალური და პერსონალური კომუნიკაციის საშუალებას იძლევა.

ურთიერთობის პერსონირება აძლიერებს მხარეთა ვალდებულებას მიღებული დასკვნებისა და გადაწყვეტილებების მიმართ. პერსონალიზება – და არცთუ უკანასკნელ ადგილზე მონაწილის სახელის მინიშნება შეთანხმებაში – მონაწილეს მედიაციის პროცესში მიღებულ გამოცდილებას, დახარჯულ დროს, ინვესტიციასა თუ არსებულ ატმოსფეროს შეახსენებს.

მოლაპარაკების მონაწილე – მნიშვნელოვანი რგოლია ყველაფერში, რაც პროცესში გამოვლინდება: ის გავლენას ახდენს შედეგზე, და თავადაც ექცევა სხვა მონაწილეების გავლენის ქვეშ. სწორედ ისაა, ვინც დათანხმდა მოგვარების ყველა შესაფერის ფორმას.

ამგვარად, როცა შეთანხმების პირობების შესრულებაზე მიდგება საქმე, პირველ რიგში კომპანიის ხელმძღვანელობასთან წარდგენისას, პროცესში მონაწილე პირადად გადასცემს მას ყველა იმ კომპრომისს, რომელმაც შეთანხმების დადება გახადა შესაძლებელი, და ამგვარად მასაც პასუხისმგებელს ხდის შეთანხმების მიმართ.

შეთანხმებაში ჩაწერილი პიროვნების სახელები და მსგავსი არაფორმალური მინიშნებები დოკუმენტის ენას სრულიად განსაკუთრებულს ხდის. საშუამავლო შეთანხმება განეკუთვნება მონაწილე მხარეებს და მათ სანყის პოზიციებსა და დამოკიდებულებებს ახალ განზომილებას მატებს. საშუამავლო შეთანხმება განსხვავებულად უნდა „იკითხებიდეს“, ვიდრე სამუშაო ხელშეკრულება, უძრავი ქონების ან განქორწინების დოკუმენტი.

2. შეთანხმების ჩარჩოს წარდგენა

შეთანხმების ჩარჩო მხოლოდ კონფლიქტის მთავარი პუნქტების განსამარტად არ არის აუცილებელი. არანაკლებ მნიშვნელოვანია მხარეთა შორის ურთიერთობა. ყოველივე ეს ისე უნდა წარიმართოს, რომ ორივე მხარისათვის კომფორტული და მისაღები გახდეს. ჩარჩო შეიცავს დავის იმ ძირითად პუნქტებს, რომელმაც მედიაციის საჭიროება წარმოშვა.

ჩარჩო წარდგენილი უნდა იყოს საშუამავლო შეთანხმების ფორმულირების დაწყებისთანავე. ჩარჩოს მიზანია მხოლოდ დავის ცენტრალური და სათანადო პუნქტების ხაზგასმა, და მისი მოგვარების მიმართ ორმხრივი ინტერესის მითითება. ჩარჩო ასევე უნდა შეიცავდეს ზოგად მინიშნებას, რომ გადაწყვეტილება მიღწეულია. ყველაფერი ზემოთქმული უნდა ჩამოყალიბდეს მარტივად და ფაქტობრივად, კონფლიქტის დეტალებში წვდომის გარეშე. ამ ეტაპზე უნდა გამოვტოვოთ კონფლიქტის ისტორია და მისი დეტალები. მნიშვნელოვანია თავიდანვე ნათლად აისახოს, რა საკითხის განხილვა მიმდინარეობს. ეს უზრუნველყოფს მხარეთა მიერ საერთო მიზნის მიღწევისთვის ერთობლივ სწრაფვას.

მედიაციის წარმოების ჩარჩოს თავად მხარეები ადგენენ. ისინი თავად განმარტავენ, რისთვისაა მედიაცია საჭირო, რა არის დავის საგანი, და როგორია მათი ინტერესი დავის საგნის მიმართ. მხარეები თავად ადგენენ არსებული პრობლემის სტატუსს. ჩარჩოსტრუქტურა ყალიბდება მედიაციის პროცესში წარმოქმნილი დეტალების მიხედვით.

ჩარჩოსტრუქტურა მოკლე და კონკრეტულია, შეიცავს ყველა იმ ფაქტს, რაზეც მხარეები ვერ თანხმდებიან. ჩარჩო შეთანხმების აქტისგან ცალკე არსებული დოკუმენტია, რადგან შეთანხმების აქტი ყალიბდება მედიაციის პროცესის მსვლელობის კვალდაკვალ.

მარტივი კითხვა: „რა სახის დავა უნდა მოგვარდეს?“

მოსახერხებელია მედიაციის ჩარჩოსტრუქტურაში ჩამოითვალოს რამდენიმე პუნქტი; რაც უფრო მალე მოხდება ამ პუნქტებზე შეთანხმება და მათი ფორმულირება, მით უკეთესად წარიმართება პროცესი.

- ა) მოცემული კონფლიქტის გამომწვევი ვითარება ან კატალიზატორი გაუგებრობა ან არსებული დავა ხდება.
- ბ) განცხადება, რომ ორივე მხარეა დაინტერესებული კონფლიქტის მოგვარებით;
- გ) განცხადება, რომ საშუამავლო შეთანხმება იქნება მოცემული მედიაციის პროცესის თანამდევ პროდუქტი.

3. პუნქტებისა და ინტერესების იდენტიფიცირება

დავის დროს რა მოხდა პირველად? მნიშვნელოვანი იყო თუ შედარებით უმნიშვნელო? პასუხები მხოლოდ მონაწილე მხარეებისა და მედიატორის კონტექსტში კი არ უნდა განიხილებოდეს, არამედ სამართლისა და არსებული გამოცდილების კონტექსტშიც. მნიშვნელოვანია სადავო საკითხების იერარქიის ჩამოყალიბებაც (აქვე მოხდება საშუამავლო შეთანხმებისთვის პრიორიტეტული საკითხების დადგენა). შეთანხმების შედგენისას, პირველ რიგში, უნდა განიხილოთ ყველაზე რთული და ყველაზე სადავო თემები.

მედიაციის პროცესში მედიატორი მხარეებს საშუალებას აძლევს, გაერკვნენ და გააანალიზონ საკუთარი ინტერესები; მედიატორის ფუნქციაა მხარეებს განუმარტოს, რა არის მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სადავო საკითხების რანჟირების დროს. მედიაციის მსვლელობისას მიღწეულ შუალედურ შეთანხმებებთან ერთად მხარეებისთვის შეიძლება უფრო ნათელი გახდეს რანჟირების საჭიროება.

სადავო საკითხების რანჟირება ორ კითხვას პასუხობს. პირველი, თავად მხარეთა ხედვით, რას განიხილავენ ყველაზე მნიშვნელოვან პუნქტად? მაგალითად, სამუშაო გარემოსთან დაკავშირებულ დავაში, შესაძლებელია ჯობდეს, ბოდიშის მოხდა წინ უსწრებდეს სადავო პუნქტების შეფასებას, რომ არაფერი ვთქვათ ნებისმიერი სახის ფინანსურ კონპენსაციასა თუ სხვა გადაწყვეტილებაზე. მეორე, რას მიგვითითებს ლოგიკა, კანონი და სოციალური ნორმები? მაგალითად, საოჯახო დავის შემთხვევაში, ებრაული კანონის თანახმად, განქორწინების მოწმობის მიღება უნდა უსწრებდეს მეურვეობისა და ქონებრივი საკითხების მოგვარებას.

მნიშვნელოვანია, რომ მედიატორი პასუხისმგებლობით მოეკიდოს მხარეთა საჭიროებებისა და პრიორიტეტების დაბალანსებას და არსებულ სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობას.

საკითხების პრიორიტეტებად დალაგების დროს, მედიატორები ხშირად იყენებენ ქვესათაურებსა და მინიშნებებს.

ამან შესაძლოა ხელი შეუწყოს საშუამავლო შეთანხმების შედგენას და უზრუნველყოს, რომ არც ერთი საკითხი არ იქნეს გამოტოვებული.

4. შუალედური შეთანხმება

მედიაციის მსვლელობის დროს თავს იჩენს სხვადასხვა მოსაზრება და გადაწყვეტის გზა. ეს შესაძლოა მიანიშნებდეს თავად მხარეებს შორის თანხმობაზე, ან მხარეები გამონახავენ გზას, რომლითაც სურთ კონფლიქტის მოგვარება. ყველა ასეთი შეთავაზება ან განცხადება უნდა დაფიქსირდეს წერილობით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მათი გამოყენებით შესაძლებელი გახდება დროებითი (წინასწარი) შეთანხმების ჩამოყალიბება. ეს წარმატებისკენ გადადგმული ნაბიჯებია და ის კონკრეტული მასალაა რომელსაც მხარეები პოტენციური მოგვარების საშუალებად განიხილავენ. ამავე დროს მძლავრი იარაღია კონფლიქტის შესაწყვეტად.

დროებითი (წინასწარი) შეთანხმება სწორედ ის არის, რასაც მისი სახელი გვამცნობს – დროებითი და წინასწარი. ის არ ავალდებულებს მხარეებს, გაიარონ საცდელი შეთანხმების-

თვის განკუთვნილი ვადა. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად უმნიშვნელო შეიძლება ჩანდეს ნებისმიერი შუალედური გადანყვეტილება ან დათმობა. ის ხელს უწყობს პროცესის წინსვლას, აყალიბებს შემრიგებლურ დამოკიდებულებას და შეუძლია სამომავლო შეთანხმებამდე მიყვანა.

დროებითი (წინასწარი) შეთანხმება მედიაციის ფუნდამენტური მეთოდური ინსტრუმენტია. ისევე როგორც თავად მედიაციის პროცესი უნდა მიმდინარეობდეს მაქსიმალურად გამჭვირვალედ, დროებითი (წინასწარი) შეთანხმება და საბოლოო საშუამავლო შეთანხმებაც შესაბამისად გამჭვირვალედ უნდა ჩამოყალიბდეს. ამის გათვალისწინებით, საშუამავლო შეთანხმება უნდა დაინეროს მარტივი ენით, გასაგებად, დეტალურად და მომავალზე ორიენტაციით. შესაძლებლობის შემთხვევაში, კარგი იქნება თავად მხარეების მიერ მსჯელობის დროს გამოყენებული სიტყვების გამოკრება. ამგვარად, მხარეებს არ გაუჩნდებათ განცდა, თითქოს მედიატორი პირადად საზღვრავს, რა ჩანეროს და რა გამოტოვოს საკუთარი წინასწარგანზრახული პროგრამის მიხედვით. გარდა ამისა, მხარეებს გაუჩნდებათ მეტი კავშირი და პასუხისმგებლობა შეთანხმების მიმართ.

დროებითი (წინასწარი) შეთანხმება მხარეებს ეხმარება, მედიაციის პროცესში გაარკვიონ საკუთარი კონკრეტული მიზნები. თავის მხრივ, მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ კონსულტაციები გაიარონ მეგობრებთან და/ან იურისტებთან. დროებითი (წინასწარი) შეთანხმება – რომელსაც შეიძლება დაემატოს ან მოაკლდეს გარკვეული დეტალები, - მხარეებს პროცესის მოქნილობაში არწმუნებს; ეხმარება მათ პროცესში სრულყოფილად ჩართვაში და ათავისუფლებს პასიური პოზიციისგან; უქარწყლებს მათთვის მიუღებელ თემაზე იძულებით შეთანხმების შიშს. დროებითი (წინასწარი) შეთანხმება მხარეებს არწმუნებს, რომ ეს სწორედ მათი შეთანხმებაა, და რომ მიღწეული გადანყვეტილება მხოლოდ მათ ეკუთვნის; ასეთი დამოკიდებულება აძლიერებს მხარეების მხრიდან შეთანხმებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობას.

დროებითი (წინასწარი) შეთანხმება აყალიბებს ან აღადგენს ნდობას და ხელშესახებ წინაპირობას ქმნის იმისა, თუ რამდენად რეალისტური იქნება საბოლოო შეთანხმების გაფორმება. დროებითი (წინასწარი) შეთანხმების მდგრადობა – ლაკმუსის ტესტია იმისა, თუ რამდენად მდგრადი შეიძლება იყოს მხარეთა შორის ნდობა, და ამგვარად, ყველანაირი კრიტიკის გამძლე, საბოლოო შეთანხმების მიღწევა.

წინასწარი შეთანხმების ეტაპამდე უნდა შედგეს ხსენებული შეთანხმების პროექტი, რაც მხარეების მიერ საკუთარი თავის გამოცდად შეიძლება ჩაითვალოს. კონკრეტულად რას ჩანერენ ისინი შეთანხმებაში? რამდენად მიუახლოვდნენ საკითხის მოგვარებას?

იდეალურ სიტუაციაში მხარეები თავად მოახდენენ საბოლოო შეთანხმების ინიცირებას. სამწუხაროდ, ხშირად ასე არ ხდება. ხოლო დროებითი (წინასწარი) შეთანხმების ძლიერება ისაა, რომ ის მხარეებს ყველასთვის დამაკმაყოფილებელი საბოლოო შეთანხმების მიღწევის ინსტრუმენტებს სთავაზობს.

5. რევიზია

მხარეების მიერ მოთხოვნილი დროებითი (წინასწარი) შეთანხმების რევიზია მედიატორს საშუალებას აძლევს, გაარკვიოს მხარეების ერთმანეთის მიმართ არსებული ზრახვები და ასევე, თუ როგორია მათი განცდა მიმდინარე მედიაციის პროცესის მიმართ.

შეთანხმების პროექტზე მუშაობისას საჭიროა მუდმივი გადამონმება – მისი ყოველმხრივ შეჯერება, სანამ საბოლოო სახეს არ მიიღებს. კარგი იქნება, თუ შესწორებების ფორმულირება მოხდება თითოეულ მხარესთან ცალკე, დამოუკიდებელ შეხვედრაზე. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შეხვდნენ მხარეები და გადანყვიტონ შესწორების რომელი მუხლები შევა მათ საბოლოო შეთანხმებაში.

შეთანხმების შეცვლის მიმართ როგორი ინტერესიც არ უნდა გამოხატოს მხარემ, მნიშვნელოვანია გავიგოთ, ძირფესვიანად იცვლება შეთანხმების შინაარსი თუ მხოლოდ ზედაპირულად.

უფრო მეტიც, მედიატორისთვის მნიშვნელოვანია იცოდეს შემოთავაზებული ცვლილებების წყარო. აადვილებს შემოთავაზებული ცვლილება შეთანხმების სრულყოფილად აღქმას, თუ ახალ პრობლემებს წარმოშობს? ხომ არ ჩანს სინანულის ან აზრის შეცვლის ნიშნები? ხომ არ გამოხატავს შეთანხმების დადების მიმართ შიშს? მნიშვნელოვანია, გავიგოთ ცვლილებების მიმართ მხარის მოტივაცია – აჩქარებს ცვლილება პროცესს, თუ პირიქით, ხელს უშლის მას? კიდევ ერთი მოსაზრება: უნდა მიაწეროს თუ არა მედიატორმა შემოთავაზებული ცვლილება თავად მხარეს, თუ უნდა განიხილოს, როგორც მხარისა და მედიატორის ერთობლივი აზრი?

შეთანხმებაში საჭირო ცვლილებებისა და დამატებების შეტანამ შეიძლება შეამსუბუქოს მხარეთა შიში. ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა აჩვენებს, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება უკვე ჩამოყალიბებული მოსაზრების შეცვლა. ეს აძლიერებს განცდას, რომ მედიატორი არ არის ძალდატანებითი პროცესი. რევიზიას მეტი გარკვეულობა შეაქვს პროცესში. მხარეთა ქეშმარიტი განზრახვების გამჟღავნებით, რევიზია ასევე აჩვენებს, თუ რამდენად გაუძლებს საბოლოო შეთანხმება დროის გამოცდას.

6. შეთანხმების ხმამაღლა წაკითხვა და სხვა საბოლოო ნაბიჯები

მედიატორი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ თითოეული მხარე ცალკე, დამოუკიდებლად გაეცნო შეთანხმებას. თუ დადგა საჭიროება, მედიატორმა თითოეულ მხარესთან ერთად ცალკე უნდა წაიკითხოს შეთანხმება. შემდგომ, მედიატორი შეთანხმებას კითხულობს ორივე მხარის თანდასწრებით, რათა კიდევ ერთხელ დადასტურდეს, რომ ყველა პირობა, რაზეც მედიატორის პროცესში მოილაპარაკეს, უშეცდომოდაა ჩამოყალიბებული.

გარდა ამისა, მედიატორი ჩერდება ყოველი თავის წაკითხვის შემდეგ და ამოწმებს, რომ ორივე მხარეს ერთნაირად ესმის მოცემული დებულება და შეთანხმება მას.

მხარეებისთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ყველაზე კრიტიკული დავის შეწყვეტის გადაწყვეტილების მომენტი, რასაც დაადასტურებენ შეთანხმებაზე ხელმოწერით.

ყოველი საშუაშალო შეთანხმების ბოლოს უნდა ჩაიწეროს დებულება, რომელიც მიუთითებს მხარეებს შორის მომავალში წარმოქმნილი შესაძლო დავის გზებს. ამ პუნქტში უნდა აისახოს ვითარების შესაძლო ცვლილება მომავალში, რაც გამორიცხავს მოცემული შეთანხმების შესრულებას, თუმცა მხარეებს შესაძლებლობას უტოვებს კვლავ მიმართონ მედიატორს სასამართლოში საქმის შეტანამდე.

იმის გამო, რომ მედიატორი არ წარმოადგენს არც ერთი მხარის იურისტ-ადვოკატს, არამედ, ნეიტრალური მხარეა, რომელიც ხელს უწყობს თითოეული მხარის ინტერესების დაცვას, მხარეებმა, საბოლოო შეთანხმებაზე ხელის მოწერამდე, კონსულტაცია უნდა გაიარონ საკუთარ იურისტებთან. მსგავსი კონსულტაცია დაარწმუნებს, რომ შეთანხმების არც ერთი პუნქტი არ არღვევს და არ უგულებელყოფს მათ კანონიერ უფლებებს.

მედიატორმა უნდა დაადასტუროს, რომ ორივე მხარემ გაიარა შესაბამისი იურიდიული კონსულტაცია. თითოეულ მხარეს შეუძლია თავად აირჩიოს იურისტი და არ არის ვალდებული მხოლოდ მედიატორის ცენტრის იურისტ კონსულტანტს მიმართოს, თუმცა, ასეთი შესაძლებლობა ნებისმიერი მსურველისთვის ხელმისაწვდომია. კერძო იურისტთან კონსულტაციის დროს, მნიშვნელოვანია, რომ იურისტი კარგად იცნობდეს და პატივს სცემდეს მედიატორის პროცესს. რადგან კეთილგანწყობილ იურისტს შეუძლია მეტი ეფექტი შესძინოს შეთანხმებას, ხოლო სკეპტიკოსს – მედიატორის პროცესში განუთავსებელი მუშაობის საბოლოო შეთანხმებაში აისახება. ყველაფრის მიუხედავად, აუცილებელი იურიდიული კონსულტაციების საჭიროება ჩვეულებრივი მოვლენაა და ამისი მოლოდინი ყველა მედიატორს უნდა ჰქონდეს.

7. ხელის მონერის ცერემონიალი

ეს ბოლო საფეხურია, რომლის დროსაც პროცესის მთლიანი ციკლი იკვრება, და ამ პროცესს ორმაგი დანიშნულება აქვს: პირველი, მხარეთა მიერ შეთანხმების ხელმონერა, როგორც დეკლარირება იმისა, რომ შეთანხმების მიღნევის მომენტამდე მიმდინარე პროცესი დახურულია. მეორე, მხარეთა მიერ შეთანხმების ხელმონერა ადასტურებს მათ მიერ იმის გაზიარებასა და აღიარებას, რომ ეს არის საბოლოო წერილობითი შეთანხმება – თანამონანილეობის პროცესში მიღებული პროდუქტი, რომელიც გამოხატავს კონტექსტუალურ გარემოებებში მიღნეულ საუკეთესო გადაწყვეტილებას.

მხარეების მიერ შეთანხმებაზე ხელმონერა ადასტურებს, რომ შეთანხმებამ შეიძინა სავალდებულო დოკუმენტის იურიდიული სტატუსი, რომელიც შეიძლება დაამტკიცოს სასამართლომ.

ამ მომენტში, მედიატორი მხარეებს უხსნის მათი ხელმონერების მნიშვნელობას და სხვა ლოგისტიკურ დეტალებს, რომლებითაც მოცემულ შეთანხმებას სამართლებრივი ძალა მიეცემა. გარდა ამისა, არსებითია მხარეებისათვის იმის განმარტება, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოცემული საშუამავლო შეთანხმება კონკრეტული დავის მოგვარებას ეხება, მათ შეუძლიათ მომავალში, სხვა შესაძლო დავებთან და კონფლიქტთან დაკავშირებით კვლავ მიმართონ მედიაციას.

უკვე პიროვნულ დონეზე, ახლა მედიატორის ჯერია, რომ აღიაროს მხარეთა მიერ პროცესის მსვლელობისას გაღებული ძალისხმევა, რამაც მოცემულ შეთანხმებამდე მიიყვან ისინი. გარდა ამისა, მედიატორმა იმედი უნდა გამოთქვას, რომ მხარეები გაითავისებენ მედიაციის პროცესში კონფლიქტის მოგვარების კუთხით მიღებულ გამოცდილებას, რაც მათ მომავალშიც დაეხმარება საქმიანი თუ ცხოვრებისეული კონფლიქტების მოგვარებაში.

გამომცემლობის რედაქტორი ცირა ჯიშკარიანი

გარეკანის დიზაინერი მარიამ ებრალიძე

კორექტორი ლელა ნიკლაური

დამკაბადონებელი ნათია დვალი

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179

Tel 995 (32) 225 14 32

www.press.tsu.ge